



საერთაშორისო ტექნიკური და პროგრამული სახელმძვანედო

განათლება ადამიანის სექსუალობის შესახებ ანაფორმადური განათლების სისტემაში

ანაფორმადური განათლების პროგრამებისათვის განკუთვნილი და
მშვიდობიანად დაფუძნებული მიდგომა



საერთაშორისო ტექნიკური და პროგრამული სახელმძღვანელო

განათლება აღამიანის სექსუალობის შესახებ

ანაზორმაღური განათლების სისტემაში

**ანაზორმაღური განათლების პროგრამებისთვის განკუთვნილი
და მტკიცებულებაზე დაფუძნებული მიდგომა**



ითარგმნა და გამოსაცემად მომზადდა გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის მიერ, გაეროს ერთობლივი პროგრამის "გენდერული თანასწორობისთვის" ფარგლებში, რომელიც ხორციელდება შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

მისამართი: რაფაელ ერისთავის #9, თბილისი, 017

©გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), 2020 წ.

ISBN 978-08-9-714045-4

წინასიყვარობა

დღეს მსოფლიოში ახალგაზრდების ყველაზე მრავალრიცხოვანი თაობა ცხოვრობს. მათ ჯანმრთელობასა და განათლებაში ინვესტიციების განხორციელებით/დაბანდებით, მთავრობებს შეუძლიათ, ხელი შეუწყონ ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციას, უზრუნველყონ მათი კეთილდღეობა და დაეხმარონ პოტენციალის სრულად გამოვლენაში. მოიცავს რა როგორც განათლებას, ასევე ჯანმრთელობას, განათლება ადამიანის სექსუალობის შესახებ (CSE) არსებით მნიშვნელობას იძენს, ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ამგვარი განათლება ახალგაზრდებს სთავაზობს იმ ინსტრუმენტებს, რომლებიც მათ სჭირდებათ ჯანსაღი ცხოვრების უზრუნველსაყოფად და ჯანსაღი ურთიერთობის დასამყარებლად, ეხმარება მათ, მიიღონ სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან (სრჯ) დაკავშირებით ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის.

მიუხედავად ამისა, ბევრი ახალგაზრდა ყოველდღიურად იღებს უამრავ მეცნიერულად დაუსაბუთებელ, ჭეშმარიტებისგან შორს მდგარ და დამაბნეველ გზავნილს სექსუალობისა და გენდერის შესახებ, რამაც შეიძლება, სერიოზული საფრთხე შეუქმნას მათ ჯანმრთელობას, მომავალ კეთილდღეობასა და ღირსებას. შედეგად, დღეს მრავალი ახალგაზრდა არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის თვალსაზრისით. აღნიშნული მიუთითებს ახალგაზრდებისათვის ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების მასშტაბურად და ეფექტიანად მიწოდების გადაუდებელ საჭიროებაზე. წინამდებარე პუბლიკაცია, სახელწოდებით: „საერთაშორისო ტექნიკური და პროგრამული სახელმძღვანელო – ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება არაფორმალური განათლების სისტემაში“, რომელიც გამოქვეყნებულია გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მიერ, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდის (UNICEF), გაეროს აივ/შიდსის ერთიანი პროგრამისა (UNAIDS) და ჯანმოს მხარდაჭერით, წარმოადგენს აღნიშნული საკითხისადმი ჩვენი ერთიანი/საერთო ინტერესისა და ძალისხმევის მტკიცებულებას.

წინამდებარე სახელმძღვანელოს შექმნა განპირობებულია მსოფლიოს მასშტაბით ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) აქტუალურობის ზრდით და ემთხვევა გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) 50-ე წლისთავსა და მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციისა (ICPD) და მისი ინოვაციური სამოქმედო პროგრამის 25-ე წლისთავს. სახელმძღვანელო ასევე ემსახურება გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის მხარდაჭერას, რომლის მიზანია ყველაზე მარგინალიზებული პირების, მათ შორის, ახალგაზრდების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, აივ ინფიცირებულთა და მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლების, ლტოლვილებისა და მიგრანტების ჩართულობის უზრუნველყოფა. ვინაიდან აღნიშნული თემების ბევრი წარმომადგენელი სასკოლო განათლების

მიღმა რჩება, ხოლო ის, ვინც სასკოლო განათლებას იღებს, შესაძლებელია, პარალელურად ვერ იღებდეს განათლებას ადამიანის სექსუალობის შესახებ (CSE), არაფორმალური განათლების პროგრამები ამ დეფიციტის შევსებასა და ამ პირების საჭიროებების დაკმაყოფილების მიმართულებით ეფექტიანი ძალისხმევის გაღებას ემსახურება.

წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს 2018 წელს გამოცემული სარეკომენდაციო ხასიათის სახელმძღვანელოს - „საერთაშორისო ტექნიკური სახელმძღვანელო სექსუალური განათლების შესახებ“ - დამატებას. არაფორმალური განათლების სისტემაში დასაანერგად განკუთვნილი სახელმძღვანელო, რომელიც მტკიცებულებებით არის გამყარებული და ადამიანის უფლებების მიდგომაზე დაფუძნებული, გვთავაზობს კონკრეტულ მითითებებსა და რეკომენდაციებს და ემსახურება ყველაზე მონყვლადი ჯგუფების წარმომადგენელი ახალგაზრდების ინფორმირებას, რაც მათ საშუალებას მისცემს, შეიძინონ ის ცოდნა და უნარები, რომლებიც სჭირდებათ სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ინფორმირებული არჩევანისთვის.

ჩვენს პარტნიორებთან ერთად, რომლებმაც წვლილი შეიტანეს წინამდებარე სახელმძღვანელოს შექმნის საქმეში - გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი (UNICEF), გაეროს აივ/შიდსის ერთიანი პროგრამა (UNAIDS) და ჯანმო - გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) მოუწოდებს პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებს, იხელმძღვანელონ წინამდებარე ყოვლისმომცველ ინსტრუმენტში მოცემული რეკომენდაციებით იმ ახალგაზრდების გაძლიერების, თვითგამორკვევისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით, რომელთა შემთხვევაშიც ყველაზე მაღალია უარყოფითი შედეგების რისკი, როგორცაა: ძალადობა და დისკრიმინაცია, მარგინალიზაცია, სიღარიბე, აივ და სქესობრივი გზით გადამდები სხვა ინფექციები (სგვი) და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები. ჩვენ მოწოდებულნი ვართ, განვამტკიცოთ და გავაუმჯობესოთ წინამდებარე სახელმძღვანელოში შესული საყოველთაო ღირებულებები, მათ შორის, გენდერული თანასწორობა, ღირსება, სოციალური ჩართულობა და ადამიანის უფლებები ყველასთვის.

ჩვენ ვაპირებთ, არ შევანელოთ ძალისხმევა, სანამ ყველა ახალგაზრდა არ იქნება აღჭურვილი ცოდნით, რომელიც მათ ჯანსაღ ცხოვრებას უზრუნველყოფს, მათი პოტენციალის სრულყოფილად გამოვლენისა და ყველასათვის უკეთესი მომავლის შენებაში წვლილის შეტანის შესაძლებლობით.

დოქ. ნატალია კანემი

გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) აღმასრულებელი დირექტორი

შეშორება და აბრეშვიანება

შიდსი	შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი
APCOM	მამაკაცების სექსუალური ჯანმრთელობის აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების კოალიცია
APN+	აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების აივ/შიდსით ინფიცირებული ადამიანების ქსელი
CSE	განათლება ადამიანის სექსუალობის შესახებ
GNP+	აივ/შიდსით ინფიცირებული ადამიანების გლობალური თანამეგობრობა
HIV	ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი
INPUD	ნარკოტიკების მომხმარებელთა საერთაშორისო ქსელი
IPPF	მომავალ მშობელთა საერთაშორისო ფედერაცია
IRC	საერთაშორისო სამაშველო კომიტეტი
ITGSE	საერთაშორისო ტექნიკური სახელმძღვანელო სექსუალური განათლების შესახებ
ლგბტ+	ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, პანსექსუალი, ასექსუალი და ჰეტეროსექსუალთაგან განსხვავებული სხვა სექსუალური ორიენტაციის მქონე პირები
ლგბტ+	ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ქვიარი/ცისგენდერთაგან განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მქონე პირები (როგორცაა ინტერსექსუალი, არაბინარული გენდერი/ გენდერულად არაკონფორმული ადამიანები და აგენდერი ადამიანები)
NSWP	სექსუალური პროექტების გლობალური ქსელი
გაერო	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
UNAIDS	გაეროს აივ/შიდსის ერთიანი პროგრამა
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
UNESCO	გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია
UNFPA	გაეროს მოსახლეობის ფონდი
UNHCR	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი
UNICEF	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი
UNODC	გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი
UN Women	გაერთიანებული ერების ქალთა ორგანიზაცია გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერებისათვის
ჯანმო	ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

გაღვიწიების გამოხატვა

წინამდებარე სახელმძღვანელოს შემუშავების ინიციატივა ეკუთვნის **ილია ჟუკოვს**, რომელიც გახლავთ გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის (სრჯ) საკითხებზე ტექნიკური განყოფილების, სექსუალური განათლების, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის საკითხის, წარმოჩენის მიმართულების ხელმძღვანელი და რომელიც, ასევე, წარმოადგენს ამ სახელმძღვანელოს შემუშავებასა და მასთან დაკავშირებული პროცესების კოორდინირებაზე პასუხისმგებელ პირს. წინამდებარე სახელმძღვანელოს ტექსტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირი გახლავთ **ანდრეა ირვინი**, კონსულტანტი სექსუალური განათლების, გენდერისა და ადამიანის უფლებების საკითხებში; აღსანიშნავია ის განსაკუთრებული მხარდაჭერა და წვლილი, რომელიც წინამდებარე ტექსტის შედგენაში შეიტანეს **ლილი უარენმა**, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) წარმომადგენელმა და ილია ჟუკოვმა, ასევე, **მარინა პლესონსმა** და **ვენკატრამან ჩანდრა-მოულმა**, ჯანმოს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა (სრჯ) და კვლევის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა. სახელმძღვანელოს წინამდებარე შემოკლებული ვერსიის ტექსტის რედაქტირებაზე პასუხისმგებელი პირია **ჯიმს ბაერი**.

გვსურს, მაღლიერება გამოვხატოთ და ვაღიაროთ ის წვლილი, რომელიც წინამდებარე სახელმძღვანელოს შექმნაში შეიტანეს ქვემოთ ჩამოთვლილმა პირებმა, რომლებიც სიამოვნებით დაგვთანხმდნენ, გაგვსაუბრობდნენ ბავშვებისა და ახალგაზრდების კონკრეტული ჯგუფების სექსუალურ განათლებასთან დაკავშირებულ საჭიროებებზე; გაეცნენ წინამდებარე სახელმძღვანელოს სამუშაო ვერსიას და მოგვანოდეს თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები; მონაწილეობდნენ გლობალური მასშტაბით გამართულ ექსპერტთა კონსულტაციაში, 2017 წლის 12-13 დეკემბერს, ოსლოში (ნორვეგია) ან სხვაგვარად შეიტანეს წვლილი წინამდებარე სახელმძღვანელოს შექმნაში:

ოლივერ ანენე აივ ინფექციის წინააღმდეგ ბრძოლის ახალგაზრდა ლიდერთა ფონდი

მათეუ ბარკლეი გალოდეს უნივერსიტეტი

მარია ბაკაროუდისი გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)

აროპ ბარუა ჯანმოს წარმომადგენელი

ელიზაბეტ ბენომარი გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)

კიმბერლი ბერგი განვითარების შეზღუდვის მქონე პირთა საკითხების დაგვემვის საბჭო – ნიუ იორკის შტატი

ამი ბიშოპი საერთაშორისო კონსულტანტი ჯანმრთელობისა და ადამიანის უფლებების საკითხებში

რუნე ბრენდრუპი გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)

ჯალნა ბროდერიკი მოქალაქეობის ხარისხი – იამაიკა

პიერ ბროუარდი პრეტორიას უნივერსიტეტი და სამხრეთ აფრიკის ფსიქოლოგთა საზოგადოება

კელვინ ბროუნე ამიის განვითარების ბანკი

კრისტოფერ კასტლი გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია(UNESCO)

სტავიკა ჩალასანი გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)

ტანაკა ჩირომბო აივ ინფიცირებული ახალგაზრდების ეროვნული ასოციაცია (მაღავი)

ემილი კრისტი გაეროს აივ/შიდსის ერთიანი პროგრამა (UNAIDS)

ესთერ კორონა ვარგასი სექსუალური ჯანმრთელობის მსოფლიო ასოციაცია

ჩუ თანჰ ჰა „It's Time“ [„დროა“] (ტრანსგენდერ მამაკაცთა ორგანიზაცია)

ამელია კოლემანი გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)

პოლ-გილბერტ კოლეტაზი სექსმუშაობის პროექტების გლობალური ქსელი (NSWP)

რაინ კორტესი ამიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების ტრანსგენდერთა ქსელი

კრისტინა დე კარვალიო ერიკსონი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი (UNICEF)

რალფ დიკლიმენტი ნიუ იორკის უნივერსიტეტი

მერი დონოპიუ ნიუ იორკის საგანმანათლებლო მომსახურებისა და მოზრდილთა დღის მომსახურების განყოფილებები

დენიელ ენგელი გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)

ინგუნ ვიდჰამერი განვითარებისათვის თანამშრომლობის ნორვეგიის სააგენტო

ადენიკე ესიეტი ორგანიზაცია – „Action Health Incorporated“

ბენტე ფაუგლი გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)

ჯესიკა ფილდსი სან-ფრანცისკოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

აეჰენტე ფუტი მკვიდრი ახალგაზრდების სექსუალური ჯანმრთელობის ქსელი

ჰეილი გლისონი მომავალ მშობელთა საერთაშორისო ფედერაცია

ლიან მარი გონსალვესი ჯანმო

ჰანტერ გრეი გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია(UNESCO)

გაჯ ბ. გურუნგი ახალგაზრდული ორგანიზაცია „ლიდერობა, განათლება, ადვოკატირება და განვითარება“ – „Youth LEAD“

მარლი გუტიერეს-პატერსონი ამიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების ტრანსგენდერთა ქსელი

ჯილ ჰანას-ჰენკოკი სამხრეთ აფრიკის სამედიცინო კვლევითი საბჭო

კამილა პოლსტ სალვესენი განვითარებისათვის თანამშრომლობის ნორვეგიის სააგენტო

ლორა ჰარლი მომავალ მშობელთა საერთაშორისო ფედერაცია

ფელისია ჯონსი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR)

აქსელ კიეტინგი ინტერსექსუალ ახალგაზრდათა საკითხების ადვოკატირების ორგანიზაცია – „InterACT“

ნიკი ხანა კონსულტანტი

ელენა კირიუშინა გაეროს აივ/შიდსის ერთიანი პროგრამა (UNAIDS)

ანეკა ვნუტსონი გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)

პურნა კუშალნაგარი გალოდეს უნივერსიტეტი

ირინე კუმეშკო ორგანიზაცია – „Intersex Russia“, ინტერსექსუალ პირთა საერთაშორისო ორგანიზაცია (OII) – ევროპა, და ინტერსექსუალ ახალგაზრდათა საკითხების ადვოკატირების ორგანიზაცია – „InterACT“

შაჰნამ ისლამოვა არასამთავრობო ორგანიზაცია – „Tais Plus“

ჯონათან ლუჯეტი ინტერსექსუალ ახალგაზრდათა საკითხების ადვოკატირების ორგანიზაცია – „InterACT“, ადამიანის უფლებათა დაცვის კამპანია – „Human Rights Campaign“ და მედიის მონიტორინგის ორგანიზაცია – „GLAAD“

ხოსე რობერტო ლუნა გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)

დეუს ლუპენგა შრომის, ახალგაზრდობის, სპორტისა და ადამიანური რესურსების განვითარების სამინისტრო, მაღავის მთავრობა

სარა მარტინი კრიზისულ სიტუაციებში გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციისა და რეაგირების სპეციალისტი

ნილ მაკკოლოხი სექსმუშაობის პროექტების გლობალური ქსელი (NSWP)

კეტრინ მაკლაულინი ორგანიზაცია – „Elevatus Training LLC“

ჯეფ მიგლიოცი პერკინსის უსინათლოთა სკოლა

პეტარ მლადენოვი ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) ადვოკატირების ცენტრი

კურაიმ მობირუ უგანდის ახალგაზრდული ორგანიზაცია – „Uganda Young Positives“

ლებოგანგ მოტსუმი აფრიკის ახალგაზრდებისა და მოზარდების ქსელი, მოსახლეობისა და განვითარების საკითხების შესახებ

გეეტა ნარაიანი გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)

ლადა ნუუნა მოზარდთა და ახალგაზრდათა ევრაზიის კავშირი

გრეის ოსაკუ ორგანიზაცია „Girls' Power Initiative“

იანა პანფილოვა მოზარდთა და ახალგაზრდათა ევრაზიის კავშირი

პიოტრ პოლაკი კონსულტანტი გენდერულ საკითხებზე

მორინ ფირი ახალგაზრდათა ეროვნული ქსელი (მაღავი)

კენიტა პლასიდი აღმოსავლეთ კარიბის ალიანსი მრავალფეროვნებისა და თანასწორობისთვის

დიპა პრასადი გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)

ჰაბიბ რაჰმანი სექსმუშაკთა აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების ქსელი

ინად რენდონი მამაკაცთა სექსუალური ჯანმრთელობის აზიისა და წყნარი ოკეანის კოალიცია (APCOM)

არტურო რეკესენს გალნარესი მკვიდრ მოსახლეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუდმივი ფორუმის სამდივნო

ამანდა საენცი ინტერსექსუალ ახალგაზრდათა საკითხების ადვოკატირების ორგანიზაცია – „InterACT“

ბრაიან შრეიფელსი ორგანიზაცია – „Elevatus Training LLC“ და ორგანიზაცია – „The Arc Minnesota“

ელიზაბეტ შრედერი სექსუალური განათლების ექსპერტი

კონსუელო სენიორი Young Adult Institute

ლეილა შარიფი გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)
ვენკატემ სრინივასანი გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)
ნალინი სრივასტავა გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)
დენი სტოლბუნოვი მოზარდთა და ახალგაზრდათა ევრაზიის კავშირი
ანა სჩევიელნიაკი ახალგაზრდული კოალიცია სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების საკითხებზე
ჟილეს ვირჯილი გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)
ემილი ვიდერუდი ალიანსი - „ACT Alliance“ და შვედეთის ეკლესია
ჯენი უილიამსი კონსულტანტი ტრეფიკინგსა და გენდერთან დაკავშირებულ საკითხებზე
ქეი თი ვინი სექსმუშაკთა აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების ქსელი
სიუზან ვუდი ქალთა ჯანმრთელობის საერთაშორისო კოალიცია
ნატალია ზაქარეიშვილი გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)
კიმბერლი ზისელმანი ინტერსექსუალ ახალგაზრდათა საკითხების ადვოკატირების ორგანიზაცია - „InterACT“; და „InterACT“-ის პერსონალი, საბჭო და ახალგაზრდა წევრები

განსაკუთრებული მადლიერება გვსურს გამოვხატოთ ჩვენი კოლეგებისადმი, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სააგენტოებს წარმოადგენენ და რომლებმაც მხარდაჭერა გამოგვიცხადეს წინამდებარე სახელმძღვანელოს შემუშავების პროცესში, გვანვდიდნენ თავიანთ მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს და აქტიურად მონაწილეობდნენ მოცემული პუბლიკაციის გადასინჯვაში:

ჯენელ ბები გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO)
სალი ბიედლი გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO)
ნაზნენ დამჯი გაერთიანებული ერების ქალთა ორგანიზაცია გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერებისათვის (UN Women)
ჯონა პერატი გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO)
ელენა კუდრავცევა გაერთიანებული ერების ქალთა ორგანიზაცია გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერებისათვის (UN Women)
ჰეგე ვაგანი გაეროს აივ/შიდსის ერთიანი პროგრამა (UNAIDS)
დამილოლა უოკერი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი (UNICEF)

მადლობა გვსურს გადავუხადოთ, ასევე, ორგანიზაციებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ წინამდებარე სახელმძღვანელოს იმ ნაწილის გადასინჯვაში, რომელიც თანატოლთა განათლებას ეხება. ეს ორგანიზაციებია:

ახალგაზრდების სექსუალურ ჯანმრთელობასთან, უფლებებსა და სამართლიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ადვოკატირების ორგანიზაცია - Advocates for Youth; სექსუალური

და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების, მოსახლეობისა და განვითარების საკითხებზე მომუშავე ევროპის არასამთავრობო ორგანიზაციები - EuroNGOs; საქართველოს ახალგაზრდების განვითარებისა და განათლების ასოციაცია; სამედიცინო განათლებისა და კვლევის ასოციაცია, მაკედონია; მედიკოს სტუდენტთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია - Alumni; ახალგაზრდობის განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტი - PETRI-Sofia; ყირგიზეთის წითელი ნახევარმთვარის საზოგადოება; თანატოლთა განათლების ახალგაზრდული ქსელი - „Y-PEER“ (გლობალური, ალბანეთი და მაკედონია); ევროპის ახალგაზრდობის სექსუალური ცნობიერება (YSAFE); ევროპის ახალგაზრდული ქსელი სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების საკითხებზე - „YouAct“; ახალგაზრდული კოალიცია სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების საკითხებზე; ახალგაზრდული ორგანიზაცია „ლიდერობა, განათლება, ადვოკატირება და განვითარება“ - „Youth LEAD“.

საჩრევნი

წინასიტყვაობა.....

შემოკლებები და აბრევიატურები.....

მადლიერების გამოხატვა.....

შესავალი.....

1. არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიმოხილვა.....

2. არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამების შემუშავება და განხორციელება.....

- 2.1. პროგრამების შემუშავება.....
- 2.2. პროგრამების განხორციელება.....
- 2.3. თანატოლ განმანათლებელთა ჩართვა არაფორმალური განათლების სისტემაში განხორციელებულ ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლებაში (CSE).....
- 2.4. მშობლებისა და მეურვეების ჩართვა არაფორმალური განათლების სისტემაში განხორციელებულ ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლებაში (CSE).....
- 2.5. ტექნოლოგიების გამოყენება არაფორმალური განათლების სისტემაში განხორციელებულ ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლებაში (CSE).....

3. ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდება ახალგაზრდების კონკრეტული ჯგუფებისათვის არაფორმალური განათლების სისტემაში.....

- 3.1. გენდერული ნიშნით დაჯგუფება.....
 - 3.1.1. გოგონები და ახალგაზრდა ქალები.....
 - 3.1.2. ბიჭები და ახალგაზრდა მამაკაცები.....
- 3.2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ახალგაზრდები.....
 - 3.2.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ახალგაზრდები.....
 - 3.2.2. ფიზიკური შეზღუდვის მქონე ახალგაზრდები.....
 - 3.2.3. ინტელექტუალური დარღვევის მქონე ახალგაზრდები.....
 - 3.2.4. ყრუ და სმენადაქვეითებული ახალგაზრდები.....
 - 3.2.5. უსინათლო ახალგაზრდები.....
 - 3.2.6. აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ახალგაზრდები
 - 3.2.7. ფსიქოსოციალური დარღვევის მქონე ახალგაზრდები.....
- 3.3. ახალგაზრდები ჰუმანიტარული კრიზისის პირობებში
- 3.4. მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი ახალგაზრდები.....
- 3.5. ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ახალგაზრდები და სხვა ახალგაზრდა მამაკაცები, რომლებსაც აქვთ სექსუალური ურთიერთობა მამაკაცებთან.....
- 3.6. ახალგაზრდა ტრანსგენდერები.....
- 3.7. ახალგაზრდა ინტერსექსუალები.....
- 3.8. აივ ინფიცირებული ახალგაზრდები.....
- 3.9. ნარკოტიკების მომხმარებელი ახალგაზრდები.....
- 3.10. სექსმუშაკი ახალგაზრდები.....
- 3.11. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში მოთავსებული ახალგაზრდები.....

ტერმინების განმარტება.....

შესავალი

ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების საერთაშორისო ტექნიკური სახელმძღვანელოს (ITGSE) პირველი ვერსია გამოიცა 2009 წელს, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მიერ, გაეროს აივ/შიდსის ერთიან პროგრამასთან (UNAIDS), გაეროს მოსახლეობის ფონდთან (UNFPA), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდსა (UNICEF) და ჯანმოსთან თანამშრომლობით. შემდგომ წლებში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) სფერო მნიშვნელოვნად განვითარდა მსოფლიოს მასშტაბით, რასაც ასევე მნიშვნელოვანი დადებითი ძვრები მოჰყვა, ეროვნულ, რეგიონულ თუ გლობალურ დონეზე დანერგვისათვის საჭირო პოლიტიკური თუ კულტურული გარემოს შექმნის თვალსაზრისით.

2016 და 2017 წლებში გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) სათავეში ჩაუდგა პროცესს, რომელიც მიზნად ისახავდა ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების საერთაშორისო ტექნიკური სახელმძღვანელოს (ITGSE) დახვეწასა და მასში ახალი მტკიცებულებებისა და კარგი პრაქტიკის მაგალითების ჩართვას. ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების საერთაშორისო ტექნიკური სახელმძღვანელოს (ITGSE) შესწორებული ვერსია გამოიცა 2018 წელს (UNESCO et al, 2018; წინამდებარე პუბლიკაციაში, იქ, სადაც მითითებულია ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების საერთაშორისო ტექნიკური სახელმძღვანელო (ITGSE), ყველგან იგულისხმება მისი შესწორებული ვერსია). ის მოიცავს ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიმოხილვას; მტკიცებულებას მისი ეფექტიანობის შესახებ და მეცნიერულად დაზუსტებულ ძირითად ცნებებს, თემებსა და სასწავლო მიზნებს, რომლებიც ჩართული უნდა იყოს ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) სასწავლო გეგმებში და რომლებიც განკუთვნილია ოთხი ასაკობრივი ჯგუფისთვის. ეს ასაკობრივი ჯგუფებია: 5-დან 8 წლის ჩათვლით ასაკის ბავშვები, 9-დან 12 წლამდე ასაკის მოზარდები, 12-დან 15 წლამდე ასაკის მოზარდები და 15-დან 18 წლამდე და 18 წელს ზემოთ ასაკის ახალგაზრდები. მასში ასევე მოცემულია რეკომენდაციები ადამიანის სექსუალობის შესახებ ეფექტიანი განათლების (CSE) პროგრამების მხარდაჭერის, დაგეგმვისა და დანერგვა-განხორციელებისთვის. ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების საერთაშორისო ტექნიკური სახელმძღვანელო (ITGSE) განკუთვნილია როგორც სასკოლო, ასევე არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამებისთვის, თუმცა მასში ყურადღება, ძირითადად, გამახვილებულია ფორმალური განათლების ფორმატში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდებაზე.

2015 წელს, მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის მიღების პარალელურად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) სააგენტოებმა, განვითარებაზე ორიენტირებულ სხვა პარტნიორებთან ერთად აიღეს ვალდებულება, უზრუნველყვით ის, რომ არავინ დარჩენილიყო გარიყული და პირველ რიგში ჩართულიყვნენ ისინი, ვინც ყველაზე

გარიყულად მიიჩნეოდა. ბავშვებსა და ახალგაზრდებს შორის გარიყულად მიიჩნევა ის, ვინც სკოლის მიღმაა დარჩენილი და ვის მიმართაც ძალადია დისკრიმინაციისა და ადამიანის უფლებების დარღვევის ალბათობა, სხვადასხვა მიზეზის გამო. ამავე კატეგორიას მიეკუთვნებიან ბავშვები და ახალგაზრდები, რომლებიც სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მიმართულებით არასასურველი შედეგების გაზრდილი რისკის წინაშე დგანან. ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, დაინტერესებულ მხარეთა მოთხოვნა გულისხმობდა ცალკე სახელმძღვანელოს შემუშავებას, რომელშიც ყურადღება გამახვილებულდებოდა ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლებაზე (CSE) არაფორმალური განათლების სისტემაში.

სახელმძღვანელოს მიზანი

წინამდებარე საერთაშორისო ტექნიკური და პროგრამული სახელმძღვანელო – „ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება არაფორმალური განათლების სისტემაში“ – წარმოადგენს შემოკლებულ ვერსიას და განკუთვნილია ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების საერთაშორისო ტექნიკურ სახელმძღვანელოსთან (ITGSE) ერთად გამოყენებისათვის. ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების საერთაშორისო ტექნიკური სახელმძღვანელო (ITGSE) ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) ნებისმიერ ფორმით მიწოდების საფუძველს წარმოადგენს და იძლევა დეტალურ განმარტებას, თუ რას გულისხმობს ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება (CSE) (ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების საერთაშორისო ტექნიკური სახელმძღვანელო (ITGSE), ნაწილი 2); როგორ არის შესაძლებელი ბავშვებისა და ახალგაზრდების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ამგვარი განათლების საშუალებით (ნაწილი 3); მასში ასევე შესულია ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მტკიცებულებათა ბაზა (ნაწილი 4); ძირითადი ცნებები, თემები და სწავლის ამოცანები (ნაწილი 5) და რეკომენდაციები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ არის შესაძლებელი ადამიანის სექსუალობის შესახებ ეფექტიანი განათლების (CSE) პროგრამების დანერგვისა და მიწოდების მხარდაჭერა და დაგეგმვა (ნაწილი 6).

წინამდებარე სახელმძღვანელო ეფუძნება ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების საერთაშორისო ტექნიკურ სახელმძღვანელოს (ITGSE) და წარმოადგენს მის დამატებას, გვანჯდის რა მტკიცებულებებითა და პრაქტიკით გამყარებულ რეკომენდაციებს, რომლებიც განკუთვნილია არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამებისათვის და პროგრამებისათვის, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს იმ კონკრეტული ჯგუფების საჭიროებების დაკმაყოფილება, რომლებიც ვერ სარგებლობენ ზოგადი პროგრამებით, რომლებიც ემსახურება ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდებას. წინამდებარე პუბლიკაცია გვანჯდის სიღრმისეულ პროგრამულ რეკომენდაციებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შემუშავდეს ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამები, რომლებიც მორგებული იქნება ბავშვებისა და ახალგაზრდების კონკრეტული ჯგუფების საჭიროებებზე და იქნება უსაფრთხო. წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანს წარმოადგენს:

- **არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მკაფიო განმარტების მონოდება**
- **არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) საჭიროების გააზრების ხელშეწყობა**, ცნობიერების ამაღლებით სექსუალობასთან, ჯანმრთელობასა და უფლებებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, ასევე, იმ პრობლემურ საკითხებზე, რომელთა წინაშეც დგანან ბავშვები და ახალგაზრდები, ბავშვებისა და ახალგაზრდების კონკრეტული ჯგუფების ჩათვლით და რომელთაც სკოლაში არ განიხილავენ;
- **რეკომენდაციების მინოდება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეიმუშაონ არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამები** მათ შორის, სასწავლო გეგმები და სწავლებისა და სწავლისათვის განკუთვნილი მასალები, რომლებიც იქნება მტკიცებულებებზე დაფუძნებული, კულტურასთან შესაბამისი, ასაკსა და განვითარების დონეზე მორგებული, თავიდან აგვარიდებს პირისადმი ტრავმის განმეორებით მიყენებას და მოემსახურება ბავშვებისა და ახალგაზრდების კონკრეტული ჯგუფების საჭიროებების დაკმაყოფილებას.

წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს სრული სახელმძღვანელოს შემოკლებულ ვერსიას. მასში შესულია არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ ეფექტიანი განათლების (CSE) პროგრამების დაგეგმვასთან, შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული ყველაზე აქტუალური და პრაქტიკული ინფორმაცია. გამოყენებული ლიტერატურის სრული ჩამონათვალი მონოდებულია ცალკე დანართის სახით. გარდა იმ ინფორმაციისა, რომელიც წინამდებარე შემოკლებულ ვერსიაშია შესული, სახელმძღვანელო მოიცავს:

- იმ ლიტერატურის მიმოხილვის აღწერას, რომელიც საფუძვლად დაედო სახელმძღვანელოს;
- წინამდებარე სახელმძღვანელოს თითოეული სამიზნე ჯგუფის (ბავშვებისა და ახალგაზრდების) საჭიროებების უფრო დეტალურ აღწერასა და ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) თვალსაზრისით, თითოეული ჯგუფის სტატუსის აღწერას;
- არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) ეფექტიანობის მტკიცებულებებს, როგორც, ზოგადად, ბავშვებისა და ახალგაზრდების შემთხვევაში, ასევე, ბავშვებისა და ახალგაზრდების იმ კონკრეტული ჯგუფების შემთხვევაში, რომლებიც წინამდებარე სახელმძღვანელოს სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ;
- მთელი რიგი პედაგოგიური კონცეფციებისა და მიდგომის დეტალურ აღწერას;
- მოსაზრებებს, რომლებიც ეხება არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) დანერგვასთან დაკავშირებულ კონტექსტებს, შესაძლებლობებსა და გამოწვევებს.

სახელმძღვანელოს სამიზნე აუდიტორია

წინამდებარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ნებისმიერი პირისთვის, ვინც ჩართულია არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) დანერგვისა და განხორციელების საქმეში. აღნიშნული მოიცავს სამინისტროთა წარმომადგენლებს, საერთაშორისო და ეროვნულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, სათემო ორგანიზაციებს, გაეროს სააგენტოებსა და ახალგაზრდებს.

სახელმძღვანელოს სტრუქტურა

ნაწილი 1 მოიცავს არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიმოხილვას, ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) განმარტებას, მიზნებსა და როლს, იმ შესაძლებლობებსა და გამოწვევებს, რომლებიც უკავშირდება ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) დანერგვასა და განხორციელებას არაფორმალური განათლების სისტემაში.

ნაწილი 2 მოიცავს რეკომენდაციებს, რომლებიც ეხება: არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) შემუშავებასა და განხორციელებას; ზოგადად, ასევე, აღნიშნული ტიპის განათლების მიწოდებაში თანატოლ განმანათლებელთა, მშობელთა და მეურვეთა ჩართვას და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას. მასში შესულია რეკომენდაციები მოსახლეობის ყველა იმ ჯგუფისთვის, რომლებიც აღწერილია ამავე სახელმძღვანელოს მე-3 ნაწილში.

ნაწილი 3 მოიცავს რჩევებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც უკავშირდება არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდებას ბავშვებისა და ახალგაზრდების კონკრეტული ჯგუფებისათვის (ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ბევრი ბავშვი და ახალგაზრდა შესაძლებელია, ერთდროულად ეკუთვნოდეს ამავე თავში აღწერილ ერთზე მეტ ჯგუფს), როგორცაა: ცალკე გოგონები და ცალკე ბიჭები; შებლუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდები; ჰუმანიტარული კრიზისით დაზარალებული ახალგაზრდები; ახალგაზრდები, რომლებიც მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენენ; ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ახალგაზრდები და არაბინარული გენდერის მქონე/გენდერულად არაკონფორმული ადამიანები; ახალგაზრდა ტრანსგენდერები; ახალგაზრდა ინტერსექსუალები; აივ ინფიცირებული ახალგაზრდები; ნარკოტიკების მომხმარებელი ახალგაზრდები; სექსმუშაკი ახალგაზრდები და თავისუფლების შეზღუდვის დანესებულებებში მოთავსებული ახალგაზრდები.

სახელმძღვანელოს შემუშავების ისტორია

2017 წელს გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) დავალებით მიმოხილეს/განიხილეს არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) ეფექტიანობასთან დაკავშირებული ლიტერატურა. მიმოხილვის შედეგები კომენტარებისთვის გადაეცა მსოფლიოს ტექნიკური ექსპერტების ჯგუფის წევრებს, რომლებიც მუშაობენ განათლების, ჯანმრთელობის, ახალგაზრდების განვითარების, ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის მიმართულებით; აღნიშნულ ჯგუფს წარმოადგენენ მკვლევრები, განათლების სამინისტროს წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამის ხელმძღვანელები, განვითარების მიმართულებით მომუშავე პარტნიორები და ახალგაზრდები.

ლიტერატურის მიმოხილვისა და ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები წარადგინეს მსოფლიო ექსპერტთა საკონსულტაციო შეკრებაზე, რომელიც გაიმართა გაეროს მოსახლეობის

ფონდის (UNFPA) მონვევით, 2017 წლის ბოლოს, რომლის მონაწილეებმაც შეიმუშავეს წინამდებარე სახელმძღვანელოს სამუშაო ვერსიის გეგმა.

სახელმძღვანელოს სამუშაო ვერსიის გეგმასთან დაკავშირებით უკუკავშირის მიღების შემდგომ წამყვან და ახალგაზრდა ექსპერტებთან დამატებითი ინტერვიუების შედეგად მიღებული მასალის საფუძველზე შემუშავდა სახელმძღვანელოს სამუშაო ვერსია. ექსპერტებთან ინტერვიუები ემსახურებოდა იმის უზრუნველყოფას, რომ სახელმძღვანელოში შესული მასალა მომზადებული ყოფილიყო პრაქტიკის საფუძველზე და მასში მაქსიმალურად ყოფილიყო გათვალისწინებული ის საჭიროებები, რომლებიც ბავშვებისა და ახალგაზრდების კონკრეტულ ჯგუფებს გააჩნიათ. აღნიშნული ჯგუფების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საჭიროებებთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე ექსპერტებს ასევე დაევალიათ შესაბამისი თავების გადახედვა. შესაბამისად, წინამდებარე სახელმძღვანელო ემყარება მტკიცებულებებს, ფართო სპექტრის ექსპერტთა მოსაზრებებს (მათ შორის – ახალგაზრდების) და არსებული კარგი პრაქტიკისა და წარმატებული პროგრამების შედეგად მიღებულ გამოცდილებას. წინამდებარე სახელმძღვანელოს საბოლოო ვერსიის გადასინჯვა დაევალიათ წამყვან ექსპერტებსა და გაეროს სპეციალიზებულ სააგენტოებს, რომლებმაც თავიანთი კომენტარებითა და მოსაზრებებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სახელმძღვანელოს სრულყოფაში.

1. ანაფორმადური განათლების სისტემაში ადამიანის შესაფერის შესახებ განათლების (CSE) მიმოხილვა

წინამდებარე სახელმძღვანელოში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) განმარტება აღებულია სექსუალური განათლების შესახებ საერთაშორისო ტექნიკური სახელმძღვანელოს (ITGSE) შესწორებული ვერსიიდან:

„ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება წარმოადგენს ადამიანის სექსუალობის შემცნობითი, ემოციური, ფიზიკური და სოციალური ასპექტების შესახებ სწავლებისა და სწავლის და სასწავლო გეგმაზე დაფუძნებულ¹ პროცესს. მის მიზანს წარმოადგენს ბავშვებისა და ახალგაზრდების აღჭურვა იმ ცოდნით, უნარ-ჩვევებით, დამოკიდებულებებითა და ღირებულებებით, რომლებიც მათ დაეხმარება ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და ღირსების უზრუნველყოფაში; ღირსეული სოციალური და სექსუალური ურთიერთობების დამყარებაში; იმის გაცნობიერებაში, თუ როგორ გემოქმედებს მათი არჩევანი სხვა ადამიანების კეთილდღეობაზე; თავიანთი უფლებების გაცნობიერებასა და მთელი ცხოვრების განმავლობაში ამ უფლებების დაცვაში.“

ადამიანის სექსუალობის შესახებ ხარისხიანი განათლების (CSE) მახასიათებლებია:

- მეცნიერული სიზუსტე;
- მასალის ეტაპობრივი მიწოდება;
- ასაკისა და განვითარების დონესთან შესაბამისობა;
- სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული;
- კომპლექსური და ყოვლისმომცველი;
- ადამიანის უფლებების მიდგომაზე დაფუძნებული
- გენდერულ თანასწორობაზე დაფუძნებული;
- კულტურულად შესაბამისი და კონტექსტურად აქტუალური;
- ტრანსფორმაციული;
- იმ ცხოვრებისეული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული, რომლებიც საჭიროა
- ჯანსაღი არჩევანის გასაკეთებლად.

ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლების დეტალური აღწერა მოცემულია ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების საერთაშორისო ტექნიკურ სახელმძღვანელოში (ITGSE), ნაწილი 2.1.

სასკოლო განათლების ფარგლებში მიწოდებული ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება (CSE) გულისხმობს ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლებას (CSE), რომელიც სასკოლო განათლების ფარგლებში

¹ სექსუალური განათლების შესახებ საერთაშორისო ტექნიკური სახელმძღვანელოს (ITGSE) თანახმად, „სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული“ ნიშნავს იმას, რომ არსებობს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც მასწავლებლებს ეხმარება მოსწავლეთა სწავლის პროცესის ხელშეწყობაში, „მოიცავს სწავლების ძირითად ამოცანებს, სწავლის ამოცანების შემუშავებას, ცნებების გაცნობას და ძირითადი და მკაფიო გზავნილების სტრუქტურულ მიწოდებას. ამგვარი განათლების მიწოდება შესაძლებელია სასკოლო განათლების ფარგლებში ან არაფორმალური განათლების სისტემაში.“

მიწოდებათ მოსწავლეებს, სასკოლო პროგრამის ნაწილის სახით (რეგულარული სასწავლო განრიგით თუ მის გარეშე). სექსუალური განათლების შესახებ საერთაშორისო ტექნიკურ სახელმძღვანელოში (ITGSE) აღწერილია, თუ რა „მნიშვნელოვან შესაძლებლობას ქმნის სასკოლო განათლების ფარგლებში მიწოდებული ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება (CSE) იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტმა ახალგაზრდამ მიიღოს განათლება ადამიანის სექსუალობის შესახებ, ვიდრე სექსუალურად აქტიურ ცხოვრებას დაიწყებენ და, ამასთან, სტრუქტურულად რამდენად ორგანიზებულ გარემოს ქმნის იგი ახალგაზრდებისათვის ამგვარი ცოდნის მისაწოდებლად“.

არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება (CSE), ერთი მხრივ, წარმოადგენს ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლებას (CSE), რომელიც მიწოდება სასკოლო სასწავლო გეგმის მიღმა. არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების მიწოდება (CSE) შესაძლებელია, ემსახურობდეს მთელ რიგ მიზნებს, კონკრეტულად კი:

- ემსახურობდეს ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდებას ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, ისეთ გარემოში, სადაც ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება (CSE) არ წარმოადგენს სკოლის სასწავლო გეგმის ნაწილს;
- ემსახურობდეს ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდებას იმ ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, რომლებიც არ იღებენ სასკოლო განათლებას;
- წარმოადგენდეს სასკოლო ფორმატში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) დამატებას, განსაკუთრებით ისეთ გარემოში, სადაც ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება არ არის ყოვლისმომცველი ან ხარისხიანი;
- ემსახურობდეს ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდებას, რომელიც ზედმიწევნით არის მორგებული ბავშვებისა თუ ახალგაზრდების კონკრეტული ჯგუფების საჭიროებებზე.

არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდება მნიშვნელოვანია, ვინაიდან გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) შეფასებით, მსოფლიოს მასშტაბით 263 მილიონი ბავშვია დარჩენილი სასკოლო განათლების მიღმა, მათ შორის – დაწყებითი სკოლის ასაკის 63 მილიონი, საშუალო სკოლის ქვედა საფეხურის ასაკის 61 მილიონი და საშუალო სკოლის ზედა საფეხურის 139 მილიონი ბავშვი (UIS, 2018).

არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება (CSE) შესაძლებელია განხორციელდეს პირისპირ შეხვედრების საშუალებით, ფასილიტატორების, თანატოლ განმანათლებლების ან მშობლების მიერ, რიგ შემთხვევაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორცაა კომპიუტერი და მობილური ტელეფონი. ამგვარი შეხვედრების დაგეგმვა შესაძლებელია სხვადასხვა გარემოში, როგორცაა:

- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ან სათემო ორგანიზაციები;
- ახალგაზრდული ცენტრები ან ახალგაზრდული კლუბები;
- სამედიცინო კლინიკები;
- საზაფხულო ბანაკები;
- რელიგიური ინსტიტუტები ან რელიგიური ორგანიზაციები;
- სკოლა გაკვეთილების შემდეგ (თუ ამგვარ განათლებას მოსწავლეებს არ აწვდის იმავე სკოლის მასწავლებელი, რა შემთხვევაშიც ის მიიჩნევა სასკოლო განათლების ფარგლებში მიწოდებულ ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლებად (CSE));
- ოჯახები (მშობელთა მიერ სწავლებისათვის განკუთვნილი სტრუქტურულად ორგანიზებული პროგრამების გამოყენებით);
- სამუშაო ადგილი;
- ინსტიტუციური დაწესებულებები, როგორცაა საპატიმრო, არასრულწლოვანთა დაკავების ცენტრები ან გამოსასწორებელი დაწესებულებები;
- ლტოლვილთა ბანაკები ან სხვა თავშესაფრები, სადაც ადამიანები ჰუმანიტარულ დახმარებას იღებენ.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების საერთაშორისო ტექნიკური სახელმძღვანელოს (ITGSE) თანახმად, არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამები უნდა ხორციელდებოდეს არა მხოლოდ მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის, არამედ ბავშვებისთვისაც, მათი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად. აღნიშნული მნიშვნელოვანია, რადგან ბავშვები სექსუალობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას მცირე ასაკშივე იღებენ მრავალი წყაროდან, ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება (CSE) კი უზრუნველყოფს მათთვის ზუსტი, უსაფრთხო, რელევანტური ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის შენარჩუნებას. (Igras et al., 2014; Lundgren and Amin, 2015, Kågesten et al., 2016; Blum et al., 2017; Chandra- Mouli et al., 2017).²

სასკოლო განათლების სექსუალობის შესახებ განათლებისგან (CSE) განსხვავებით, არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება (CSE) იძლევა შესაძლებლობას, შეიქმნას უფრო არაფორმალური და მოქნილი გარემო, ვიდრე ეს შესაძლებელია სკოლაში; შედგეს უფრო მცირე ზომის სასწავლო ჯგუფები; გახანგრძლივდეს შეხვედრების დრო; სასწავლო გეგმა წარიმართოს უფრო მრავალფეროვნად და შემოქმედებითად და პროგრამის მონაწილეთა შორის ურთიერთობა იყოს მეტად ინტერაქტიული. მონაწილეთა ჯგუფების შედგენისას შესაძლებელია მათი ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინება და ჯგუფებში იმ მონაწილეთა ერთად თავმოყრა, რომლებსაც ერთმანეთის მსგავსი სიტუაცია აქვთ. განსაკუთრებით ეს ეხება

² წინამდებარე სახელმძღვანელოში არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) უმეტესი პროგრამების დახასიათებისას არ არის დაკონკრეტებული ასაკის შესაბამისი შინაარსის (კონტენტის) გამოყენება. სექსუალური აქტივობის, სექსუალური პარტნიორების, კონტრაცეფციის და ა.შ. დასახელება არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული თემები შესაბამისია ნებისმიერი ასაკობრივი ჯგუფისთვის, არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდებისას. წინამდებარე სახელმძღვანელოთი მოსარგებლე პირებს სასწავლო გეგმის ასაკობრივი ჯგუფებისთვის შესაბამის შინაარსთან (კონტენტთან) დაკავშირებული რეკომენდაციები შეუძლიათ იხილონ სექსუალური განათლების შესახებ საერთაშორისო ტექნიკურ სახელმძღვანელოში (ITGSE).

მარგინალიზებულ ჯგუფებს, აღნიშნული იძლევა საშუალებას, რომ ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება (CSE) მოერგოს მოცემული კონკრეტული ჯგუფისთვის დამახასიათებელ საჭიროებებს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მონაწილეთა შორის ურთიერთდახმარების ქსელის ჩამოყალიბებას.

არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება (CSE) შესაძლოა, ასევე, მოიცავდეს რთულ თემებს და გამოიწვიოს უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის წინ წამოწევა, გენდერულ თანასწორობასა და ქალთა გაძლიერების თემებთან დაკავშირებით, რაც შეიძლება ყოველთვის არ იყოს მიზანშეწონილი ან მისაღები სკოლის გარემოში. ფასილიტატორებს შეუძლიათ, წაახალისონ მონაწილეები, რომ დასვან შეკითხვები და გაუზიარონ სხვებს თავიანთი თვალთახედვა, რომელთა გამჟღავნებასაც შესაძლოა, თავი აარიდონ სკოლის მასწავლებელთან. დაბოლოს, არაფორმალური განათლების სისტემაში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამები უკეთესად უზრუნველყოფს ახალგაზრდებისათვის სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პროდუქტების მიწოდებას და მათ დაკავშირებას შესაბამისი სერვისებისა და მხარდაჭერის მომსახურების მიმწოდებლებთან.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდებისას ხშირად იგივე საზოგადოებრივი და ოპერაციული ბარიერები იჩენს თავს, რომლებიც წარმოიშობა სასკოლო განათლების ფარგლებში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდებისას. მაგალითად, შეიძლება, რთული აღმოჩნდეს საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო გეგმის შინაარსი სტიგმატიზებულია ან მიუღებლად მიიჩნევა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არაფორმალური განათლების სისტემაში იმ შემთხვევაში, თუ სამიზნე აუდიტორია წარმოადგენს მარგინალიზებულ ჯგუფებს, ისინი შესაძლოა სტიგმატიზაციის ობიექტად იქცნენ საზოგადოების წევრების მხრიდან, ამგვარ პროგრამაში მონაწილეობის ან თუნდაც მხოლოდ იმის გამო, რომ, არსებული პოლიტიკის თანახმად, სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ. შემდგომი გამოწვევა უკავშირდება მოტივირებული, გამოცდილი და შესაბამისი დამოკიდებულების მქონე ფასილიტატორების იდენტიფიცირებას, მათ სათანადოდ მომზადებასა და მხარდაჭერას, იმის უზრუნველყოფას, რომ შესაბამისი სასწავლო გეგმის დაცვით მიაწოდონ ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება (Vanwesenbeeck et al., 2016).

დამატებით ბარიერს ქმნის ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდებისათვის საჭირო მასალისა და მარაგის უზრუნველყოფა, უსაფრთხო და მოსახერხებელი გარემოს შექმნა და შეხვედრებისთვის სათანადო დროის შერჩევა. დაბოლოს, შესაძლებელია, საკმაოდ რთული აღმოჩნდეს სამიზნე პირების ინფორმირება არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) ხელმისაწვდომობის შესახებ, მათი დარწმუნება ამგვარი განათლების აქტუალურობაში, დახმარება, გადალახონ ნებისმიერი უხერხულობის განცდა, რომელიც შეიძლება

უკავშირდებოდეს ამგვარი განათლების მისაღებად შეხვედრების დასწრებას და მათი დარწმუნება, რომ ღირს იმ დაბრკოლებების გადალახვა, რომლებიც უკავშირდება მანძილსა და დროს, რომელიც მათ შესაძლოა, სხვა ვალდებულებების შესრულებისათვის ჰქონდეთ გამოყოფილი. ზემოთ ჩამოთვლილმა ფაქტორებმა შესაძლოა, ხელი შეუშალოს ბავშვებისა და ახალგაზრდების შეკრებას და ერთსა და იმავე ჯგუფთან უწყვეტი მუშაობის უზრუნველყოფას, რაც ზღუდავს განვლილი მასალის საფუძველზე სწავლების გაგრძელების შესაძლებლობასა და მონაწილეთათვის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მასალის სრულყოფილად გადაცემას (Vanwesenbeeck et al., 2016).

აღნიშნული გამოწვევების მიუხედავად, როდესაც არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამების განხორციელება ეფექტიანად წარმოებს, სასკოლო განათლების ფარგლებში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მსგავსად, იგი ხელს უწყობს და განაპირობებს უფრო ზოგადი და მნიშვნელოვანი მიზნების მიღწევას, როგორცაა:

- **სოციალური ნორმების შეცვლა:** პროგრამები, რომლებიც უშუალოდ ემსახურება მხოლოდ ინდივიდუალური და ინტერპერსონალური დამოკიდებულებისა და ქცევის ფორმირებასა და შეცვლას, შესაძლოა, გრძელვადიან პერიოდში ნაკლებეფექტიანი აღმოჩნდეს. პროგრამები უნდა ითვალისწინებდეს მთელი რიგი მიდგომების გამოყენებას, რომელთა მიზანაც იქნება გენდერული უთანასწორობისა და მოწყვლადობის შემცირება და სტიგმების ჩამოყალიბებისა და დისკრიმინაციის ხელშემწყობი მავნე სოციალური ნორმების შეცვლა (Abramsky et al., 2014; Svanemyr et al., 2015; Abramsky et al., 2016).
- **პოლიტიკის შეცვლის ხელშეწყობა:** ზემოთ თქმულის მსგავსად, პროგრამები ხელს უწყობდეს იმ მიდგომების ჩამოყალიბებას, რომლებიც ემსახურება იმ კანონებისა და პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელ მთავრობებსა და ხელისუფლებებზე ზემოქმედებას, რომლებიც გავლენას ახდენს ბავშვებისა და ახალგაზრდების სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა (სრჯ) და უფლებებზე (Svanemyr et al., 2015). კერძოდ, ეს ნიშნავს ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის (სრჯ) სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიმართულებით ადვოკატირებას. ბევრ ქვეყანაში ის კანონები და პოლიტიკა, რომლებიც ზღუდავს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციისა და მომსახურების მიწოდებას, ასაკისა და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით, კრძალავს 18 წლამდე ასაკის ბავშვთა მომსახურებას მშობლების, მეურვეების ან მეუღლეების ნებართვის გარეშე. ბავშვის განვითარებადი უნარების შესახებ კონცეფცია (ბავშვის უფლებების კონვენციის მე-5 მუხლი) ზოგადად, არ არის დაცული, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი # 4 აღიარებს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ბავშვებისათვის სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან (სრჯ) დაკავშირებული შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მათი ოჯახური მდგომარეობისა და მშობლების ან მეურვეების

თანხმობის მიუხედავად, და რომ მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ არასრულწლოვანთა სამედიცინო მომსახურება, მშობლების თანხმობის გარეშე. ადვოკატირება მიზნად უნდა ისახავდეს ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან (სრჯ) დაკავშირებული იმ მომსახურებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, რომელიც მათ სჭირდებათ ჯანსაღი ქცევის შესაძენად და რომელიც უნდა მიენოდებოდეთ მოზარდების ჯანმრთელობის მიმართულებით სათანადოდ მომზადებული სპეციალისტების მიერ.

ვინაიდან წინამდებარე სახელმძღვანელო ემყარება წარმოებულ კვლევასა და მტკიცებულებებს, აგრეთვე, არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მიმართულებით არსებულ პრაქტიკას, მის ხარვეზად შეიძლება, მიიჩნიონ, ზოგადად, არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) შესახებ რეცენზირებული ლიტერატურის სიმწირე, ასევე, ბავშვებისა და ახალგაზრდების კონკრეტული ჯგუფების საჭიროებების დაფარვის ნაკლებობა. ბევრი რეცენზირებული სტატია მოიცავს როგორც სასკოლო განათლების ფარგლებში, ასევე არაფორმალური განათლების სისტემაში წარმოებული ინტერვენციების შესახებ ინფორმაციას, რა დროსაც არ წარმოებს ამ ორ ფორმატს შორის მკვეთრი გამიჯვნა, როგორც ანალიზის პროცესში, ასევე დასკვნების ნაწილში. მტკიცებულებათა სიმწირე გულისხმობს შემდეგს:

- არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებიდან და ჰუმანიტარული კრიზისით დაზარალებული ადგილებიდან; არასაკმარისად არის შესწავლილი ან არასაკმარისად არის საზოგადოება ინფორმირებული იმის თაობაზე, თუ რატომ მუშაობს პროგრამები, რომლებიც ეფექტიანად არის მიჩნეული და რა ძირითადი ფაქტორები განაპირობებს ამ პროგრამების ეფექტიანობას;
- არასაკმარისად არის შესწავლილი პროგრამის ხარისხი, სრულყოფილება და სანდოობა და ფასილიტატორთა გავლენა შედეგებზე;
- მწირია მტკიცებულებები ტექნოლოგიების გამოყენებით წარმოებული სერიოზული თამაშებისა (იხ. ტერმინების განმარტება) და სხვა ინტერაქტიული პროგრამების გავლენის შესახებ.

მნიშვნელოვანია აღნიშნული ხარვეზების შემდგომ კვლევებში გათვალისწინება და აღმოფხვრა, რაც საშუალებას მოგვცემს, შევქმნათ ის მტკიცებულებათა ბაზა, რომელიც ხელს შეუწყობს არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდებას ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, და შესაბამისად, მათი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფას.

2. ანაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამების შემუშავება და განხორციელება

არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ბევრი პრინციპი და მიდგომაფაქტობრივად, სასკოლო განათლების ფორმატში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამების შემუშავებისას და განხორციელების ინდენტურია და მათ შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების საერთაშორისო ტექნიკურ სახელმძღვანელოში (ITGSE). სწორედ ამგვარად, არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამების ძირითადი შინაარსი სასკოლო განათლების ფორმატში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამების შინაარსის იდენტურია, თუმცა ზოგიერთ პროგრამაში შესაძლებელია დამატებით იყოს შეტანილი შინაარსი, რომელიც მასში მონაწილეთა კონკრეტულ საჭიროებებს ესადაგება. თავებში – 2.1 და 2.2 მოცემულია ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული რამდენიმე მოსაზრება, რომლებიც, კონკრეტულად, არაფორმალური განათლების სისტემაში დასაწერ პროგრამებს ესადაგება. 2.3, 2.4 და 2.5 თავებში განხილულია, თუ როგორ არის შესაძლებელი არაფორმალური განათლების სისტემაში განხორციელებულ ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლებაში (CSE) თანატოლ განმანათლებელთა, მშობელთა და მეურვეთა ჩართვა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება.



წინამდებარე ნაწილში შესული რეკომენდაციები განკუთვნილია მე-3 ნაწილში აღწერილი ნებისმიერი ჯგუფისთვის, ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდების პროცესში გამოყენებისათვის.

2.1 პროგრამების შემუშავება

ხელშემწყობი გარემოს შექმნა

პროგრამის დაგეგმვამდე მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) და ბავშვებისა და ახალგაზრდების კონკრეტულ ჯგუფებთან მუშაობისათვის საჭირო მხარდაჭერის უზრუნველყოფა. აღნიშნული მხარდაჭერა უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ისეთ საზოგადოებასა და თემში, სადაც ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება (CSE) შეიძლება სენსიტიურ თემას წარმოადგენდეს ან სადაც ამგვარი განათლების შეტანას შესაძლებელია ბევრი მონინააღმდეგე გამოუჩნდეს. დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისას, მიუხედავად იმისა, ინდივიდუალურად ხორციელდება თუ ჯგუფურად, გასათვალისწინებელია შემდეგი:

- საჭიროა ახსნა, თუ რას წარმოადგენს ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება (CSE), მტკიცებულებების წარდგენა მისი საჭიროების დასადასტურებლად და პროგრამის მიზნების აღწერა;
- საჭიროა დაინტერესებულ მხარეთათვის მნიშვნელოვანი საკითხების იდენტიფიცირება და მათ შეკითხვებზე რეაგირება (მიუხედავად იმისა, საკითხები ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების დანერგვის სარგებელს ეხება თუ მის უარყოფით გავლენას) და საჭიროა სექსუალურ ქცევაზე ამგვარი განათლების გავლენასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცრუ წარმოდგენისა თუ მითის გაქარწყლება.

დაინტერესებული მხარეები ეროვნულ (და, საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივ) დონეზე მოიცავს:

- ბავშვებსა და ახალგაზრდებს;
- მშობლებს, მეურვეებსა და ოჯახის სხვა წევრებს, დაქორწინებული ახალგაზრდა ქალების მეუღლის ოჯახის წევრებს;
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რომლებიც ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობენ ან რომლებსაც სათევაში ახალგაზრდები უდგანან;
- საზოგადოებრივ მოღვაწეებს, მაგალითად, სამოქალაქო ან რელიგიურ ფიგურებს;
- ჯანდაცვის მუშაკებსა და მომსახურების სხვა მიმწოდებლებს;
- მედიას;
- კერძო სექტორს;
- ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს (მაგალითად, საოლქო დონეზე);
- სამინისტროებს, რომელთა კომპეტენციაშიც შედის ისეთი საკითხები, რომლებიც უკავშირდება ბავშვებს, ახალგაზრდებს, ჯანმრთელობას, ქალებს, გენდერს, დაცვას, სამართლიანობას, სოციალურ კეთილდღეობას, მკვიდრ მოსახლეობას ასევე, განათლებისა და არაფორმალური განათლების დეპარტამენტებს (UNFPA, 2014b).

დაგეგმვა

- სიტუაციის ანალიზი: სიტუაციის ანალიზის წარმოება შესაძლებელია იმავე დაინტერესებულ მხარეებთან, რომლებთან კომუნიკაციაც შედგა მხარდაჭერის მოპოვების ეტაპზე. სიტუაციის ანალიზის შედეგები შესაძლებელია, საფუძვლად დაედოს სასწავლო გეგმას (Every Woman Every Child, 2017; UNFPA, 2014b). ანალიზი უნდა მოიცავდეს შემდეგს:
 - შესაბამისი კანონებისა და პოლიტიკის ანალიზი;
 - ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე ბავშვებისა და ახალგაზრდების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) საჭიროების შესახებ მტკიცებულებების შეგროვება. აღნიშნული უნდა მოიცავდეს კონკრეტულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე და მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებში აივ ინფიცირების შემთხვევათა პრევალენტობას ან ავადობის მაჩვენებელს, რათა სათანადო ყურადღება დაეთმოს აივ ინფექციის პრევენციასა და მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;
 - დადგენა იმისა, თუ რა მასშტაბით არის დანერგილი ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება, მათ შორის, სკოლებში და რა ძირითადი ხარვეზები იკვეთება ადამიანის სექსუალობის შესახებ არსებულ განათლებასთან მიმართებით.
- **მონაწილეთა ყველა საჭიროების იდენტიფიცირება იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროგრამა აკმაყოფილებდეს მათ საჭიროებებს, ინტერესებსა და მისწრაფებებს:** საჭიროებები შესაძლებელია სცდებოდეს ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) ფარგლებს და მოიცავდეს დაგეგმვას, მიზნის დასახვას, განათლებასა და

პროფესიულ მომზადებას, დასაქმების შესაძლებლობებს, რაც ემსახურება მონაწილეთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული, სოციალური და ეკონომიკური აქტივების შექმნას.

- **პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ადგილობრივი მოსახლეობის კონკრეტული ჯგუფების წარმომადგენელთა ჩართვა:** მაგალითად, ჯგუფებს, რომლებიც წარმოადგენენ შებენი შესაძლებლობის მქონე პირებს ან ჰუმანიტარული კრიზისით დაზარალებულ ადამიანებს და ა.შ. და დაკავებულნი არიან მათი უფლებებისა და კეთილდღეობის მიმართულებით ადვოკატირებით, შეუძლიათ, მნიშვნელოვანი მოსაზრებები გამოთქვან ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსებზე და ამასთანავე, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ფართო საზოგადოებაში პროგრამის მხარდაჭერის მოპოვებაში.
- **არაფორმალური განათლების სისტემაში განსახორციელებელი ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) ჩართვა ან დაკავშირება არსებულ პროგრამებთან:** აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს გენდერულ თანასწორობასთან ან გოგონებისა და ახალგაზრდა ქალების მიმართ ძალადობის პრევენციასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ინიციატივას, პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს ბიჭებისა და ახალგაზრდა მამაკაცების ჩართვას გენდერულ თანასწორობასთან ან სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან (სრჯ) დაკავშირებული საკითხების მოგვარებაში და კამპანიებს, რომლებიც ემსახურება ბავშვთა ქორწინების აღკვეთას, აივ ინფექციის გადაცემის პრევენციას, გოგონების განათლების ხელშეწყობას, სქესობრივი მომწიფების შესახებ განათლების ან მასთან დაკავშირებული ტრადიციული წესების ხელშეწყობას, ან გენდერული ძალადობის წინააღმდეგ კანონების განმტკიცებას (UNFPA, 2014b).
- **ინდივიდუალურ დონეზე განათლების შევსება სათემო დონეზე ინტერვენციებით:** აღნიშნული მიზნად ისახავს მთლიანად საზოგადოების განათლებას და ბავშვებისა და ახალგაზრდების მიმართ არსებული ნებისმიერი სტიგმის, დისკრიმინაციისა და ძალადობის აღმოფხვრას. ამგვარმა მიდგომამ შესაძლოა, საზოგადოების მეტი ინტერესი და ჩართულობა გამოიწვიოს და აღძრას პროგრამაში მონაწილეობის სურვილი, რიგი მიზეზების გამო.
- **შესაბამისი მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა:** დაუკავშირდით მომსახურების მაქსიმალურად ბევრ მიმწოდებელს, რათა განსაზღვროთ, რამდენად არიან ისინი მზად საიმისოდ, რომ, საჭიროების შემთხვევაში, მომსახურება მიაწოდონ ბავშვებსა და ახალგაზრდებს და იმუშაონ კონკრეტულ ჯგუფებთან (მაგ. შებენი შესაძლებლობის მქონე პირებთან, ტრანსგენდერებთან, ჰუმანიტარული კრიზისით დაზარალებულებთან და ა.შ.), რა თქმა უნდა, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა მოქმედი კანონი და სოციალური კონტექსტი. აღნიშნული მომსახურება შეიძლება, მოიცავდეს: სამედიცინო და სოციალურ მომსახურებას და სოციალურ დაცვას; ტექნიკურ და პროფესიულ სწავლებას; ჩამორჩენის შესავსებად და დეფიციტის აღმოსაფხვრელად უწყვეტ ან არაფორმალურ განათლებას და იურიდიულ დახმარებას. შეადგინეთ მომსახურების იმ მიმწოდებელთა ჩამონათვალი, რომლებიც თანახმანი არიან, მომსახურება მიაწოდონ ბავშვებსა და ახალგაზრდებს, ფასილიტატორების რეკომენდაციით.

- **ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდების მიზნით შეხვედრათა ოპტიმალური პერიოდულობისა და სიხშირის განსაზღვრა:** არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდება შესაძლებელია უწყვეტი კურსის სახით, დღეებზე გადანაწილებით ან შეხვედრების ორგანიზებით კვირაში ერთხელ ან ორჯერ, ან ამ ორი ფორმატის კომბინირებით. ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდების მიზნით შეხვედრების ორგანიზება ყოველკვირეულად, ნაცვლად დღეებზე გადანაწილებისა, მეტ შესაძლებლობას აძლევს მონაწილეებს, აითვისონ და გამოიყენონ შეხვედრების დროს შეძენილი ცოდნა. მრავალჯერადი და რეგულარული შეხვედრები უფრო ეფექტიანია გზავნილის განსამტკიცებლად და იძლევა საკითხის სიღრმისეული კვლევისა და შესწავლის, ასევე, დამოკიდებულებებისა და ქცევის შეცვლის მიმართულებით მუშაობის დაწყების შესაძლებლობას (Nayar et al., 2014; Marcus et al., 2017). პროგრამა უნდა წარიმართოს იმგვარად, რომ მონაწილეები არ ჩამოშორდნენ თავიანთი ცხოვრების სხვა ასპექტებს.

სასწავლო გეგმის შინაარსი

- **სასწავლო გეგმის მეთოდური დაგეგმვა:** საჭიროა, მკაფიოდ განისაზღვროს სწავლის მიზნები და შედეგები, ლოგიკური მოდელის გამოყენებით და პედაგოგიკისა და სასწავლო გეგმების ექსპერტთა ჩართულობით. პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებს შეუძლიათ, იხელმძღვანელონ ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების საერთაშორისო ტექნიკურ სახელმძღვანელოში (ITGSE) მოცემული რეკომენდაციებით, რაც იძლევა გარანტიას, რომ სასწავლო გეგმაში ჩართული იქნება ყველა საჭირო თემა. საჭიროა ამგვარად შემუშავებული სასწავლო გეგმის პილოტირება და, საჭიროებისამებრ, ცვლილებების შეტანა, მის ფართოდ დანერგვამდე (UNFPA, 2014b).
- **ასაკის შესაბამისი შინაარსის შემუშავება:** ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების საერთაშორისო ტექნიკურ სახელმძღვანელოში (ITGSE) მოცემულია რეკომენდაციები ბავშვებისა და ახალგაზრდების სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფთან გამოსაყენებელი მიდგომისა და შინაარსის შესახებ. მასალის ეტაპობრივი მიწოდება, რაც აუცილებლად უნდა ახასიათებდეს ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მაღალი ხარისხის პროგრამას, გულისხმობს მასალის უკვე შეძენილი ცოდნის საფუძველზე გადაცემას, ბავშვებისა და ახალგაზრდების ბრდის პარალელურად, მათი ცვალებადი საჭიროებების გათვალისწინებას.
- **მონაწილეებისათვის მიწოდებული მასალა უნდა იყოს ფაქტებზე დაფუძნებული და მკაფიო:** პროგრამები უნდა ემსახურობდეს არა მხოლოდ სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან (სრჯ), არამედ სტიგმისა და დისკრიმინაციის მსხვერპლ ადამიანთა ჯგუფებთან დაკავშირებული მითების რღვევასა და ცრუ და არასწორი ინფორმაციის გაქარწყლებას.
- **სექსუალობისადმი პრაგმატული და ლოიალური ხედვის ჩამოყალიბება:** ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების საერთაშორისო ტექნიკურ სახელმძღვანელოში (ITGSE) ყურადღება გამახვილებულია სექსუალობისადმი პოზიტიურ ხედვაზე. ისეთ საკითხებზე მსჯელობა, როგორცაა პორნოგრაფია, მრავალი სექსუალური პარტნიორი და სექსმუშაობა, უნდა წარმოებდეს ფაქტებზე დაყრდნობითა და პრაგმატული მიდგომით.
- **იმის გათვალისწინება, თუ რა ისწავლება სხვაგან:** სასწავლო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლებას (CSE), რომელსაც მონაწილე იღებს სხვა გარემოში, ფორმალური ან არაფორმალური განათლების ფარგლებში. სასწავლო გეგმა ასევე უნდა ითვალისწინებდეს საზოგადოებისა და მედიის გავლენას მამაკაცურობისა და ქალურობის მიმართ

დამოკიდებულებაზე, ამასთანვე, თუ რამდენად ხელმისაწვდომია პორნოგრაფია და რა გავლენას ახდენს იგი დამოკიდებულებასა და სექსუალურ ქცევაზე; სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს სტრატეგიებს, რომლებიც ემსახურება განსაკუთრებული საფრთხის შემცველი პორნოგრაფიული მასალის აკრძალვას (Brown and L'Engle, 2009; UNICEF, 2017).

- **სასწავლო გეგმის მეთოდური დაგეგმვა:** საჭიროა, მკაფიოდ განისაზღვროს სწავლის მიზნები და შედეგები, ლოგიკური მოდელის გამოყენებით და პედაგოგიკისა და სასწავლო გეგმების ექსპერტთა ჩართულობით. პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებს შეუძლიათ, იხელმძღვანელონ ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების საერთაშორისო ტექნიკურ სახელმძღვანელოში (ITGSE) მოცემული რეკომენდაციებით, რაც იძლევა გარანტიას, რომ სასწავლო გეგმაში ჩართული იქნება ყველა საჭირო თემა. საჭიროა ამგვარად შემუშავებული სასწავლო გეგმის პილოტირება და, საჭიროებისამებრ, ცვლილებების შეტანა, მის ფართოდ დანერგვამდე (UNFPA, 2014b).
- **კულტურულად რელევანტური მასალის შერჩევა:** კონტექსტში, სადაც ერთ სივრცეში თავს იყრიან სხვადასხვა ეთნიკური და კულტურული კუთვნილების მქონე ადამიანები, სასწავლო გეგმები უნდა ითვალისწინებდეს ყველა კულტურას და არა მხოლოდ დომინანტურს. შინაარსი შესაბამისობაში უნდა იყოს კულტურასთან, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყურადღება არ უნდა გამახვილდეს ადამიანის უფლებათა დარღვევებზე, რომლებიც უკავშირდება საზიანო ტრადიციულ პრაქტიკას ან კულტურას.
- **სასწავლო გეგმების მორგება მონაწილეთა გენდერთი განპირობებულ უნიკალურ საჭიროებებზე:** მაგალითად, გენდერული შეზღუდვისა და უარყოფითი მხარეების დასაძლევად გოგონების გაძლიერების მიდგომა შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციას მათი უფლებების შესახებ და ღონისძიებებს, როგორცაა, მაგალითად, მენტორობა და სპორტი, რომლებიც ხელს უწყობს მათ დამოუკიდებლობას, ავტონომიასა და თვითშეფასებას. ბიჭებს სჭირდებათ მიდგომა, რომელიც მათ საშუალებას მისცემს, მიუღებლად აღიარონ მამრობითი სქესის პრივილეგიები და ძალაუფლება და ამავდროულად დაეხმარება, დაუპირისპირდნენ მამაკაცურობისა და ქალურობის შესახებ არსებულ სტერეოტიპულ ნორმებს. (Kägesten et al., 2016). არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) ყველა პროგრამა უნდა მოიცავდეს მასალას, რომელიც ემსახურება გენდერის, მრავალფეროვნებისა და ადამიანის უფლებების გააზრებას და საზიანო გენდერული სტერეოტიპებისა და სქესის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით სისტემური დისკრიმინაციის წინააღმდეგ გალაშქრებას.
- **მონაწილეების წინაშე არსებულ კონტექსტუალურ რისკფაქტორებთან გამკლავება:** გენდერის გარდა, ასეთი ფაქტორები შეიძლება მოიცავდეს სიღარიბეს, დისკრიმინაციას – რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური, შეზღუდული შესაძლებლობებისა და სოციალურ-ეკონომიკური მარგინალიზაციის საფუძველზე.
- **ადვოკატირების სწავლება:** ადვოკატირება საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს, მოიპოვონ დამოუკიდებლობა, თავიანთი სურვილისამებრ წარმართონ პირადი ცხოვრება და იტვირთონ ლიდერების როლი საზოგადოებაში. მოდულების საშუალებით, რომლებიც ემსახურება სამოქალაქო ჩართულობისა და ადვოკატირებისათვის საჭირო ძირითადი უნარ-ჩვევების განვითარებას, ბავშვებსა და ახალგაზრდებს შესაძლებლობა აქვთ, პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნა დააკავშირონ ფართო სამყაროსთან და ხელი შეუწყონ პოზიტიურ ცვლილებებს თავიანთ თემებში. თუმცა გადამწყვეტილება ადვოკატირების ღონისძიებების წახალისების თაობაზე, აუცილებლად მისაღებია, სოციალური და სამართლებრივი კონტექსტის გათვალისწინებით, ვინაიდან ზოგ კონტექსტში ბავშვებისა და ახალგაზრდების ადვოკატირებაში ჩართვა შეიძლება არ იყოს ლეგალური ან უსაფრთხო. ყველა კონტექსტში მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ საშუალება და თავისუფლება, თავად აირჩიონ, მიიღონ თუ არა მონაწილეობა ადვოკატირებაში.

2.2 პროგრამების განხორციელება

ფასილიტატორები

ფასილიტატორების ფუნქცია შეიძლება შეასრულონ მოზრდილმა პირებმა, თანატოლებმა, ჯანდაცვის სპეციალისტებმა ან მშობლებმა (Poobalan et al., 2009).

- მოზრდილი პირები ფასილიტატორებად შესაძლებელია, მისაღები იყოს მონაწილეებისათვის, მათი ცხოვრებისეული გამოცდილების გამო, აგრეთვე, იმის გამო, რომ მათდამი ნდობა უფრო მაღალია და აქვთ თემების სიღრმისეულად ახსნისა და მგრძობიარე საკითხებზე დისკუსიის წარმართვის უნარი. მოზრდილი ფასილიტატორები შეიძლება, ასევე, სარგებლობდნენ რეპუტაციითა და სტატუსით საზოგადოებაში, რაც ხელს შეუწყობს მონაწილეთა უსაფრთხოებისა და ნდობის განცდას.
- თანატოლებსა და მონაწილეებზე სულ რამდენიმე წლით უფროს ახალგაზრდებს ეფექტიანად შეუძლიათ, შეასრულონ ფასილიტატორების ფუნქცია და მონაწილეთათვის იქცნენ მისაბაძ და სამაგალითო პირებად, თუმცა იმის გამო, რომ მათ არ გააჩნიათ სწავლების ის გამოცდილება, რომელიც შეიძლება ჰქონდეთ მათზე უფროს, მოზრდილ ფასილიტატორებს, განაპირობებს მათი სპეციალური მომზადების, მათზე ზედამხედველობისა და მხარდაჭერის აუცილებლობას, რათა სათანადოდ შეასრულონ ფასილიტატორის ფუნქცია.
- არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) ფასილიტატორებად შერჩევასას ჯანდაცვის სპეციალისტები ისევე საჭიროებენ სპეციალურ მომზადებას, როგორც სხვა დანარჩენი ფასილიტატორები. არ არის აუცილებელი, მათი პროფესიული გამოცდილება მოიცავდეს ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლებასთან (CSE) დაკავშირებულ ცოდნას ან პედაგოგიურ გამოცდილებას, ცოდნასა და უნარებს, რომლებიც ესაჭიროებათ ბავშვებსა და ახალგაზრდებთან მომუშავე ფასილიტატორებს.
- **უმრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ ფასილიტატორები ფლობდნენ სრულყოფილ ინფორმაციას ადგილობრივი კულტურის შესახებ და მონაწილეთთან მკაფიო კომუნიკაციის უნარს:** იმ შემთხვევაში, თუ ფასილიტატორები სხვა სოციალურ კლასს განეკუთვნებიან ან მოსახლეობის სხვა ჯგუფს წარმოადგენენ, მათ უნდა შეეძლოთ საუბარი მონაწილეებისათვის გასაგებ ენაზე, მონაწილეებს კი ჰქონდეთ საშუალება, კომუნიკაცია დაამყარონ მათთან.
- **უმჯობესია ფასილიტატორების შერჩევა ბავშვებისა და ახალგაზრდების კონკრეტული ჯგუფებისათვის (მაგალითად, ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, აივ ინფექციით დაავადებული პირები და ა.შ.) იმავე თემიდან, სადაც ეს შესაძლებელია:** იმ შემთხვევაში, თუ ფასილიტატორებს არ გააჩნიათ ის საკვანძო მახასიათებელი, რომელიც პროგრამაში მონაწილე ბავშვებსა და ახალგაზრდებს აერთიანებს, მათ აუცილებლად უნდა ჰქონდეთ თანაგრძნობა და მათთვის მისაღები უნდა იყოს ბავშვებისა და ახალგაზრდების გამოცდილება და თვალთახედვა.
- **ფასილიტატორთა შერჩევასას საჭიროა მათი როგორც პიროვნული თვისებების, ასევე უნარების შემოწმება:** ფასილიტატორთა ეფექტიან მუშაობას დიდად განაპირობებს ის, თუ რამდენად გამოხატავენ თანაგრძნობას ბავშვებისა და ახალგაზრდების მიმართ, ენთუზიაზმით ეკიდებიან თუ არა სექსუალობის შესახებ სწავლებას და რამდენად

სწავლებას და რამდენად ლოიალურ დამოკიდებულებას ავლენენ/რამდენად ლოიალურნი არიან მონაწილეთა მიმართ. მათ უნდა ჰქონდეთ სურვილი, სრულად მიანოდონ მონაწილეებს ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამით გათვალისწინებული შინაარსი და მონდომება, მაქსიმალურად ეფექტიანად მიანოდონ მონაწილეებს ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება (CSE).

- **ფასილიტატორთა მომზადება სასწავლო გეგმასა და მის შესრულებასთან დაკავშირებულ ასპექტებში:** ფასილიტატორს უნდა ჰქონდეს ემოციური კავშირი მონაწილეთა ჯგუფთან; ასევე, საჭიროებენ მუდმივ ზედამხედველობას მხარდაჭერის მიმართულებით და უკუკავშირს პროგრამის მონაწილეთაგან. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ წინამდებარე სახელმძღვანელოს თავში 2.3. – ტრენინგი და ზედამხედველობა და ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების საერთაშორისო ტექნიკურ სახელმძღვანელოში (ITGSE), გვ. 95.
- **ფასილიტატორთათვის პერიოდული ტრენინგების ორგანიზება:** შესაძლებლობათა განვითარებასა და გაფართოებაზე ზრუნვა და პლატფორმები, რომლებიც ფასილიტატორთა პროფესიულ განვითარებას ემსახურება, გარანტია იქნება იმისა, რომ ფასილიტატორები ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამებს ეფექტიანად განახორციელებენ. აუცილებელია სამუშაოს ხარისხიანად შესრულებისთვის საჭირო საშუალებებისა და ინსტრუმენტების რეგულარულად შემოწმება, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში მონაწილეთათვის უახლესი და რელევანტური შინაარსის (კონტენტის) მიწოდებას.

სწავლებისა და სწავლის მიდგომები

- **რეკომენდებულია სარგებლობა მთელი რიგი მეთოდებით:** ეფექტიანი სწავლება და სწავლა გულისხმობს მრავალფეროვანი და ინტერაქტიური მეთოდების გამოყენებას – გონებრივი იერიშიდან და დისკუსიებიდან დაწყებული, რეფლექსიითა და ანალიზით დამთავრებული; როლური თამაშებიდან დაწყებული, შემთხვევათა შესწავლით დამთავრებული და თეატრალური წარმოდგენის ორგანიზებიდან დაწყებული, ჯგუფური პროექტებით დამთავრებული. მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს ფიზიკურ მოძრაობას, როგორცაა როლური თამაშები ან თეატრალური წარმოდგენის ორგანიზება და რომლებიც მონაწილეთა ემოციურ ჩართულობას მოითხოვს; მაგალითად, მონვეული მომხსენებლები, რომლებსაც საინტერესო ისტორიები აქვთ მონაწილეთათვის, დიდი ალბათობით, ეფექტიანრი იქნება აღქმისა და ქცევის შეცვლის თვალსაზრისით (UNESCO, UNAIDS, UNFPA, UNICEF, UN Women and WHO, 2018; Poobalan et al, 2009). ცოდნა, დამოკიდებულება, ღირებულებები და უნარ-ჩვევები მაქსიმალურად უნდა იყოს ინტეგრირებული თითოეულ თემაში, ნაცვლად იმისა, რომ მათი განხილვა მხოლოდ ცალკეულ გაკვეთილებზე მოხდეს..
- **ინკლუზიურობის უზრუნველყოფა:** საჭიროა, შეიქმნას ყველას მიმართ პატივისცემის მოლოდინის გარემო და ამგვარი ქცევის მოდელირება. ყველა თემა, მაგალითი, სცენარი, მოთხრობა, როლური თამაში თუ მონვეული მომხსენებელი უნდა გულისხმობდეს ერთმანეთისგან განსხვავებულ ინდივიდუალურ და მრავალფეროვან პირებსა და ურთიერთობას, რომლებიც მოიცავს პროგრამაში მონაწილე ყველა ჯგუფს. საჭიროა, უშუალოდ განხორციელდეს მრავალფეროვნების და მიკერძობის, სტიგმისა და

- **იმ მიდგომებით სარგებლობა, რომლებიც მონაწილეთა გაძლიერებას ემსახურება:** წინამდებარე სახელმძღვანელოში აღწერილი მრავალი მონაწილე განეკუთვნება მარგინალიზებულ ჯგუფებს და, ასევე, იმ ჯგუფებს, რომელთა წევრებიც ჩაგვრისა და შევიწროების ობიექტები არიან. კრიტიკული პედაგოგიკა (იხ.ტერმინების განმარტება) ემსახურება ამ ჯგუფების წარმომადგენელი ბავშვებისა და ახალგაზრდების გაძლიერებას; თანამშრომლობის საფუძველზე სწავლის პროცესის გამოყენებით, რომლის დროსაც პედაგოგები და მოსწავლეები ერთმანეთისგან სწავლობენ და ერთობლივად შეიმუშავებენ გამონკვევებისა და პრობლემების დაძლევის ახალ გზებს. კრიტიკული პედაგოგიკა აღიარებს საზოგადოების მიერ მიღებულ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ემსახურება ინდივიდუალური პირების გაძლიერებას და საზოგადოებაში ქმნის სოლიდარობის განწყობას.
- **ტრავმაზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენება:** ზოგიერთ ბავშვსა და ახალგაზრდას შეიძლება, გადატანილი ჰქონდეს ტრავმა ინდივიდუალურად ან როგორც ჯგუფის წევრს, რომელიც შესაძლებელია, უკავშირდებოდეს დისკრიმინაციას, ძალადობას (სექსუალური ძალადობის ჩათვლით), ოჯახურ ან შეიარაღებულ კონფლიქტს და სხვა ჰუმანიტარულ კრიზისს. ტრავმა ასევე შეიძლება იყოს თაობათაშორისი. ტრავმაზე დაფუძნებული მიდგომა უზრუნველყოფს სექსუალობის შესახებ იმგვარ სწავლებას, რომელიც გამორიცხავს მონაწილეთა განმეორებით ტრავმირებას, ტრავმულ გამოცდილებასთან დაკავშირებული განცდების ან მოგონებების აღძვრის თავიდან აცილებით (რაც ცნობილია, როგორც ტრიგერი). ტრავმაზე დაფუძნებული მიდგომის არსს წარმოადგენს ღია, უსაფრთხო და თანაგრძნობით გაჭერებული გარემოსა და ჯგუფური კულტურის შექმნა. შეხვედრების დასაწყისში საჭიროა მონაწილეების ინფორმირება იმ თემის შესახებ, რომელსაც განიხილავენ შეხვედრის ფარგლებში (ტრიგერის შესახებ გაფრთხილება), რათა თავად გადაწყვიტონ, სურთ თუ არა მონაწილეობა შეხვედრაში. ამასთან საჭიროა რესურსების განთავსება იმგვარად, რომ მათზე წვდომა მარტივი იყოს.¹
- **საინტერესო, პერსონალიზებული მეთოდის გამოყენება:** გამოიყენეთ სურათები, პლაკატები და ვიდეოები და მინიმუმამდე დაიყვანეთ ნაბეჭდი ტექსტით მიწოდებული ინფორმაციული მასალის გამოყენება. დისკუსიაზე დაფუძნებული მიდგომა, რომელიც საშუალებას აძლევს მონაწილეებს, ისაუბრონ თანატოლებთან, ხელს შეუწყობს იმ სოციალური იზოლაციის განმუხტვას, რომელსაც შეიძლება განიცდიდეს მოსახლეობის გარკვეული ჯგუფის ზოგიერთი ახალგაზრდა წევრი.
- **მეთოდების გამოყენება, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია გარკვევა, თუ რა ცოდნას ფლობენ მონაწილეები:** სთხოვეთ მონაწილეებს, გაუზიარონ ერთმანეთს ცოდნა და ისიც, თუ რომელი წყაროდან იღებენ ამ ცოდნას ან გამოიყენონ სწორია/მცდარია კითხვარები ან თამაშები. აღნიშნული აქტივობები საშუალებას აძლევს ფასილიტატორს, გამოავლინოს რა არასწორ წარმოდგენებსა თუ ცრუ ინფორმაციას ფლობენ მონაწილეები და შეეცადოს მათ გამოსწორებას.
- **მონაწილეთა მშობლიური ენის გამოყენება, იქ სადაც ამის საშუალება არსებობს:** მშობლიურ ენაზე საუბრისას მონაწილეებს უადვილდებათ სენსიტიური ან პერსონალური საკითხების აღქმა და მათზე მსჯელობა.
- **მონაწილეთა ზოგადი განათლების დონის გათვალისწინება:** სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვები და ახალგაზრდები შეიძლება სათანადოდ არ ფლობდნენ წერა-კითხვისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს ან წერა-კითხვის უცოდინრები იყვნენ. შეიძლება, საჭირო გახდეს იმ აქტივობების მინიმუმამდე შემცირება, რომლებიც მოიცავს კითხვასა და

¹ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ტრავმირებულ მოსწავლეთა მხარდაჭერა: ტრავმირებულ მოსწავლეთა მხარდაჭერის (SSET) პროგრამა, ჯგუფის ლიდერების მოსამზადებელი სახელმძღვანელო, საგაკვეთილო გეგმები და მასალები, სამუშაო ფურცლები (RAND, 2009) და ადამიანის სექსუალობის შესახებ ტრავმაზე დაფუძნებული განათლების გამკვლევი (CARDEA, 2016).

წერას. ამის ნაცვლად შეიძლება ემპირიული, მონაწილეობითი მეთოდების გამოყენება, როგორცაა თხრობა, როლური თამაშები, დისკუსიები, სურათები, ვიდეოები და გრაფიკა. გარდა ამისა, წერა-კითხვის შემსწავლელთათვის განკუთვნილი პროგრამები შეიძლება მნიშვნელოვანი შესაძლებლობა აღმოჩნდეს მათში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების იმ შინაარსის ინტეგრირებისთვის, რომელიც შეესაბამება მონაწილეთა წინაპირობების დონეს.

- **მონაწილეებისათვის შეკითხვების (მათ შორის, მათთვის უხერხულისა თუ არასასიამოვნოს) დასმის შესაძლებლობის მიცემა:** ანონიმური შეკითხვების ყუთი (იმ შემთხვევაში, თუ მონაწილეები წერა-კითხვის მცოდნენი არიან) შესაძლებელია, კომფორტული აღმოჩნდეს ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, რადგან ამ შემთხვევაში ისინი შიშისა და უხერხულობის განცდის გარეშე მოახერხებენ მათთვის საინტერესო საკითხებზე შეკითხვების დასმას.
- **მონაწილეებისათვის დროის მიცემა, რათა შეითვისონ და პრაქტიკაში გამოიყენონ ათვისებული მასალა:** მასალის ასათვისებლად დროის მიცემა, დისკუსიები, როლური თამაშები და ინფორმაციის გამეორება შეხვედრების განმავლობაში თუ შეხვედრებს შორის დაეხმარება ბავშვებსა და ახალგაზრდებს, უკეთ გაიგონ და აითვისონ ახალი მასალა და ცნებები.
- **მონაწილეთა ნახალისება, რათა რეალურ ცხოვრებაში გამოიყენონ პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნა:** ნახალისეთ ბავშვები და ახალგაზრდები, დაფიქრდნენ იმაზე, თუ როგორ გამოიყენონ მიღებული ინფორმაცია ცხოვრებაში, ურთიერთობებსა და გადაწყვეტილებებში. ამის მიღწევა შესაძლებელია ფასილიტატორის ხელმძღვანელობით დასურათებული ჟურნალის წარმოებით, ნახატების შესრულებით, სურათების აღწერით ან ჯგუფური დისკუსიების საშუალებით. ამასთან, მნიშვნელოვანია, ფასილიტატორი განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდეს ტრავმის გამოცდილებას, რადგან სექსუალობისა და სექსუალური ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის პერსონალურად წარმოდგენამ შეიძლება გამოიწვიოს ტრავმის განმეორებით განცდა (იხილეთ ტრავმაზე დაფუძნებული მიდგომის შესახებ ზემოთ მოცემული რეკომენდაცია).
- **მონაწილეთა ნახალისება, რათა მათ თავად მიაგონ გამოსავალს:** მონაწილეთათვის თხოვნით მიმართვა, რომ შეიმუშაონ რისკის შემცირების გზები, ეხმარება მათ, თავად განსაზღვრონ სტრატეგიები, რომელთა გამოყენება უფრო მეტად შეუძლიათ, ვიდრე ძალაუფლების მქონე პირთა მიერ შემუშავებული გადაწყვეტილებებისა, რომლებიც მათთვის შესაძლოა არც იყოს მიზანშეწონილი და მისაღები (UNESCO et al., 2018). ამ გზით, ბავშვებსა და ახალგაზრდებს საშუალება ეძლევათ, იქცნენ თანატოლებისა და ერთმანეთის მისაბამ პირებად; ახალი ინფორმაციის საფუძველზე მათი ქცევის შეცვლა ჯგუფური ნორმა ხდება და, ამასთანავე, წარმოებს ათვისებული მასალის განმტკიცება.
- **ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდება კულტურის თვალსაზრისით უსაფრთხოდ:** კულტურული უსაფრთხოება კულტურულ მგრძობელობაზე ბევრად მეტს გულისხმობს. იგი მოიცავს ძალაუფლების ბალანსის დარღვევის, ინსტიტუციური დისკრიმინაციის, კოლონიზაციისა და კოლონიზატორებსა და ჰეგემონიურ კულტურებთან ურთიერთობის ანალიზს, ჯანდაცვის მიმართულებით განათლებისა და მომსახურების კონტექსტში. კულტურული უსაფრთხოება ასევე მნიშვნელოვანია ბავშვებისა და ახალგაზრდების ფიზიკური, სულიერი, ფსიქიკური და ემოციური ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად.

დაცულობა, უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა

- **დაცული სივრცეების შექმნა:** უსაფრთხო სივრცეები (იხ. ტერმინების განმარტებაში) უზრუნველყოფს როგორც ფიზიკურ, ასევე ემოციურ უსაფრთხოებასა და დაცულობის განცდას; მონაწილეებს საშუალებას აძლევს, ისაუბრონ თავიანთ იმედგაცრუებებსა და გამოწვევებზე, ასევე, ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობებზე.

- მკაფიო წესების შემუშავება, უსაფრთხოებისა და დაცულობის განცდის უზრუნველსაყოფად:** აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვებისა და ახალგაზრდების ჯგუფებისთვის, რომლებიც განსაკუთრებით დაუცველები არიან შევიწროების, დისკრიმინაციისა და ძალადობისგან, მათ შორის, საზოგადოების წევრების ან პოლიციის მხრიდან. აღნიშნული წესები უნდა მოიცავდეს: სხვა მონაწილეთა კონფიდენციალურობის დაცვას (დაუშვებელია მესამე პირთათვის, ე.ი. არამონაწილეთათვის, მონაწილეთა ვინაობის ან მათ მიერ შეხვედრების ფარგლებში გახმაურებული ინფორმაციის ან მოსაზრების გამხელა), წინასწარი ნებართვის გარეშე ფოტოს გადაღების ან ნებისმიერი იმ ფოტოს გამოქვეყნების, ან გავრცელების დაუშვებლობას, რომლებშიც მონაწილეთა სახეები ჩანს; სახელების, გვარების ან ადგილების ხსენებას, მათ შორის, სოციალურ მედიაში განთავსებულ პოსტებში; პროგრამის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მხოლოდ იმ ადამიანებისთვის/, ვისაც იცნობენ; Facebook-ზე მხოლოდ მესინჯერის ჯგუფების, ჩატების ან „საიდუმლო ჯგუფების“ გამოყენებით კონტაქტს, თუ მონაწილეებს სურთ, შეინარჩუნონ ურთიერთობა (თუმცა, ამავე დროს, საჭიროა მონაწილეები იყვნენ ინფორმირებულნი იმის თაობაზე, რომ, სავარაუდოდ, უსაფრთხო აპლიკაციებიც კი შეიძლება არ იყოს უსაფრთხო, პერსონალური ინფორმაციისა და კონფიდენციალურობის დაცვის თვალსაზრისით და შეიძლება, შეიცავდეს არაზუსტ ინფორმაციას); ნებისმიერი პირის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის გამოქვეყნების დაუშვებლობას, მათი თანხმობის გარეშე.
- მონაწილეთა ფიზიკური საზღვრების დაცვა და პატივისცემა:** დაუშვებელია მონაწილეთა ჩახუტება, მოფერება, კოცნა, მასაჟი, თანატოლებისა თუ ფასილიტატორების მხრიდან.
- სექსუალური ძალადობისა და შევიწროების თემის განხილვისას რეკომენდებულია, შერჩეული იყოს პირი, რომელსაც მიმართავენ მონაწილეები მათ მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტების შესატყობინებლად:** თუ შეუძლებელია ამ მიზნით კონკრეტული პირის შერჩევა, აუცილებელია, მონაწილეებს მიანოდონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვის უნდა მიმართონ ასეთ შემთხვევაში.
- საჭიროა, მკაფიოდ განიმარტოს კონფიდენციალურობის მნიშვნელობა და ის, თუ რა შემთხვევაში ხდება აუცილებელი მისი დარღვევა:** პროგრამის ფარგლებში შემუშავებულ წესებში ყურადღება უნდა იყოს გამახვილებული მასზე, რომ ყველა მონაწილის პასუხისმგებლობას წარმოადგენს კონფიდენციალურობის დაცვა და ნათლად უნდა იყოს ახსნილი, თუ რაში მდგომარეობს იგი კონკრეტულად. თანაბრად მნიშვნელოვანია ის, რომ ფასილიტატორებმა მკაცრად დაიცვან მონაწილეთა კონფიდენციალურობა, მათ ვინაობასთან, მათ მიერ მიწოდებულ ინფორმაციასა თუ გამოთქმულ მოსაზრებასთან დაკავშირებით. ამ წესის შეუსრულებლობას, რიგ შემთხვევაში, შესაძლებელია, მოჰყვეს მონაწილეთა უსაფრთხოების დარღვევა, თუმცა ფასილიტატორებმა უნდა აუხსნან მონაწილეებს, რომ არსებობს გარემოებები, როდესაც მათ შეიძლება კანონი ავალდებულებდეს, შესაბამის ორგანოებს გააცნონ ინფორმაცია, რომელიც მონაწილემ გაამხილა, არასრულწლოვანი ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით.

მონიტორინგი

- მიმდინარე მონიტორინგისა და შეფასების შემოღება:** პროგრამის შინაარსი რეგულარულად მოითხოვს გადახედვასა და საჭიროებისამებრ შეცვლას, მიწოდების შედეგად მიღებული გამოცდილებისა და მონაწილეთა უკუკავშირის საფუძველზე. თავიდანვე უნდა დაწესდეს მუდმივი მონიტორინგი და შემოღებული იქნას შინაარსის, პროცესებისა და შედეგების შეფასება, რათა პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებს საშუალება ჰქონდეთ, განაგრძონ პროგრამის დახვეწა და ადაპტირება, საზოგადოების ან ეროვნულ დონეზე გატარებული ცვლილებების საფუძველზე.

- **საჭიროა მონიტორინგი, თუ რამდენად მონდომებით ახორციელებენ ფასილიტატორები პროგრამას:** აღნიშნული ეხება პროგრამის შინაარსს, გამოყენებულ მეთოდოლოგიასა და ღირებულებებს, რომელთა გადაცემაც წარმოებს პროგრამის ფარგლებში.
- **პროგრამის დაწყებამდე საჭიროა, განისაზღვროს, თუ როგორ შეფასდება მონაწილეთა პროგრესი:** საკითხები, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ და რომელთა შეფასებაც შესაძლებელია მეტ გამონვევებს ქმნიდეს არაფორმალური განათლების სისტემაში, განსხვავებით სასკოლო პროგრამებისგან, მოიცავს: პროგრამის რა ნაწილი გაიარა თითოეულმა მონაწილემ; ესწრებიან თუ არა იგივე ბავშვები და ახალგაზრდები პროგრამით გათვალისწინებულ შეხვედრებს; პროგრამის მონაწილეთა მიერ ათვისებული ცოდნისა და უნარების შეფასება გრძელვადიან პერსპექტივაში.

მნიშვნელოვანი დოკუმენტები და სასწავლო გეგმები

- **სკოლის მიღმა მყოფი ახალგაზრდებისათვის ადამიანის სექსუალობის შესახებ რეგიონული განათლების რესურსთა ნაკრები (UNFPA, 2018);**
- **გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების ოპერაციული სახელმძღვანელო: ადამიანის უფლებებსა და გენდერზე ორიენტირება (UNFPA, 2014);**
- **ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების პროგრამების შეფასება: გენდერსა და გაძლიერების შედეგებზე ორიენტირება (UNFPA, 2015);**
- **მომავალ მშობელთა საერთაშორისო ფედერაციის (IPPF) ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) ჩარჩო (IPPF, 2010);**
- **„Inside and Out“: ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) შეფასების ინსტრუმენტი (IPPF, 2015);**
- **ყველაფერი ერთ სასწავლო გეგმაში: სექსუალობის, გენდერის, აივ ინფექციისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლებისადმი ერთიან მიდგომასთან დაკავშირებული რეკომენდაციები და აქტივობები (Population Council, 2009);**
- **ჯანმრთელობის რეკომენდაციები მოზარდთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა (სრჯ) და უფლებების შესახებ (WHO, 2018);**
- **მოზარდების ხარისხიანი მომსახურების გლობალური სტანდარტები (WHO, 2015);**
- **აივ ინფექციის პრევენცია მოზარდ გოგონებსა და ახალგაზრდა ქალებს შორის: მოზარდ გოგონებსა და ახალგაზრდა ქალებს შორის აივ ინფექციის პრევენციაზე ორიენტირება და შესაბამის ღონისძიებებში მამაკაცებისა და ბიჭების ჩართვა (UNAIDS, 2016);**
- **ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების სტანდარტები ევროპაში: ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის, საგანმანათლებლო და ჯანდაცვის უწყებებისა და სპეციალისტებისთვის განკუთვნილი ჩარჩო-დოკუმენტი (WHO Regional Office for Europe and BZgA, 2010).**

2.3 თანატოლ განმანათლებელთა ჩართვა არაფორმალური განათლების სისტემაში განხორციელებულ ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლებაში (CSE)

თანატოლ განმანათლებელი წარმოადგენს სამიზნე პირთა თანასწორ პირს, ე.ი. პირს, რომელიც სამიზნე პირთა სოციალურ ჯგუფს მიეკუთვნება; ამ ჯგუფის წარმომადგენელთა თანასწორია ასაკით, განათლების დონით, სტატუსითა და სხვა მახასიათებლებით; გადის სპეციალურ მომზადებას და მხარდაჭერის საშუალებით ზემოქმედებს; პოზიტიური ცვლილებები შეაქვს მოცემულ ჯგუფში. ბავშვებისა და ახალგაზრდების შემთხვევაში, ასაკი, სქესი და გენდერი წარმოადგენს იმ მახასიათებლებს, რომლებიც მათ მიერ ერთმანეთის თანატოლად აღქმას აკმაყოფილებს, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია, მნიშვნელოვნად იქნას

მიჩნეული ისეთი საერთო მახასიათებელი, როგორცაა ჯგუფი ან ჯგუფები, რომელთანაც ისინი თავის იდენტიფიცირებას ახდენენ. თანატოლთა მიერ ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია პირისპირ კომუნიკაციის ან ჯგუფური განხილვის საშუალებით, ასევე, ისეთი აქტივობებით, როგორცაა მასალის გავრცელება, კონსულტირება ან თამაშები. მათ ასევე შეუძლიათ ერთმანეთს მიანოდონ ინფორმაცია ხელმისაწვდომი მომსახურებების შესახებ და სათავეში ჩაუდგინონ ადვოკატირებას და საზოგადოების მობილიზების ღონისძიებას (UNAIDS, 1999).

თანატოლთა მიერ განათლება შეიძლება უფრო ეფექტიანი აღმოჩნდეს, თუ მისი ჩართვა ხორციელდება ჰოლისტიკურ ინტერვენციაში და თუ თანატოლ განმანათლებელთა როლი გულისხმობს ყურადღების გამახვილებას მგრძობელობის ამაღლებასა და სპეციალისტებისა და ხელმისაწვდომი მომსახურებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე (Chandra-Mouli et al., 2015a). პროგრამის ფარგლებში თანატოლ განმანათლებლებს შეუძლიათ, იმუშაონ პროფესიონალ პედაგოგებთან ერთად. თანატოლი განმანათლებლების ჩართვა პროგრამის განხორციელებაში განსაკუთრებით საჭიროა:

- როდესაც არ არის შესაძლებელი პროგრამის განხორციელება პროფესიონალი პედაგოგის მიერ;
- როდესაც მოზრდილი პირები არ ფლობენ ჟარგონულ და სასაუბრო ენას, რომელსაც იყენებენ ბავშვები და ახალგაზრდები, განსაკუთრებით სექსუალობის შესახებ საუბრისას;
- როდესაც ჯგუფის წევრების ნდობა უფრო მაღალია თანატოლების მიმართ, ვიდრე სპეციალისტების ან იმ პირების მიმართ, რომლებიც არ განეკუთვნებიან მოცემულ ჯგუფს, მაგალითად, ბავშვებისა და ახალგაზრდების,, რომელთა ნდობაც შერყეულია იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც წარსულში ან ამჟამად მხილებულნი არიან არასათანადო მოპყრობასა და დისკრიმინაციაში ან ეთნიკურ თემებში, სადაც პირებს, რომლებიც არ განეკუთვნებიან მოცემულ თემს, შეიძლება შეექმნათ გარკვეული ბარიერები, კულტურის, ენის ან გამოცდილების თვალსაზრისით.

კვლევებით დგინდება, რომ თანატოლთა მიერ განხორციელებული განათლება გამართლებულია ცოდნის დონის გაზრდის მიმართულებით, ზოგ შემთხვევაში იწვევს დამოკიდებულებისა და განზრახვათა ცვლილებას, თუმცა იმავე კვლევებით არ დგინდება მნიშვნელოვანი გავლენა ქცევაზე, როგორცაა კონდომების ან კონტრაცეფციის სხვა საშუალებათა გამოყენება (Kim et al., 2008; Medley et al., 2009; Poobalan et al., 2009; Salam et al., 2016; Tolli, 2012). (უნდა ითქვას, რომ აღნიშნული კვლევებიდან არც ერთი არ იკვლევდა კონკრეტულად თანატოლ განმანათლებელთა მიერ განხორციელებულ ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლებას (CSE); მხოლოდ ერთი კვლევა ეხებოდა მოზარდთა შორის თანატოლ განმანათლებლების მიერ განხორციელებულ „განათლებას სექსუალური ჯანმრთელობის შესახებ“, თუმცა არ ყოფილა დაბუსტებული ფაქტობრივი შინაარსი.) თანატოლ განმანათლებელთა მონაწილეობით განხორციელებული პროგრამები შედარებით უფრო მაღალეფექტიანია მაღალი რისკის მქონე მოსახლეობათა ჯგუფებში (როგორცაა ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელი და სექსმუშაკები), რაც იმაზე მეტყველებს, რომ თანატოლ განმანათლებელთა მონაწილეობით განხორციელებული პროგრამები შესაძლებელია, უფრო ეფექტიანი იყოს მარგინალიზებულ ან ე.წ. „უჩინარ“ მოსახლეობასთან (Bekker and Hosek, 2015; Krishnaratne et al, 2016; WHO, 2017b). საჭიროა უფრო ინტენსიური კვლევის წარმოება იმის დასადგენად, თუ რა განაპირობებს თანატოლ განმანათლებელთა მონაწილეობით განხორციელებული ზოგიერთი პროგრამის მაღალეფექტიანობას სხვა პროგრამებთან

შედარებით. ასევე, საჭიროა კვლევა, რომლის ფარგლებშიც მოხდება სხვადასხვა ტიპის ფასილიტატორთა, მათ შორის, ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების მიმართულებით მომუშავე და სპეციალურ მომზადებაგავლილ პედაგოგთა ზემოქმედებისა და ეფექტიანობის შედარება (Tolli, 2012; Villa- Torres and Svanemyr, 2015).

პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

- **თემის საჭიროებების შეფასება:** აღნიშნული შეფასების წარმოება არაფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) ნებისმიერი პროგრამის შემუშავების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს, თუმცა თემის საჭიროებების შეფასების ელემენტი ხშირად უგულებელყოფილია იმ პროგრამების შემუშავებისას, რომლებიც თანატოლ განმანათლებელთა მონაწილეობით ხორციელდება. შეფასება მნიშვნელოვანია, რადგან თანატოლთა განათლების მასშტაბის ზრდა არ გულისხმობს მხოლოდ ამგვარი პროგრამების რაოდენობრივ ზრდას: თითოეულ ახალ გარემოში უნდა შეფასდეს სოციალური საჭიროებები, რათა დადგინდეს ფაქტორები, რომლებიც ხელს შეუწყობს ან ხელს შეუშლის თანატოლთა განათლებას (UNAIDS, 1999).
- **თანატოლთა განათლების სამიზნე პოპულაციის მკაფიო განსაზღვრა:** აღნიშნული მოიცავს ასაკის, გენდერის, რასის ან ეთნიკური წარმომავლობის, სექსუალური ორიენტაციის, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების, საცხოვრებელი უბნებისა და ა.შ. გათვალისწინებას (UNAIDS, 1999).

თანატოლ განმანათლებლების შერჩევა

- **კანდიდატებისათვის შერჩევის კრიტერიუმების მკაფიო განსაზღვრა:** თანატოლ განმანათლებლები უნდა ფლობდნენ სამიზნე აუდიტორიის ძირითად მახასიათებლებს (როგორცაა ასაკი, განათლების დონე, გენდერული იდენტობა, სექსუალური ორიენტაცია, აივ სტატუსი, ეთნიკური წარმომავლობა, აღმსარებლობა, აკადემიური და/ან კლასგარეშე ინტერესები). ისინი უნდა იყვნენ ქარიზმატულები და ლიდერის უნარით დაჯილდოებულნი, ჰქონდეთ კარგი კომუნიკაციის უნარი და იმსახურებდნენ ნდობას. მათ მტკიცედ უნდა სჯეროდეთ პროგრამის წარმატების და ჰქონდეთ სურვილი, წვლილი შეიტანონ მასში.
- **თანატოლ განმანათლებლების შერჩევა პოტენციური კანდიდატების ფართო ბაზიდან:** საჭიროა სხვადასხვა მეთოდის გამოყენება კანდიდატების იდენტიფიცირებისთვის, სოციალური მედიის ჩათვლით, ნაცვლად იმისა, რომ დაელოდოთ მათ განცხადებაზე გამოხმაურებას. შერჩევის პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე და სამართლიანი და სამიზნე მოსახლეობის წარმომადგენელმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა იმ პირების შერჩევაში, ვისაც ისინი ლიდერებად და მისაბაძ პიროვნებად მიიჩნევენ.

ტრენინგი და ზედამხედველობა

- **ტრენინგი:** ეფექტიანი ტრენინგი მოიცავს უნარების განვითარების ფართო კომპონენტს, მათ შორის, თემში პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობისა და კომპეტენციების თავდაპირველ და მიმდინარე შეფასებას (მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კომპონენტი ნებისმიერი ფასილიტატორის ტრენინგის შემთხვევაშია რეკომენდებული, თანატოლ განმანათლებელთა ტრენინგისას ხშირად ხდება მისი უგულებელყოფა.) საუკეთესო შემთხვევაში, თანატოლ განმანათლებლები უნდა იყვნენ სერტიფიცირებულნი, ისეთი პროცესის გამოყენებით, რომელიც მათგან მოითხოვს ადეკვატური ცოდნის, დამოკიდებულებისა და უნარების დემონსტრირებას, წინასწარ დადგენილი კომპეტენციათა სტანდარტების შესაბამისად, რომელთა შესახებაც ინფორმაციას უნდა ფლობდეს პირი, რომელიც ტრენინგს გადის და მათ აფასებდეს ის ორგანიზაცია ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი უფლებამოსილება და გამოცდილება.

- პირველდანიებითი მომზადების შემდგომი მხარდაჭერა სპეციალისტის მეთვალყურეობით და რეგულარული ტრენინგი:** აღნიშნული უზრუნველყოფს თანატოლ განმანათლებელთა მიერ მიწოდებულ ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მაღალ ხარისხს. თანატოლ განმანათლებლები შესაძლებელია, საჭიროებდნენ უფრო მეტ მხარდაჭერას, ვიდრე მოზრდილი ფასილიტატორები (მათ შორის, ჯანდაცვისა და კონსულტირების მიმართულებით), განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ისინი ტრავმისადმი დაუცველნი არიან. მუდმივი მეთვალყურეობისა და მხარდაჭერის ჯგუფებში მუშაობის გარდა, მათთვის, საჭიროების შემთხვევაში, ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროფესიული დახმარება, მათ შორის, დაუყოვნებლივ.
- მხარდაჭერის მიზნით მეთვალყურეობა:** აღნიშნული უნდა მოიცავდეს როგორც პროგრამის განხორციელებას ადგილზე, ისე დამოუკიდებლად ორგანიზებულ სამეთვალყურეო შეხვედრებს პროგრამის თანამშრომლებთან, რომლებიც ტექნიკურ ასპექტში კომპეტენტურები არიან, შეუძლიათ თანატოლ განმანათლებელთა მოტივირება და დახმარება. მეთვალყურეობა მოიცავს ძლიერი მხარეების იდენტიფიცირებას, წახალისებასა და გაძლიერებას; იმ უნარ-ჩვევების ან ცოდნის იდენტიფიცირებას, რომელიც დამატებით მუშაობას საჭიროებს გაუმჯობესების თვალსაზრისით; უკუკავშირის შეთავაზებას, თანატოლ განმანათლებლების გამოცდილებისა და ეფექტიანობის ასამაღლებლად და მუდმივ წახალისებასა და მხარდაჭერას, მათი ჩართულობის უზრუნველსაყოფად (Simba and Kakoko, 2009).
- უკუკავშირის დამყარების რეგულარული შესაძლებლობების შექმნა:** თანატოლ განმანათლებლებმა მოსაზრება უნდა გამოთქვან პროგრამასთან, პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებსა და მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. თანატოლ განმანათლებლების შესახებ უკუკავშირის მიღება შესაძლებელია პროგრამის მონაწილეთაგან.

თანატოლ განმანათლებლების შერჩევა

- მკაფიო და თანატოლ განმანათლებელთა უნარებისა და გამოცდილების შესაბამისი მოლოდინის ჩამოყალიბება:** საჭიროა მართვადი სამუშაო გარემოს შექმნა და შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება. საჭიროა თანატოლ განმანათლებლებისათვის საშუალების მიცემა, რათა აიღონ პასუხისმგებლობა და მიიღონ გადაწყვეტილებები პროგრამის დაგეგმვა-განხორციელებასა და შეფასებასთან დაკავშირებით.
- თანატოლ განმანათლებელთა ანაზღაურება და წახალისება:** შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ზრდის თანატოლ განმანათლებელთა მოტივაციას და საშუალებას აძლევს ნებისმიერი სოციალურ-ეკონომიკური წარმომავლობის მქონე ახალგაზრდებს, ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ პროგრამის განხორციელებაში. მათ, მინიმუმ, უნდა აუნაზღაურდეთ სამუშაოსთან დაკავშირებული ხარჯი (მაგალითად, ტრანსპორტის). თუმცა ანაზღაურება არ უნდა იყოს ისეთი ოდენობის, რომ გამოიწვიოს სოციალური დისტანცირება თანატოლ განმანათლებლებსა და მათ თანატოლებს შორის. თანატოლ განმანათლებლების სტიმულირების სხვა გზები მოიცავს პირადი და პროფესიული ზრდის შესაძლებლობების შექმნას. იქ, სადაც თანატოლ განმანათლებლები მოხალისეები არიან, საჭიროა მათი ადეკვატური აღიარება და თადარიგის დაჭერა, რომ არ მოხდეს მათი შრომის ექსპლუატაცია.
- ემოციური მხარდაჭერა:** აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს პერიოდულ ინდივიდუალურ და ჯგუფურ შეხვედრებს ისეთი საკითხების გადასაჭრელად, როგორცაა სტრესი და სამუშაოთი გადატვირთვა, ასევე, წარმატებული პრაქტიკისა და იდეების გაზიარება და ჯგუფური ერთობის ჩამოყალიბება.
- კადრების ცვლისთვის თადარიგის დაჭერა:** კადრების ცვლა დამახასიათებელია თანატოლთა განათლებისთვის და მისთვის თადარიგის დაჭერა, ნაწილობრივ, შესაძლებელია ახალი თანატოლ განმანათლებლების მოწვევისა და ტრენინგის

- ფორმალური სტრუქტურის შექმნის საშუალებით. სამუშაოს დატოვებისას ჩამორთმეული ინტერვიუები დაეხმარება პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებს, გაარკვიონ, თანატოლ განმანათლებლები სამუშაოს პირადი სურვილით ტოვებენ, თუ პროგრამასთან დაკავშირებული მიზეზით. ასევე, შეიტყონ მეტი თანატოლ განმანათლებელთა მიერ პროგრამაში მონაწილეობით მიღებული გამოცდილების შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის გამოყენება შესაძლებელია პროგრამის გასაუმჯობესებლად. უკვე დასაქმებული თანატოლ განმანათლებლების ჩართვა ახალი თანატოლ განმანათლებლების სამუშაოდ მონვევისა და ტრენინგის პროცესში ხელს შეუწყობს მათ გაძლიერებას და დაეხმარება ახალი უნარების ათვისება-განვითარებაში.

მნიშვნელოვანი დოკუმენტები და სასწავლო გეგმები

- **თანატოლთა განათლების ინსტრუმენტთა ნაკრები (UNFPA, 2006);**
- **ახალგაზრდების თანატოლთა განათლებასთან დაკავშირებული მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციები (FHI 360, 2010);**
- **აივ ინფექციასთან დაკავშირებული თანატოლთა განათლების პროგრამების სტანდარტები (International Federation of Red Cross and Red Crescent Societies, 2010).**

2.4 მშობლებისა და მეურვეების ჩართვა არაფორმალური განათლების სისტემაში განხორციელებულ ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლებაში (CSE)

ოჯახი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბავშვებისა და ახალგაზრდების სექსუალობის შესახებ განათლებაში, ჩვეულებრივ, დაუგეგმავად და გაცნობიერების გარეშე. ბავშვები ეცნობიან ისეთ ცნებებს, როგორცაა სიყვარული, შეხება, ურთიერთობები, კომუნიკაცია და გენდერული თანასწორობა – გარშემომყოფებზე დაკვირვებით, ოჯახის წევრების მიერ მიცემული შენიშვნებით და იმით, თუ როგორ ეპყრობიან თავად მათ, გარდა იმისა, რასაც ოჯახში ღიად ასწავლიან (WHO, 2017c).

ისეთ ადგილებში, სადაც ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება არ მიენოდება ასკოლო განათლების ფარგლებში ან სასკოლო განათლება ადამიანის სექსუალობის შესახებ არ არის კომპლექსური და ყოვლისმომცველი, მშობლებს/მეურვეებსა და ოჯახს მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ბავშვების განათლებაზე ადამიანის სექსუალობის შესახებ (Pop and Rusu, 2015) და ხშირად ურჩევნიან, თავად წარმოადგინდნენ ბავშვებისათვის სექსუალობასთან დაკავშირებული ინფორმაციის წყაროს. მიუხედავად ამისა, მშობლებისა და მეურვეების კომპეტენცია ხშირად არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ბავშვებს მიაწოდონ მტკიცებულებებზე დაფუძნებული და ასაკის შესაბამისი განათლება ადამიანის სექსუალობის შესახებ. ამ დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით, შემუშავებულია ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამები, რომლებიც გულისხმობს მშობლების/მეურვეების ჩართვას ბავშვებისათვის განკუთვნილი ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების მიწოდებაში ან მათ დახმარებასა და მხარდაჭერას ამ მიმართულებით. აღნიშნული მიდგომა მოიცავს განათლებას ადამიანის სექსუალობის შესახებ, რომელიც:

- **არის მშობლებზე ორიენტირებული:** გულისხმობს მშობლების/მეურვეების მომზადებასა და ტრენინგს, რათა მათ უზრუნველყონ ბავშვებისთვის ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების მიწოდება;
- **უზრუნველყოფს მშობლების ჩართულობას:** გულისხმობს მშობლების/მეურვეებისა და ბავშვების ერთობლივ მონაწილეობას ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების მიზნით დაგეგმილ შეხვედრებში ან ბავშვების მიერ საშინაო დავალების მომზადებას მშობლების მონაწილეობით;

- **უზრუნველყოფს მშობლების მხარდაჭერით განათლების მიწოდებას:** წარმოებს მშობლების/მეურვეების ორიენტირება ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების პროგრამაზე. შესაბამისად, მათ იციან, რას სწავლობენ მათი შვილები და შეუძლიათ, დაეხმარონ პროგრამის ფარგლებში ათვისებული ცოდნის გამყარებაში ან მიანოდონ დამატებითი ცოდნა და ინფორმაცია;
- **უზრუნველყოფს მშობლების მიერ განათლების მიწოდებას:** მშობლები/მეურვეები გადიან სპეციალურ ტრენინგს, რომელიც მიზნად ისახავს მათ მომზადებას იმისთვის, რომ ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების პროგრამა განახორციელონ სხვა მშობლებთან/მეურვეებთან ან ბავშვებთან.
- **არის ოჯახზე დაფუძნებული:** მშობლები/მეურვეები ბავშვებთან ერთად მონაწილეობენ სტრუქტურულ პროგრამაში, მაგალითად, ერთად ეცნობიან ვიდეომასალას ან ერთად უსმენენ მუსიკას.

ზოგიერთი პროგრამა შეიძლება მოიცავდეს ზემოთ ჩამოთვლილი ორი ან მეტი მიდგომის კომბინაციას.

პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

ეფექტიანი ინტერვენციის საერთო კომპონენტებს წარმოადგენს:

- ერთობლივი შეხვედრები მშობლების/მეურვეებისა და შვილების მონაწილეობით;
- მშობლების/ოჯახების ჩართვის ხელშეწყობა;
- ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება სპეციალურად მშობლებისათვის/მეურვეებისათვის და მათთვის შესაძლებლობების შექმნა, შვილებთან კომუნიკაციისას გამოიყენონ ახალი უნარები.
- **მშობლების/მეურვეების ინფორმირება შვილების ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლებაში (CSE) მათი ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ:** პროგრამებში ყურადღება უნდა გამახვილდეს მშობლებსა და შვილებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობაზე, სანამ ბავშვები სექსუალურად აქტიურები გახდებიან და ხელს უნდა უწყობდეს მშობლების/მეურვეების დარწმუნებას იმაში, რომ შვილებთან სექსუალობის შესახებ კომუნიკაციას დადებითი შედეგები მოაქვს, მაგალითად, ინვესტ მშობლების/მეურვეების მიმართ დადებით განწყობას და შეიძლება ეფექტიანი აღმოჩნდეს, აივ ინფექციის პრევენციის თვალსაზრისით (Villarruel et al., 2008). მნიშვნელოვანია, მშობლებისა და მეურვეების დახმარება (განსაკუთრებით წინამდებარე სახელმძღვანელოში აღწერილი კონკრეტული ჯგუფების წარმომადგენელი ბავშვებისა და ახალგაზრდების მშობლებისა და მეურვეების), რათა მათ სრულფასოვნად გააცნობიერონ შვილების მოწყვლადობის დონე, სექსუალობასთან დაკავშირებული საჭიროებები და უფლებები.
- **კონსულტირება მშობლებთან/მეურვეებთან:** საჭიროა მშობლების/მეურვეების გამოკითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რა დონეზე სურთ, იყვნენ ჩართულები შვილების ან მეურვეობის ქვეშ მყოფი ბავშვების განათლებაში ადამიანის სექსუალობის შესახებ; რა ცოდნას ფლობენ ისინი ამ მიმართულებით და რა ხარვეზის შევსებაა აუცილებელი; რა საზრუნავი აქვთ მათ შვილების ან მეურვეობის ქვეშ მყოფი ბავშვების სექსუალობასა და სექსუალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით და როგორ არის შესაძლებელი პროგრამის ფარგლებში მათი მაქსიმალური მხარდაჭერა და ხელშეწყობა.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

- **მშობლების/მეურვეების ცნობადობის ამაღლება სამართლიანი გენდერული ნორმებისა და დამოკიდებულების მნიშვნელობის შესახებ:** მშობლები/მეურვეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოზარდთა შორის გენდერული ნორმებისა და დამოკიდებულების ფორმირებაში. ხშირ შემთხვევაში, მათ სურთ, რომ შვილები საზოგადოებაში დამკვიდრებულ გენდერულ ნორმებს აკმაყოფილებდნენ (რომლებიც, როგორც წესი, არათანაბარია) და ცდილობენ აღნიშნულის მიღწევას მითითებების, გამხნევების, ნახალისების, შეგონებისა და დისციპლინირების გზითაც კი (Chandra-Mouli et al., 2017). შესაბამისად, პროგრამები უნდა ითვალისწინებდეს მშობელთა/მეურვეთა დახმარებას უფრო თანაბარი გენდერული დამოკიდებულებისა და ნორმების დანერგვაში.
- **მშობლებსა და შვილებს შორის კავშირის გაღრმავების ხელშეწყობა:** მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის ზოგადი მახასიათებლები, როგორცაა კავშირი, მხარდაჭერა და სამომავლო მოლოდინის გაზიარება, შეიძლება უფრო მეტად ზემოქმედებდეს ბავშვების სექსუალურ ქცევაზე, ვიდრე კონკრეტული კომუნიკაცია სექსუალობაზე – ისინი უმნიშვნელოვანესია და ჭეშმარიტად ზემოქმედებენ ბავშვის განვითარებაზე, ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების სფეროს მიღმაც. შესაბამისად, მშობლების/მეურვეების მონაწილეობით წარმართული ინტერვენცია ორიენტირებული უნდა იყოს მათი მხრიდან მონიტორინგის გაუმჯობესებასა და შვილების ქცევის რეგულირებაზე; მშობლების/მეურვეების დახმარებაზე სექსუალური ურთიერთობების შესახებ მათი ღირებულებების შვილების ან მეურვეობის ქვეშ მყოფი ბავშვებისთვის გადაცემაში და მათ ხელშეწყობაზე, გამოავლინონ ისეთი ქცევა, რომელიც სურთ, რომ აითვისონ შვილებმა, ე.ი. შვილებისთვის მისაბაძი ქცევა (Wight et al., 2012; Santa Maria et al., 2015).
- **მშობლების/მეურვეების ჩართვა პროგრამებში ტექნოლოგიების საშუალებით:** რესურსების არსებობის შემთხვევაში, ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელია ჯგუფურ სამუშაოებში, მრავალჯერადი შეხვედრებში მონაწილეობის შემადგერხებელი ზოგადი ბარიერების დაძლევა. ასეთი ფაქტორები შეიძლება იყოს სამსახური ან საოჯახო ვალდებულებები, დროის ნაკლებობა ან ტრანსპორტირების პრობლემები. დეტალური ინფორმაცია იხილეთ 2.5 თავში.

მნიშვნელოვანი დოკუმენტები და სასწავლო გეგმები

- კავშირების შექმნა (Melbourne Graduate School of Education);
- მოდით, ვისაუბროთ! კომუნიკაცია მშობლებსა და შვილებს შორის, სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან (სრჯ) დაკავშირებულ საკითხებზე (UNFPA, 2018);
- პირველი ნაბიჯებიდან: რეკომენდაციები სექსუალობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, დაბადებიდან 5 წლის ასაკამდე ბავშვების აღზრდაში (Sexuality Education and Information Council of the United States, 1998);
- მშობლების მიერ სკოლებში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების ადვოკატირება (Advocates for Youth, 2002);
- კომუნიკაცია ბავშვებთან: აღზრდის, შთაგონების, მოტივირების, განათლების, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის პრინციპები და პრაქტიკა (UNICEF, 2011).

2.5 ტექნოლოგიების გამოყენება არაფორმალური განათლების სისტემაში განხორციელებულ ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლებაში (CSE)

ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობა ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდებაში და მისი ზეგავლენა განათლების ხარისხზე სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება და დიდ ინტერესს იწვევს, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ბევრი ბავშვი და ახალგაზრდა

თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიური და ხშირი მომხმარებელია (Noar, 2011; Talukdar, 2013; Holstrom, 2015; Oosterhoff et al., 2017). იქ, სადაც ბავშვებსა და ახალგაზრდებს აქვთ წვდომა ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებზე, მიიჩნევა, რომ ინტერნეტი და სოციალური ქსელები მათთვის უკვე წარმოადგენს სექსუალობისა და ურთიერთობების შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროს. ტექნოლოგიები ასევე შეიძლება გამოიყენებოდეს სტრუქტურული პროგრამების ან პროგრამის გარკვეული კომპონენტების განსახორციელებლად. ონლაინ და ციფრული კომპონენტები შესაძლებელია:

- იყოს უფრო ხელმისაწვდომი, ვინაიდან მათზე წვდომა შესაძლებელია უფრო მოქნილად და მოხერხებულად იქ და მაშინ, სადაც და როდესაც სურს მონაწილეს. ეს შეიძლება განსაკუთრებით სასარგებლო იყოს იმ მონაწილეთათვის, რომლებიც გეოგრაფიულად იზოლირებულები არიან, მუდმივად გადაადგილდებიან ან არ სურთ ჯგუფში სხვებთან ერთად მუშაობა (ან იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფთან ერთად მუშაობა მათთვის საფრთხის შემცველია) ;
- იყოს უფრო ეფექტიანი, რადგან, საბოლოო ჯამში, უფრო მეტ ადამიანს აძლევს ხელმისაწვდომ ფასად პროგრამაზე წვდომის საშუალებას;
- მოიცავდეს ინტერაქტიურ, საინტერესო და პერსონალიზებულ შინაარსს, რომელიც პროგრამას უფრო ტრანსფორმაციულს ხდის, ვიდრე პროგრამის განხორციელების სხვა მეთოდები;
- მოერგოს მონაწილისათვის დამახასიათებელ სწავლის ტემპს;
- ეფექტიანად და უსაფრთხოდ უზრუნველყოს ბავშვებისა და ახალგაზრდების კონკრეტული ან მცირერიცხოვანი ჯგუფების მოცვა და მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც უშუალოდ მათ საჭიროებებზე იქნება მორგებული;
- ზედმინევიან უზრუნველყოს ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდება, იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა მოიცავს ფიქსირებულ შინაარსს და არ არის დამოკიდებული ფასილიტატორის სურვილზე, გადასცეს თუ არა იგი მონაწილეებს ან რომელიმე თემის მიმართ მათ პოტენციურად მიკერძოებულ დამოკიდებულებაზე (Downs et al., 2015).

არსებობს რამდენიმე ელემენტი, რომელიც ყურადღებასა და გათვალისწინებას საჭიროებს, როდესაც ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდება წარმოებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით:

- ზოგიერთი მიდგომა, რომელიც ტექნოლოგიის გამოყენებას ეფუძნება, შეიძლება ნაკლებად ეფექტიანი აღმოჩნდეს რესურსების ნაკლებობის პირობებში (ან ისეთ ადგილებში, სადაც ინტერნეტზე ან ელექტროენერგიაზე წვდომა შეზღუდულია);
- ზოგიერთი ინტერვენცია, როგორცაა სერიოზული თამაშები (იხ. ტერმინების განმარტება) ან სიმულაციები, საჭიროებს ხანგრძლივ და რთულ პროცესებს და მნიშვნელოვან დაფინანსებას, მაღალი ხარისხის პროდუქციის შექმნის ხელშესაწყობად. დრო და რესურსები ადეკვატურად უნდა იყოს დაგეგმილი;
- სიმულაციების გამოყენებით მონაწილეთა სწავლის შეფასება შეიძლება უფრო რთული აღმოჩნდეს;
- ტექნოლოგიებმა შესაძლებელია ისეთი სწრაფი ცვლილება განიცადოს, რომ იმ დროისთვის, როდესაც აქტივობა შეიქმნება და შეფასდება, ხანგრძლივი, რანდომიზებული, კონტროლირებადი კვლევის შედეგად, გამოყენებული ტექნოლოგია შესაძლოა, უკვე მოძველებული აღმოჩნდეს;
- მიუხედავად იმისა, რომ მობილური ინტერნეტი ფართოდ იწერება და ფინანსურად უფრო

ხელმისაწვდომი ხდება, ბავშვებსა და ახალგაზრდებს არ აქვთ ერთნაირი წვდომა მასზე, განსაკუთრებით დაბალშემოსავლიან ქვეყნებში. ასევე, ინტერნეტზე წვდომის თვალსაზრისით, განსხვავება არსებობს გეოგრაფიული მდებარეობისა და ცუდი ინფრასტრუქტურის გამო (მათ შორის, მთიან რაიონებში, კუნძულებსა და ზოგიერთ სოფლად მცხოვრებთათვის), ამ მიმართულებით განსხვავების განმაპირობებელ სხვა ფაქტორებს წარმოადგენს სქესი, ენა და ზოგადად წიგნიერებისა და ციფრული წიგნიერების დონე (ITU, 2017; UNICEF, 2017; Broadband Commission, ITU and UNESCO, 2018; GSMA and IPSOS, 2018);

- ტექნოლოგიები ვერ ჩაანაცვლებს მოზრდილების მხარდაჭერასა და ხელმძღვანელობას ბავშვის ან ახალგაზრდის ცხოვრებაში. ისინი უნდა განიხილებოდეს, როგორც სასარგებლო ინსტრუმენტი, მაგრამ არა როგორც მოზრდილებთან ურთიერთობის ალტერნატივა.

პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

- **ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) ხელშეწყობისთვის თანამედროვე ტექნოლოგიების საჭიროებებისა და პოტენციური გამოყენების სფეროების შეფასება:** საჭიროა ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) დანერგვასთან დაკავშირებული გამონწვევების იდენტიფიცირება და იმის ანალიზი, შესაძლებელია თუ არა ამ გამონწვევებთან გამკლავება ტექნოლოგიების გამოყენებით და როგორ არის ეს შესაძლებელი. საჭიროა იმ ფაქტორების შეფასება, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობასა და გამოყენებაზე. ეს ხელს შეუწყობს შერჩეული ნებისმიერი ტექნოლოგიის შესაბამისობის, მდგრადობისა და უნიკალურობის უზრუნველყოფას (Principles for Digital Development, n.d.).
- **არსებული გამოცდილებისა და პრაქტიკის გამოყენება:** მწირი რესურსების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით, დროის დაზოგვისა და ორმაგი ძალისხმევის თავიდან ასაცილებლად, რაიმე სრულიად ახლის შექმნის ნაცვლად, შესაძლებელია არსებული პროდუქტის, რესურსებისა და მიდგომის ადაპტირება და არსებულ კონტექსტზე მორგება. საამისოდ საჭიროა ციფრულ საზოგადოებაში გამოცდილი და პოპულარული პროდუქტების მოძიება და შესწავლა, კონფერენციების, ბლოგებისა და პროგრამების მასალების შესწავლისა და შეფასების საშუალებით. პროდუქტის გამოცდის პროცესში საჭიროა მონიტორინგისა და უკუკავშირის სისტემების ჩართვა, პროდუქტის გასაუმჯობესებლად საჭირო მონაცემთა შეგროვების მიზნით.
- **გამოცდილი და კვალიფიციური კადრების მოზიდვა:** ტექნოლოგიებზე დაფუძნებული პროგრამების ან პროგრამის კომპონენტების, განსაკუთრებით დახვეწილი და პოტენციურად უფრო ეფექტიანი პროგრამებისა და კომპონენტების შესაქმნელად ხშირად საჭიროა კვალიფიციური კადრები. ტექნოლოგიების სპეციალისტებთან და შინაარსის (კონტენტის) შექმნის მიმართულებით მომუშავე ექსპერტებთან თანამშრომლობამ შეიძლება უზრუნველყოს პროდუქციის მაღალი ხარისხი და მაღალეფექტიანობა.
- **პარტნიორული ურთიერთობა ბავშვებსა და ახალგაზრდებთან:** პროგრამის ახალი, ტექნოლოგიებზე დაფუძნებული კომპონენტების შემუშავებისას აუცილებელია ბავშვთა და ახალგაზრდების მახასიათებლების, საჭიროებების, ინტერესებისა და გამონწვევების გათვალისწინება და იმ სიტუაციის და ენის გაცნობა, რომელთანაც ისინი იდენტიფიცირებენ. ამ კომპონენტთა შემუშავებაზე პასუხისმგებელმა პირებმა კომპონენტთა შემუშავების პროცესში რეკომენდებულია, ითანამშრომლონ ბავშვებსა და ახალგაზრდებთან, რათა მიაგნონ საჭირო გადაწყვეტილებებს და შექმნან, გამოსცადონ

და აწარმოონ პროდუქტის შეცვლა, ვიდრე ისინი არ დააკმაყოფილებენ მომხმარებლის საჭიროებას (Principles for Digital Development, n.d.).

- **პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და უსაფრთხოების შეფასება და უზრუნველყოფა:** აუცილებლად გასათვალისწინებელია, თუ რომელი მომხმარებლისა და პროგრამის მონაცემების შეგროვება წარმოებს და როგორ ხდება მათი მოპოვება, გამოყენება, შენახვა და გაზიარება. პროგრამები უნდა უზრუნველყოფდეს მონაწილეთა კონფიდენციალური ინფორმაციისა და პერსონალური მონაცემების დაცვას არასანქცირებული წვდომისა და მანიპულირებისგან. პრაქტიკის პასუხისმგებლობით განხორციელება მოიცავს მონაცემთა შეგროვება-გამოყენებისას გამჭვირვალობის უზრუნველყოფას; შეგროვებული პერსონალური იდენტიფიცირებადი და სენსიტიური ინფორმაციის რაოდენობის შემცირებას; უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნასა და დანერგვას, რომელიც იცავს მონაცემებს და პიროვნების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და ღირსებას და პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემების მართვას პროექტის დასრულების შემდეგ (Principles for Digital Development, n.d.).
- **ინდივიდუალიზაცია და ინტერაქტიურობა:** ტექნოლოგიების დახვეწამ გავლენა იქონია იმ გზებზე, რომლებითაც შეიძლება მათი გამოყენება ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მაღალეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. შესაძლებელი გახდა მასალის მორგება მოსწავლის შემეცნებით დონეზე, განათლების დონესა და სექსუალურ გამოცდილებაზე, ცოდნის მიმართულებით არსებულ კონკრეტულ ხარვეზებზე, სქესზე, რასაზე, ეთნიკურ წარმომავლობასა და რისკფაქტორზე. ტექნოლოგია შეიძლება იყოს ინტერაქტიური და მოსწავლის არჩევანზე მორგებული. მაგალითები მოიცავს სიმულაციურ პროგრამებს (რომელშიც მოსწავლე ურთიერთობს რეალურ გარემოსთან, იღებს გადაწყვეტილებებს, იძენს და პრაქტიკაში იყენებს უნარ-ჩვევებს) და სერიოზულ თამაშებს, რომლებიც აერთიანებს გართობისა და კონკურენციის ელემენტებს, პედაგოგიური ღირებულების გაზრდის მიზნით. ინტერაქტიური ტექნოლოგიები უზრუნველყოფს დაუყოვნებლივ, პერსონალიზებულ უკუკავშირს და საშუალებას აძლევს მონაწილეებს, განმეორებით გაიარონ სიტუაციები და გამოსცადონ სხვადასხვა არჩევანი ან გამოსავალი.
- **საჭიროა უზრუნველყოფა, რომ ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელებული ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამები სასწავლო გეგმას ეფუძნებოდეს:** ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამების სხვა კომპონენტების გარეშე, ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელება, უნდა მოიცავდეს მექანიზმს, რომელიც მომხმარებლისგან მოითხოვს კონკრეტულ ელემენტებზე მუშაობას განსაზღვრული თანმიმდევრობით. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს აქვს საშუალება, თავად შეარჩიოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ის კომპონენტი, რომელზე მუშაობაც მას სურს და უგულებელყოს სხვა კომპონენტი, მათი სწავლის გამოცდილება და მასალა, რომელსაც ის ითვისებს, ვერ იქნება კომპლექსური და ყოვლისმომცველი.
- **შინაარსის (კონტენტის) და პროდუქტის ადეკვატური მართვა:** ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელებულ ნებისმიერ პროგრამაში მოცემული ინფორმაცია უნდა იყოს უახლესი და ადეკვატური, რათა თავიდან იქნას აცილებული მოძველებული ან არაზუსტი ინფორმაციის გავრცელება ინტერნეტის საშუალებით.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

- **ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მეთოდების ფართო სპექტრის განხილვა, ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამის კომპონენტების**

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

- **ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მეთოდების ფართო სპექტრის განხილვა, ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამის კომპონენტების განსახორციელებლად:** აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს სატელეფონო ზარს, ტექსტურ შეტყობინებას, ელ.ფოსტას, მასმედიას, ვებგვერდებს, ბლოგებს, ვლოგებს, ვიდეოებს, პოდკასტებს, აპლიკაციებსა და სოციალურ ქსელებს, ასევე კომპიუტერულ ან ვებგვერდზე დაფუძნებულ ინტერაქტიურ განათლებას, კურსებს, ვიქტორინებს, თამაშებს, სიმულაციებსა და სერიოზულ თამაშებს, ვირტუალურ რეალობას და ჩატებს (კომპიუტერულ პროგრამებს, რომლებიც ადამიანებთან საუბრის სიმულაციას ახდენს და კითხვებზე პასუხობს).
- **ტექნოლოგიების კომბინირება სხვა მიდგომებსა თუ მეთოდებთან:** ცალკეული მეთოდებით შეუძლებელია ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამის სრულფასოვნად მიწოდება, თუმცა ამ მეთოდების უმრავლესობის გამოყენება შესაძლებელია ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამის განხორციელებისას ან მისი დამატების სახით, კლინიკებში, შინ მშობლებთან ერთად ან პირისპირ განხორციელებული პროგრამების ფარგლებში. მაგალითად, ვიდეოები და კომპიუტერის საშუალებით განხორციელებული პროგრამები, კლინიკაში, ბავშვებსა და ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს, ეფექტიანად აითვისონ ინფორმაცია კონტრაცეფციის საშუალებების ან სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებისა (სგგი) და

პროგრამის განხორციელება

- **გადაწყვეტილებების ძიება ისეთ კონტექსტში, სადაც ბავშვებსა და ახალგაზრდებს არ აქვთ მარტივი წვდომა ტექნოლოგიებზე:** პროგრამის კომპონენტი შესაძლებელია განხორციელდეს ისეთ გარემოში (მაგალითად, კლინიკაში ან სკოლაში), სადაც ამის საშუალება არსებობს ან ბავშვებსა და ახალგაზრდებს დაურიგდეთ მობილური ტელეფონები, თუ ბიუჯეტი ამის საშუალებას იძლევა (Guse et al., 2012). ასევე შესაძლებელია, თემის წარმომადგენელ პედაგოგებს დაურიგდეთ პლანშეტები ან კომპიუტერები, სამუშაოს შესასრულებლად (Bailey et al., 2010).
- **ვებგვერდებისა და აპლიკაციების ფუნქციის გაფართოება:** პროგრამები, რომლებიც სხვა მიზნებს ემსახურება და დამატებითი ფუნქციები აქვს, შესაძლებელია, გამოყენებული იქნას/გამოიყენებოდეს მეტი ბავშვისა და ახალგაზრდის მოსაზიდად. ასევე, მნიშვნელოვანია ამ მიზნით სოციალური მედიის პლატფორმებისა და სხვა ტექნოლოგიების გამოყენება.
- **მონაწილეთა შენარჩუნებაზე ზრუნვა:** თუ პროექტი კარგად არის შემუშავებული (მომხმარებელთან თანამშრომლობით), მიმზიდველია და ეტაპობრივ მიდგომას ეყრდნობა, სავარაუდოდ, მარტივი იქნება მის ფარგლებში მონაწილეთა შენარჩუნება.
- **„Facebook“-ჯგუფის გვერდების, ბლოგებისა და ინტერაქტიური ფორუმების კონტროლი:** როდესაც მონაწილეები ერთვებიან ონლაინრეჟიმში ერთმანეთთან საუბარში ან ერთმანეთს გადასცემენ ინფორმაციას, აუცილებელია პერსონალის მიერ თანმიმდევრული მონიტორინგი იმის უზრუნველსაყოფად, რომ მონაწილეთა მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია იყოს ზუსტი და შეესაბამებოდეს ჭეშმარიტებას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც გამოიყენება სოციალური მედიის გვერდები, რადგან მათი მომხმარებელი შეიძლება ადვილად მოექცეს არასასურველი რეკლამის ან უცხო პირის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის გავლენის ქვეშ (UNICEF, 2011a; UNFPA et al., 2015; UNDP et al., 2016). ჯგუფის ადმინისტრატორთა ვალდებულებაში უნდა შედიოდეს ონლაინჩაგვრისა და ძალადობის ელემენტების მონიტორინგი.

მნიშვნელოვანი დოკუმენტები

- ციფრული განვითარების პრინციპები (website);
- მობილური ტელემედიცინის დაგეგმვის სახელმძღვანელო: ჯანდაცვის პროგრამებში მობილური ტექნოლოგიების ჩართვასთან დაკავშირებული ძირითადი მოსაზრებები (K4Health, 2014);
- მობილური ტელემედიცინის საფუძვლები: ჯანდაცვაში მობილური ტექნოლოგიების გამოყენების საფუძვლები (Global Health Learning Centre, 2013);
- მასშტაბის ზრდის მიზნით მობილური ტელემედიცინის შეფასებისა და დაგეგმვის ინსტრუმენტთა ნაკრები: მობილური ტელემედიცინის შეფასება და დაგეგმვა, ტელემედიცინის მასშტაბების ზრდის მიზნით (WHO, 2013);
- მობილური ტელემედიცინის დაგეგმვის ინსტრუმენტთა ნაკრები: განვითარებადი ბაზრის მქონე ქვეყნებში მობილური ტელემედიცინის სერვისების ამოქმედების, განვითარებისა და მასშტაბის ზრდის ათი პრინციპი (GSMA, n.d.);
- ეფექტური სერიოზული თამაშების შექმნასთან დაკავშირებული რეკომენდაციები (Researchgate, 2014);
- ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება ციფრულ ეპოქაში (Institute of Development Studies, 2014).

3. ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდება ახალგაზრდების კონკრეტული ჯგუფებისათვის არაფორმალური განათლების სისტემაში

ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) ნებისმიერი პროგრამა მაქსიმალურად ინკლუზიური უნდა იყოს, რაც გულისხმობს პროგრამაში ჩართული ბავშვებისა და ახალგაზრდების მრავალფეროვნებას, განურჩევლად ყველას გამოცდილების გათვალისწინებასა და ყველას საჭიროებათა დაკმაყოფილებას. თუმცა, ზოგადად, ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის განკუთვნილი ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება (CSE) შეუძლებელია, მოიცავდეს ყველა ჯგუფის კონკრეტული საჭიროებების დაკმაყოფილებას. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ კონტექსტში, ბავშვები და ახალგაზრდები, რომლებიც მარგინალიზებულ ჯგუფს მიეკუთვნებიან, თავს გაცილებით უსაფრთხოდ გრძნობენ და თავიანთ სექსუალობასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე პირად მოსაზრებებს უფრო თავისუფლად გამოთქვამენ ჯგუფში, სადაც მათი მსგავსი მონაწილეები არიან წარმოდგენილნი. გამომდინარე აქედან, წინამდებარე ნაწილში მოცემულია ინფორმაცია და რეკომენდაციები, რომლებიც ეხება ბავშვებისა და ახალგაზრდების კონკრეტული ჯგუფებისათვის ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდებას არაფორმალური განათლების სისტემაში. თითოეული ჯგუფის შემთხვევაში საჭიროა ქვევით მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინება, გარდა იმ რეკომენდაციებისა, რომლებიც

შესულია წინამდებარე სახელმძღვანელოს მე-2 ნაწილში.

აუცილებელია, აღინიშნოს, რომ ბევრი ბავშვი თუ ახალგაზრდა შესაძლებელია, წინამდებარე თავში აღწერილი ჯგუფებიდან მხოლოდ ერთ ჯგუფს არ წარმოადგენდეს. არიან ბავშვები და ახალგაზრდები, რომლებიც თანადროულად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების არიან და გვი თემსაც განეკუთვნებიან, ბავშვები და ახალგაზრდები, რომლებიც ნარკოტიკების მომხმარებლები არიან და ამავდროულად სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში იმყოფებიან, ახალგაზრდა ტრანსგენდერები, რომლებიც ჰუმანიტარული კრიზისის შედეგად დაზარალებული პირებსაც წარმოადგენენ, მოზარდი გოგონები, რომლებიც მკვიდრ მოსახლეობას მიეკუთვნებიან და სასოფლო დასახლებაში ცხოვრობენ – ფაქტობრივად, ბავშვები და ახალგაზრდები, რომლებსაც აქვთ იდენტობის, საჭიროებებისა და ინტერესების ყველა შესაძლო კომბინაცია. პირები, რომლებიც ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდებაზე არიან პასუხისმგებელი, ყოველთვის უნდა ფლობდნენ სრულყოფილ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელ ჯგუფსა თუ ჯგუფებს წარმოადგენენ პროგრამაში მონაწილე პირები და უნდა იყენებდნენ მიდგომას, რომელიც აღიარებს მრავალ იდენტობას და იმ განსხვავებულ რეალობას, რომელშიც მათ უწევთ ცხოვრება.

3.1 გენდერული ნიშნით დაჯგუფება

რეკომენდებულია, ნებისმიერი გენდერის წარმომადგენელი ბავშვები თუ ახალგაზრდები ერთად იღებდნენ განათლებას ადამიანის სექსუალობის შესახებ, თუნდაც იმის გამო, რომ ბევრი მონაწილე შესაძლებელია რომანტიკულ ან სექსუალურ ურთიერთობაში იმყოფებოდეს სხვა გენდერის წარმომადგენელთან. თუმცა შეიძლება, აუცილებელი გახდეს ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდება ბავშვებისა და ახალგაზრდების გენდერული ნიშნით დაყოფილი ჯგუფებისათვის იქ, სადაც ამგვარი მიდგომა ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების მიწოდების, კულტურის თვალსაზრისით მისაღებ, ერთადერთ შესაძლო გზას წარმოადგენს.

გარდა ამისა, მართალია, გენდერისა და ძალადობის შესახებ ინფორმაცია და მასალა ყველასთვის ერთნაირი იქნება, უმეტეს ქვეყნებში გენდერული უთანასწორობაა დამკვიდრებული მამაკაცებსა და ქალებს, გოგონებსა და ბიჭებს შორის. გენდერულ-ტრანსფორმაციულმა მიდგომამ (იხ. ტერმინების განმარტება) მონაწილეებს თითოეული თემისთვის გენდერული ანალიზის საშუალება უნდა მისცეს, რათა კრიტიკულად შეაფასონ, თუ როგორ ზემოქმედებს მათ ცხოვრებაზე გენდერთან დაკავშირებული საკითხები, თუმცა შეიძლება, გარკვეულწილად, ეფექტიანი აღმოჩნდეს გოგონებსა და ბიჭებთან განსხვავებული მიდგომის გამოყენება – გოგონების გაძლიერება და ბიჭებისთვის შესაძლებლობის მიცემა, რათა მათ გააცნობიერონ ქალებისა და გოგონებისთვის ძალაუფლების გაზიარების სარგებელი და ღირებულება (Greene and Levack, 2010). გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ სწავლებისას ასევე შეიძლება სხვადასხვა გენდერთან განსხვავებული მიდგომის გამოყენება, ვინაიდან ძალადობის მსხვერპლსა და ძალადობის შედეგად დაზარალებულ პირებს უმთავრესად წარმოადგენენ გოგონები და არაბინარული გენდერის მქონე პირები ან გენდერულად არაკონფორმული ადამიანები; მაშინ, როცა

გენდერული სოციალიზაცია ბიჭებსა და მამაკაცებს გენდერული ნიშნით ძალადობის ჩამდენ პირებად წარმოაჩენს, ისინიც შეიძლება იქცენ სექსუალური ან სხვა ფორმის ძალადობის მსხვერპლად.

პროგრამის განხორციელება შესაძლებელია გენდერის მიხედვით დაჯგუფებულ ბავშვებსა და ახალგაზრდებთან ან მონაწილეები შესაძლებელია ამგვარ ჯგუფებში გადანაწილდნენ მხოლოდ კონკრეტული თემისადმი მიძღვნილი შეხვედრებისას. ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდება ერთი გენდერის წარმომადგენლებისაგან შემდგარი ჯგუფისათვის განსაკუთრებით ეფექტიანი შეიძლება აღმოჩნდეს მოზარდი გოგონებისათვის (Greene and Levack, 2010; Morrison-Beedy et al., 2013; AGSA, 2016). ამგვარად იქმნება სწავლის გარემო, სადაც ნაკლებია გენდერული სტერეოტიპების წარმოჩენისა და გაუცნობიერებელი მიკერძობის ალბათობა; ნაკლებად ხდება გოგონების მარგინალიზება. მათ ეძლევათ შესაძლებლობა, ლიდერების როლი იტვირთონ და თავისა და შესაძლებლობებისადმი რწმენა განიმტკიცონ.

პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები უნდა გაესაუბრონ ნებისმიერ მონაწილეს, რომლებიც არაბინარული გენდერის მქონე პირებს (იხ. ტერმინების განმარტება) წარმომადგენენ, იმის შესახებ, თუ როგორ სურთ პროგრამაში ჩართვა (Greene and Levack, 2010). ერთ-ერთი გამოსავალი ამ შემთხვევაში შესაძლებელია იყოს ცალკე ჯგუფის შექმნა იმ მონაწილეთათვის, რომლებსაც სურთ პროგრამაში მონაწილეობა შერეულ ჯგუფებში ჩართულობით.

გენდერის მიხედვით დაკომპლექტებულ ჯგუფებში გამოიყენება ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) ერთნაირი დაგეგმვა, მეთოდოლოგია და ერთნაირად მიწოდება, თუმცა არსებობს მახასიათებლები, რომლებიც განსხვავებული იქნება თითოეული ჯგუფისათვის. წინამდებარე ნაწილში მოცემულია რეკომენდაციები ისეთ საკითხებზე, რომელთაც ხშირად არ ითვალისწინებენ, რომლებიც ემყარება კონკრეტულ ლიტერატურას და ბავშვების, ახალგაზრდებისა და პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების გამოცდილებას.

3.1.1 გოგონები და ახალგაზრდა ქალები

პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

- **ყველაზე მარგინალიზებული გოგონების იდენტიფიცირება და პროგრამაში ჩართვა:** მნიშვნელოვანია იმ განსაკუთრებული რისკისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება, რომლებიც გოგონებისა და ახალგაზრდა ქალების სხვადასხვა ქვეჯგუფს უკავშირდება, პროგრამების მათ საჭიროებებზე მოსარგებად. სამიზნე ჯგუფებს შეიძლება წარმოადგენდნენ 10-დან 14 წლამდე და 15-დან 19 წლამდე ასაკის გოგონები, მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი გოგონები და ახალგაზრდა ქალები, ქორწინებაში მყოფი, დაუქორწინებელი, სასკოლო განათლების მიღმა დარჩენილი, საოჯახო საქმეებში დამხმარედ დაქირავებული გოგონები და ახალგაზრდა ქალები, ახალგაზრდა დედები და ა.შ. პროგრამების დაგეგმვისას შესაძლებელია, განისაზღვროს სამიზნე ჯგუფებში დაშვების კრიტერიუმები და ყურადღება გამახვილდეს ამ კრიტერიუმების მიხედვით პროგრამაში მონაწილეების ჩართვაზე. მუდმივად შინ მყოფი გოგონების იდენტიფიცირებისა და პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად მონვევის მიზნით შესაძლებელია ეფექტიანი აღმოჩნდეს პროგრამის მოზარდილი ფასილიტატორების

ფასილიტატორების ვიზიტებიან სახლებში, რა დროსაც საჭიროა ამ გოგონების ოჯახების უფროსი ასაკის წევრების ინფორმირება პროგრამის შესახებ (Erulkar et al., 2013). განსახორციელებლად: აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს სატელეფონო ზარს, ტექსტურ შეტყობინებას, ელ.ფოსტას, მასმედიას, ვებგვერდებს, ბლოგებს, ვლოგებს, ვიდეოებს, პოდკასტებს, აპლიკაციებსა და სოციალურ ქსელებს, ასევე კომპიუტერულ ან ვებგვერდზე დაფუძნებულ ინტერაქტიურ განათლებას, კურსებს, ვიქტორინებს, თამაშებს, სიმულაციებსა და სერიოზულ თამაშებს, ვირტუალურ რეალობას და ჩატებს (კომპიუტერულ პროგრამებს, რომლებიც ადამიანებთან საუბრის სიმულაციას ახდენს და კითხვებზე პასუხობს).

- **გოგონების პროგრამაში ჩართვა ადრეული ასაკიდან, საუკეთესო შემთხვევაში სქესობრივი მომნიშვნის დაწყებამდე:** ადრეული ასაკიდან გოგონების აღჭურვა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული, სოციალური, შემეცნებითი და ეკონომიკური ცოდნითა და უნარ-ჩვევებით ხელს შეუწყობს ისეთი მავნე მოვლენების აღკვეთას, როგორცაა მათ მიერ სასკოლო განათლების შეწყვეტა, მოზარდთა ორსულობა, სექსუალური ძალადობა, ბავშვთა ქორწინება და გარიგებით სექსუალური კავშირები (Chae and Ngo, 2017; Austrian et al, 2018; Bandiera et al, 2020). პროგრამის მაქსიმალური ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად საჭიროა პროგრამებში გოგონათა ჩართვა ადრეული მოზარდობის ასაკიდან (LeCroy et al., 2017; UNESCO et al, 2018).
- **მრავალმხრივი პროგრამების შემუშავება, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება კონკრეტულ კონტექსტში გოგონების საჭიროებების დაკმაყოფილება:** მრავალკომპონენტიანი პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს გოგონებისთვის ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდებას, შესაბამის სამედიცინო მომსახურებაზე წვდომას, გულისხმობს სოციალური ქსელებისა და მისაბაძი მაგალითების გამოყენებას, ასევე, მცირე დანაზოგის გაკეთების სწავლებასა და დასაქმებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გადაცემას, საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადრეულ ასაკში ქორწინების აღკვეთისა და აივ ინფიცირების რისკის შემცირების მიმართულებით (UNAIDS, 2016b; Engel et al, 2019).

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

- **სხვადასხვა ქვეჯგუფის კონკრეტული საჭიროებების დაკმაყოფილება:** პროგრამით გათვალისწინებული აქტივობები და მეთოდები რეკომენდებულია, მოიცავდეს ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) სასწავლო გეგმასთან კომბინირებულ ღირებულებათა განვითარების სხვადასხვა მიდგომას, რომლებიც ყურადღებას ამახვილებს ადამიანის უფლებებზე, გენდერსა და ძალაუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე და ითვალისწინებს გოგონებისა და ახალგაზრდა ქალების, ქორწინებაში მყოფი და ქორწინებაში არმყოფი ახალგაზრდა ქალებისა და ახალგაზრდა დედების საჭიროებებს (Population Council, 2018).

პროგრამის განხორციელება

- **ახალგაზრდა მენტორების, როგორც მისაბაძი პირების, ჩართვა:** ახალგაზრდა მენტორები წარმოადგენენ პროგრამაში მონაწილე გოგონებზე მცირედით უფროსი ასაკის პირებს, რომლებსაც შეუძლიათ მონაწილე გოგონებს შორის აღფრთოვანების გამოწვევა, რომლებსაც ენდობიან მონაწილენი და შეუძლიათ, რჩევისთვის მიმართონ. ახალგაზრდა მენტორები შესაძლებელია, გოგონებისათვის განკუთვნილი პროგრამების წარმატების მნიშვნელოვან ფაქტორად იქცნენ და მათი შერჩევა უნდა წარმოებდეს იმ თემიდან,

თემიდან, რომელ თემსაც ეკუთვნის პროგრამის მონაწილეები (Population Council, 2016b).

- **პროგრამების ინსტიტუციონალიზაცია, სხვა სექტორებსა და პლატფორმებთან ინტეგრირების გზით:** გოგონების შემთხვევაში გამოყენებული ინტენსიური მიდგომის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა მასწავლებლებსა და ჯანდაცვის ადგილობრივ ან სოციალურ მუშაკებთან თანამშრომლობა, რაც პროგრამის გზავნილების განმტკიცების, სასკოლო განათლების გაგრძელებისა და სამედიცინო და ჯანდაცვის მომსახურებების ხელმისაწვდომობის გარანტიად შეიძლება იქცეს.

მნიშვნელოვანი დოკუმენტები და სასწავლო გეგმები

- აივ ინფექციის პრევენცია მოზარდ გოგონებსა და ახალგაზრდა ქალებს შორის: მოზარდ გოგონებსა და ახალგაზრდა ქალებს შორის აივ ინფექციის პრევენციაზე ორიენტირება და შესაბამის ღონისძიებებში მამაკაცებისა და ბიჭების ჩართვა (UNAIDS, 2016);
- გოგონების დაცვის გაძლიერება: პროგრამის შემუშავების ინსტრუმენტთა ნაკრები (Population Council, 2016);
- პროგრამა M: ახალგაზრდა ქალებთან მუშაობა (Promundo, n.d.);
- სახი საპელი: გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ახალგაზრდა ქალების გაძლიერების პროგრამების შემუშავება - პროფესიული მომზადების სახელმძღვანელო (Population Council, 2008);
- ახალგაზრდა ქალების გაძლიერება და მათი ხელშეწყობა, სათავეში ჩაუდგენ ცვლილებების განხორციელებას: პროფესიული მომზადების სახელმძღვანელო (UNFPA and World YWCA, 2006);
- პროგრამა „Abriendo Oportunidades“: ინტეგრირებული სასწავლო გეგმის სახელმძღვანელო (Population Council, 2017);
- წინ, გოგონებო! გოგონებისათვის საჭირო ცხოვრებისეული უნარები: პროფესიული მომზადების სახელმძღვანელო (Johns Hopkins Bloomberg School of Public Health/Center for Communication Programs, 2011);
- ახალგაზრდა ქალების ქრისტიანული ასოციაცია (YWCA) უსაფრთხო სივრცეები ქალებისა და გოგონებისათვის: ცვლილების გლობალური მოდელი (World YWCA).

3.1.2 ბიჭები და ახალგაზრდა მამაკაცები

პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

- **ჯგუფური განათლება მრავალკომპონენტური ინტერვენციებით:** მამაკაცებსა და ბიჭებთან გამოყენებული სტრატეგიები, რომლებიც ეფუძნებიან გენდერული დამოკიდებულებებისა და ქცევის შეცვლის მიმართულებით როგორც ინდივიდუალურ, ასევე თემის დონეზე, მოიცავს ისეთ სტრატეგიას კომბინაციას, როგორცაა: თანატოლთა განათლება, მამაკაცების მიერ წარმოებული ადვოკატირება, მასშტაბური მედიაპროგრამები, სამუშაო ადგილებზე განხორციელებული პროგრამები და ადგილობრივი/ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული პროგრამები, რომლებიც ემსახურება გენდერული უთანასწორობის შემცირებას, სოციალური ნორმების შეცვლის მიმართულებით მუშაობის საშუალებით (IDS, Promundo and Sonke Gender Justice, 2015).
- **თანატოლთა მხარდაჭერის ქსელის შექმნა და ახალგაზრდა მამაკაცებისათვის მისაბაძი პირები:** კლუბები და სოციალური მედიის ჯგუფები ბიჭებისა და ახალგაზრდა მამაკაცებისათვის, რომლებიც ხელს უწყობენ ამროვნებისა და ქცევის ახალი სტილის დამკვიდრებას, აძლიერებს თანატოლთა პოზიტიურ ზემოქმედებას, რაც ემსახურება დამოკიდებულებებისა და ქცევის ცვლილებების განმტკიცებას (Namy et al., 2014; Torres et al., 2014).

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

- **მონანილეთა სტრუქტურულ პრობლემებში დადანაშაულების თავიდან არიდება:** აქტივობები უნდა იძლეოდეს იმის გარანტიას, რომ ბიჭები და ახალგაზრდა მამაკაცები თავს დამნაშავედ არ გრძნობდნენ საზოგადოებაში არსებული უთანასწორობისა და სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან (სრჯ) დაკავშირებული პრობლემების გამო. დაუშვებელია მასკულინიზმთან, სექსუალობასა და სექსუალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების სათავედ მხოლოდ მამაკაცთა დამოკიდებულებისა და ქცევის წარმოჩენა. ინდივიდუალური პირები ვერ აიღებენ პასუხისმგებლობას რთული და საზოგადოებაში ღრმად ფესვგადგმული პრობლემების მოგვარებაზე; ნაცვლად ამისა, ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამებს შეუძლია, წაახალისოს ადვოკატირება და თემის მობილიზება სტრუქტურული ფაქტორების აღმოფხვრის მიმართულებით (Dworkin et al., 2015).
- **მხოლოდ ცოდნის გადაცემის ნაცვლად, ორიენტირება დამოკიდებულების შეცვლასა და უნარების განვითარებაზე:** მაგალითები მოიცავს კონტრაცეფციის საშუალებების შესახებ გადანყვეტილების მიღებას, მცირეწლოვან ბავშვებთან ურთიერთობის, საფენების გამოცვლის ან ბავშვის დაბანვის სწავლას (Barker et al., 2007).

პროგრამის განხორციელება

- **რთული თემების განხილვისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა:** ინფორმაციის გადამუშავების ან ინტერაქტიური მეთოდების გამოყენება, როგორცაა ხანგრძლივი სიღრმისეული დისკუსია და საკითხზე დაფიქრებისთვის დროის მიცემა, განსაკუთრებით ეფექტიანია ისეთ რთულ და სენსიტიურ საკითხებთან დაკავშირებით დამოკიდებულების შეცვლის მიმართულებით, როგორცაა ჰომოფობია, ტრანსფობია და ძალადობა (Namy et al., 2014).
- **სტერეოტიპული ენისა და მეტყველების გამოყენების თავიდან არიდება:** მეტყველება და ვიზუალური მასალა, რომელიც ემსახურება ბიჭებისა და ახალგაზრდა მამაკაცების ჩართულობის უზრუნველყოფას მასკულინიზმთან დაკავშირებული სტერეოტიპული იდეების საშუალებით, როგორცაა, მაგალითად, „მამაკაცურად მოიქეცი“, მავნე ტიპის მასკულინიზმის დამკვიდრებას უფრო უწყობს ხელს, ვიდრე მის აღმოფხვრას (Gibbs et al., 2015).

მნიშვნელოვანი დოკუმენტები და სასწავლო გეგმები

- სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან (სრჯ) დაკავშირებულ მომსახურებათა გლობალური პაკეტი მამაკაცებისა და მობარდი ბიჭებისათვის (IPPF and UNFPA, 2017);
- მამაკაცები 2.0: გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის სასწავლო გეგმა მამაკაცებისათვის (Promundo, 2018);
- პროგრამა H: ახალგაზრდა მამაკაცებთან მუშაობა (Promundo, 2018)
- პროგრამა Ra (Promundo, n.d.);
- ბიჭებისა და მამაკაცების ჩართვა გენდერული ტრანსფორმაციის პროცესში: ჯგუფური განათლების სახელმძღვანელო (Promundo, 2008);
- ბიჭებისა და მამაკაცების ჩართვა გენდერული თანასწორობისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის პროცესში: ინსტრუმენტთა ნაკრები (UNFPA, 2010);
- Yaari Dosti: ახალგაზრდა მამაკაცები სექსუალობის შესახებ (Population Council, 2006);
- „რა შეუძლია მამაკაცს“ ინსტრუმენტთა ნაკრები კამპანიის წარმოებისათვის (Sonke Gender Justice Network, 2006).

3.2 შებლუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ახალგაზრდები

შებლუდული შესაძლებლობის მრავალი კატეგორიიდან წინამდებარე სახელმძღვანელოში განხილულია შემდეგი ძირითადი კატეგორიები:

- **ფიზიკური შებლუდვის მქონე პირები**, რომელთაც შებლუდული აქვთ მობილობა, ფიზიკური შესაძლებლობა, აქვთ სასიცოცხლო ენერჯის ნაკლებობა და უჭირთ ან არ შეუძლიათ დამოუკიდებლად მოქმედება. აღნიშნული მოიცავს შემდეგს: კისტური ფიბროზი (მუკოვისციდოზი), ზურგის ტვინის თიაქარი, კუნთოვანი დისტროფია, ცერებრული დამბლა, თავის ტვინის ტრავმული დაზიანება, ზურგის ტვინის დაზიანება, გაფანტული სკლეროზი და სხვა.
- **ინტელექტუალური დარღვევის მქონე პირები**, მნიშვნელოვნად შემცირებული ინტელექტუალური ფუნქციებით, როგორცაა ახალი ან რთული ინფორმაციის გაგება და დასწავლა, ახალი უნარების გამოყენება, რაც ამცირებს პიროვნების უნარს, დამოუკიდებლად გაართვას თავი მის წინ მდგარ ამოცანებს. აღნიშნული მოიცავს შემდეგს: მყიფე X (მარტინ-ბელის) სინდრომი, დაუნის სინდრომი, პრადერ-ვილის სინდრომი, ნაყოფის ალკოჰოლური სპექტრის აშლილობა და სხვა.
- **სენსორული დარღვევის მქონე პირები**, რომლებსაც აღენიშნებათ ერთი ან რამდენიმე სენსორული დარღვევა, მათ შორის, სენსორული ინფორმაციის დამუშავების უნარის დარღვევა. აღნიშნული მოიცავს შემდეგს: სიყრუე ან სმენის დაქვეითება, სიბრმავე ან მხედველობის დაქვეითება და აუტიზმის სპექტრის აშლილობა.
- **ფსიქოსოციალური დარღვევის მქონე პირები** - მდგომარეობა მოიცავს შიზოიდურ პიროვნულ აშლილობას, როგორცაა შიზოფრენია და შიზოაფექტური აშლილობა; შფოთვით აშლილობებს, როგორცაა ობსესიურ-კომპულსური აშლილობა, პოსტტრავმული სტრესული აშლილობა, აგორაფობია და სოციალური შფოთვითი ფობია და განწყობის დარღვევებს, როგორცაა დეპრესია და ბიპოლარული აშლილობა.

მიუხედავად იმისა, რომ შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირებს იგივე სექსუალური საჭიროებები და სურვილები აქვთ, როგორც შებლუდული შესაძლებლობის არმქონე პირებს, მათთვის შეიძლება რთული იყოს ამ საჭიროებების დაკმაყოფილება, მათი უნარშებლუდობის გამო (Sexual Health and Family Planning Australia, 2013; UNFPA and Women Enabled International, 2018). შებლუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებსა და ახალგაზრდებს ხშირად ძალიან ეზღუდებათ სექსუალობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა, მთელი რიგი მიზეზების გამო; მაგალითად, მათ შემთხვევაში შეიძლება არ იყოს დაცული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და მათი სოციალური წრე იყოს ძალიან შებლუდული (UNFPA and Women Enabled International, 2018). მშობლები/მეურვეები ხშირად არ აძლევენ მათ სხვა პირებთან სოციალური და რომანტიკული ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობას, რაზეც შებლუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და ახალგაზრდები ხშირად უარყოფითად რეაგირებენ, გამოხატავენ უკმაყოფილებას და ეუფლებათ დანაშაულის ან სირცხვილის განცდას, სექსუალური მისწრაფებების ან ნორმალური სექსუალური ქცევის გამოვლენისას (Travers et al., 2014; New South Wales Department of Family and Community Services, 2016; Chappell et al., 2018). შებლუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა სექსუალობასთან ასოცირებული სტერეოტიპები და უარყოფითი დამოკიდებულება აძლიერებს მათ მიმართ არსებულ სტიგმასა და დისკრიმინაციას და ხელს უშლის, ჰქონდეთ დამაკმაყოფილებელი და სასიამოვნო სექსუალური ცხოვრება (Addlakha et al., 2007).

შებლუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების უმეტესობა განიცდის ცხოვრებისეული არჩევანის ნაკლებობას, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მათ თვითშეფასებასა და, შესაბამისად, სექსუალობაზე. ისინი შესაძლოა, არასათანადოდ აფასებდნენ თავიანთ სექსუალურ შესაძლებლობებს და არ ფლობდნენ სოციალური, მეგობრული, რომანტიკული თუ ინტიმური ურთიერთობების, საკუთარ სექსუალობასთან დაკავშირებული გადანწყვეტილებების მიღებისა და უსაფრთხო სექსუალური კავშირების დამყარებისთვის საჭირო უნარებს; მათ შეიძლება არც ჰქონდეთ სათანადო სექსუალური ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობა (Eastgate, 2008; Gougeon, 2009; Swango-Wilson, 2010; Travers et al., 2014; Holland-Hall and Quint, 2017). გარდა ამისა, შებლუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და ახალგაზრდები (განსაკუთრებით გოგონები) სექსუალური, ფიზიკური და ემოციური ძალადობის მსხვერპლად ქცევის გაცილებით დიდი რისკის წინაშე დგანან, ვიდრე შებლუდული შესაძლებლობის არმქონე პირები (Jones et al., 2012; UNFPA, 2018a). შებლუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების შემთხვევაში დაბალია ძალადობის ფაქტების შესახებ შეტყობინების, დახმარებისა და მხარდაჭერის ძიების ან მართლმსაჯულებაზე წვდომის მოპოვების ალბათობა, რაც, ნაწილობრივ, შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რომ ხშირად ისინი უგულებელყოფილნი არიან პროგრამებში, რომლებიც ძალადობის აღკვეთას ემსახურება (Ellery et al., 2011; Jones et al., 2012).

ბევრ ქვეყანაში სამედიცინო მომსახურება არ არის ფიზიკურად ხელმისაწვდომი და ხშირად არ გამოიყენება კომუნიკაციის ალტერნატიული მეთოდები, როგორცაა სურდოთარჯიმნის მომსახურება ან ბრაილის შრიფტი (UNAIDS, 2017b). ჯანდაცვის მიმართულებით განხორციელებული პროგრამების უმეტესობა, მათ შორის, პროგრამები, რომლებიც უკავშირდება სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა (სრჯ) და უფლებებს, არ ითვალისწინებს შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს. გარდა ამისა, პროგრამები, რომლებიც შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას ემსახურება, შესაძლებელია, არ ითვალისწინებდეს სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა (სრჯ) და უფლებებთან დაკავშირებულ საჭიროებებს (WHO and UNFPA, 2009; UNFPA, 2018a).

3.2.1 შებლუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ახალგაზრდები

ქვევით მოცემული რეკომენდაციები ეხება ნებისმიერი სახის შებლუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებსა და ახალგაზრდებს. მომდევნო ქვეთავები ეძღვნება ფიზიკური, ინტელექტუალური, სენსორული და ფსიქოსოციალური შესაძლებლობების შებლუდის მქონე პირთა სპეციფიკურ საჭიროებებს. ცალკე ქვეთავები ეძღვნება ყრუ, უსინათლო და აუტისტ ბავშვებსა და ახალგაზრდებს. ბავშვებისა და ახალგაზრდების თითოეულ ჯგუფთან დაკავშირებული რეკომენდაციების რაოდენობა განსხვავებულია, ნაწილობრივ, იმის გამო, რომ სხვადასხვა შებლუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული მტკიცებულებათა რაოდენობა განსხვავებულია.

პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

- **შებლუდული შესაძლებლობის სოციალური და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მოდელების ხელშეწყობა:** პროგრამები უნდა ითვალისწინებდეს იმას, რომ ადამიანები შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირებად, პირველ რიგში, მიიჩნევიან იმ ბარიერების გამო, რომლებსაც საზოგადოება უქმნის და რომლებიც ზღუდავს მათ.

სრულფასოვან მონაწილეობას პროცესებში, და არა მათი შესაძლებლობების ან განსხვავებულობის გამო. შეზღუდული შესაძლებლობის სოციალური მოდელი ითვალისწინებს ბარიერებს, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობას აფერხებს, ხოლო უფლებებზე დაფუძნებული მოდელი ორიენტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ადამიანის უფლებებად აღქმამზე და ემსახურება თანაბარი სოციალური, ეკონომიკური და ფიზიკური ხელმისაწვდომობისა და ინკლუზიის ხელშეწყობას. რომელ თემსაც ეკუთვნის პროგრამის მონაწილეები (Population Council, 2016b).

- **მომზადილი პირების ჩართულობის უზრუნველყოფა:** ვინაიდან სხვების დამოკიდებულებამ და ქმედებებმა შეიძლება ხელი შეუშალოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, განსაკუთრებით ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე ბავშვებსა და ახალგაზრდებში ჯანსაღი სექსუალობის განვითარებას, პროგრამებში შეძლებისდაგვარად უნდა მონაწილეობდეს ყველა მოზრდილი, ვინც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბავშვის ან ახალგაზრდის ცხოვრებაში, როგორც მშობელი, აღმზრდელი, მომვლელი, კონსულტანტი, მასწავლებელი და სხვა სპეციალისტი (Murphy and Elias, 2006; Garbutt, 2008; Katz and Lazcano-Ponce, 2008; Rohleder and Swartz, 2009; Swango-Wilson, 2010; Chirawu et al., 2014; Travers et al., 2014; Holland-Hall and Quint, 2017; Hanass-Hancock et al., 2018b).
- **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების მშობლებისა და მათ ზრუნვაზე პასუხისმგებელი პირების ხელშეწყობა და ნახალისება, რათა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების მიწოდება ადრეული ასაკიდან (SIECUS, 2001; Garbutt, 2008):** სასკოლო განათლების მიღმა დარჩენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების შემთხვევაში, მშობლები და აღმზრდელები კიდევ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადამიანის სექსუალობის შესახებ მათი განათლების მიმართულებით. მშობლები და აღმზრდელები შეიძლება საჭიროებდნენ რეკომენდაციებს, თუ როგორ ისარგებლონ „სწავლებისათვის ხელსაყრელი მომენტებით“ – სწავლის ბუნებრივი შესაძლებლობებით, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში წარმოიქმნება – ბავშვის დამოუკიდებლობის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და სოციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით და როგორ უზრუნველყონ მათი მომზადება სქესობრივი მომწიფების ცვლილებებისთვის, როგორცაა მენსტრუალური ციკლი გოგონებში და ერექცია, ეაკულაცია და ღამის პოლუცია ბიჭებში.
- **პროგრამების ადაპტირება თითოეული მონაწილის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად:** მნიშვნელოვანია შეფასების წარმოება იმის დასადგენად, აქვს თუ არა ახალგაზრდას მრავლობითი შეზღუდული შესაძლებლობა, მაგ. აქვს თუ არა ფიზიკური შეზღუდვის მქონე ბავშვს დამატებით ინტელექტუალური შეზღუდვა. სასწავლო გეგმის მიწოდება ადაპტირებული უნდა იყოს მონაწილეთა კონკრეტულ საჭიროებებზე, ინდივიდუალურად.
- **გათვალისწინება, თუ როგორ ზემოქმედებს კონკრეტული შეზღუდული შესაძლებლობა სექსუალობაზე:** სქესობრივი მომწიფების პერიოდი შეიძლება უფრო ადრე დადგეს დაუნის სინდრომის მქონე და ჰიდროცეფალიით დაავადებული მოზარდების შემთხვევაში და კიდევ უფრო ადრე დადგეს და გახანგრძლივდეს ცერებრული დამბლით დაავადებულთა შორის (Murphy and Elias, 2006). სქესობრივი

- მომნიშვნელოვანია შეიძლება შეფერხდეს პრენატალური ან გენეტიკური განვითარების შეზღუდვის მქონე მოზარდებს შორის და შეიძლება დაგვიანდეს ან საერთოდ არ დადგეს პრადერ-ვილის სინდრომის მქონე პირებში (SIECUS, 2001). საჭიროა პროგრამის შინაარსის ადაპტირება და მორგება ამ კონკრეტული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების საჭიროებაზე.
- **რეფერალურ მომსახურებათა მობილიზება იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების მიმართ მოპყრობა ეფუძნებოდეს მათდამი პატივისცემას:** საჭიროა იმ სამედიცინო თუ სოციალურ მომსახურებათა და სპეციალისტთა ჩამონათვალის შედგენა, რომლებთანაც შესაძლებელია პროგრამის მონაწილეთა რეფერირება, მათ შორის, კონსულტირებისა და სექსუალური ძალადობის შემთხვევაში საჭირო მომსახურებათა მისაღებად (Chirawu et al., 2014; Hanass-Hancock et al., 2018a). იმ შემთხვევაში, თუ რეფერირების სათანადო მომსახურება არ არის ხელმისაწვდომი, პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირები უნდა შეუერთდნენ ადვოკატირების მიზნით წარმოებულ ღონისძიებებს, ხელისუფლებამზე ზემოქმედების მოსახდენად, რათა მან უზრუნველყოს სათანადო მომსახურებათა შემოღება და მომსახურებათა მიწოდებლების მომზადება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებსა და ახალგაზრდებთან მუშაობის მიმართულებით.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

- **პროგრამის მონაწილეთა გამოკითხვა, სასურველ სასწავლო გარემოსთან დაკავშირებით და მათი არჩევანის გათვალისწინება:** მონაწილეებმა შეიძლება, ამჯობინონ სწავლა ინდივიდუალურად, მცირე ან უფრო დიდ ჯგუფებში. საჭიროა მათგან ინფორმაციის მოპოვება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ სურთ ფასილიტატორებისგან უკუკავშირის მიღება და მათი სწავლის ხელშეწყობა, მაგ. ვიზუალური მასალის გამოყენებით, თითოეული თემის ზედმინეწვით დამუშავებით, შინაარსის ნელი ტემპით გაცნობით, ფასილიტატორების ქცევაზე დაკვირვებით თუ როლური თამაშებითა და ინსცენირებით.
- **სწავლების სხვადასხვა მეთოდის გამოცდა იმის დასადგენად, თუ რომელი მეთოდი მუშაობს ყველაზე კარგად ინდივიდუალურ მონაწილეებთან:** ფასილიტატორებს შეუძლიათ მათი ნახალისება იმგვარად ჯდომით ან დგომით, რომ მათი სახე მონაწილეთა მხედველობის არეში აღმოჩნდეს (გარდა იმ შემთხვევისა, თუ მონაწილეები უსინათლოთა ჯგუფს განეკუთვნებიან); ასევე, საჭიროა მათთვის ახსნა, რომ ფასილიტატორი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდა თანასწორია; ფასილიტატორებს უნდა მიეწოდოს მკაფიო მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლიათ მონაწილეებს, მათ მიმართონ დახმარების თხოვნით, და რომ შეზღუდული შესაძლებლობის პირებისათვის დახმარების აღმოჩენა საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შესაბამისი თხოვნით მიმართავენ, რათა მონაწილეებს მიეცეთ შესაძლებლობა, ისაუბრონ და იმოქმედონ დამოუკიდებლად.
- **შესაბამის სოციალურ უნარებზე ყურადღების გამახვილება:** უნარების სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კონკრეტული შეზღუდული უნარის შესაბამისი სოციალური უნარების განვითარებას.

პროგრამის განხორციელება

- **იმ შემთხვევაში, თუ ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამის მონაწილეები წარმოადგენენ როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ასევე შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე პირებს, მათი დაყოფა შესაძლებლობების მიხედვით არ არის რეკომენდებული:** ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) ფარგლებში ყურადღება უნდა მახვილდებოდეს მრავალფეროვნებაზე და, ასევე, უნდა მოიცავდეს ადამიანის სექსუალობაზე შეზღუდული შესაძლებლობის ბემოქმედების მიმოხილვას ისე, რომ ყურადღებაარ იყოს გამახვილებული კონკრეტული ბავშვების ან ახალგაზრდების შეზღუდულ შესაძლებლობაზე. შერეულ ჯგუფებში მუშაობისას დაუშვებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების სხვა მონაწილეთაგან გამიჯვნა.
- **ფასილიტატორების სიღრმისეული ტრენინგი და მუდმივი მხარდაჭერა შესაბამისი მეთოდების გამოყენების მიმართულებით** (Sweeney, 2007): ფასილიტატორები უნდა ფლობდნენ უნარს, პროგრამის შინაარსი მოარგონ კონკრეტული ტიპის შეზღუდულ შესაძლებლობას, ზოგადი შინაარსის ადეკვატური სწავლების პარალელურად.
- **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაღები და სასურველი ტერმინების გამოყენება:** ზოგადად, რეკომენდებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან დაკავშირებით საზოგადოდ მიღებული ტერმინების გამოყენება, თუმცა ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამების ფარგლებში საჭიროა კონსულტირება პროგრამაში მონაწილე ბავშვებსა და ახალგაზრდებთან იმის გასარკვევად, თუ როგორ ახდენენ ისინი თავის იდენტიფიცირებას.
- **პირადი საზღვრების დადგენა და დაცვა:** ფასილიტატორებმა საკუთარი ქცევით უნდა მოაწიონ თავიანთი პირადი საზღვრების (პირადი სივრცის, პირადი და საზოგადოებრივი დროის, პირადი მოსაზრებებისა და დიალოგის, შეხების) დადგენისა და სხვების პირადი საზღვრების პატივისცემის (Szydlowski, 2016), ასევე, საკუთარი სხეულის კონტროლისა და სხვის მიერ შეხებაზე უარის თქმის უფლების დემონსტრირება. ამასთანავე, საჭიროა პროგრამის მონაწილეთა ჩართულობით ამ საკითხებზე მსჯელობა.
- **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებსა და ახალგაზრდებს საშუალება უნდა ჰქონდეთ, იურთიერთონ შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე თანატოლებთან:** საჭიროების შემთხვევაში, ასეთი ურთიერთობის უზრუნველყოფა შესაძლებელია დამხმარე აქტივობების საშუალებით.
- **უზრუნველყოფა, რომ ფასილიტატორებს ჰქონდეთ წვდომა მხარდაჭერისა და რეფერირების მექანიზმებზე:** აღნიშნული ემსახურება ჩაგვრის, ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის ფაქტების შესახებ შეტყობინებაზე რეაგირებას, რომელთა გამოვლენაც შესაძლებელია ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდებისას, განსაკუთრებით, როდესაც მიმდინარეობს აღნიშნული თემის სწავლება/აღნიშნული თემის სწავლებისას (Johns et al., 2014; Hanass-Hancock et al., 2018a; Hanass-Hancock et al., 2018b).

3.2.2 ფიზიკური შეზღუდვის მქონე ახალგაზრდები

პროგრამის განხორციელება

შერეული ჯგუფების ორგანიზება, სადაც წარმოდგენილი იქნებიან როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე ბავშვები ან ახალგაზრდები: შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე თანატოლებთან ერთად განათლების მიღება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, რომელთაც სურთ, მიიღონ ისეთი განათლება, როგორსაც შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე თანატოლები იღებენ (Esmail et al., 2010b). დამატებითი ინფორმაცია და მასალა, რომელიც განკუთვნილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მონაწილეებისთვის, ხელმისაწვდომი უნდა იყოს დამოუკიდებლად ინტერნეტით ან ინდივიდუალური, ან მცირე ჯგუფების მონაწილეობით სწავლების ფორმატში, უსაფრთხო გარემოში, სადაც დაცული იქნება მონაწილეთა პერსონალური ინფორმაცია (Esmail et al., 2010a). აღსანიშნავია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზოგიერთი პირი, განსაკუთრებით ის პირები, რომლებსაც შეძენილი შეზღუდული შესაძლებლობა აქვთ, ამჯობინებენ ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლებას (CSE) მიიღონ მხოლოდ მათივე მსგავსი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მონაწილეებთან ერთად/ (Parrott and Esmail, 2010).

3.2.3 ინტელექტუალური დარღვევის მქონე ახალგაზრდები

პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

- **ინტელექტუალური დარღვევის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების დახმარება სექსუალური თვითგამორკვევის მიმართულებით და მათ გაძლიერებაზე ზრუნვა** (Gougeon, 2009; Travers et al., 2014; Ginevra et al., 2016): აღნიშნული ემსახურება ინტელექტუალური დარღვევის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების სექსუალური ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და მათ სოციალურ ინტეგრაციას კომპლექსური გზით, დამოუკიდებელი ცხოვრების სწავლების პროგრამების ფარგლებში, სადაც ეს შესაძლებელია (Katz and Lazcano-Ponce, 2008). ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების დაწყება რეკომენდებულია ადრეულ ასაკში, გადანწყვეტილების მიღების ხელშეწყობისა და ბრდასრულ ასაკში უმტივიანელოდ გადასვლის უზრუნველსაყოფად.
- **თანატოლებთან ურთიერთობის შესაძლებლობების შექმნა:** მნიშვნელოვანი ინტელექტუალური დარღვევის მქონე ბავშვები და ახალგაზრდები ხშირად მოზრდილების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მათ ურთიერთობას თანატოლებთან. რეკომენდებულია ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) კომბინირება სოციალური მხარდაჭერისა და სოციალური ინტეგრაციის პროგრამებში ან აქტივობებში, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების მუშაობას გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე თანატოლებთან. ეს საშუალებას აძლევს მათ, პრაქტიკაში გამოიყენონ ავთენტურ და ინკლუზიურ გარემოში ათვისებული ცოდნა, მიიღონ სექსუალობის მიმართულებით ის აუცილებელი გამოცდილება, რომელსაც ყოველდღიურად იღებენ შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე ბავშვები და ახალგაზრდები (Eastgate, 2008; Katz and Lazcano-Ponce, 2008; Gougeon, 2009; Swango-Wilson, 2010; Travers et al., 2014).
- **ჯგუფის შემადგენლობის ყურადღებით დაგეგმვა:** საჭიროა, ყურადღებით დაიგეგმოს, თუ როგორ უნდა დაკომპლექტდეს ჯგუფი სხვადასხვა დონის შემეცნების შესაძლებლობების მქონე მონაწილეებით (Chappell et al., 2018). მონაწილეთა ჯგუფები შესაძლებელია, დაკომპლექტდეს ასაკის ან მათი ინტელექტუალური შესაძლებლობის დონის საფუძველზე.

- **შინაარსის ნაცვლად მეთოდოლოგიის ადაპტირება:** ზოგადად, ინტელექტუალური დარღვევის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის განკუთვნილი პროგრამის შინაარსი შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე თანატოლებისათვის განკუთვნილი პროგრამების შინაარსის ანალოგიური უნდა იყოს (თუმცა ინტელექტუალური დარღვევის მქონე ბავშვებსა და ახალგაზრდებს უნდა მიაწოდონ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ისინი უფრო მოწყვლადნი და დაუცველნი არიან ძალადობის რამდენიმე ფორმის მიმართ). ამასთან, მეთოდოლოგია უნდა შეესაბამებოდეს მათი განვითარების დონეს და ზოგიერთი კონცეფცია უნდა გამარტივდეს, შემოკლებული ფორმით მიეწოდოს ან ახლებურად ჩამოყალიბდეს. მაგალითად, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების (სგგი) განხილვა შესაძლებელია ზოგადად, პროფილაქტიკის ჭრილში, თითოეული ინფექციის დეტალურად შესწავლის გარეშე.
- **ყურადღების გამახვილება მონაწილეთათვის მნიშვნელოვან და აუცილებელ საჭიროებებზე:** მაგალითად, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვის ან ახალგაზრდის შემთხვევაში აღნიშნულ საჭიროებებზე შეიძლება მიიჩნიონ უსაფრთხოება, სოციალური მართებულობა და შესაბამისობა, დამოუკიდებლობა (Couwenhoven, 2007).
- **განსხვავებათა დასადგენად საჭირო უნარ-ჩვევებზე ორიენტირება:** მარტივი განსხვავებების დადგენა, როგორცაა ცალ-ცალკე საპირფარეშოები ბიჭებისა და გოგონებისათვის, მამაკაცებისა და ქალებისათვის, შეიძლება, დაეხმაროს ინტელექტუალური დარღვევის მქონე ბავშვებსა და ახალგაზრდებს ყოველდღიური ცხოვრების მართვაში. ასევე, მნიშვნელოვანია, დაეხმაროს მათ, ერთმანეთისგან განასხვავონ ადამიანები, ვისთანაც მიზანშეწონილია ან არ არის მიზანშეწონილი წარდგენს სამოსის გარეშე, მიმართონ დახმარებისთვის ტუალეტის მოხმარებისას ან მენსტრუალური ციკლის დროს, შეეხონ სხეულის გარკვეულ ნაწილებს ან დასთანხმდენ სკოლიდან შინ მისვლაში დახმარებას (Hanass-Hancock et al., 2018a; Johns et al., 2014; Gerhardt, n.d.).

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

- **თვალსაჩინოებათა მაქსიმალური გამარტივება:** მაგალითად, ორსულობასა და ბავშვის მოვლასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას შესაძლებელია, შეხვედრაზე მიიყვანოთ ჩვილი ბავშვი, რათა თვალსაჩინოდ და გასაგებად ახსნათ მისი საჭიროებები, როგორცაა კვება, საფენის შეცვლა და სხვა (Boehning, 2006). რეკომენდებული სასწავლო მასალა მოიცავს სამგანზომილებიან მოდელებს, ანატომიური აღნაგობით ანალოგიურ მანეკენებს, ფოტოებს, სურათებს, ვიდეოებსა და დიაგრამებს.
- **სოციალური უნარ-ჩვევებისა და ეტიკეტის შესაბამისი კონტექსტის შექმნა:** თითოეული უნარი ან ქცევა შესაძლებელია განვიხილოთ კონკრეტულ კონტექსტში, მაგ. როგორ უნდა მივესალმოთ ადამიანებს მაღაზიაში, სამუშაო ადგილზე ან შინ.
- **მონაწილეთათვის დროის მიცემა და ათვისებული მასალის გამეორება:** ინტელექტუალური დარღვევის მქონე ბავშვებსა და ახალგაზრდებს მეტი დრო სჭირდებათ მასალის ასათვისებლად (Murphy and Elias, 2006; Couwenhoven, 2007; Johns et al., 2014; Schaafsma et al., 2017; King County, 2018). რეკომენდებულია მასალის დანაწევრება მცირე და მარტივ ელემენტებად. ათვისებული მასალის გამეორება საჭიროა დროგამოშვებით და ხშირად; შესწავლა უნდა წარმოებდეს სხვადასხვა გარემოსა და კონტექსტში და უცნობი პირების მონაწილეობით. სპეციალურად მასალის გამეორებისადმი მიძღვნილი შეხვედრები და ხშირი გადამეორება საჭიროა შეძენილი

ცოდნისა და უნარ-ჩვევების განსამტკიცებლად (Swango-Wilson, 2010; Schaafsma et al., 2015; Visser et al., 2017). ათვისებული მასალის განსაკუთრებით ხშირად გამოვლენას საჭიროებენ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები და ახალგაზრდები (Couwenhoven, 2007).

- **მაქსიმალურად ბევრი პოზიტიური გამონათქვამის გამოყენება და შექება:** შექება ხელს შეუწყობს მონაწილეების მიერ სექსუალობის შესახებ ცოდნის მიღების დადებით გამოცდილებად აღქმას (Baxley and Zendell, 2011).
- **სწავლებისათვის ხელსაყრელი მომენტებით სარგებლობა და სპონტანური სწავლება:** თუ სიახლოვეს იმყოფება ორსული ქალი, შესაძლებელია ამ მომენტის გამოყენება ორსულობასთან დაკავშირებულ საკითხებზე სასაუბროდ (იმ პირობით, თუ ორსულ პირს ამის სანინაალმდეგო არაფერი აქვს) ან შესაძლებელია, მონაწილეებს მოასმენინოთ სიმღერა, რომლის ტექსტიც განხილულ თემას ესადაგება (Moss and Blaha, 2001).
- **სექსუალური ძალადობისა და შევიწროების თემის განხილვისას რეკომენდებულია, შერჩეული იყოს პირი, რომელსაც მიმართავენ მონაწილეები მათ მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტების შესატყობინებლად:** ზოგიერთი მონაწილე, შეზღუდული შესაძლებლობის გამო, შეიძლება, მხოლოდ ვიზუალური მასალის საშუალებით ახერხებდეს მასალის ათვისებას და მათთვის ასევე შეიძლება უფრო რთული იყოს ვინმესთან დაკავშირება ტელეფონით ან ელექტრონული ფოსტით. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია შეხვედრაზე საკონტაქტო პირის დასწრება, საჭიროა დარწმუნდეთ, რომ მონაწილეები უზრუნველყოფილნი იყვნენ ინფორმაციით იმის შესახებ, თუ ვის და როგორ უნდა დაუკავშირდნენ საჭიროების შემთხვევაში. მათ შეუძლიათ ხელის თითოეულ თითზე დაინერონ იმ ადამიანის სახელი და ტელეფონის ნომერი, რომელთანაც შეუძლიათ დაკავშირება, როგორცაა, მაგალითად, მშობელი, პოლიცია, კონსულტანტი ან სოციალური მუშაკი. მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ, მინიმუმ, სამი საკონტაქტო პირის მონაცემები, რათა თუ ერთ პირთან ვერ მოხერხდება დაკავშირება, შესაძლებელი იყოს მეორესთან და ა.შ. იმის გამო, რომ ბავშვებისა და ახალგაზრდების უსაფრთხოება უმნიშვნელოვანესია, მონაწილეებთან ერთად განხილული უნდა იყოს წერილობითი ინფორმაციის პოტენციური მოძალადეების მიერ აღმოჩენის შესაძლებლობა და ამ ინფორმაციის საიმედოდ შენახვის გზები, მათ შორის, თუ როგორ შეუძლიათ უსაფრთხოდ შეინახონ ინფორმაცია საკონტაქტო პირის შესახებ და უსაფრთხოდ დაუკავშირდნენ მათთვის სანდო პირებს.

პროგრამის განხორციელება

- **მასალის გადაცემა ნელი ტემპით და მეტი შესვენებით:** დაუშვებელია მონაწილეების გადატვირთვა დიდი რაოდენობის ინფორმაციით.
- **მონაწილეთა მშობლიური ენის გამოყენება ყველა შემთხვევაში, სადაც ეს შესაძლებელია:** მონაწილეთა მშობლიური ენის გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სენსიტიურ და ისეთ საკითხებზე მსჯელობისას, როგორცაა სხეულის ინტიმური ნაწილები და სხვა ტიპის შეხება (Chappell, 2018).
- **მონაწილეთათვის მასალის გაცნობა კონკრეტული ტერმინების გამოყენებით:** საუბრისას და განმარტებებისას საჭიროა მარტივი ენისა და ზუსტი ტერმინების გამოყენება (Katz and Lazcano-Ponce, 2008; Gougeon, 2009; Travers et al., 2014; Holland-Hall and Quint, 2017). ინფორმაცია უნდა იყოს მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული ან

ცოდნისა და უნარ-ჩვევების განსამტკიცებლად (Swango-Wilson, 2010; Schaafsma et al., 2015; Visser et al., 2017). ათვისებული მასალის განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება საჭიროებენ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები და ახალგაზრდები (Couwenhoven, 2007).

- **ადეკვატური რეაგირება მონანილეთა მხრიდან მიუღებელი ქცევის გამოვლენისას** (Moss and Blaha, 2001): ძალიან მძიმე ფორმის ინტელექტუალური დარღვევის მქონე პირთა მხრიდან მიუღებელი და შეუსაბამო ქცევის გამოვლენისას, როგორცაა სხვების თანდასწრებით მასტურბირება ან გაშიშვლება, ფასილიტატორი უნდა ჩაერიოს შეუსაბამო ქცევის შეჩერების მიზნით, განმეორებით უნდა აღნიშნოს, რომ ეს ქცევა შეუსაბამოა, ნაცვლად იმისა, რომ ყურადღების მიღმა დატოვოს მონანილის მიერ გამოვლენილი ქცევა და მხოლოდ მოგვიანებით მიანოდოს მონანილებს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ეს ქცევა მიუღებელია.
- **ფიზიკური შეხების აღკვეთა:** მონანილებს უნდა აუხსნან, რომ მათი სხეული მათივე საკუთრებაა და ნებისმიერმა პირმა საჭიროა, მოიპოვოს მათი თანხმობა, ვიდრე შეეხება; რომ ისინი სარგებლობენ უფლებით, დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება თავიანთ სხეულთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება სტერილიზაციას, კონტრაცეფციას და ორსულობას; რომ მათ აქვთ უფლება, თქვან „არა“; რომ არსებობს მისაღმების ისეთი ფორმები, რომლებიც არ გულისხმობს ჩახუტებას და კოცნას (რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებმა ისწავლონ, რომ მისაღმება ყოველთვის არ გულისხმობს პირადი სივრცის დარღვევას); და რომ მხოლოდ ვერბალურად გამოთქმული „კი“ ნიშნავს თანხმობას და არა თავის დაქნევას ან გაღიმებას (რადგან მათი შეზღუდული შესაძლებლობის გამო, შესაძლებელია, გაუგებრობას ჰქონდეს ადგილი და ადამიანებმა არ დაიჯერონ მათი, თუ ისინი ბრალდებულნი იქნებიან თანხმობის გარეშე სქესობრივი კონტაქტის დამყარებაში).

3.2.4 ყრუ და სმენადაქვეითებული ახალგაზრდები

პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

- **გაუცნობიერებელი მიკერძოებულობისადმი თვითკრიტიკული დამოკიდებულება:** მნიშვნელოვანია, რომ პირები, რომლებიც მონანილებს ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამის შემუშავებაში და არ წარმოადგენენ სმენადაქვეითებულ პირებს, ფლობდნენ ინფორმაციას სმენის დაქვეითებასთან დაკავშირებული იმ ყრუ წარმოდგენების შესახებ, რომლებიც გაუცნობიერებელ მიკერძოებას იწვევს.
- **კომუნიკაციის ყველა ეფექტიანი და შესაბამისი საშუალების გამოყენება:** აღნიშნული ტიპის კომუნიკაციის საშუალებები შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:
 - **ჟესტური ენა**
 - **ტოტალური კომუნიკაცია (მოიცავს კომუნიკაციის ყველა ფორმას:** ფორმალურ ნიშნებს, ბუნებრივ ჟესტებს, თითების მეშვეობით ასოების გამოსახვას, სხეულის ენას, მოსმენას, ტუჩების მოძრაობით ნათქვამის ამოკითხვას და მეტყველებას)
 - **ბილინგვური/ბიკულტურული სწავლება** (როგორც არასმენადაქვეითებულთა, ასევე სმენადაქვეითებულთა და ყრუთა კულტურის² მნიშვნელობის აღიარება და ორივე კულტურის ელემენტთა გამოყენება სწავლებისას)

² ყრუდ იწოდებიან ადამიანები, რომლებიც თავის იდენტიფიცირებას ახდენენ ყრუთა კულტურასთან. გარდა ამისა, არიან სმენადაქვეითებული ადამიანები, რომლებიც თავის იდენტიფიცირებას სრულად არ ახდენენ ყრუთა კულტურასთან.

- **ტუჩების მოძრაობით ნათქვამის ამოკითხვა**
- **FM სისტემები** (უკაბელო დამხმარე საშუალება/ხელსაწყო სმენადაქვეითებულთათვის, რომელიც შედგება გადამცემი კომპონენტისაგან, რომელსაც იყენებს მოსაუბრე და მიმღები კომპონენტისაგან, რომელსაც იყენებს მსმენელი), ასევე, ნარწერები აუდიო-ვიზუალურ მასალაზე მნიშვნელოვანია სმენადაქვეითებულ და ყრუ ადამიანებთან კომუნიკაციის გაუმჯობესების მიმართულებით (WHO, 2016b).
- **ადვოკატირება ყრუ და სმენადაქვეითებული ბავშვებისა და ახალგაზრდების ოჯახის წევრებისათვის, მათ შორის, მშობლებისა და მათ ზრუნვაში მონაწილე პირებისათვის შესტური ენის სწავლების მიმართულებით:** ამ მიმართულებით ადვოკატირება მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეს ხელს შეუწყობს კომუნიკაციის გაუმჯობესებასა და საუბრებს სექსუალობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ (Lamoureux, 2014).
- **შეხვედრის ორგანიზება ყრუ და სმენადაქვეითებული ბავშვებისა და ახალგაზრდების მშობლებისათვის იქ, სადაც ამის შესაძლებლობა არსებობს:** ამგვარი ინტერვენციები დაეხმარება ყრუ და სმენადაქვეითებული ბავშვებისა და ახალგაზრდების მშობლებს, რომლებიც არ წარმოადგენენ ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს, ჩაერთონ ჯგუფურ საუბრებში.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

- **ვიზუალური, ტაქტილური და კინეტიკური მიდგომების გამოყენება:** აღნიშნული მეთოდები ყველაზე მეტად ესადაგება ყრუ და სმენადაქვეითებული ბავშვებისა და ახალგაზრდების სწავლის სტილს. მეთოდები რეკომენდებულია, სრულად არ ეფუძნებოდეს წერილობით მასალას.
- **მკაფიო პრეზენტაციების გამოყენება:** თეატრალური წარმოდგენები, დრამა და როლური თამაშები საშუალებას მისცემს ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვებსა და ახალგაზრდებს, გაეცნონ ურთიერთობებსა და მათ შედეგებს. სხვა სასარგებლო მიდგომები მოიცავს მცირერიცხოვან ჯგუფებში დისკუსიებს, ყრუთა საზოგადოების წარმომადგენელ მოწვეულ მომხსენებლებს, სამგანზომილებიან მოდელებს ანატომიისა და ფიზიოლოგიის სწავლებისთვის და ვიდეომასალას შესტების ენაზე (Lamoureux, 2014). სადაც ეს შესაძლებელია, რეკომენდებულია, ვიდეოებს ჰქონდეს სუბტიტრების დამალვისა და ჩვენების არჩევანი. თუ ვიდეომასალას თან ახლავს სურდოთარჯიმნის მიერ შესრულებული თარგმანი, ვიდეომასალა ნაჩვენები უნდა იყოს დიდ ეკრანზე, შედარებით მცირე ზომის ფანჯრით სურდოთარჯიმნისათვის.
- **წერილობითი მასალის ადაპტირება, მონაწილეთა კითხვის დონის შესაბამისად:** საჭიროა უზრუნველყოფა იმისა, რომ ნებისმიერი ბროშურა ან სხვა დოკუმენტი შეიცავდეს ვიზუალურ მასალას, როგორცაა ნახატები და სურათები. სიტყვებზე მეტად ყურადღება გაამახვილეთ თვალსაჩინო მასალაზე და გამოიყენეთ მარტივი ენა (Lamoureux, 2014). იმ მონაწილეთათვის, რომლებიც სუსტად ფლობენ ენას ან აქვთ მასალის დამუშავების შენელებული ტემპი, ან ალქმა-გაგების დაქვეითებული უნარი, ფასილიტატორებს შეიძლება დასჭირდეთ ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორცაა გამეორება, ერთი საკითხის რამდენჯერმე გამეორება და ახსნა ან ერთ საკითხზე ხანგრძლივად შეჩერება.

პროგრამის განხორციელება

- **ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდება შესტურ ენაზე, სპეციალურად ამ მიზნით მომზადებული ფასილიტატორის მიერ, რომელიც ფლობს შესტურ ენას და, საუკეთესო შემთხვევაში, წარმოადგენს ყრუთა საზოგადოებას და**

იდენტიფიცირდება ყრუთა კულტურასთან: ფასილიტატორის უნარი, მარტივად და ეფექტურად დაამყაროს კომუნიკაცია მონაწილეებთან, ყრუ და სმენადაქვეითებული ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) ეფექტიანად მიწოდების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს, მსგავსად მათთვის მიწოდებული სხვა ტიპის განათლებისა. ტუჩების მოძრაობით ნათქვამის ამოკითხვით შემოფარგვლა არ არის ეფექტიანი სწავლის თვალსაზრისით, რადგან მონაწილეს მხოლოდ ნათქვამის ნაწილობრივ აღქმა შეუძლია. იმ მონაწილეთა შემთხვევაში, რომლებსაც სმენა ნაწილობრივ აქვთ დაქვეითებული და/ან იყენებენ დამხმარე საშუალებებს, როგორცაა სმენის აპარატი ან კოხლეარული იმპლანტი, სამეტყველო ენით შინაარსის გადაცემა შესაძლებელია გამართლებული იყოს, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მონაწილეს შეუძლია სრულად ან დიდწილად აღიქვას არასმენადაქვეითებული პირის მიერ მიწოდებული ინფორმაცია.

- **ფასილიტატორებმა შესტური ენის გამოყენებისას უნდა გაითვალისწინონ ის დიალექტი, რომელსაც მიმართავენ მონაწილეები:** აღნიშნული მნიშვნელოვანია, ვინაიდან სხვადასხვა თემი შესტური ენის სხვადასხვა დიალექტს იყენებს (Lamoureux, 2014).
- **შესტური ენის ხარვეზების აღმოფხვრა:** ზოგიერთ შესტურ ენაში შეიძლება, არ არსებობდეს სექსუალური ლექსიკის შესაბამისი სტანდარტული ნიშნები ან მონაწილეები იყენებდნენ ჟარგონის ენას. ამ შემთხვევებში რეკომენდებულია მონაწილეობითი მიდგომის გამოყენება და ფასილიტატორებისა და მონაწილეების დახმარება, რათა მათ ერთად შეიმუშაონ შესაბამისი ნიშნები.
- **თუ ფასილიტატორი არ ფლობს შესტურ ენას, საჭიროა მან გაიაროს მომზადება სურდოთარჯიმანთან, ეფექტიანი მუშაობის უზრუნველსაყოფად:** ფასილიტატორი უნდა იყენებდეს მოკლე წინადადებებს და საჭირო დროს აძლევდეს სურდოთარჯიმანს ტექსტის სათარგმნად ან მონაწილეებს – ტუჩების მოძრაობით ნათქვამის ამოსაკითხად, ამავე დროს, მან უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ სმენის დაქვეითება გავლენას არ ახდენს მონაწილეთა ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე. ნებისმიერი ვიზუალური დამხმარე მასალა უნდა განთავსდეს სურდოთარჯიმანთან ახლოს, ვინაიდან მონაწილეების ყურადღება მისკენ იქნება მიპყრობილი. ფასილიტატორი უნდა მოერიდოს ერთდროულად საუბარსა და ვიზუალურ მასალაზე მითითებას, რადგან ყრუ და სმენადაქვეითებულ მონაწილეებს დრო სჭირდებათ იმისთვის, რომ სურდოთარჯიმანისგან ყურადღება გადაიტანონ ვიზუალურ მასალაზე და შეისწავლონ იგი.
- **უზრუნველყოფა იმისა, რომ სურდოთარჯიმანი იყენებდეს მონაწილეთათვის ნაცნობ შესტურ ენას:** იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის განხორციელება უშუალოდ შესტურ ენაზე შეუძლებელია და საჭიროა სურდოთარჯიმანის მოწვევა, ის უნდა შეირჩეს ყურადღებით, თარგმნის უნარების გათვალისწინებით, რისთვისაც შესაძლებელია, მონაწილეებს სთხოვოთ, დაადასტურონ, გასაგებია თუ არა მათთვის სურდოთარჯიმანის მიერ გადაცემული ინფორმაცია.
- **ფასილიტატორი უნდა ფლობდეს ძალადობის, მათ შორის, სექსუალური ძალადობის ნიშნების ამოცნობისათვის საჭირო ცოდნასა და უნარს:** გასათვალისწინებელია, რომ ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვებსა და ახალგაზრდებს არ ექნებათ საუბრის მოსმენის, რადიოს, ტელევიზიის ან ნებისმიერი სხვა აუდიოწყაროს საშუალებით სათანადო სექსუალურ ქცევასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღების გამოცდილება და მათ გაუჭირდებათ ძალადობის ფაქტების შესახებ შეტყობინება იმ შემთხვევაში, თუ მათი მშობლები, მათდამი ზრუნვაზე პასუხისმგებელი ან მათი ნდობით აღჭურვილი სხვა მოზრდილი პირები არ ფლობენ შესტურ ენას.

3.2.5 უსინათლო ახალგაზრდები

პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

- **საჭიროა, გაანალიზდეს, თუ როგორ იღებენ ინფორმაციას ბავშვები და ახალგაზრდები სექსუალობასთან დაკავშირებული კონცეფციების შესახებ ვიზუალური დაკვირვების საშუალებით და როგორ არის შესაძლებელი ამ საკითხის მოგვარება უსინათლო ბავშვებისა და ახალგაზრდების შემთხვევაში:** პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელმა პირებმა უნდა გაანალიზონ სექსუალობასთან დაკავშირებული აღნიშნული ასპექტები და შესაბამისი ქცევა და უზრუნველყონ ამ ასპექტების ჩართვა ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამაში; ეს ასპექტები და შესაბამისი ქცევა მოიცავს, მაგალითად, სხეულის ენასა და სხეულის პოზას ფორმალურ და არაფორმალურ გარემოში; ადამიანებს შორის ფიზიკური დისტანციის დაცვას, იმის მიხედვით, თუ როგორი ურთიერთობაა მათ შორის; და რომ ადამიანების დანახვა შესაძლებელია ფანჯრიდან, თუ ფარდები არ არის ჩამოფარებული.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

- **შესაბამისი მასალისა და შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში ბრაილის შრიფტის გამოყენება:** ფასილიტატორებს ასევე შეუძლიათ, ისარგებლონ ეკრანის წამკითხველი პროგრამით, ბრაილის შრიფტიანი კლავიშებით და ხმის სინთეზატორით, აღნიშნული დამხმარე საშუალებების ხელმისაწვდომობის შემთხვევაში (Davies, 1996). როდესაც ბრაილის შრიფტი არ არის ხელმისაწვდომი, რეკომენდებულია ქვემოთ ჩამოთვლილი მეთოდებით სარგებლობა, რაც ხელს შეუწყობს სწავლის გამართივებას. მხედველობადაქვეითებული მონაწილეებისთვის რეკომენდებულია დიდი ზომის შრიფტით ნაბეჭდი მასალები, პიქტორული სიმბოლოები და ნათელი და კონტრასტული ფერებით შესრულებული მასალა, უზრუნველყოფა იმისა, რომ ოთახში საკმარისი განათება იყოს.
- **ტაქტილური (შეხებითი) მეთოდების გამოყენება, რომლებიც საშუალებას აძლევს პროგრამის უსინათლო მონაწილეებს, მასალებზე შეხებით გაეცნონ მათ:** მაგალითად, ანატომიის, ასევე, სექსუალური რეაგირებისა და კონტრაცეფციის საშუალებების შესახებ სწავლებისას შესაძლებელია, გამოყენებული იქნას სწორი ანატომიური აგებულების მქონე მანეკენი (Krupa and Esmail, 2010).
- **ვიზუალური სამყაროს აღწერა მდიდარი, სიღრმისეული, კონკრეტული, რეალობასთან ახლოს მყოფი, შთაბეჭდავი აღწერილობების გამოყენებით:** მნიშვნელოვანია ვიზუალური კომპონენტის მქონე ცნებების ბედმინვენით ზუსტად აღწერა, მაგალითად, მაღალი, მოკლე, კუნთიანი.
- **მონაწილეთათვის ახალი ცნებების დეტალური აღწერა:** უსინათლო ბავშვებსა და ახალგაზრდებს შესაძლებელია, განსხვავებული აღქმა ჰქონდეთ ისეთ ცნებებთან დაკავშირებით, როგორიცაა: გენდერი, სხეულის აღნაგობა, პირადი სივრცე და საზღვრები, ანატომიური სხვაობები, სექსუალური ქცევა და სექსუალობასთან დაკავშირებული ენა.


პროგრამის განხორციელება

- **რეკომენდებულია, პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობდნენ როგორც უსინათლო, ასევე ნორმალური მხედველობის მქონე ფასილიტატორები:** მიუხედავად იმისა, რომ რეკომენდებულია უსინათლო ფასილიტატორების მონაწილეობა

უსინათლო მონაწილეებისათვის, ასევე, მნიშვნელოვანია მათ განათლებაში ნორმალური მხედველობის მქონე ფასილიტატორის მონაწილეობაც, რადგან უსინათლო მონაწილეებისათვის სასარგებლო იქნება ინფორმაციის მიღება ნორმალური მხედველობის მქონე პირისგან, მათი ხედვის უკეთ გასაგებად და ცნებათა ვიზუალური მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

- **მონაწილეებზე ყურადღების გამახვილება:** ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება (CSE) ტაქტილური (შეხებითი) მეთოდების გამოყენებით რეკომენდებულია ინდივიდუალური სწავლებისას ან მცირერიცხოვან ჯგუფებში, რომლებშიც არ იქნებიან ნარმოდგენილები შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე ბავშვები და ახალგაზრდები, რომელთათვისაც ტაქტილური (შეხებითი) მეთოდების გამოყენება შეუსაბამოა. უსინათლო მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, პირდაპირი შეკითხვები დაუსვან/უშუალოდ დაუსვან შეკითხვები მხედველობადაქვეითებულ მონაწილეებს (Hanass-Hancock et al., 2018a).
- **მონაწილეთა ფიზიკური საზღვრების პატივისცემა:** ფასილიტატორებს სწავლებისას შეუძლიათ გამოიყენონ ფიზიკური დემონსტრირების მეთოდი, თუმცა მონაწილეთა სხეულს სანამ შეეხებიან, აუცილებლად უნდა აიღონ მათგან ნებართვა, წინასწარ გაფრთხილების მიზნით და ამასთანავე, მონაწილეებმა უნდა იცოდნენ, რომ შეუძლიათ აკონტროლონ, ვინ ეხება მათ სხეულს.

3.2.6 აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ახალგაზრდები



ზოგადად, ფუნქციადაქვეითებულ და აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებსა და ახალგაზრდებთან (განსაკუთრებით კი კოგნიტიური დაქვეითების მქონე ბავშვებსა და ახალგაზრდებთან) გამოიყენება 3.2.3 ქვეთავში მოცემული რეკომენდაციები, რომლებიც ინტელექტუალური დარღვევის მქონე პირებთან მუშაობას ეხება, ხოლო აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ის ბავშვები და ახალგაზრდები, რომლებსაც ფუნქციონირების დარღვევა არ აღენიშნებათ და ჩვეულებრივ სკოლებში დადიან, სავარაუდოდ, იღებენ ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლებას (CSE) იმ შემთხვევაში, თუ სასკოლო განათლება მოიცავს ამგვარ განათლებას/სწავლებას.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

- **იმ მეთოდებით სარგებლობა, რომლებიც შემუშავებულია აუტიზმის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების სწავლისა და განათლების ხელშესაწყობად.** აღნიშნული მეთოდები მოიცავს შემდეგს:
 - **ქცევის გამოყენებითი ანალიზი**³
 - **სოციალური ისტორიების მეთოდი**⁴
 - **დისკრეტული საცდელი ტრენინგი**⁵
 - **დამხმარე ვიზუალური მასალა:** განრიგის ამსახველი სურათები ან ვიზუალური გამოსახულებები, რომლებიც შეახსენებს მონაწილეებს, თუ რა უნდა გააკეთონ და დაეხმარება მათ ამოცანის დამოუკიდებლად შესრულებაში.
 - **ფორმირება:** ფასილიტატორი ეხმარება მონაწილეებს მხოლოდ იმ სასურველი ქცევის განმტკიცებაში, რომელსაც მოცემულ მომენტში სწავლობენ.

³ დეტალურად იხილეთ: <https://www.autismspeaks.org/applied-behavior-analysis-aba-0>

⁴ დეტალურად იხილეთ: <http://best-practice.middletonautism.com/approaches-of-intervention/social-stories/>

⁵ დეტალურად იხილეთ: <https://www.autismspeaks.org/expert-opinion/what-discrete-trial-training>

- **შემეცნებითი რეპეტიცია:** ფასილიტატორი და მონაწილეები ერთად მუშაობენ კონკრეტული პრობლემის მოგვარების გზების მოძიებაზე და ერთად აწარმოებენ მათ გამოცდას.
- **პერსონალიზებული ისტორიები:** ისტორიები, რომლებიც ასახავს სოციალურ სიტუაციებს და მორგებულია მონაწილეებზე. მაგ. იყენებს მათ ან მათი ოჯახის წევრებისა და მეგობრების სურათებს და ასწავლის მონაწილეებს, თუ რისი მოლოდინი უნდა ჰქონდეთ და როგორ უნდა მოიქცნენ კონკრეტულ სიტუაციაში.
- **ქცევის მოდელირება:** ცოცხალი ან ვიდეომოდელირება (Gerhardt, 2013).
- **კონკრეტული სიტუაციების საშუალებით სწავლება:** აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირთათვის კონტექსტუალიზაცია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გამეორება. ბევრჯერ გამეორების ნაცვლად რეკომენდებულია, შემოწმდნენ, თუ როგორ აითვისეს მონაწილეებმა მათთვის მიწოდებული მასალა. ცნებების განზოგადების მიზნით რეკომენდებულია რაც შეიძლება მეტი მაგალითის მოყვანა (Gerhardt, n.d.).
- **ჯგუფური ან ინდივიდუალური საშუალოს ადაპტირება და მათი მორგება მონაწილეთა საჭიროებებზე:** აუტიზმის სპექტრის მსუბუქი ან საშუალო სიმძიმის აშლილობის მქონე პირებისთვის რეკომენდებულია მცირე ჯგუფებში მუშაობა, თუმცა აუტიზმის სპექტრის მძიმე აშლილობის მქონე პირებისთვის რეკომენდებულია ჯგუფური მუშაობა მხოლოდ მცირე დროით და, ძირითადად, ინდივიდუალური მუშაობით დაკავება.
- **ვიზუალური და თვალსაჩინოებისათვის გამოყენებული მასალის გამარტივება:** სურათები ან ნახატები არ უნდა იყოს რთული ან სხვადასხვა დეტალით გადატვირთული, რადგან მონაწილეებმა შეიძლება ყურადღება გაამახვილონ დეტალებზე და არა სურათის/ნახატის ზოგად მნიშვნელობაზე (Gerhardt, n.d.). სურათების არსი და დანიშნულება მონაწილეებისათვის მარტივად ამოსაცნობი უნდა იყოს. მათ შესაძლოაა, დასჭირდეთ დახმარება სურათზე აღბეჭდილი სახის გამომეტყველების მიხედვით ემოციის ამოსაცნობად ან სხეულის ენის გასაშიფრად (Johns et al., 2014).
- **დეტალების ნაცვლად ცნებებზე კონცენტრირება:** აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მონაწილეებმა შეიძლება ყურადღება გაამახვილონ თითოეული კონცეფციის დეტალებზე, ვიდრე თავად კონცეფციაზე. მათ შეიძლება გაუჭირდეთ სოციალური ცნებების გააზრება, ამიტომ ფასილიტატორებმა უნდა ასწავლონ ყველაფერი მარტივი ნაბიჯებით და კონცენტრირება მოახდინონ ცნებების აღქმაზე (Johns et al., 2014).

3.2.7 ფსიქოსოციალური დარღვევის მქონე ახალგაზრდები

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

- **შემეცნებასა და საუბართან დაკავშირებული პოტენციური სირთულეების გათვალისწინება:** ფსიქოსოციალური დარღვევის მქონე პირებს შეიძლება ჰქონდეთ ისეთი პრობლემები, რომლებიც უკავშირდება მათ სიმპტომებს ან იმ მედიკამენტებს, რომლებსაც ისინი იღებენ და რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კონცენტრაციის გაძნელება, ძლიანობა, აღგზნება ან მეტყველების გაძნელება. ამგვარ შემთხვევებში შეიძლება საჭირო გახდეს ინტელექტუალური დარღვევის მქონე პირებისთვის რეკომენდებული მეთოდების გამოყენება.
- **კონკრეტული მაგალითების, მულტისენსორული აქტივობებისა და როლური თამაშების შესაბამისად გამოყენება:** აღნიშნული აქტივობები უნდა დაიგეგმოს ახალგაზრდების მდგომარეობის გათვალისწინებით. როლური თამაშები ფსიქოსოციალური დარღვევის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის სასარგებლოა, – ისინი სწავლობენ სხვათა პერსპექტივიდან სიტუაციის შეფასებას, რადგან ამგვარი დარღვევების მქონე პირებს, როგორც წესი, უჭირთ სხვის მდგომარეობაში შესვლა.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

- განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისა და მოზარდების სექსუალობა ცხოვრების მანძილზე (Florida Developmental Disabilities Council, 2011);
- ექსუალური ჯანმრთელობის შესახებ განათლების მინოდება განსხვავებული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის (Alberta Health Services, 2017);
- FLASH - სექსუალური ჯანმრთელობის შესახებ განათლების სასწავლო გეგმა: სპეციალური განათლების საგაკვეთილო გეგმები (Public Health Seattle & King County, 2005-13);
- პირადი უსაფრთხოება, დაგეგმვა, ცნობადობა, არჩევანი, გაძლიერება (SPACE): ძალადობის პრევენციის პროგრამა ქალებისათვის (The Arc Maryland);
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და ახალგაზრდები: სახელმძღვანელო გენდერული ნიშნით ძალადობასთან და სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებთან დაკავშირებულ, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ და გენდერულ საჭიროებებზე მორგებულ მომსახურებათა მინოდების შესახებ (UNFPA, 2018);
- მხედველობადაქვეითებულ მონანილეთა სექსუალობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება (Perkins School for the Blind, 2014);
- აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლეების საშუალო განათლების ცენტრი (CSESA) (ვებგვერდი);
- სექსუალობა და შეზღუდული შესაძლებლობები (ვებგვერდი);
- დასწავლის უნარის დარღვევის მქონე ადამიანების ხელშეწყობა სექსუალური და რომანტიკული ურთიერთობების დამყარებაში (National Development Team for Inclusion, 2016);
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდები: გენდერული ნიშნით ძალადობის დასრულებისა და სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის (სრჯ) და უფლებების რეალიზაციის გლობალური კვლევა (გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA, 2018);
- საუბრები სექსსა და ურთიერთობებზე: დასწავლის უნარის დარღვევის მქონე ახალგაზრდების მოსაზრებები (CHANGE, 2009);
- ეს უნარებს უკავშირდება: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებათა კონვენციის განმარტება (UNICEF, 2008);
- ჯანსაღი ურთიერთობები, სექსუალობა და შეზღუდული შესაძლებლობები: ცნობარი 2014 წლის გამოცემა (Massachusetts Department of Public Health, 2014);
- Impact: ადამიანის სექსუალობასთან დაკავშირებული საკითხები და ინტელექტუალური დარღვევის, განვითარების შეფერხებისა და სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (Institute on Community Integration & Research and Training Center on Community Living, University of Minnesota, 2010);
- ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის (MarshMedia, 2007);
- ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება განვითარების შეფერხების მქონე ახალგაზრდებისათვის: რას ვამბობ და როგორ ვამბობ? (Resource Center for Adolescent Pregnancy Prevention, website);
- სენსორული დარღვევის მქონე პირთათვის სოციალური უნარებისა და ადამიანის სექსუალობის შესახებ სწავლება - რესურსების ჩამონათვალი (Perkins School for the Blind, 2014);
- PleasureABLE: ინტიმური მონყობილობების სახელმძღვანელო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის (Disabilities Health Research Network, 2009);
- შეზღუდული შესაძლებლობები და აივ (UNAIDS, 2017).

3.3 ახალგაზრდები ჰუმანიტარული კრიზისის პირობებში

ჰუმანიტარული კრიზისი დგება ისეთი მოვლენის ან რიგი მოვლენების შედეგად, რომლებიც საფრთხეს უქმნის ადამიანთა დიდი ჯგუფის კეთილდღეობას, უსაფრთხოებას ან ჯანმრთელობას. კრიზისი შეიძლება იყოს მოულოდნელად დაწყებული, ციკლური ან მზარდი. მისი მიზეზი შეიძლება იყოს ბუნებრივი ან ადამიანის მოქმედებით გამოწვეული, რაც მოიცავს ბუნებრივ კატასტროფებს, შეიარაღებულ კონფლიქტებს, დევნასა და/ან გენოციდს, ეპიდემიებს, კლიმატის ცვლილებას, შიმშილს ან მასობრივ ეკონომიკურ მიგრაციას, რომელიც სიღარიბეს და უთანასწორობას უკავშირდება.

ჰუმანიტარული კრიზისის შედეგად ახალგაზრდები შეიძლება იქცნენ:

- **იძულებით გადაადგილებულ პირებად**, ე.ი. პირებად, რომლებსაც არ დაუტოვებიათ საკუთარი ქვეყნის ტერიტორია, თუმცა იძულებულნი გახდნენ, დაეტოვებინათ საცხოვრებელი ადგილი და სახლი;
- **ლტოლვილებად**, ე.ი. პირებად, რომლებიც იძულებულნი გახდნენ, დაეტოვებინათ საკუთარი ქვეყანა და გადასულიყვნენ სხვა (ძირითადად, მეზობელ) ქვეყანაში;
- **მშობლებს ჩამოშორებულ პირებად**, ე.ი. (18 წლამდე ასაკის) პირებად, რომლებიც აღმოჩნდნენ ორივე მშობლის ან კანონიერად, ან სხვაგვარად მათზე პასუხისმგებელი პირის გარეშე, თუმცა იმყოფებიან სხვა პირებთან, რომლებთანაც ნათესაური კავშირი აქვთ. ისინი შესაძლებელია, იმყოფებოდნენ ოჯახის სხვა სრულწლოვანი წევრების მზრუნველობის ქვეშ;
- **მზრუნველობის გარეშე დარჩენილ პირებად**, ე.ი. 18 წლამდე ასაკის პირებად, რომლებიც აღმოჩნდნენ ორივე მშობლისა და სხვა სრულწლოვანი ნათესავის გარეშე და არ იმყოფებიან კანონიერად ან სხვაგვარად მათზე პასუხისმგებელი პირის მზრუნველობის ქვეშ;
- **მოქალაქეობის არმქონე პირებად**, ე.ი. პირებად, რომელთაც არც ერთი ქვეყანა არ განიხილავს თავის მოქალაქეებად, ქვეყნებში მოქმედი კანონის თანახმად.

დადგენილია, რომ მსოფლიოს მასშტაბით, ლტოლვილთა ნახევარზე მეტს 18 წლამდე ასაკის პირები შეადგენენ (UNHCR, n.d.). 2017 წელს მსოფლიოში 173 000-ზე მეტი 18 წლამდე ასაკის პირი იყო მშობლებს ჩამოშორებული ან მზრუნველობის გარეშე დარჩენილი (UNHCR, 2017). ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობა სახლდება სასოფლო დასახლებებში და არა ბანაკებში (USA for UNHCR, 2018). მათი მდგომარეობა ხშირად არასტაბილურია: ისინი შეიძლება მუდმივად გადაადგილდებოდნენ ერთი ქვეყნის ფარგლებში ან ერთი ქვეყნიდან სხვა ქვეყნებში, ან აღმოჩნდნენ ერთ კონკრეტულ ადგილზე მომწყვდეულნი. მათ დიდ ნაწილს უწევს ცხოვრება არადასახლებულ ტერიტორიაზე ან ქუჩაში. ისინი შეიძლება მოთავსებულები იყვნენ თავშესაფრებში ან თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში.

ჰუმანიტარული კრიზისის დროს ირღვევა ყოველდღიური ცხოვრების რეჟიმი და ხდება იმ ინსტიტუტების ჩამოშლა, რომლებიც ემსახურებიან ბავშვებისა და ახალგაზრდების ჯანმრთელ ზრდასა და განვითარებას: სკოლა წყვეტს მუშაობას, დროებით ან ხანგრძლივი დროით; საზოგადოებრივი კავშირები და სოციალური ქსელები ირღვევა და ერთმანეთს შორდებიან ოჯახის წევრები. კრიზისულ სიტუაციებში ბავშვებსა და ახალგაზრდებს ეზღუდებათ წვდომა განათლებაზე, ინფორმაციაზე, მათთვის საჭირო საშუალებებსა და მომსახურებაზე და ხდებიან დაუცველნი. ოჯახებს მოშორებული ბავშვები და ახალგაზრდები ან ახალგაზრდები, რომლებიც

ოჯახში უფროსის ფუნქციის შემსრულებლად რჩებიან, იძულებულნი არიან, შეწყვიტონ სკოლაში სიარული და ხელი მიჰყონ შრომას, რომელიც ხშირად ექსპლუატაციის ფორმას იღებს; იქცნენ სექსმუშაკებად ან დაქორწინდნენ, საკვებზე, თავშესაფარსა და დაცვაზე საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით (Kerner et al., 2012). უფრო მეტიც, არეულობის პერიოდებში, რომლებიც წინ უსწრებს ან მოსდევს ჰუმანიტარულ კრიზისს, ისინი სექსუალური ძალადობის, იძულებისა და ექსპლუატაციის გაზრდილი რისკის ქვეშ ექცევიან (Kerner et al., 2012).

ყოველივე ზემოთქმული ბავშვებსა და ახალგაზრდებს ჰუმანიტარული კრიზისის პირობებში განსაკუთრებით დაუცველებს ხდის ადრეულ ასაკში ორსულობის, არაუსაფრთხო აბორტის, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებითა (სგვი) და აივ ინფექციით დაავადების, სოციალური სტიგმატიზაციისა და ფსიქოლოგიური ტრავმების მიმართ (Kerner et al., 2012). ბავშვებსა და ახალგაზრდებს, რომლებიც ლტოლვილები ან თავშესაფრის მაძიებლები ხდებიან, ხშირად უწევთ, გაუმკლავდნენ კულტურულ, სექსუალობასა და ურთიერთობებთან დაკავშირებულ განსხვავებებს იმ ქვეყანაში, რომელიც მათ იღებს, განსაკუთრებით, თუ კონსერვატიული ქვეყნიდან გადადიან ლიბერალურ ქვეყანაში, სადაც უჭირთ, გაითავისონ სექსუალობასთან დაკავშირებული ღირებულებები, ჩვევები ან კანონები და სადაც აწყდებიან ენობრივ ბარიერს.

პროგრამის განხორციელება

- **ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამების ჩართვა საგანგებო მდგომარეობისთვის მზადებაში:** მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ ბავშვებისა და ახალგაზრდების სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან (სრჯ) დაკავშირებული ინტერვენციები, მათ შორის, ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება (CSE), არ დარჩეს ყურადღების მიღმა, კრიზისული სიტუაციის დადგომის მომენტში. საჭიროებები იცვლება ჰუმანიტარულ კრიზისზე რეაგირების ფაზების მიხედვით, როგორცაა: კატასტროფისთვის მზადება და რისკის შემცირება; მინიმალური რეაგირება; ყოვლისმომცველი რეაგირება და აღდგენა (Women’s Refugee Commission et al., 2012).
- **გათვალისწინება იმისა, რომ ჰუმანიტარული კრიზისის პირობებში ბავშვები და ახალგაზრდები ხშირად იცვლიან საცხოვრებელ ადგილს:** ვინაიდან ბავშვებისა და ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი ერთ ადგილზე დიდი ხნით არ ჩერდება, მოკლე დროში განხორციელებული პროგრამები უფრო ეფექტიანია, ვიდრე ხანგრძლივ დროზე გადანაწილებული. გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში თითოეული შეხვედრის დროს საჭიროა ერთი თემის ამომწურავად განხილვა (ე.ი. საკითხის სრულყოფილად განხილვა ერთი შეხვედრის ფარგლებში და არა მისი გადატანა მეორე შეხვედრაზე განსახილველად). საჭიროა პროგრამის ფარგლებში შეხვედრების სხვადასხვა დროის ფორმატით დაგეგმვა – დაწყებული შეხვედრებით, რომლებიც გულისხმობს თემის სწრაფად გავლას და მონაწილეთათვის მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებით, დამთავრებული კომპლექსური და ყოვლისმომცველი პროგრამებით.
- **ჰუმანიტარული კრიზისის პირობებში განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება ლესბოსელი, გვი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ბავშვებისა და ახალგაზრდების მონყვლადობაზე:** აღნიშნული ჯგუფების წარმომადგენელი ახალგაზრდები განსაკუთრებით მონყვლადნი ხდებიან ჰუმანიტარული კრიზისის პირობებში, უსაფრთხო, ინკლუზიურ და მათ საჭიროებებზე მორგებულ პროგრამებზე წვდომის შეზღუდვის გამო (WRC, 2016).

- **ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) ჩართვა ან დაკავშირება სხვა მომსახურებებთან, მათ შორის სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან (სრჯ) დაკავშირებულ მომსახურებებთან, იქ, სადაც ამის საშუალება არსებობს:** პოლისტიკური, მულტისექტორული, ინტეგრირებული მიდგომა შეიძლება, მოიცავდეს ადამიანის სექსუალობის შესახებ კომპლექსურ განათლებასთან (CSE) არადაკავშირებულ/დაუკავშირებელ უნარებს, წერა-კითხვასა და ანგარიშს, პროფესიულ ტრენინგსა და სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან უნარებს (Women’s Refugee Commission et al., 2012). ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) ჩართვა რეკომენდებულია არსებულ და დაგეგმილ აქტივობებში, მათ შორის, გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციაზე ორიენტირებულ აქტივობებში.
- **ადგილობრივი და/ან მიმღები საზოგადოებისთვის განკუთვნილ პროგრამებთან ინტეგრირება, სადაც ეს შესაძლებელია:** იმ ადგილებში, სადაც ლტოლვილები ან იძულებით გადაადგილებული პირები ინტეგრირებული არიან ადგილობრივ მოსახლეობასთან, პროგრამებიც ინტეგრირებული უნდა იყოს და მოიცავდეს ორივე ჯგუფს.
- **ადამიანის სექსუალობასთან დაკავშირებული საკითხები აქტუალურია კონსერვატიული იდეოლოგიის მატარებელ კულტურაშიც:** აღნიშნული უნდა გაითვალისწინონ პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელმა იმ პირებმა, რომლებიც ადგილობრივისგან განსხვავებულ კულტურას ეკუთვნიან. საჭიროა გამოკვლევა იმისა, თუ რა არის ხელმისაწვდომი ადგილობრივად ან მსგავს ადგილებში. ლტოლვილებით დასახლებულ ადგილებში მოსახლეობას ხშირად შეეხება აქვს უფრო მრავალფეროვან ადამიანებთან, რაც მათ ახალი გამოცდილების, იდეების, გზავნილებისა და პროგრამების გაცნობის საშუალებას აძლევს.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

- **მონაწილეთა წიგნიერების დონის გათვალისწინება და თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობა:** საგანგებო სიტუაციებში, განსაკუთრებით ხანგრძლივად მიმდინარე კრიზისების დროს, ბავშვები და ახალგაზრდები, ხშირად, სასკოლო განათლებას შეფერხებით იღებენ და, შესაბამისად, არასრულფასოვანი განათლება აქვთ. ამიტომ, მათ შორის ბევრია წიგნიერებისა და განათლების დაბალი დონით. საჭიროა ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც შეესაბამება მონაწილეთა წიგნიერების დონეს.
- **გოგონების აღჭურვა ერთმანეთში სოციალიზაციისა და კავშირების დამყარების შესაძლებლობებით:** საჭიროა გოგონების დაცვისა და გაძლიერების ხელშეწყობა, მათთვის დროისა და სივრცის გამოყოფით, რათა შეძლონ თავიანთ თემში თანატოლებსა და მათზე უფროსი ასაკის გოგონებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება და ერთმანეთის მხარდაჭერა (Women’s Refugee Commission et al., 2013; IRC, 2017).

პროგრამის განხორციელება

- **ჰუმანიტარული კრიზისის პირობებში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდებისთვის სხვადასხვა არხის მოძიება:** მაგალითად, სამთავრობო სერვისების, არასამთავრობო ორგანიზაციების ან გაეროს მეშვეობით; ფიქსირებულ ადგილებში, როგორცაა ახალგაზრდული ცენტრები, ქალებისა და გოგონებისათვის უსაფრთხო ადგილები, ახალგაზრდებისათვის განკუთვნილი კლინიკები ან ჯანმრთელობის დაცვის სხვა სერვისები; მობილური სასწავლო ცენტრები, სადაც წარმოებს

ფასილიტატორების მოწვევა ან დისტანციურად, ტექნოლოგიების გამოყენებით. ასევე, შეიძლება არსებობდეს გოგონების, ბიჭების ან ახალგაზრდათა ჯგუფები, რომელთა მიერ განხორციელებულ პროგრამებშიც შესაძლებელია ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) ჩართვა.

- **შემოქმედებითი და მოქნილი სტრატეგიების გამოყენება, ბავშვებისა და ახალგაზრდების, განსაკუთრებით დაუცველ ან ძნელად მისადგომ ადგილებში მცხოვრები გოგონების, ჩართვის უზრუნველსაყოფად:** პროგრამაში მონაწილეობისთვის მეტი ბავშვისა და ახალგაზრდის მოზიდვა, მათთვის მოქნილი წვდომის შეთავაზებით და პროგრამის ფარგლებში შეხვედრების მათთვის მისაღებ დროს დაგეგმვით. პროგრამის ბიუჯეტი უნდა ითვალისწინებდეს ტრანსპორტირების ხარჯს (Women’s Refugee Commission et al., 2012).

მნიშვნელოვანი დოკუმენტები და სასწავლო გეგმები

- **Girl Shine - პროგრამის მოდელი და რესურსების პაკეტი (IRC, 2018);**
- **ჩემი უსაფრთხოება, ჩემი კეთილდღეობა: მოზარდი გოგონების აღჭურვა გენდერული ძალადობის შემცირების, აღკვეთისა და მათზე რეაგირებისთვის საჭირო ძირითადი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით (IRC, 2016);**
- **ბიჭებო წინ! - ცხოვრებისეული უნარების სახელმძღვანელო უმეტესადაა დარჩენილი მოზარდი ბიჭებისათვის: ფასილიტატორთა სახელმძღვანელო, მონაწილეთა წიგნი, ბროშურა (გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), 2019);**
- **მოზარდთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის (სრჯ) ინსტრუმენტთა ნაკრები, ჰუმანიტარული კრიზისის პირობებში გამოსაყენებლად: ჰუმანიტარული კრიზისის პირობებში რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ უწყებათაშორისი სავლელ სახელმძღვანელოს დანართი (გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), 2009);**
- **ჯანსაღი ურთიერთობა, ჯანსაღი საზოგადოება - სასწავლო გეგმა: ფსიქიკური ჯანმრთელობის, სოციალური ნორმებისა და ადვოკატირების მიდგომების ჩართვა ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის აღკვეთის საქმეში (ABAAD Resource Center for Gender Equality, 2018);**
- **ჩემი და შენი უსაფრთხოება (Save the Children, 2006);**
- **ჩემი და შენი თანასწორობა (Save the Children, 2010); მოზარდთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა (სრჯ) ჰუმანიტარული კრიზისის პირობებში დისტანციური განათლება (ონლაინკურსი) (Inter-Agency Working Group on Reproductive Health in Crises, 2016).**

3.4 მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი ახალგაზრდები

მკვიდრი მოსახლეობა წარმომადგენს იმ პირების შთამომავლებს, რომლებიც კონკრეტულ გეოგრაფიულ რეგიონში სხვა კულტურისა და ეთნიკური წარმომავლობის ხალხის დასახლებამდე ცხოვრობდნენ, ვიდრე გაჩნდებოდა თანამედროვე სახელმწიფოები და დადგინდებოდა საზღვრები.⁶ შეფასების თანახმად, მსოფლიოს მასშტაბით, 90-ზე მეტ ქვეყანაში დაახლოებით 370 მილიონი მკვიდრი მოსახლეა (World Bank, 2019). მკვიდრმა მოსახლეობამ შეინარჩუნა კონკრეტული სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტები, რომლებიც წინაკოლონიალური საზოგადოებისას წააგავს და მათ აქვთ უნიკალური პრაქტიკა, რწმენა და ენები, რომლებიც განასხვავებს მათ მოცემულ გეოგრაფიულ

⁶ადამიანის უფლებათა პრინციპების თანახმად, „მკვიდრ მოსახლეობად“ იწოდებიან პირები, რომლებიც თავის იდენტიფიცირებას ახდენენ მკვიდრ მოსახლეობასთან, ინდივიდუალურ დონეზე და ასევე მიღებულნი არიან მკვიდრი მოსახლეობის თემის წევრებად.

არეალში დომინანტი და მენისტრიმული კულტურისაგან (WHO, 2007b). ზოგადად, ისინი ინარჩუნებენ ძლიერ კავშირს თემის წევრებს შორის და იმ მიწასთან, სადაც ცხოვრობენ (UNDP, 2019).

მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი ბავშვებისა და ახალგაზრდების თვითგამორკვევის პროცესი უკავშირდება არა მხოლოდ მათ სხეულსა და სექსუალურ და რეპროდუქციულ უფლებებს, არამედ მჭიდრო კავშირს მათ კულტურასთან, საზოგადოებასთან, ისტორიასა და მიწასთან. მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი ბავშვებისა და ახალგაზრდების სექსუალობა უნდა აღიქმებოდეს მათი კულტურული პრაქტიკის, შეხედულებებისა და სამყაროს ხედვის კონტექსტში. მაგალითად, მოზარდობისა და სრულწლოვანების ასაკში შესვლასთან დაკავშირებული ტრადიციული პრაქტიკა საშუალებას აძლევს მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელ ახალგაზრდებს, უკეთ შეიცნონ თავიანთი სექსუალობა, მათსავე კულტურაში მიღებული მეთოდით.

მას შემდეგ, რაც კოლონიზატორთა შთამომავლობა, დროთა განმავლობაში, დომინანტ მოსახლეობად იქცა, მკვიდრი მოსახლეობა, ბევრგან, უმცირესობის სტატუსის მატარებელი გახდა. კოლონიური ან დომინანტი რელიგიური და კულტურული პრაქტიკის იძულებითმა თავსმოხვევამ, იძულებითმა გადასახლებამ (მაგალითად, გარემოს დეგრადაციის გამო) და ფორმალურ საგანმანათლებლო სისტემებში იძულებითმა ჩართვამ ხელი შეუწყო თაობების ტრავმირებას (Reading and Wein, 2013). დღეს მკვიდრი მოსახლეობა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე უფლებაშემზღუდულ ჯგუფებადაა წარმოდგენილი (WHO, 2007b). ისინი უთანასწორობის მსხვერპლს წარმოადგენენ ადამიანის განვითარების თითქმის ყველა ინდექსით, როგორცაა: ჯანდაცვა, განათლება და შემოსავლები. მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი ბავშვები და ახალგაზრდები ვერ ახერხებენ მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების, განათლებისა თუ იურიდიული მომსახურების მიღებას და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობას (WHO, 2007b; Inter-Agency Support Group on Indigenous Peoples' Issues, 2014).

მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი ბევრი ბავშვი და ახალგაზრდა დგას იმ გამოწვევის წინაშე, რომელიც ორი განსხვავებული კულტურის გადაკვეთის ადგილზე გაზრდას უკავშირდება და შესაძლებელია, ზემოგავლენა იქონიოს მათ ფსიქოლოგიურ და სექსუალურ კეთილდღეობასა და განვითარებაზე. გარდა იმ ბარიერებისა, რომელთა გადალახვაც უწევთ არაპრივილეგირებული ჯგუფების წარმომადგენლების უმრავლესობას, სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან (სრჯ) დაკავშირებით (როგორცაა: ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლებასა და შესაბამის მომსახურებაზე წვდომის შეზღუდვა, ზოგადი ჯანმრთელობის არასახარბიელო მდგომარეობა და უთანასწორო გენდერული ნორმები) მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი ბევრი ბავშვი და ახალგაზრდა კონკრეტული გამოწვევების წინაშე დგას, მათ შორის მათი კულტურისთვის მისაღები მომსახურების ნაკლებობის, რომელიც გაითვალისწინებდა ტრადიციულ პროფილაქტიკას, მკურნალობის პრაქტიკასა და სამედიცინო პრეპარატების სახით გამოყენებულ საშუალებებს (Inter-Agency Support Group on Indigenous Peoples' Issues, 2014). შეუსაბამო და თანაგრძნობას მოკლებული მომსახურება, რასაც თან ახლავს სისტემური დისკრიმინაციისა და უნდობლობის გამოცდილება, მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელ ბევრ ბავშვსა და ახალგაზრდას

აიძულებს, არ ეძიონ დახმარება, განსაკუთრებით სექსუალური ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მომსახურების მიღების მიზნით (State of Queensland, 2013). ზოგიერთ რეგიონში, მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი ბავშვებისა და ახალგაზრდების შემთხვევაში, სხვებთან შედარებით გაცილებით მაღალია ქცევითი რისკფაქტორები, რომელიც აივ ინფექციის გადაცემას უკავშირდება, მათ შორის – ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარება, ადრეულ ასაკში ორსულობა, რისკის შემცველი სექსუალური ქცევა და სექსუალური ჯანმრთელობის შერყევა (PAHO, 2011).

ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლებასთან (CSE) დაკავშირებით მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი ბავშვებისა და ახალგაზრდების საჭიროებების შესახებ გამოქვეყნებული ლიტერატურის სიმწირის გამო, წინამდებარე ნაწილში შესული რეკომენდაციების უმრავლესობა ეფუძნება ინტერვიუებს მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლებთან.

პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

- **ინტერვენციების მორგება მკვიდრი მოსახლეობის კონტექსტსა და კულტურაზე:** პროგრამები უნდა ითვალისწინებდეს წარსულსა თუ აწმყოში მკვიდრი მოსახლეობის ცოდნასა და პრაქტიკას, რომელიც უკავშირდება ჯანმრთელობას, დაავადებებსა და მათ ტრადიციულ მედიცინას (United Nations, 2014). მკვიდრი მოსახლეობის თემებთან მუშაობისას პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ (ისტორიული ან ამჟამინდელი) კოლონიზაციის, ჩაგვრის, რასიზმისა და დეკულტურაციის შედეგები, რამაც მთელი თემის ტრავმირება გამოიწვია. ასევე, უნდა გაითვალისწინონ არსებული სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტი, რომელიც შეიძლება მოიცავდეს შორეულ ადგილებში მჭიდროდ შეკრულ თემად მცხოვრებ მოსახლეობაში, რომლის წევრებსაც არ აქვთ წვდომა მომსახურებაზე, დანაშაულის, სუიციდისა და საზოგადოებასა და ოჯახში ძალადობის მაღალ მაჩვენებელს (PAHO, 2011).
- **ინტერკულტურული მიდგომის გამოყენება:** პროგრამებმა უნდა უზრუნველყოს კონცეპტუალური ჩარჩოების შექმნა, რომლებიც ითვალისწინებს მკვიდრი მოსახლეობის კულტურის პატივისცემას და ემსახურება მათი კულტურის განვითარებას, მონაწილეთა ბიოლოგიური, სულიერი და ემოციური ცხოვრების დაკავშირებას სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის (სრჯ) ყველა კომპონენტთან (Reading and Wein, 2013; United Nations, 2014).
- **პროგრამები უნდა იყოს პოლისტიკური და სრულად მოიცავდეს თემს:** ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) სამიზნე აუდიტორიას ასევე უნდა წარმოადგენდეს მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი ბავშვებისა და ახალგაზრდების მშობლები და ბებია-ბაბუები, აღნიშნულ საკითხზე თაობათაშორისი დიალოგის ხელშეწყობისა და შესაძლებლობების გასაფართოებლად (United Nations, 2014).
- **აღიარება იმისა, რომ მკვიდრი მოსახლეობის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა (სრჯ) და უფლებები ურთიერთკავშირშია გაეროს მკვიდრი მოსახლეობის უფლებების დეკლარაციაში მოცემული სხვა უფლებების პატივისცემასთან, დაცვასა და რეალიზებასთან:** აღნიშნული მოიცავს მათი თვითგამორკვევის უფლებას (რომელიც აღიარებულია, როგორც მკვიდრი მოსახლეობის ჯანმრთელობის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელი) და თავისუფალი და

ინფორმირებული თანხმობის უფლებას (United Nations, 2007). ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი ბავშვებისა და ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა და ჩართულობა პროგრამების დაგეგმვასა და შემუშავებაში.

- **საკმარისი დროისა და ბიუჯეტის გამოყოფა:** მნიშვნელოვანი ადამიანური და ფინანსური რესურსებია საჭირო განსხვავებული შესაძლებლობების მქონე და ხშირად იზოლირებული მკვიდრი მოსახლეობის თემებთან ურთიერთობებისა და თანამშრომლობის დასამყარებლად.
- **მონაწილეთა ყველა საჭიროების იდენტიფიცირება და პროგრამაში ყველა ამ საჭიროების, ინტერესისა და მისწრაფების გათვალისწინების უზრუნველყოფა:** აღნიშნული შესაძლებელია, გასცდეს ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) ფარგლებს და მოიცავდეს დაგეგმვასა და მიზნების განსაზღვრას, განათლებასა და ტრენინგს, დასაქმების შესაძლებლობების შექმნას, რაც ემსახურება მკვიდრი მოსახლეობის სოციალური, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული და ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფას. საჭიროა ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) დაკავშირება სხვა პროგრამებსა და პროექტებთან, რომლებიც მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობის უზრუნველყოფას ემსახურება – სასკოლო განათლებაში ჩართვას, სპეციალობის შეძენასა და პროფესიულ მომზადებას.
- **ენობრივი საჭიროებების დაკმაყოფილების დაგეგმვა:** ზოგიერთ ქვეყანაში თემები შესაძლებელია, სხვადასხვა ენებზე საუბრობდნენ. ამასთანავე, არ არის გამორიცხული, მკვიდრი მოსახლეობის ენაში არ იყოს წარმოდგენილი ადამიანის სექსუალობასთან დაკავშირებული ცნებების შესაბამისი სიტყვები და ტერმინები ან შესაძლოა, იყენებდნენ სრულებით განსხვავებულ ტერმინებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანი მოსამზადებელი სამუშაოებია საჭირო თემის წარმომადგენელ იმ პირებთან ერთად, რომლებიც საუბრობენ პროგრამაში გამოყენებულ ყველა ენაზე.
- **ურთიერთგაგების ატმოსფეროს შექმნა:** მიუხედავად იმისა, რომ მკვიდრი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა არ წარმოადგენს მხოლოდ სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ მოსახლეობას, პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელმა პირებმა, რომლებიც პროგრამის განხორციელებას ძირითადი მოსახლეობისგან მოშორებულ ტერიტორიაზე ან იზოლირებულად მცხოვრებ თემში გეგმავენ, საჭიროა, განსაზღვრული დრო დაუთმონ ამ თემთან ურთიერთობის დამყარებას და განიხილონ მისი ტრადიციული პრაქტიკა, კულტურათაშორისი მიდგომის გამოყენებით. ადგილობრივი თემის წარმომადგენლებთან მუშაობის შედეგად მათ უნდა შეისწავლონ, თუ რა შეხედულება, ცოდნა და პრაქტიკა არსებობს თემში, პროგრამაში შესულ თითოეულ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

- **სწავლებისა და სწავლის კულტურულად მისაღები მეთოდების პატივისცემა და მათი გამოყენება, ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) კულტურის თვალსაზრისით უსაფრთხო მინოდების უზრუნველსაყოფად:** კულტურული უსაფრთხოება სცილდება კულტურული მგრძობელობის კონცეფციის ფარგლებს. იგი მოიცავს ძალაუფლების ბალანსის დარღვევის, ინსტიტუციური დისკრიმინაციის,

კოლონიზაციისა და კოლონიზატორებსა და ჰეგემონურ კულტურებთან ურთიერთობის ანალიზს, ჯანდაცვის მიმართულებით განათლებისა და მომსახურების კონტექსტში. კულტურული უსაფრთხოება ასევე მნიშვნელოვანია მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი ბავშვებისა და ახალგაზრდების ფიზიკური, სულიერი, ფსიქიკური და ემოციური ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად.

ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლებასთან დაკავშირებული კულტურულად უსაფრთხო მაგალითები მოიცავს რიტუალებს, რომლებიც უკავშირდება მოზარდობის ასაკს და გულისხმობს თანატოლთა განათლებას და მენტორობას სექსუალობასა და ურთიერთობებთან დაკავშირებულ სწავლებაში და კულტურის გათვალისწინებით სწავლებას, რომელიც ემსახურება ბავშვებისა და ახალგაზრდების გაძლიერებას, ეფუძნება ცოდნას და არ შეიცავს სტიგმისა და გაკიცხვა-განსჯის ელემენტებს (United Nations, 2014).

- **ტრავმაზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენება:** მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელთა უმრავლესობას განცდილი აქვს კოლექტიური, ინსტიტუციური, პიროვნული თუ თვითმიყენებული დამცირება/თვითდამცირება, ტრავმა და ძალადობა, რომელიც უკავშირდება მათ კულტურასა და თაობათაშორის დამოკიდებულებას და რაც მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს (UNDESA, 2015; UNDESA, 2017b; PAHO, 2018). ტრავმაზე დაფუძნებული მიდგომის შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის, იხ. წინამდებარე პუბლიკაციის ქვეთავი 2.2.
- **მკვიდრი მოსახლეობის ხელოვნებისა და შესაბამისი პრაქტიკის ჩართვა:** მკვიდრი ხალხების ბევრ კულტურაში ხელოვნება შეიძლება თემის იდენტობის გამომხატველი იყოს და შეიცავდეს მნიშვნელოვან ინფორმაციას მათ შესახებ. ამიტომ შესაძლოა, მიზანშეწონილი იყოს მკვიდრი მოსახლეობის ხელოვნებისა და შესაბამისი აქტივობების ჩართვა ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლებაში (CSE).
- **მკვიდრი მოსახლეობის მშობლიურ მინასთან ღრმა კავშირისა და ურთიერთობის აღიარება:** იქ, სადაც ამის შესაძლებლობა არსებობს, ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება (CSE) რეკომენდებულია მიმდინარეობდეს ღია სივრცეში. გამოყენებული მიდგომები უნდა ემსახურებოდეს მკვიდრი მოსახლეობის თემის შეხედულებების, ღირებულებებისა და პრაქტიკის განმტკიცებას, იმის აღიარებას, რომ სწავლა წარმოებს დაკვირვებისა და ადამიანებს შორის და მინასთან ურთიერთობების საშუალებით. ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) კონტექსტში, აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს მკვიდრ მოსახლეობას შორის დამკვიდრებულ მკურნალობას, მოვლის მეთოდებსა და სამედიცინო საშუალებებს.
- **ზიანის შემცირების მიდგომის გამოყენება მავნე პრაქტიკის ან თვითდაზიანების ქცევის შესახებ სწავლების პროცესში:** მნიშვნელოვანია მუშაობა ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელ ბავშვებსა და ახალგაზრდებთან, მათი მდგომარეობის შეფასებისა და დახმარების მიზნით, რათა მთელი რიგი სტრატეგიების გამოყენებით უზრუნველყონ პირადი უსაფრთხოება. ზიანის შემცირების მიზნით შემუშავებული ინტერვენციები უნდა ითვალისწინებდეს კონკრეტულ, ინდივიდუალურ თუ თემის საჭიროებებს.

- **მონაწილეთა განათლებისა და წიგნიერების დონის გათვალისწინება:** იმ შემთხვევაში, თუ მონაწილეთა შორის მაღალია წერა-კითხვის უცოდინართა პროცენტული რაოდენობა, საჭიროა, მინიმუმამდე შემცირდეს ნაბეჭდი მასალის გამოყენება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მკვიდრი მოსახლეობის გარკვეული თემები საუბრობენ ენებზე, რომლებსაც არ გააჩნია დამწერლობა.

პროგრამის განხორციელება

- **ფასილიტატორთა შერჩევა იმ კრიტერიუმით, თუ რამდენად კარგად იცნობენ მკვიდრი მოსახლეობის კულტურას:** მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი ბავშვები და ახალგაზრდები, ისევე, როგორც მკვიდრი მოსახლეობის თემი, ამჟობინებენ განათლება მიეწოდებოდეთ მათივე თემის წარმომადგენლის მიერ, რადგან ამგვარად წარმოებს თვითგამორკვევის მნიშვნელობის აღიარება და აღნიშნული მიდგომა კულტურულად უსაფრთხოდ მიიჩნევა (UNFPA, 2015a). აღნიშნულისგან განსხვავებულმა მიდგომებმა შეიძლება ხელი შეუწყოს მონაწილეთათვის სექსუალობის შესახებ გარე სამყაროში არსებული შეხედულებებისა და დამოკიდებულების თავსმოხვევას და ძალაუფლების დისბალანსის შექმნას, არამკვიდრი მოსახლეობის სასარგებლოდ. მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი ბავშვები და ახალგაზრდები შეიძლება უხუცესებისგანაც იღებდნენ ინფორმაციას იმ კულტურებში, სადაც ისინი განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. პროგრამებმა უნდა უზრუნველყოს თემის წარმომადგენელთა ტრენინგი, რათა მათ თავად შეძლონ განათლების მიწოდება ან – ახალგაზრდების ტრენინგი, სემინარების საწარმოებლად და იმისათვის, რომ შეძლონ პროგრამის განხორციელებაში დახმარების განევა.

სახელმძღვანელოები და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები

- მკვიდრ მოსახლეობას შორის მკურნალობასთან დაკავშირებულ ცერემონიებზე გამოყენებული პრაქტიკა (Spruce Woods Sundance Family, 2017);
- თანასწორობის ხელშეწყობა; მრავალფეროვნების აღიარება: ლათინური ამერიკის მკვიდრ მოსახლეობას შორის სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან (სრჯ) დაკავშირებული ინტერკულტურული შემთხვევების კვლევა (გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), 2010);
- უსაფრთხო და მზრუნველი სკოლები მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი ახალგაზრდებისათვის: სახელმძღვანელო მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის (Society for Safe and Caring Schools & Communities, 2011);
- მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი გოგონების სექსუალური ჯანმრთელობის შესახებ განათლების პრაქტიკაში გამოყენებული მიდგომა (Journal of the Canadian Academy of Child and Adolescent Psychiatry, 2006);
- აივ/სგად-ის პრევენციის სახელმძღვანელო ამერიკის მკვიდრი მოსახლეობისთვის: ამერიკელი ინდიელები, ალასკისა და ჰავაის მკვიდრი მოსახლეობა (National Native American AIDS Prevention Center, 2004);
- ზიანის შემცირების ინდოგენიზაცია (Native Youth Sexual Health Network, n.d.);
- გაეროს დეკლარაცია მკვიდრი ხალხების უფლებების შესახებ (United Nations, 2007).

2.4 ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ახალგაზრდები და სხვა ახალგაზრდა მამაკაცები, რომლებსაც აქვთ სექსუალური ურთიერთობა მამაკაცებთან



წინამდებარე თავი ეძღვნება ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ბავშვებისა და ახალგაზრდების განათლებას ადამიანის სექსუალობის შესახებ და არ მოიცავს ტრანსგენდერ და ინტერსექსუალ ბავშვებსა და ახალგაზრდებს. რაც ნიშნავს იმის აღიარებას, რომ სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა და ფიზიკური სქესობრივი ნიშნები ადამიანის იდენტობის მკაფიო განმსაზღვრელია და თითოეულ ჯგუფს გააჩნია საკუთარი კონკრეტული საჭიროებები.

აქედან გამომდინარე, წინამდებარე სახელმძღვანელოში გამოყენებულია აკრონიმი “ლგბტ+ ადამიანები” (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, პანსექსუალი, ასექსუალი და ჰეტეროსექსუალთაგან განსხვავებული სხვა სექსუალური ორიენტაციის მქონე პირები), ნაცვალდ უფრო გავრცელებული აკრონიმისა “ლგბტქ+”. ლგბტქ+ ადამიანები გულისხმობს (არაჰეტეროსექსუალებს) მხოლოდ სექსუალურ ორიენტაციას. მიუხედავად იმისა, რომ “ქ” (ქვიარი) აკრონიმის ნაწილს წარმოადგენს, წინამდებარე სახელმძღვანელოში არ წარმოებს ამ კატეგორიას მიკუთვნებული ადამიანების ცალკე გამოყოფა, ვინაიდან იგი ფართოდ არ გამოიყენება ყველა ქვეყანაში.

ბოგიერთ კონტექსტში, ინტერსექსუალ ადამიანებს არ სურთ ისინი განიხილებოდნენ ლგბტქ+ თემის ნაწილად, რადგან მიაჩნიათ, რომ ეს მათ გარკვეული საფრთხის წინაშე აყენებს. ინტერსექსუალი ადამიანების მახასიათებლების მატარებელი ბავშვები და ახალგაზრდები შესაძლებელია იდენტიფიცირებული იქნან სხვადასხვა სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან, და მათ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნას ქვევით მოცემული ის რეკომენდაციები, რომლებიც მათ სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობას შეესაბამება. მიუხედავად ამისა, აღნიშნული თემები ხშირად ერთი ქოლგა-ტერმინის - ლგბტქ+ - ქვეშ ერთიანდება და ისინი ერთად ეწვეიან ადვოკატირებას მათი უფლებების დაცვის მიმართულებით, ვინაიდან ისინი ხშირად მსგავსი სოციალური ბენოლის, სტიგმისა და დისკრიმინაციის მსხვერპლი ხდებიან. მიუხედავად იმისა, რომ მათ განსხვავებული საჭიროებები გააჩნიათ ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების კონტექსტში, მათთვის შესაძლებელია უმჯობესი იყოს ერთ ჯგუფში მუშაობა, რაც ხელს შეუწყობს სხვადასხვა თემების შესახებ ინფორმაციის მიღებასა და სხვადასხვა თემების წარმომადგენლებს შორის ურთიერთგაგებას.

სექსუალური ორიენტაცია გულისხმობს ადამიანის ემოციურ, რომანტიკულ ან სექსუალურ მიზიდულობას კონკრეტული გენდერის მიმართ:

- **ჰეტეროსექსუალი** პირი, რომელიც სექსუალურ და/ან რომანტიკულ ლტოლვას განიცდის ძირითადად ან მხოლოდ მისგან განსხვავებული სქესის ან გენდერის მქონე პირების მიმართ.
- **ჰომოსექსუალი (გეი ან ლესბოსელი)** პირი, რომელიც სექსუალურ და/ან რომანტიკულ ლტოლვას განიცდის ძირითადად ან მხოლოდ მისივე სქესის ან გენდერის მქონე პირების მიმართ.

- **ბისექსუალი** პირი, რომელიც სექსუალურ და/ან რომანტიკულ ლტოლვას განიცდის როგორც მისივე ასევე მისგან განსხვავებული სქესის ან გენდერის მქონე პირების მიმართ.
- **პანსექსუალი** პირი, რომელიც სექსუალურ და/ან რომანტიკულ ლტოლვას განიცდის ნებისმიერი გენდერის მქონე პირების (მამაკაცების, ქალების, ტრანსგენდერების და სხვ.) მიმართ.
- **ასექსუალი** პირი, რომელიც არ განიცდის სექსუალურ ლტოლვას სხვა ადამიანის მიმართ ან ნაკლები ინტერესი და სურვილი აქვს ჰქონდეს სქესობრივი კავშირი.

სექსუალური ორიენტაცია უნდა განიხილებოდეს, როგორც მიმდინარე მოვლენა. ადამიანის ორიენტაცია სულაც არ არის ფიქსირებული და შეიძლება ცვლილება განიცადოს ცხოვრების მანძილზე. ზოგი ადამიანი არ მიაკუთვნებს თავს რომელიმე კონკრეტულ კატეგორიას. სექსუალური ორიენტაცია (ადამიანის ლტოლვა სხვა ადამიანის მიმართ) განსხვავდება სექსუალური იდენტობისგან (როგორ აღიქვამს და წარმოაჩენს ადამიანი საკუთარ თავს) და სექსუალური ქცევისგან (რასაც ადამიანი რეალურად აკეთებს). მაგალითად, "მამაკაცები, რომლებსაც აქვთ სექსუალური ურთიერთობა მამაკაცებთან" გამოიყენება ყველა მამაკაცის აღსაწერად, რომლებსაც აქვთ სექსუალური ურთიერთობა მამაკაცებთან, იმისდა მიუხედავად, აქვთ თუ არა მათ სექსუალური ურთიერთობა ქალებთან, თუ საკუთარ თავს მიიჩნევენ გეებად, ბისექსუალებად თუ ჰეტეროსექსუალებად. სოციალურმა გარემომ და სიტუაციამ (მაგ. საერთო საცხოვრებლები, თავისუფლების შეზღუდვის დანესებულებები, საპატიმროები) ასევე შეიძლება გავლენა იქონიოს სექსუალური პარტნიორის არჩევანზე. ამ და სხვა მიზეზების გამო (საკუთარი თავთან საკუთარი ორიენტაციის აღიარების შიშის ჩათვლით), დაუდგენელია მსოფლიოში იმ ბავშვებისა და ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც ლგბქ + ადამიანთა კატეგორიას განეკუთვნებიან. სხვადასხვა შეფასების შედეგად მიღებული ამ კატეგორიის ადამიანთა რაოდენობის მაჩვენებლები მკვეთრად განსხვავდება და მუდმივად განხილვის საგანს წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ლგბქ+ ბავშვი გარკვეულია საკუთარ სექსუალურ ორიენტაციაში ადრეული ასაკიდან, ხშირია შემთხვევები, როდესაც ამ პირების რომანტიკული და სექსუალური მიდრეკილებები თავს იჩენს მოზარდობის ასაკში. კულტურებში, სადაც გმობენ ერთი სქესის წარმომადგენელთა შორის ურთიერთობებს, ან არსებობს ამგვარ ურთიერთობებთან დაკავშირებული სტიგმა, ამ პირთა მიერ თვითრეალიზაციის მცდელობა ხშირად იწვევს დაბნეულობას, სირცხვილს, შიშს, თვითსტიგმას ან საკუთარი თავის სიძულვილს.

ჩვეულებრივ წარმოებს ლგბქ + ადამიანების ისეთი უფლებების შეზღუდვა, როგორიცაა ღირსების დაცვა, თანასწორობა, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, უსაფრთხოება, ჯანმრთელობა, განათლება და დასაქმება, ასევე წამების, სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და თვითნებური თავისუფლების აღკვეთისგან დაცვის უფლებები. ხშირია კანონები, რომლებიც ლგბქ + ადამიანების დისკრიმინაციას ემსახურება, მათ შორის ერთი სქესის პირთა შორის ურთიერთობების აკრძალვას, ერთსქესიანთა ქორწინების დაუშვებლობას და ლგბქ + ორგანიზაციების შექმნის უფლების შეზღუდვას. ისეთი კულტურისა და ტრადიციების თუ რელიგიის მქონე საზოგადოებებში, რომლებიც მიუღებლად მიიჩნევენ მსგავს ურთიერთობებს, ლგბქ + ადამიანები ხშირად სტიგმისა და დისკრიმინაციის მსხვერპლი ხდებიან, ადგილი აქვს მათი უფლებების სერიოზულ დარღვევას და ხშირად მათ მიმართ სასტიკ

მოპყრობასა და ძალადობას, მათ შორის გაუპატიურებას და მკვლელობას.

იმ მტრული განწყობის გამო, რომელიც არსებობს ლგბქ + ადამიანების მიმართ, მათ შორის ამ კატეგორიის ბავშვებისა და ახალგაზრდების მიმართ, შეიძლება ისინი აიძულოს დამალონ საკუთარი იდენტობა. ზოგიერთ კულტურაში, ახალგაზრდა ლგბქ + პირები შეიძლება იძულებული შექმნან ურთიერთობა დაამყარონ საპირისპირო სქესის წარმომადგენლებთან, რათა თავიდან აიცილონ სტიგმა და დისკრიმინაცია ან ძალადობა მათი ოჯახის ან საზოგადოების მხრიდან, ან იმ მიზნით რომ ჰყავდეთ შვილები; ან შეიძლება მათი ოჯახები აიძულებდნენ მათ დაქორწინებას. იმ შემთხვევაში თუ მათი სექსუალური ორიენტაცია ან ქცევა გამჟღავნდება, ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ საკუთარი ოჯახის წევრებისგან გარიყული ან თემიდან მოკვეთილი და რელიგიის მიერ დაგმობილი. ისინი შეიძლება ოჯახის წევრების მიერ სახლიდან იქნენ გაძევებული, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მხრიდან ჩაგვრისა და შევიწროების გამო მიატოვონ სკოლა, ან დაკარგონ სამსახური.

ერთი სქესის პირებს შორის ურთიერთობის კრიმინალიზაცია და სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების მხრიდან მათი დისკრიმინაცია სერიოზულ ბარიერებს უქმნის ახალგაზრდა ლგბქ + ადამიანებს ჯანდაცვის მომსახურებათა ხელმისაწვდომობის მიმართულებით და მათი ჯანმრთელობის გაუარესებას უწყობს ხელს. ეს უკანასკნელი მოიცავს აივ ინფიცირების გაცილებით მაღალ მაჩვენებელს იმ ახალგაზრდა მამაკაცებს შორის, რომელთაც აქვთ სქესობრივი კავშირი მამაკაცებთან, ზოგადად მოსახლეობაში არსებულ მაჩვენებელთან შედარებით (UNFPA et al., 2015; Keifer and Arshad, 2016). კვლევებით დგინდება, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ლგბქ+ ახალგაზრდა ქალები უფრო ხშირად ორსულდებიან, ვიდრე იგივე ასაკობრივი ჯგუფის ჰეტეროსექსუალი ქალები (Lindley and Walsemann, 2015; Hodson et al., 2017). გარიყვა, უარყოფა და ძალადობა, რასაც ლგბქ + ბავშვები და ახალგაზრდები განიცდიან, განაპირობებს იმას, რომ თვითმკვლელობის მცდელობისა და თვითმკვლელობის მაჩვენებლები გაცილებით მაღალია მათ შორის, ვიდრე ზოგადად ახალგაზრდებს შორის (Haas et al., 2011).

პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

- **ამგვარი ჯგუფების არსებობის შემთხვევაში, ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე არსებულ ლგბქ+ ადამიანების ჯგუფებთან კონსულტირება, პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხებზე და აგრეთვე პროგრამის შესახებ ლგბქ+ ბავშვებისა და ახალგაზრდების ინფორმირებისა და პროგრამაში მათი ჩართვის ოპტიმალური გზების გამონახვის მიზნით:** ყველა ქვეყანაში არის შესაძლებელი ამ მიმართულებით მომუშავე აქტივისტების მოძიება.⁷ კონკრეტულად გეებისა და იმ ახალგაზრდა მამაკაცებისათვის ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდების მიზნით, რომლებსაც სექსუალური ურთიერთობები აქვთ მამაკაცებთან, შესაძლებელია დაკავშირება ქსელთან, რომელიც მიუძღობს მათ შორის აივ ინფექციის პრევენციის მიმართულებით.

⁷ ორგანიზაციათა ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ „Wikipedia“-ში (https://en.wikipedia.org/wiki/List_of_LGBT_rights_organizations) ან დაუკავშირდეთ ორგანიზაციას „OutRight International“ (<https://www.outrightinternational.org/about-us>) ან ლესბოსელების, გეების, ბისექსუალების, ტრანსგენდერებისა და ინტერსექსუალების საერთაშორისო ასოციაციას (ILGA) (<https://ilga.org/about-us/contacts>).

- ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდება ნებისმიერი ლგბქ+ იდენტობის მქონე ადამიანთა ჯგუფებისათვის:** ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) სამიზნე აუდიტორია არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ იმ პირებით, ვის შემთხვევაშიც მაღალია აივ ინფიცირების საფრთხე, ანუ გეებიტა და ბისექსუალებით და მამაკაცებით, რომლებსაც სექსუალური ურთიერთობა აქვთ მამაკაცებთან.
- ლგბქ+ ადამიანების სამართლებრივი სტატუსის გათვალისწინება:** ბევრ ქვეყანაში დანაშაულად მიიჩნევა ერთი სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ურთიერთობა. ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამათა სასწავლო გეგმის შინაარსის შედგენისას, პროგრამის მონაწილეთა ასაკის განსაზღვრისა და პროგრამის გახორციელების დროისა და ადგილის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, გათვალისწინებული უნდა იქნას ადგილობრივი სიტუაცია და პროგრამის დაგეგმვა უნდა მოხდეს ისე, რომ უპირველეს ყოვლისა და მაქსიმალურად იქნას დაცული მონაწილეთა და პროგრამის განმახორციელებელთა უსაფრთხოება.
- პროგრამის სამიზნე ჯგუფის კულტურის, ღირებულებებისა და შეხედულებების შესწავლა და პროგრამის შესაბამისად ადაპტირება:** საჭიროა გადაწყვეტილებებისა ან სტრატეგიების იდენტიფიცირება ან ადაპტირება, ლგბქ+ ადამიანების სექსუალურ კულტურაზე პროგრამის მორგების მიზნით, ნაცვალდ იმისა, რომ წარმოებული იქნას მათზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის იმ ღონისძიებების თავსმოხვევა, რომელიც არ ესადაგება მათ სექსუალურ კულტურას.
- პროგრამის დაგეგმვა იმგვარად, რომ მასში ასახული იყოს ის ფაქტი, რომ ლგბქ+ ბავშვები და ახალგაზრდები და მამაკაცები, რომლებსაც ურთიერთობა აქვთ მამაკაცებთან, არ წარმოადგენენ ჰომოგენურ ჯგუფს:** ლგბქ+ ახალგაზრდების ჯგუფში შემავალ სხვადასხვა იდენტობის მქონე პირებს გააჩნიათ როგორც საერთო ასევე განსხვავებული საჭიროებები და ინტერესები და შესაძლებელია მათ სურდეთ ცალკე ჯგუფებად მიიღონ ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება (CSE). კერძოდ, გენდერული უთანასწორობის არსებობის გამო, პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელმა პირებმა უნდა განიხილონ ახალგაზრდა ლესბოსელ და ბისექსუალ ქალებთან, ხომ არ სურთ მათ პროგრამაში მონაწილეობა გვი მაშინვე მათი მამაკაცების თანდასწრების გარეშე, რომელიც მხოლოდ მათი საჭიროებების დაკმაყოფილებას მოემსახურება. სხვადასხვა პროგრამების შემუშავების შემთხვევაში, პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ არაბინარული გენდერის მქონე და გენდერულად არაკონფორმულ პირებს, და მათ უნდა ჰქონდეთ საშუალება თავად განსაზღვრონ, თუ რომელი პროგრამა უფრო ემსახურება მათი საჭიროებების დაკმაყოფილებას. გარდა ამისა, ქვეყნების მიხედვით, აღნიშნულ თითოეულ ჯგუფში შესაძლებელია წარმოდგენილი იყვნენ ბევრი განსხვავებული იდენტობის მქონე პირები. პროგრამები უნდა ითვალისწინებდეს ჯგუფში სხვადასხვა იდენტობის მქონე ადამიანების არსებობას და უნდა ემსახუროდეს მათი განსხვავებული საჭიროებების დაკმაყოფილებას.
- ერთობლივი შეხვედრების ორგანიზება გაძღვრების ხელშეწყობის მიზნით:** იმის გათვალისწინებით, რომ ლგბქ+ ბავშვებსა და ახალგაზრდებს მსგავსი გამოცდილება შეიძლება აკავშირებდეთ ერთმანეთთან, საზოგადოებიდან გარიყვის, მათ მიმართ

არსებული სტიგმისა და დისკრიმინაციის თვალსაზრისით, ერთობლივი შეხვედრების ორგანიზება დაეხმარება მათ თემის ერთიანობის აღქმაში და ხელს შეუწყობს მათი ერთობლივი ადვოკატირების ძალისხმევას.

- **რეფერირების მომსახურება, რომელიც უზრუნველყოფს ლგბქ+ ბავშვებისა და ახალგაზრდებისადმი პატივისცემით მოპყრობას:** იქ, სადაც ამის საშუალება არსებობს, უაღრესად მნიშვნელოვანია ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) დაკავშირება ლგბქ+ ადამიანებისადმი კეთილგანწყობილ ჯანდაცვისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამებთან ან სპეციალისტებთან. იმ შემთხვევაში, თუ რეფერირების სათანადო მომსახურებები არ არის ხელმისაწვდომი, პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირები უნდა შეუერთდნენ ადვოკატირების მიზნით წარმოებულ ღონისძიებებს, ხელისუფლებაზე ზემოქმედების მოსახდენად, რათა მან უზრუნველყოს სათანადო მომსახურებათა შემოღება და მომსახურებათა მიმწოდებლების მომზადება ლგბქ+ ბავშვებთან და ახალგაზრდებთან მუშაობის მიმართულებით.
- **სამიზნე აუდიტორიასთან დაკავშირება ონლაინ:** იმ შემთხვევაში, თუ პირებს, რომლებიც პროგრამის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ, აქვთ წვდომა ინტერნეტზე, რეკომენდებულია მათთვის პროგრამის შესახებ ინფორმაციის ონლაინ მიწოდება, რადგან მხოლოდ თანატოლების მიერ ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში, ახალგაზრდების მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის ინფორმირება ხერხდება, ანუ მათი, ვინც ინფორმაციის გამავრცელებელთა წრეს განეკუთვნებიან (UNFPA et al., 2015). აღნიშნული მეთოდის გამოყენება რეკომენდებულია პროგრამაში იმ ახალგაზრდა მამაკაცების ჩართვის მიზნით, რომლებსაც სექსუალური ურთიერთობა აქვთ მამაკაცებთან და რომლებიც, სულ უფრო და უფრო მეტ ქვეყანაში, პარტნიორების მიძიებას ინტერნეტის საშუალებით ცდილობენ (UNFPA et al., 2015).

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

- **ტრავმაზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენება:** იმ შემთხვევაში, თუ იმის გამო რომ წარმოადგენენ ლგბქ+ თემს, პროგრამის მონაწილეები რაიმე სახის ტრავმას მიიღებენ, პროგრამის გახორციელების ფარგლებში, საჭიროა ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პარალელურად ტრავმაზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენება (იხ. ქვეთავი 2.2).
- **მონაწილეთათვის საუბრის საშუალების მიცემა:** დისკუსიაზე დაფუძნებული მიდგომა, რომელიც საშუალებას აძლევს მონაწილეებს გაუზიარონ მათივე მსგავს ადამიანებს თუ რა გამოცდილებას უკავშირდება მათთვის ის, რომ წარმოადგენენ ლგბქ+ თემს, დაეხმარება მათ გარიყულობის განცდის დაძლევაში, რასაც მათი უმრავლესობა განიცდის.
- **ფაქტებით ხელმძღვანელობა და სათქმელის მკაფიოდ ჩამოყალიბება:** პროგრამები უნდა ემსახურობდეს ლგბქ+ ადამიანებთან დაკავშირებული მითებისა და ცრუ წარმოდგენების მსხვრევას.

პროგრამის გახორციელება

- **სხვადასხვა იდენტობის მქონე ფასილიტატორთა შერჩევა:** იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი ფასილიტატორი არ წარმოადგენს ლგბქ+ თემს, რეკომენდებულია დამხმარე ფასილიტატორის შერჩევა, რომელიც ლგბქ+ თემის წარმომადგენელი უნდა იყოს. ასევე

რეკომენდებულია განსხვავებული იდენტობის მქონე ლგბქ+ თემის წარმომადგენელ მონაწილეთა წახალისება, რათა მათ პროგრამის სხვა მონაწილეებს გაუზიაროს საკუთარი გამოცდილება.

- **ტექნოლოგიების გამოყენების შემთხვევაში, წინასწარი ზომების მიღება მონაწილეთა დასაცავად:** პლატფორმები უნდა იყოს დაცული, რათა მონაწილეების იდენტიფიცირება შეუძლებელი იყოს. პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელმა პირებმა მონაწილეებთან ერთად უნდა განიხილონ მათთან დაკავშირების უსაფრთხო გზები, შეტყობინებების გაგზავნის სიხშირე და კონფიდენციალურობის დაცვის საშუალებები. საჭიროა უზრუნველყოფა იმისა, რომ მონაწილეებს შეეძლოთ აირჩიონ სურთ თუ არა იყვნენ იდენტიფიცირებული და მიიღონ თუ არა შეტყობინებები. მათ შეეძლება არ სურდეთ რეგისტრაციის გავლა პირადი ელ.ფოსტის გამოყენებით.
- **ლგბქ+ ადამიანებთან დაკავშირებულ საკითხებზე ნაბეჭდი მასალების სიფრთხილის ზომების დაცვით გამოყენება:** მონაწილეთათვის შესაძლებელია საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს აღნიშნულ საკითხებზე არსებული ნაბეჭდი მასალების სასწავლო გარემოს გარეთ გატანა.

მნიშვნელოვანი დოკუმენტები და სასწავლო გეგმები

- **„Being Out, Staying Safe“:** სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების (სგგი) პრევენციის სასწავლო გეგმა, ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ქვიარი მოზარდებისათვის (New Jersey Department of Health and Senior Services, n.d.)
- აივ ინფექციისა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების (სგგი) პრევენციის ყოვლისმომცველი პროგრამების განხორციელება მამაკაცებთან, რომლებსაც აქვთ სექსუალური ურთიერთობა მამაკაცებთან: რეკომენდაციები თანამშრომლობითი ინტერვენციების მიმართულებით (UNPFA, 2015)
- აივ და მამაკაცები, რომლებსაც სექსუალური ურთიერთობა აქვთ მამაკაცებთან: ტექნიკური ანგარიში (WHO, 2015)
- რელიგიური ლიდერები და ლგბქ თემი - ინსტრუმენტთა ნაკრები: ღვთის შვილებისათვის უსაფრთხო და კეთილგანწყობილი რელიგიური ორგანიზაციები (Sonke Gender Justice Network, 2017)
- ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი (LGBT) ახალგაზრდები, გლობალურ სამხრეთში: ფაქტები (Advocates for Youth, 2016)
- **„Out With it“:** აივ-სა და სექსუალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, ახალგაზრდა მამაკაცებისათვის, რომლებსაც სექსუალური ურთიერთობა აქვთ მამაკაცებთან (MPact Global Action for Gay Men’s Health and Rights, 2018)
- თანაგრძნობაზე ორიენტირებული ისლამური ქსელი (ვებგვერდი)

2.4 ახალგაზრდა ტრანსგენდერები

პიროვნების გენდერული იდენტობა ყალიბდება დროთა განმავლობაში და ემყარება შემდეგ სამ ელემენტს შორის ურთიერთდამოკიდებულებას:

- **სხეული,** რომელიც საფუძვლად უდევს საზოგადოების მიერ დაბადებისას მინიჭებული სქესისა და შესაბამისად გენდერის განსაზღვრას და რაც, საბოლოო ჯამში, განაპირობებს იმას, თუ როგორ ურთიერთობენ სხვები მათთან
- **გენდერული იდენტობა,** ადამიანის შინაგანი, პირადი განცდა, რომელიც ამა თუ იმ გენდერისადმი – მამრობითი, მდედრობითი, მამრობითის და მდედრობითის ერთდროულად ან არცერთი გენდერისადმი – კუთვნილებას უკავშირდება, და რომელიც

შესაძლებელია არ ემთხვეოდეს ამ პირისადმი დაბადებისას მინიჭებულ სქესს

- **გენდერული თვითგამოხატვა**, გულისხმობს იმას, თუ როგორ წარუდგენს ადამიანი სხვებს საკუთარ გენდერს, მაგ. საკუთარი გარეგნული მახსიათებლების, ტანისამოსის, საკუთარ თავზე ზრუნის მანერის, სტილის, მოძრაობებისა და ჟესტიკულაციების, მეტყველებისა და ინტერესებისა და ქცევის საშუალებით, რაც შეიძლება საზოგადოების მიერ განიმარტოს, როგორც მამაკაცური, ქალური ან ნეიტრალური.

ის, თუ როგორ აღიქვამს ადამიანი მისთვის მინიჭებულ გენდერს, ემყარება იმას, თუ რამდენად ემთხვევა ერთმანეთს შემდეგი სამი ასპექტი:

- **ტრანსგენდერი** ადამიანი, რომლის შინაგანად აღქმული გენდერი (გენდერული იდენტობა) განსხვავდება დაბადებისას მისთვის მინიჭებული სქესისგან; შესაბამისად, ისინი ხშირად ვერ ეგუებიან თავიანთ ლეგალურ ან გენდერულ იდენტობას და სურთ მისი შეცვლა.
- **ცისგენდერი** პირი, რომლის გენდერული იდენტობა ემთხვევა მისი ბიოლოგიური სქესის შესაბამის და საზოგადოებაში მიღებულ გენდერულ იდენტობას.
- **არაბინარული გენდერული** იდენტობის მქონე ადამიანები არ იდენტიფიცირდებიან მხოლოდ მამაკაცებთან ან ქალებთან.
- **აკენდერი** ადამიანები არ იდენტიფიცირდებიან არც ერთ გენდერთან.
- **გენდერულად არაკონფორმული ადამიანები** არ ექვემდებარებიან საზოგადოების მიერ დაწესებულ სტანდარტულ გენდერულ როლებსა და ნორმებს ან არ გააჩნიათ მკვეთრად გამოხატული გენდერული იდენტობა.



წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზნებიდან გამომდინარე, ტერმინი „ტრანსგენდერი“ (იმ შემთხვევაში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული), გამოიყენება, როგორც ქოლგა-ტერმინი და აერთიანებს ცისგენდერი პირებისგან განსხვავებულ ყველა ადამიანს, ე.ი. პირებს, რომელთა შინაგანად აღქმული გენდერი (გენდერული იდენტობა) განსხვავდება დაბადებისას მათთვის მინიჭებული სქესისგან.

არ არის ხელმისაწვდომი ზუსტი მონაცემები გლობალური მასშტაბით ტრანსგენდერი პოპულაციების რაოდენობის შესახებ და, შესაბამისად, არც ახალგაზრდა ტრანსგენდერი ადამიანების რაოდენობის შესახებ.

ტრანსგენდერ ბავშვებსა და ახალგაზრდებს ხშირად არ აქვთ წვდომა იმ ინფორმაციაზე, შეტყობინებებსა და მაგალითებზე, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი იდენტობის უკეთ აღსაქმელად და დასადასტურებლად. მათ მშობლებს, პედაგოგებს, ჯანდაცვის მომსახურებათა მიმწოდებლებსა და ფართო საზოგადოებას ხშირად არ აქვთ ინფორმაცია და აღქმა იმის შესახებ, თუ რას განიცდიან ისინი, განსაკუთრებით სქესობრივი მომწიფების პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ ტრანსგენდერ მოზარდებს, რომლებიც იღებენ ჯანდაცვის მიმართულებით გენდერულად სწორ მომსახურებას, შეიძლება ჰქონდეთ დადებითი შედეგები (De Vries et al. 2014), დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში მცხოვრებ ტრანსგენდერ ახალგაზრდებს, უმრავლეს შემთხვევაში, არ აქვთ წვდომა შესაბამისი კომპეტენციის მქონე სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებსა და ბიოსამედიცინო ინტერვენციებზე, როგორცაა ჰორმონების ბლოკირება და ჰორმონოთერაპია. ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით მომსახურების მიღებაზე თანხმობის კანონიერი ასაკი ხშირად

დამატებით დაბრკოლებას უქმნის მას, ვინც მშობლებს უმაღლავს იმ ფაქტს, რომ ტრანსგენდერია და ამავე დროს სურს, ჩაიტაროს ჰორმონოთერაპია და ქირურგიული პროცედურები, რადგან ვერ მიიღებს სამედიცინო მომსახურებას მშობლების თანხმობის გარეშე, ვიდრე არ მიაღწევს კანონით დადგენილ ასაკს, რომელიც ქვეყნების უმეტესობაში წარმოადგენს 18 წელს.

გრძნობენ რა თავს დაუცველად და არასასურველად, ახალგაზრდა ტრანსგენდერი ადამიანები ხშირად წყვეტენ სკოლაში სიარულს, საკუთარი ნებით ან ოჯახის წევრების მოთხოვნით მიდიან სახლიდან. შემდგომ ცხოვრებაში ისინი შეიძლება დისკრიმინაციის ობიექტად იქცნენ სამუშაო ადგილზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს უმუშევრობა და სიღარიბე. ბევრი მათგანი ხდება ძალადობის მსხვერპლი ან ჩაბმული ისეთ სიტუაციებში და ქცევებში, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მათ ჯანმრთელობას, მაგალითად, იძულებულნი ხდებიან იმუშაონ სექსმუშაკად, რა დროსაც ვერ ახერხებენ კონდომების გამოყენებაზე მოლაპარაკებას (Operario et al., 2008); იყენებენ არადანიშნულების მიხედვით შეძენილ ჰორმონებს (მაგალითად, ქუჩებში ნაყიდს), რაც შეიძლება მოიცავდეს საინექციო ნემსის საზიაროდ გამოყენებას; და/ან ხდებიან ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებული (UNDP et al, 2016).

მათი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მიუხედავად, ტრანსგენდერი ახალგაზრდების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას შეიძლება სერიოზულ ზიანი მიაღვეს სისტემური სოციალური და ეკონომიკური მარგინალიზაციის, სტიგმისა და დისკრიმინაციის, ძალადობისა და გენდერული თვალსაზრისით, შესაბამის სამედიცინო მომსახურებათა ხელმისაწვდომობის არარსებობის გამო (United Nations, 2011; Reisner et al., 2016). შედეგად, მათ უვითარდებათ დეპრესია, შფოთვა, ტრავმა; ხშირია სუიციდის მცდელობა, განზრახ თვითდაზიანება; მათ შორის ფიქსირდება აივ ინფექციისა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების (სგგი) უფრო მაღალი მაჩვენებლები, ვიდრე ზოგადად მოსახლეობაში; მათ შორის ასევე მაღალია ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისა და ნარკოდამოკიდებულების მაჩვენებელი (Clements-Nolle et al., 2001; Health Policy Project et al., 2015; Reisner et al., 2016; Winter et al., 2016).

ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლებასთან (CSE) დაკავშირებით ტრანსგენდერი ბავშვებისა და ახალგაზრდების საჭიროებების შესახებ გამოქვეყნებული ლიტერატურის სიმწირის გამო, წინამდებარე ნაწილში შესული რეკომენდაციების უმრავლესობა ეფუძნება ინტერვიუებს ტრანსგენდერ პირთა ორგანიზაციებისა და ტრანსგენდერთა თემის წარმომადგენლებთან.

პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

- ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე არსებულ ტრანსგენდერთა ჯგუფებთან კონსულტირება, მათ შორის ტრანსგენდერ ბავშვებსა და ახალგაზრდებთან: ამგვარი ჯგუფების არსებობის შემთხვევაში, მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი რჩევების მოწოდება პროგრამის შესახებ და ასევე ტრანსგენდერი ახალგაზრდებისათვის პროგრამის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების გზების შესახებ.¹

¹ ორგანიზაციების ჩამონათვალი იხილეთ შემდეგ ვებგვერდებზე: https://en.wikipedia.org/wiki/List_of_transgender-rights_organizations, https://en.wikipedia.org/wiki/List_of_LGBT_rights_organizations.

- გასაჯაროების საჭიროებასა და პროგრამის მონაწილეთა და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთა უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის უზრუნველყოფას შორის ბალანსის დაცვა:** პროგრამით გათვალისწინებული შეხვედრების ადგილისა და დროის საჯაროდ გამოცხადების ნაცვლად, პროგრამის პოტენციურ მონაწილეთა დაცვის მიზნით, შეიძლება, უფრო უსაფრთხო იყოს პროგრამის შესახებ ინფორმაციის განთავსება.
- პროგრამაში მონაწილე ახალგაზრდა ტრანსგენდერთა განსხვავებული გენდერული იდენტობისა და განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინება:** მაგალითად, ტრანსმამაკაცებსა და ტრანსქალებს ხშირად განსხვავებული საჭიროებები და გარემოებები აქვთ, შესაბამისად, რეკომენდებულია მათთვის ცალ-ცალკე პროგრამების შემუშავება ან პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი შეხვედრის ცალ-ცალკე ჯგუფებში დაგეგმვა.
- პროგრამის განხორციელებისას გამოყენებული ენა და ტერმინოლოგია გასაკები უნდა იყოს მონაწილეებისათვის:** პროგრამის განხორციელებისას გამოყენებული ტერმინები და ენა გასაკები უნდა იყოს ყველა მონაწილისათვის, შესაბამისად, პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელმა პირებმა უნდა გაარკვიონ, რა ტერმინოლოგიას იყენებენ პროგრამის მონაწილე პირები და იგივე ტერმინოლოგია გამოიყენონ პროგრამის განხორციელებისას.
- რეფერირების მომსახურება, რომელიც უზრუნველყოფს ტრანსგენდერი ადამიანებისადმი პატივისცემით მოპყრობას:** იქ, სადაც ამის საშუალება არსებობს, უაღრესად მნიშვნელოვანია ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) დაკავშირება ტრანსგენდერი ადამიანებისადმი კეთილგანწყობილ ჯანდაცვისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამებთან ან სპეციალისტებთან. იმ შემთხვევაში, თუ რეფერირების სათანადო მომსახურება არ არის ხელმისაწვდომი, პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირები უნდა შეუერთდნენ ადვოკატირების მიზნით წარმოებულ ღონისძიებებს, ხელისუფლებაზე ზემოქმედების მოსახდენად, რათა მან უზრუნველყოს სათანადო მომსახურებათა შემოღება და მომსახურებათა მიმწოდებლების მომზადება ტრანსგენდერ ახალგაზრდებთან მუშაობის მიმართულებით.
- უსაფრთხო სისტემის შემუშავება კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად:** საჭიროა მონაწილეების ნებისმიერი პირადი ინფორმაციის დაცვა ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ მტრულად განწყობილი პირების, ჯგუფების ან ორგანიზაციების მიერ მასზე წვდომის მოპოვებისგან.
- არსებული სასწავლო გეგმის სრულად და გონივრულად ადაპტირება:** იმ შემთხვევაში, თუ წარმოებს არსებული სასწავლო გეგმის ადაპტირება, აღნიშნული პროცესი უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ პროგრამაში გამოყენებული ენის ადაპტირებას, რაც ემსახურება პროგრამის ინკლუზიურობის უზრუნველყოფას, არამედ საჭიროა საკუთარი სახელების შეცვლაც, რათა ისინი გენდერულად უფრო ნეიტრალურად ჟღერდეს.
- ტექნოლოგიებისა და სოციალური მედიის გამოყენება, სადაც ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია:** ზოგიერთი ახალგაზრდა ტრანსგენდერი შესაძლებელია, ისედაც იყენებდეს ტექნოლოგიებსა და ვებგვერდებს, როგორცაა მაგალითად, „YouTube“, ტრანსგენდერობის, გენდერის შეცვლის პერიოდისა და ა.შ. შესახებ ინფორმაციის

მისაღებად. ტექნოლოგიები და სოციალური მედია შეიძლება ეფექტიანი აღმოჩნდეს მათთვის პროგრამის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად ან თავად პროგრამის განსახორციელებლად.

- **შესაძლებლობის შემთხვევაში, მშობლების ინფორმირება გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ:** მშობლებთან შესაძლებელია საუბარი იმ დახმარებასა და მხარდაჭერაზე, რომელსაც საჭიროებენ მათი ტრანსგენდერი შვილები იმისათვის, რომ თავიანთი თავისადმი პოზიტიური დამოკიდებულება შეიქმნან, აიმაღლონ თვითშეფასება და თავიდან აიცილონ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მთელი რიგი პრობლემები

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

- **ტრავმაზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენება:** ბევრი ტრანსგენდერი ახალგაზრდა ტრავმირებულია მათთან დაკავშირებით საზოგადოებაში არსებული სტიგმისა და მათ მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის ან იმ ძალადობის გამო, რაც განიცადეს (ტრავმაზე დაფუძნებული მიდგომების შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის, იხ. წინამდებარე პუბლიკაციის ქვეთავი 2.2).
- **სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან (სრჯ) დაკავშირებული ანატომიის სწავლებისას დიაგრამების დასათურება მონაწილეებთან ერთად:** დიაგრამებზე არ უნდა იყოს წარწერები, როგორცაა „კაცი“ და „ქალი“, და სხეულის ნაწილები არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ერთი რომელიმე სექსის კუთვნილება. ანატომიის სწავლებისას შეიძლება მონაწილეებს ჰკითხოთ, თუ რა სიტყვებს იყენებენ სხეულის ამა თუ იმ ნაწილის აღსანიშნად და საშუალება მისცეთ მათ, თავად დაასათაურონ სხეულის ნაწილები.
- **მონაწილეთათვის საუბრის საშუალების მიცემა:** დისკუსიაზე დაფუძნებული მიდგომა, რომელიც საშუალებას აძლევს მონაწილეებს, გაუზიარონ მათივე მსგავს ადამიანებს, თუ რა გამოცდილებას უკავშირდება მათთვის ის, რომ წარმოადგენენ ტრანსგენდერებს, დაეხმარება მათ გარიყულობის განცდის დაძლევაში, რასაც მათი უმრავლესობა განიცდის.
- **ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერა:** იქ, სადაც ამის საშუალება არსებობს, პროგრამა უნდა მოიცავდეს ტრანსგენდერებისადმი კეთილგანწყობილ კონსულტირებას, ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერის მიმართულებით, რომელიც პროგრამის მონაწილეებისათვის ხელმისაწვდომი იქნება პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი შეხვედრების დროსა და შემდეგ და რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდა ტრანსგენდერთა რეფერირებას ტრანსგენდერებისადმი კეთილგანწყობილ, ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტებთან. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის ფარგლებში შეუძლებელია მსგავსი მომსახურების უზრუნველყოფა, ფასილიტატორებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მონაწილეთა ფსიქიკურ მდგომარეობაზე და საჭიროების შემთხვევაში, თავად იზრუნონ მონაწილეთათვის ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართულებით დახმარებაზე.
- **მითებისა და ცრუ წარმოდგენების მსხვრევა:** საჭიროა, პროგრამის განხორციელების ადგილას ტრანსგენდერი ადამიანების შესახებ საზოგადოებაში გავრცელებულ მცდარ შეხედულებებსა და ცრუ ინფორმაციაზე ღიად და პირდაპირ საუბარი.

პროგრამის განხორციელება

- **იქ, სადაც ამის საშუალება არსებობს, ფასილიტატორებად ტრანსგენდერთა თემის წარმომადგენლების შერჩევა:** საუკეთესო შემთხვევაში, ერთ-ერთი ფასილიტატორი უნდა წარმოადგენდეს იმ თემს, რომელსაც მიენიჭება პროგრამა. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი ფასილიტატორი არ წარმოადგენს ტრანსგენდერთა თემს ან იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში სხვადასხვა იდენტობის მქონე პირები მონაწილეობენ, რეკომენდებულია დამხმარე ფასილიტატორის შერჩევა, რომელიც ტრანსგენდერთა თემის წარმომადგენელი იქნება. იქ, სადაც შესაძლებელია ორი ფასილიტატორის მიერ პროგრამის ერთდროულად განხორციელება, უმჯობესია, ისინი განსხვავებული გენდერული იდენტობის მქონე პირებს წარმოადგენდნენ. ასევე, ასეთ შემთხვევებში რეკომენდებულია ცისგენდერი პირის ჩართვა ფასილიტატორის თანაშემწის რანგში, თუ ამ პირს გავლილი აქვს სათანადო მომზადება და კარგად ერკვევა შეხვედრის ფარგლებში განსახილველ საკითხებში. რეკომენდებულია განსხვავებული იდენტობის მქონე ლგბქ+ თემის წარმომადგენელ მონაწილეთა ნახალისება, რათა მათ პროგრამის სხვა მონაწილეებს გაუზიაროს საკუთარი გამოცდილება.
- **მონაწილეებს რეკომენდებულია, მიმართონ იმ სახელით, რომლითაც მათ სურთ, რომ მიმართავდნენ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ შეხვედრებზე:** ფასილიტატორმა მონაწილეებს თავი უნდა წარუდგინოს სახელით და შემდეგ მათ სთხოვოს, წარუდგინონ დამსწრე საზოგადოებას თავი. ამ შემთხვევაში, მონაწილეებს ეძლევათ საშუალება, დამსწრე საზოგადოებასა და ფასილიტატორს გააცნონ თავი და გაუმჟღავნონ თავიანთი გენდერული იდენტობა, თუ ამის სურვილი აქვთ. დაუშვებელია მონაწილეთა იძულება, გაამჟღავნონ თავიანთი გენდერული იდენტობა ან ნებისმიერი პერსონალური ინფორმაცია.
- **ინდივიდუალურ დონეზე განათლების შევსება სათემო დონეზე ინტერვენციებით:** აღნიშნული მიზნად ისახავს მთლიანად საზოგადოების განათლებას და ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ არსებული ნებისმიერი სტიგმის, დისკრიმინაციისა და ძალადობის აღმოფხვრას. ამგვარმა მიდგომამ შესაძლოა, საზოგადოების მეტი ინტერესი და ჩართულობა გამოიწვიოს და აღძრას პროგრამაში მონაწილეობის სურვილი ტრანსგენდერ პირებში, რიგი მიზეზების გამო.

მნიშვნელოვანი დოკუმენტები და სასწავლო გეგმები

- აივ-სა და სგგი-ის შესახებ ყოვლისმომცველი პროგრამის განხორციელება ტრანსგენდერ პირებთან: თანამშრომლობითი ინტერვენციის პრაქტიკული სახელმძღვანელო (UNDP, 2016)
- აივ და ახალგაზრდა ტრანსგენდერები: ტექნიკური ანგარიში (WHO, 2015);
- აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებში ტრანსგენდერ პირთათვის და ტრანსგენდერთა თემების წარმომადგენელთათვის ჯანდაცვის ყოვლისმომცველი მომსახურების მიწოდების გეგმა (Futures Group, Health Policy Project, 2015);
- კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებსა და სხვა ინგლისურენოვან ქვეყნებში ტრანსგენდერ პირთათვის და ტრანსგენდერთა თემების წარმომადგენელთათვის ჯანდაცვის ყოვლისმომცველი მომსახურების მიწოდების გეგმა (John Snow, Inc, 2014);
- ტრანსგენდერი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის სახელმძღვანელო (Action for Children, 2016);

- ტრანსგენდერთა ჯანმრთელობის დაცვა (Lancet, 2016);
- ჯოკიაკარტას პრინციპები: სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან ადამიანის უფლებათა შესახებ კანონების გამოყენების პრინციპები (2007) და ჯოკიაკარტას პრინციპები+ 10 (2017);
- მკვიდრი მოსახლეობის სატელევიზიო არხის „APTN“ საინფორმაციო ბიულეტენი: მოზარდები აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებში (Asia Pacific Trans Network, 2016);
- ტრანსსექსუალი, ტრანსგენდერი და გენდერულად არაკონფორმული ადამიანების ჯანმრთელობაზე ზრუნვის სტანდარტები, მე-7 გამოცემა (World Professional Association for Transgender Health, 2012);
- სატელევიზიო შოუ „Dr. Rad’s Queer Health Show“ - სამედიცინო შემონმებები (RAD Remedy, n.d.);
- MermAIDS (ვებგვერდი);
- Gender Spectrum (ვებგვერდი);
- „Transcending Anatomy“ #1: სხეულისა და სექსუალობის სახელმძღვანელო ტრანსგენდერი ადამიანების პარტნიორთათვის (Anarchist Zine Library, n.d.f).

3.7 ახალგაზრდა ინტერსექსუალები

ინტერსექსუალ ადამიანებს აქვთ ბიოლოგიური სქესის მახასიათებლები, რომლებიც არ შეესაბამება მამაკაცისა და ქალის სხეულის ტიპურ ბინარულ მახასიათებლებს. მათ შეიძლება ჰქონდეთ არატიპური ქრომოსომური აგებულება, სასქესო ჯირკვლები (ჩვეულებრივ სათესლე ჯირკვლები ან საკვერცხეები) და/ან სქესობრივი და რეპროდუქციული ორგანოები, რაც უკავშირდება პრენატალური სქესობრივი განვითარების პროცესში ცვლილებებს. აღნიშნული არ მიიჩნევა პათოლოგიად ან დაავადებად, არამედ მიიჩნევა მხოლოდ ადამიანის სხეულის ბუნებრივ ვარიაციებად. ინტერსექსუალობა მხოლოდ ბიოლოგიური სქესობრივი მახასიათებლებით განისაზღვრება – რაც განსხვავდება ადამიანის გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციისგან. ამრიგად, ინტერსექსუალმა პირმა შეიძლება იდენტიფიცირება მოახდინოს ერთ-ერთ გენდერთან – ქალთან, მამაკაცთან, ორივე გენდერთან ან არც ერთ გენდერთან არ მოახდინოს თავის იდენტიფიცირება; მათი სექსუალური ორიენტაცია შეიძლება იყოს ჰეტეროსექსუალი, გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი, ასექსუალი ან სხვა.

ინტერსექსუალ პირებს შორის ვარიაციები უფრო ხშირია, ვიდრე შეიძლება ვივარაუდოთ, ვინაიდან ინტერსექსუალი ადამიანები და მათი უნიკალური საჭიროებები და მახასიათებლები ხშირად არ არის აღიარებული. ინტერსექსუალური მახასიათებლების სიხშირის დასადგენად 1955–2000 წლებში წარმოებული კვლევების შესახებ არსებული სამედიცინო ლიტერატურის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ მსგავსი მახასიათებლების მატარებელი ახალშობილები ცოცხლადშობილი ბავშვების დაახლოებით 1,7%-ს შეადგენს (Blackless et al., 2000), თუმცა აღნიშნული მაჩვენებელი შეიძლება შეიცვალოს იმის მიხედვით, თუ რომელი მახასიათებლები იქნება მიჩნეული ინტერსექსუალობის დასადგენად.

მიუხედავად იმისა, რომ ინტერსექსუალობისათვის დამახასიათებელი ვარიაციების უმეტესობა არ იწვევს სიცოცხლისთვის საშიშ ჯანმრთელობის პრობლემებს, ინტერსექსუალი ახალშობილებისა და ბავშვების შემთხვევაში სამედიცინო ინტერვენციებს ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამ ხშირად შეუქცევად პროცედურებს მუდმივად თან ახლავს ერთგვარად სადავო მსჯელობა იმის შესახებ, რომ ადრეულ ეტაპზე „ჩარევა“ საშუალებას მისცემს ინდივიდს, განვითარდეს, როგორც „ნორმალური“ კაცი ან ქალი. მშობლებს ხშირად ურჩევენ, არ

მიანოდონ შვილებს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ისინი ინტერსექსუალები არიან და არ ჩააყენონ საქმის კურსში იმის შესახებ, თუ რატომ სჭირდებათ მათ ქირურგიული ჩარევა. ამან შეიძლება ინტერსექსუალ ბავშვებში გამოიწვიოს დაბნეულობა, საკუთარ თავში ჩაკეტილობა და სირცხვილის განცდა. იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული პროცედურები სამედიცინო თვალსაზრისით არ არის საჭირო, ირღვევა ინტერსექსუალი ახალშობილებისა და ბავშვების უფლებები, რადგან მათ ეზღუდებათ თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის გაცემის უფლება. ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ დაინტერესებული პირის სრული, თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობა არის ინტერსექსუალ პირთა შემთხვევაში ინვაზიური, შეუქცევადი პროცედურების ჩატარების აუცილებელი წინაპირობა (WHO, 2014) და შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, ნებისმიერი ასეთი პროცედურა უნდა გადაიდოს იმ პერიოდით, სანამ ბავშვი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობისა და ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ასაკს მიაღწევს (European Commission Directorate- General for Justice, 2012; Deutscher Ethikrat, 2012).

იმის შესახებ, რომ ინტერსექსუალები არიან, ბავშვებმა შეიძლება შეიტყონ მოზარდობის ასაკის ადრეულ ეტაპზე, თუ მათ შემთხვევაში არ დგება მოსალოდნელი სქესობრივი მომწიფება (მაგ. მენსტრუალური ციკლის დაწყება, სხეულზე თმის ზრდა, მკერდის ან კუნთოვანი მასის განვითარება). როდესაც ბავშვები ან ახალგაზრდები აღმოაჩენენ, რომ ინტერსექსუალები არიან, შეიძლება, ეჭვქვეშ დააყენონ ან მოისურვონ მათთვის მინიჭებული გენდერის შეცვლა. მათ, ვინც აღმოაჩენს, რომ არასწორი გენდერი მიაჩნტეს დაბადებისას ან ქირურგიული ჩარევის საშუალებით, შეიძლება, აირჩიონ გენდერის შეცვლა.

ინტერსექსუალი ადამიანის ბიოლოგიურმა მახასიათებლებმა და იმ პროცედურებმა, რომლებიც მათ ადრეულ ასაკში ჩაუტარდათ, შეიძლება გავლენა იქონიოს მათ სექსუალურ ცხოვრებაზე. ზოგიერთმა ფიზიკურმა განსხვავებამ შეიძლება გამოიწვიოს ვაგინალური სქესობრივი აქტის გართულება, ვაგინის გაფართოების გარეშე, ან შეუძლებელი გახადოს ამგვარი კავშირის დამყარება. სასქესო ორგანოებზე ჩატარებულმა ოპერაციებმა შეიძლება გავლენა იქონიოს მათ სექსუალურ რეაგირებაზე ან სქესობრივი ურთიერთობის დროს გამოიწვიოს ოპერაციის შედეგად მიღებული ტრავმის განახლება. იმის აღმოჩენა, რომ ისინი არ წარმოადგენენ იშვიათ გამონაკლისს, თავიანთი ინტერსექსუალური მახასიათებლებით, მხარდამჭერთა ჯგუფების მოძებნა და სხვა ინტერსექსუალ პირებთან კავშირი მნიშვნელოვანია ინტერსექსუალი პირებისათვის და თერაპიულ დატვირთვას ატარებს.

ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლებასთან (CSE) დაკავშირებით ინტერსექსუალი ბავშვებისა და ახალგაზრდების საჭიროებების შესახებ გამოქვეყნებული ლიტერატურის სიმწირის გამო, წინამდებარე ნაწილში შესული რეკომენდაციების უმრავლესობა ეფუძნება ინტერვიუებს ინტერსექსუალ პირთა ორგანიზაციებისა და ინტერსექსუალთა თემის წარმომადგენლებთან.

პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

- **პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ინტერსექსუალ პირთა ადგილობრივი ან რეგიონული თემების წარმომადგენელთა ჩართვა:** იმ შემთხვევაში, თუ ამ თემის წარმომადგენელთა ჩართვა ვერ ხერხდება პროგრამის შემუშავებისა და

განხორციელების პროცესებში, მნიშვნელოვანია, პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობდეს ნებისმიერი ერთი ან მეტი ინტერსექსუალი პირი.²

- **სათანადო ტერმინოლოგიის შერჩევა:** ზოგიერთ ენაში არ არის სიტყვები, რომლებიც ინტერსექსუალ პირებს აღწერს ან შეიძლება ინტერსექსუალებისა და ტრანსგენდერების შემთხვევაში გამოიყენებოდეს ერთი და იგივე ტერმინები. პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელმა პირებმა, ინტერსექსუალთა თემთან თანამშრომლობით, უნდა დაადგინონ და გამოიყენონ ის ტერმინები, რომელთაც ირჩევენ ამ თემის წარმომადგენლები.
- **პროგრამის განხორციელების ადგილზე არსებულ კულტურაში ინტერსექსუალთა ვარიაციების შესახებ არსებული შეხედულებების შესწავლა და გათვალისწინება:** ზოგიერთ კულტურაში ინტერსექსუალები განსაკუთრებულ ადამიანებად ან განსაკუთრებული ე.წ. მესამე სქესის ადამიანებად მიიჩნევიან, ან შესაძლებელია, ღვთაებებად იყვნენ მიჩნეულნი, თუმცა ზოგიერთ კულტურაში მათთან დაკავშირებული სტიგმა შეიძლება არსებობდეს. არის ქვეყნები, სადაც ინტერსექსუალ ადამიანებს არ სურთ იდენტიფიცირებულნი იყვნენ ლგბტქ+ თემებსა და პირებთან, რიგი მიზეზების გამო.
- **ინტერსექსუალებისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების მქონე ახალგაზრდების მრავალფეროვნების გაცნობიერება და ამ მრავალფეროვნებასთან გამკლავებისთვის მზადყოფნა:** ინტერსექსუალებისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების მრავალფეროვნების გარდა, ინტერსექსუალ ბავშვებსა და ახალგაზრდებს განსხვავებული ცოდნა, განსხვავებული მიმდებლობა და აღქმა აქვთ ინტერსექსუალთა შორის არსებული ვარიაციების შესახებ. მათ, ასევე, ერთმანეთისგან განსხვავებული გამოცდილება აქვთ, რაც მათ ინტერსექსუალობას უკავშირდება, მაგ. ზოგიერთ მათგანს მრავალჯერადი ქირურგიული ჩარევა შეიძლება ჰქონდეს გადატანილი, ზოგს კი – არცერთი.
- **პოტენციური მონაწილეების იდენტიფიცირება და მათი ინფორმირება პროგრამის შესახებ:** პროგრამის შესახებ ინფორმაციის ნებისმიერი საშუალებით გავრცელების დროს ყოველთვის დაურთეთ მას საკონტაქტო ინფორმაცია, როგორცაა ელ.ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, ვებგვერდის ბმული, რათა მსურველებმა შეძლონ პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან დაკავშირება. თემში შესაძლებელია, არსებობდეს კონკრეტული მახასიათებლების მქონე ინტერსექსუალების მხარდამჭერთა ჯგუფები ან ახალგაზრდა ინტერსექსუალები იცნობდნენ სხვა მათ მსგავს ადამიანებს. გამოიყენეთ სხვადასხვა ტერმინი და არა მხოლოდ „ინტერსექსუალი პირები“, მაგალითად, „სხვადასხვა სქესის მახასიათებლების მქონე პირები“ ან „განსხვავებული სექსუალური განვითარების მქონე პირები“ და ა.შ., რასთანაც ადგილობრივ ინტერსექსუალ პირებს თავის იდენტიფიცირება გაუმარტივდებათ და გაუჩნდებათ პროგრამაში ჩართვის ინტერესი.
- **გასაჯაროების საჭიროებასა და პროგრამის მონაწილეთა და პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთა უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის უზრუნველყოფას შორის ბალანსის დაცვა:** ინტერსექსუალი ახალგაზრდების ჩაგვრის (ბულინგის) და მათ მიმართ სხვა ტიპის ძალადობის გამოყენების რისკი დამოკიდებულია კონტექსტზე. პროგრამით გათვალისწინებული შეხვედრების ადგილისა და დროის საჯაროდ გამოცხადების ნაცვლად, პროგრამის პოტენციურ მონაწილეთა დაცვის მიზნით,

² ორგანიზაციათა ჩამონათვალის სანახავად ეწვიეთ „InterACT“-ის ვებგვერდს (<https://interactadvocates.org/resources/intersex-organizations/>) და „Intersex Day“-ის ვებგვერდს (<https://intersexday.org/en/links/>).

შეიძლება, უფრო უსაფრთხო იყოს პროგრამის შესახებ ინფორმაციის განთავსება.

- **უსაფრთხო სისტემის შემუშავება კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად:** საჭიროა მონაწილეების ნებისმიერი პირადი ინფორმაციის დაცვა ინტერსექსუალი ადამიანების მიმართ მტრულად განწყობილი პირების, ჯგუფების ან ორგანიზაციების მიერ მასზე წვდომის მოპოვებისგან.
- **რეფერირების მომსახურება, რომელიც უზრუნველყოფს ინტერსექსუალი ადამიანებისადმი პატივისცემით მოპყრობას:** იქ, სადაც ამის საშუალება არსებობს, უაღრესად მნიშვნელოვანია ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) დაკავშირება ინტერსექსუალი ადამიანებისადმი კეთილგანწყობილ ჯანდაცვისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამებთან ან სპეციალისტებთან. იმ შემთხვევაში, თუ რეფერირების სათანადო მომსახურებები არ არის ხელმისაწვდომი, პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირები უნდა შეუერთდნენ ადვოკატირების მიზნით წარმოებულ ღონისძიებებს, ხელისუფლებაზე ზემოქმედების მოსახდენად, რათა მან უზრუნველყოს სათანადო მომსახურებათა შემოღება და მომსახურებათა მიმწოდებლების მომზადება ინტერსექსუალ ახალგაზრდებთან მუშაობის მიმართულებით.
- **შესაძლებლობის არსებობისას, მხოლოდ ინტერსექსუალთათვის განკუთვნილი სივრცის გამოყოფა:** ცალკე სივრცის გამოყოფა მნიშვნელოვანია თემის ერთიანობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და მონაწილეთათვის კომფორტული გარემოს შესაქმნელად. ამგვარად წარმოებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფაც, რაც მნიშვნელოვანია ინტერსექსუალი ადამიანებისათვის, ვინაიდან ბევრ მათგანს არ სურს გაამჟღავნოს, რომ ინტერსექსუალია.
- **პროგრამაში მშობლებისთვის დაგეგმილი შეხვედრების ჩართვა:** მრავალ მიზეზთა შორის ინტერსექსუალი ბავშვებისა და ახალგაზრდების მშობლებისათვის სასარგებლო იქნება საკუთარ განცდებსა და გრძნობებზე საუბარი, რომლებიც უკავშირდება მათი შვილების შემთხვევაში სამედიცინო ინტერვენციების შესახებ მათ მიერვე მიღებულ გადაწყვეტილებებს. იმ შემთხვევაში, თუ მონაწილეები გამოთქვამენ სურვილს, შესაძლებელია მათი და მათი მშობლებისათვის ერთობლივი შეხვედრის ორგანიზებაც.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

- **ტრავმაზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენება:** გადატანილი ქირურგიული ჩარევა და ის სტიგმა, რომლის გამოცდილებასაც ინტერსექსუალი ახალგაზრდები იღებენ ბავშვობისა და მოზარდობის ასაკში, მათ ტრავმას აყენებს, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელებისას (ტრავმაზე დაფუძნებული მიდგომების შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის, იხ. წინამდებარე პუბლიკაციის ქვეთავი 2.2).
- **სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან (სრჯ) დაკავშირებული ანატომიის სწავლებისას დიაგრამების დასათაურება მონაწილეებთან ერთად:** დიაგრამებზე არ უნდა იყოს წარწერები – „კაცი“ და „ქალი“ და სხეულის ნაწილები არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ერთი რომელიმე სქესის კუთვნილება. ანატომიის სწავლებისას შეიძლება მონაწილეებს ჰკითხოთ, თუ რა სიტყვებს იყენებენ სხეულის ამა თუ იმ ნაწილის აღსანიშნად და საშუალება მისცეთ მათ, თავად დაასათაურონ სხეულის ნაწილები.

- **მეთოდების გამოყენება, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია იმის გარკვევა, თუ რა ცოდნას ფლობენ მონაწილეები ინტერსექსუალთა შორის არსებული ვარიაციების შესახებ:** სთხოვეთ მონაწილეებს, გაუზიარონ ერთმანეთს ცოდნა, რომელსაც ისინი ფლობენ და ის, თუ რომელი წყაროდან ფლობენ ამ ცოდნას, ან გამოიყენონ სწორია/მცდარია კითხვარები ან თამაშები. აღნიშნული აქტივობები საშუალებას აძლევს ფასილიტატორს, გამოავლინოს, თუ რა არასწორ წარმოდგენებსა თუ ცრუ ინფორმაციას ფლობენ მონაწილეები და შეეცადოს მათ გამოსწორებას.

პროგრამის განხორციელება

- **მონაწილეებს რეკომენდებულია, მიმართონ იმ სახელით, რომლითაც მათ სურთ, რომ მიმართავდნენ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ შეხვედრებზე:** ფასილიტატორმა მონაწილეებს თავი უნდა წარუდგინოს სახელით და შემდეგ სთხოვოს მონაწილეებს, წარუდგინონ დამსწრე საზოგადოებას თავი. ამ შემთხვევაში, მონაწილეებს ეძლევათ საშუალება, დამსწრე საზოგადოებას და ფასილიტატორს გააცნონ თავი და გაუმჟღავნონ თავიანთი გენდერული იდენტობა, თუ ამის სურვილი აქვთ. დაუშვებელია მონაწილეთა იძულება, გაამჟღავნონ საკუთარი გენდერული იდენტობა ან ნებისმიერი პერსონალური ინფორმაცია.
- **ტექნოლოგიების გამოყენება პროგრამის შესახებ მეტი ადამიანის ინფორმირებისა და პროგრამაში მეტი მონაწილის ჩართვის მიზნით, სადაც ამის საშუალება არსებობს:** ვინაიდან ინტერსექსუალი ადამიანები მოსახლეობის შედარებით მცირე ნაწილს შეადგენენ და ხშირად არ სურთ, რომელიმე ჯგუფთან იყვნენ იდენტიფიცირებულნი, მათთვის შესაძლებელია, უფრო მოსახერხებელი იყოს ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) დამატებითი კომპონენტების შეთავაზება, როგორცაა ონლაინ ვიდეომასალა ან ვიდეოკონფერენცია, ვებინარი ან პროგრამის ინტერაქტიური კომპონენტი, თუმცა მნიშვნელოვანია, პროგრამაში გათვალისწინებული იყოს პირისპირ შეხვედრის კომპონენტიც.

მნიშვნელოვანი დოკუმენტები და სასწავლო გეგმები

- „InterACT“ (ინტერსექსუალ ახალგაზრდათა ადვოკატირება) (ვებგვერდი);
- საინფორმაციო ბიულეტენი: ინტერსექსუალი ადამიანები (United Nations Office of the High Commissioner for Human Rights);
- dsdteens (ვებგვერდი);
- How Sex Development Works (ვებგვერდი);
- ინტერსექსუალ ბავშვზე ზრუნვა: ინსტრუმენტთა ნაკრები მშობლებისათვის (Organisation Intersex International Europe, 2018);
- Full Frontal Activism: Intersex and Awesome (ვებგვერდი);
- რეკომენდაციები ინტერსექსუალთა მხარდაჭერის მიმართულებით (Organisation Intersex International United States, 2012);
- განმარტება: ინტერსექსუალი (ვებგვერდი);
- 9 გზა, თუ როგორ სურთ ინტერსექსუალ ახალგაზრდებს, მიიღონ ჩვენი მხარდაჭერა (Everyday Feminism, 2015);
- რას ნიშნავს, იყო ახალგაზრდა და იყო ინტერსექსუალი დღეს? (Dazed Digital, 2016).

3.8 აივ ინფიცირებული ახალგაზრდები

2019 წელს მსოფლიოს მასშტაბით 1,7 მილიონი აივ ინფიცირებული მოზარდი და 10-19 წლის ასაკის მოზარდებს შორის აივ ინფიცირების დაახლოებით 170 000 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა (UNAIDS, 2020). მსოფლიოში დღეს 15-24 წლის ასაკის 3,4 მილიონი ახალგაზრდა აივ ინფიცირებული და ინფიცირების ახალი შემთხვევების დაახლოებით 28% ახალგაზრდებს შორის ფიქსირდება (UNAIDS, 2020).

ბავშვებისა და ახალგაზრდების უმეტესობა აივ ინფიცირებული ხდება ორი გზით: პერინატალურ პერიოდში, დაბადების დროს და ძუძუთი კვების გზით (შემთხვევათა დაახლოებით 70%) ან ცხოვრების შემდგომ ეტაპზე – დაუცველი სქესობრივი კავშირების, სექსუალური ძალადობის, გაუპატიურების, ინიექციური ნარკოტიკების მოხმარებისას საერთო საინიექციო ნემსით სარგებლობის, შეუმონმებელი სისხლის გადასხმის ან სისხლის გადასხმისას დაბინძურებული საინიექციო ნემსის გამოყენების შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა გზით ინფიცირებულ ბავშვებსა და ახალგაზრდებს ბევრი საერთო მახასიათებელი აქვთ, მრავალი გამოცდილება და საჭიროება დიდად არის განპირობებული იმით, თუ რა გზით დაინფიცირდა ბავშვი თუ ახალგაზრდა აივით (UNAIDS, 2016a; STOPAIDS et al., 2016).

პერინატალურ პერიოდში შეძენილი აივ ინფექციის გარდა, ბავშვები და ახალგაზრდები, განსაკუთრებით მოზარდობის ასაკში, ყველაზე ხშირად აივით ინფიცირდებიან დაუცველი სქესობრივი კავშირების შედეგად. ამის მიზეზებია აივ ინფექციის პრევენციის შესახებ ცოდნის ნაკლებობა, აივ ინფექციის დაბალი რისკის ცრუ აღქმა, კონდომების ნაკლებად გამოყენება, მრავალი სქესობრივი პარტნიორი, გაუპატიურება ან იძულება დაუცველი სქესობრივი კავშირის დამყარებაზე და სქესობრივი ცხოვრების ადრეულ ასაკში დაწყება (WHO et al., 2015a; WHO et al., 2015b). აივ ინფექციის გადაცემის ხშირი მიზეზია ინიექციური ნარკოტიკების აღჭურვილობის გაზიარება, რაც ხშირად უკავშირდება უსაფრთხო ინიექციისთვის საჭირო სტერილური აღჭურვილობის ნაკლებობას (WHO et al., 2015b).

ბავშვები და ახალგაზრდები, რომლებიც განეკუთვნებიან მაღალი რისკის მქონე მოსახლეობას – გვი მამაკაცები და მამაკაცები, რომლებსაც აქვთ სექსუალური ურთიერთობა მამაკაცებთან, სექსმუშაკები, ტრანსგენდერი ადამიანები, ინიექციური ნარკოტიკების მომხმარებლები და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში მოთავსებული და პატიმრობაში მყოფი პირები – აივ ინფიცირებისგან განსაკუთრებით დაუცველები არიან, მათ მიმართ არსებული დისკრიმინაციის, სტიგმისა და ძალადობის გამო, ახალგაზრდებთან დაკავშირებული განსაკუთრებული მოწყვლადობის გარდა (WHO et al., 2015a; WHO et al., 2015b). დამატებით რაც შეეხება არასრულწლოვან პირებს, ისინი შესაძლებელია არ წარმოადგენდნენ მაღალი რისკის მქონე მოსახლეობისთვის განკუთვნილი სამთავრობო პროგრამების სამიზნე აუდიტორიას, თუნდაც იქ, სადაც ამგვარი პროგრამები ხორციელდება.

ანტირეტროვირუსულ თერაპიაზე ხელმისაწვდომობის ზრდამ აივ ინფექციით დაბადებულ ბევრ პირს, მოზარდობისა და ზრდასრულ ასაკში სრულფასოვანი ცხოვრების საშუალება მისცა, თუმცა მათ შორის ხშირია განვითარების შეფერხება, რაც უკავშირდება იმუნური ფუნქციის დაქვეითებას და ჯანმრთელობის პრობლემებს, როგორცაა თანდართული ტუბერკულოზი (Bridges, 2011; Eison and Kim, 2018). აღნიშნული კატეგორიის ახალგაზრდებს შორის მაღალია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მაჩვენებლები, რაც ყველაზე ხშირად გამოხატულია შფოთვითა და დეპრესიით და, ნაწილობრივ, უკავშირდება აივ ინფიცირებული

ადამიანების მიმართ არსებულ სტიგმასა და დისკრიმინაციას, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მათი ცხოვრების ხარისხსა და მედიკამენტური მკურნალობის ეფექტიანობაზე (UNICEF, 2016). მოზარდობის პერიოდში მათ შორის ხშირია რთული ემოციური რეაგირება სექსუალურ განვითარებაზე, უჭირთ რეპროდუქციული არჩევანის გაკეთება, სექსუალური აქტივობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება და საკუთარი აივ სტატუსის გამჟღავნება (APN +, 2013).

აივ ინფიცირებულ ბავშვებსა და ახალგაზრდებს, ისევე, როგორც ყველა ბავშვსა და ახალგაზრდას, სჭირდებათ განათლება და მომსახურებაზე წვდომა (ბრიჯები, 2011). ამასთან, ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით თანხმობის ასაკის შესახებ კანონები ხშირად ხელს უშლის ბავშვებს, მიიღონ სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან (სრჯ) დაკავშირებული მომსახურება, მათ შორის, აივ პრევენციის, ტესტირებისა და მკურნალობის მიმართულებით, მშობლების თანხმობის გარეშე. მათ მიმართ არსებულმა სტიგმამ და დისკრიმინაციამ შეიძლება, ხელი შეუშალოს ბავშვებსა და ახალგაზრდებს, მიიღონ კონსულტაცია უსაფრთხო სექსუალური კავშირების შესახებ და გაიარონ ტესტირება აივ ინფექციაზე. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება მაღალი რისკის მქონე მოსახლეობას, რომელთა შემთხვევაშიც ხშირია დაგვიანებული დიაგნოზი. ბავშვები და ახალგაზრდები შეიძლება არარეგულარულად იღებდნენ აივის სამკურნალო მედიკამენტებს, რამდენიმე მიზეზის გამო, განსაკუთრებით კი თავიანთი სტატუსის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად. მკურნალობასთან დაკავშირებული პრობლემები მოიცავს მოზარდთათვის სპეციფიკური სერვისების ნაკლებობასა და სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების მიერ აივ ინფიცირებული მოზარდების საჭიროების შესახებ ცოდნის ნაკლებობას. დამატებით ხელისშემშლელ ფაქტორებს განეკუთვნება კლინიკიდან მოშორებით ცხოვრება და ტრანსპორტირების ხარჯი; შიში იმისა, რომ სხვები შეამჩნევენ, თუ როგორ სტუმრობენ ისინი კლინიკას; კლინიკაში ვიზიტისას ლოდინის დრო და შიში, რომ გაკიცხავენ სექსუალური აქტიურობის გამო. ბევრ კლინიკას, ასევე, არ გააჩნია შესაბამისი პროტოკოლები და სპეციალურად მომზადებული პერსონალი, რომლებიც უზრუნველყოფენ მოზარდების დახმარებას პედიატრიული აივ მომსახურებიდან მოზრდილთა აივ მომსახურებაზე გადასვლაში (IPPF European Network et al, 2017).

პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

- **ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მორგება აივ ინფიცირებული ბავშვებისა და ახალგაზრდების საჭიროებებზე და ყურადღების გამახვილება არა მხოლოდ სექსუალობასთან დაკავშირებული რისკის შემცირებაზე:** ზოგიერთ კონტექსტში რეკომენდებულია მაღალი რისკის მქონე აივ ინფიცირებული ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) სპეციალური პაკეტის შემუშავება, რადგან მათი პრობლემები განსხვავებული და კომპლექსურია და ასევე განსხვავებულია მათთვის დაწესებული სამართლებრივი და პოლიტიკური გარემო.
- **დაინტერესებული მხარეების ჩართვა მონაწილეთა სოციალურ ქსელებსა და მხარდაჭერის სისტემებში:** პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს მშობლებისა და მეურვეების, რელიგიური ფიგურებისა და ჯანდაცვის მომსახურებათა მიმწოდებლების მხარდაჭერას, რათა მათ უკეთ გააცნობიერონ ის რეალობა, რომელშიც უწევთ ცხოვრება აივ ინფიცირებულ ბავშვებსა და ახალგაზრდებს, მათი უფლებები და სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან (სრჯ) დაკავშირებული საჭიროებები და შეიძინონ უნარები, რომლებიც მათ საშუალებას მისცემს, ესაუბრონ აივ ინფიცირებულ ბავშვებსა და

ახალგაზრდებს, აივ ინფიცირებულთა ცხოვრების სტილის შესახებ, დაეხმარონ მათ, გაამჟღავნონ საკუთარი აივ სტატუსი და ისაუბრონ თავიანთ სექსუალობასა და სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან (სრჯ) დაკავშირებულ საკითხებზე (Stangl et al., 2015), დაეხმარონ მათ სრულფასოვანი ცხოვრების შექმნაში.

- **სწორი შერჩევის გამოყენებით, იმ პირების ჩრთულობა, ვისაც განსაკუთრებით სჭირდება მონაწილეობა :** იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის შესახებ ინფორმაციის გავრცელება წარმოებს მხოლოდ კლინიკებისა და ჯანდაცვის ცენტრების საშუალებით, ინფორმაციას მიიღებენ აივ ინფიცირებული მხოლოდ ის ბავშვები და ახალგაზრდები, რომლებიც უკვე იღებენ გარკვეულ დახმარებასა და სამედიცინო მომსახურებას. მათ, დიდი ალბათობით, უკეთესი მდგომარეობა ექნებათ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის (სრჯ) მხრივ, ვიდრე მათ, ვისაც არ აქვს წვდომა კლინიკების მიერ შეთავაზებულ მომსახურებებზე, როგორცაა მარგინალიზებული ჯგუფების წარმომადგენლები, პირები, რომლებიც არ გადიან საჭირო მკურნალობას ან რომლებმაც შეწყვიტეს მკურნალობა (Pretorius et al., 2015). იქ, სადაც ამის შესაძლებლობა არსებობს, რეკომენდებულია ინფორმაციის ინტერნეტით გავრცელება, რადგან სოციალურ მედიაში, აივ ინფიცირებულ ბავშვებსა და ახალგაზრდებს შესაძლებელია ჰქონდეთ საერთო დახურული ჯგუფები.
- **ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) ფარგლებში, სექსუალობისა და სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის დამატებითი წყაროების შექმნა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ინტერნეტის საშუალებით ან კლინიკების მოსაცდელ სივრცეებში:** აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს მულტიმედიურ მასალას, ვიდეოებს, ბროშურებს, ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ სმარტფონების აპლიკაციებსა და დახმარების ცხელ ხაზებს (Stangl et al., 2015).
- **გადანყვეტილების მიღება პროგრამის სახელწოდებაში ტერმინის „აივ ინფიცირებული“ ჩართვასთან დაკავშირებით:** ზოგიერთ კონტექსტში, აივ ინფიცირებულ ბავშვებსა და ახალგაზრდებს არ სურთ თავიანთი სტატუსის გამხელა.
- **უსაფრთხო სისტემის შემუშავება კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად:** საჭიროა მონაწილეების ნებისმიერი პირადი ინფორმაციის დაცვა აივ ინფიცირებული ადამიანების მიმართ მტრულად განწყობილი პირების, ჯგუფების ან ორგანიზაციების მიერ მასზე წვდომის მოპოვებისგან.
- **დაუშვებელია მიჩნევა, რომ აივ ინფიცირებული ბავშვები და ახალგაზრდები სრულყოფილად არიან ინფორმირებულნი თავიანთი მდგომარეობის შესახებ:** აივ ინფიცირებული ბავშვები და ახალგაზრდები შეიძლება არ ფლობდნენ სრულყოფილ ცოდნასა და ინფორმაციას აივ ინფექციის შესახებ და არც იმის, თუ როგორ მიმდინარეობს იგი; რას ნიშნავს აივ დადებითი სტატუსი; რა დანიშნულება აქვს ანტირეტროვირუსულ მედიკამენტებს; რა გვერდითი მოვლენები ახასიათებს მათ და რატომ არის აუცილებელი უწყვეტი თერაპია. აღნიშნული შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ ექიმები ურთიერთობენ მხოლოდ აივ ინფიცირებული ბავშვებისა და ახალგაზრდების მშობლებთან ან მეურვეებთან, რომლებმაც შეიძლება არ მიაწოდონ შვილებს სრულყოფილი ინფორმაცია, ან იმ შემთხვევაში, თუ კომუნიკაცია არ არის მორგებული თავად ახალგაზრდებზე.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

- **მოზარდობის ადრეულ ეტაპზე მყოფი აივ ინფიცირებული ბავშვების მხარდაჭერა:** მოზარდობის ადრეულ ეტაპზე აივ ინფიცირებული ბავშვებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხარდაჭერა აივ ინფიცირებული მათზე უფროსი ასაკის პირების მხრიდან, რომელთაც გავლილი აქვთ სქესობრივი მომნიშვნის პერიოდი და ფლობენ ინფორმაციას სქესობრივი ურთიერთობების შესახებ.
- **პოზიტიური მაგალითების შეთავაზება:** რეკომენდებულია აივ ინფიცირებული ახალგაზრდების მოწვევა, რომლებსაც კარგად აქვთ გაცნობიერებული თავიანთი სტატუსი ან აქვთ ჯანსაღი რომანტიკული ურთიერთობების გამოცდილება (მათ შორის, ჰყავთ პარტნიორი, რომელიც არ წარმოადგენს აივინფიცირებულ პირს), მონაწილეებთან მათთვის საინტერესო თემებზე სასაუბროდ (APN+, 2013).
- **მონაწილეთა გადამწყვეტილების მიღებისა და კომუნიკაციის უნარების განმტკიცებაზე ზრუნვა:** მონაწილეთა მოუყვანეთ მაგალითები და მიეცით შესაძლებლობა, იმუშაონ იმაზე, თუ როგორ ისაუბრონ აივ ინფექციაზე, როგორ გაამჟღავნონ თავიანთი სტატუსი, როგორ უპასუხონ მათ მიმართ შეკითხვებს და როგორ გაართვან თავი გარშემომყოფთა რეაქციებს.

პროგრამის განხორციელება

- **ყველა მონაწილისთვის უსაფრთხო სივრცის შექმნა:** ვინაიდან აივ ინფიცირებული ბავშვები და ახალგაზრდები განსხვავებული იდენტობის მატარებლები შეიძლება იყვნენ, მათი ერთად შეკრება და თავმოყრა შესაძლებელია, არ იყოს ყველასთვის უსაფრთხო. ბოგერტ კონტექსტში რეკომენდებულია ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) ცალკე მიწოდება მაღალი რისკის მქონე აივ ინფიცირებული ახალგაზრდებისათვის – როგორცაა გვი მამაკაცები ან ტრანსგენდერი ქალები, მათი დისკრიმინაციის თავიდან ასარიდებლად ან იმ შემთხვევაში, თუ მათ არ სურთ თავიანთი სტატუსის გამჟღავნება.
- **მონაწილეთა ყოველდღიური რეჟიმის გათვალისწინება:** პროგრამით გათვალისწინებული შეხვედრების დაგეგმვა საჭიროა იმგვარად, რომ მონაწილეთა არ დაერღვეთ დღის რეჟიმი, როგორცაა სამედიცინო მომსახურების თუ საკვების მიღება და არ მოხდეს მათი სოციალური ცხოვრების სხვა ასპექტების შეფერხება, მათ შორის, აივ ინფიცირებულთათვის თანატოლთა მხარდაჭერის ჯგუფებში მონაწილეობა.

მნიშვნელოვანი დოკუმენტები და სასწავლო გეგმები

- **iCAN პაკეტი:** ცხოვრებისეული უნარების ყოვლისმომცველი პაკეტი - აივ ინფექცია, სექსუალობა და აივ-ინფიცირებული ახალგაზრდების (YPLHIV) სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და მათ მოვლაზე პასუხისმგებელი პირები - ფასილიტატორის სახელმძღვანელო და სამუშაო წიგნი (SAfAIDS and UNFPA, 2016);
- **აივ-ინფიცირებული მოზარდები:** ზრუნვისა და დახმარების სერვისების შემუშავება და გაძლიერება (UNICEF, 2016);
- **Children's HIV Association (CHIVA)** (ვებგვერდი);
- **Lost in Transitions:** პრობლემები, რომლის წინაშეც დგანან აივ ინფიცირებული მოზარდები აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებში (APN+, 2013);
- **აივ ინფიცირებული ადამიანების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა (სრჯ) და ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობა:** სახელმძღვანელო (GNP+, 2009);
- **აივ და მოზარდები:** აივ ინფიცირებული მოზარდების აივ ტესტირებასთან, კონსულტირებასა და მათზე ზრუნვასთან დაკავშირებული რეკომენდაციები (WHO, 2013);

- პოზიტიური სწავლება: განათლების სექტორი აივ ინფიცირებული ახალგაზრდების (YPLHIV) საჭიროებების დაკმაყოფილების სამსახურში (UNESCO, 2012);
- ჯანმრთელობა, ღირსება და პრევენცია: სახელმძღვანელო რეკომენდაციები (GNP+ and UNAIDS, 2013).

3.9 ნარკოტიკების მოხმარებელი ახალგაზრდები

მიუხედავად იმისა, რომ თამბაქო და ალკოჰოლი ყველაზე ხშირი მოხმარების მავნე საშუალებებს წარმოადგენს და სერიოზულ გავლენას ახდენს ბავშვებისა და ახალგაზრდების სექსუალურ ქცევასა და ჯანმრთელობაზე, ნარკოტიკული საშუალებები – განსაკუთრებით ინიექციური ნარკოტიკები, ყველაზე მეტი ყურადღების ცენტრში მოექცა აივ ეპიდემიის დაწყების შემდეგ. მსოფლიო მასშტაბით, ახალგაზრდებს შორის ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენების შესახებ მონაცემები შეზღუდულია, მაგრამ არსებობს ვარაუდი, რომ ახალგაზრდებს შორის ნარკოტიკების მოხმარების მაჩვენებელი გაცილებით მაღალია, ვიდრე მოზრდილთა შორის. გამოკვლევების უმეტესობის თანახმად, 12-17 წლის ასაკი წარმოადგენს კრიტიკულ ასაკს ფსიქოაქტიური ნივთიერების მოხმარების დაწყების რისკის თვალსაზრისით, რაც პიკს აღწევს, დაახლოებით, 18-25 წლის ასაკში (UNODC, 2018).

ბავშვებსა და ახალგაზრდებს შორის ნარკოტიკების მოხმარების მაჩვენებელი განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაებში და დამოკიდებულია სოციალურ და ეკონომიკურ გარემოებაზე: ბავშვებისა და ახალგაზრდების უმეტესობა, რომლებიც ნარკოტიკებს მოიხმარენ, ღარიბებს განეკუთვნებიან იმ საზოგადოებებში, სადაც ცხოვრობენ, რაც ზრდის საერთო საინიექციო ნემსებით სარგებლობისა და ნარკოტიკული საშუალებების მიღების სანაცვლოდ, სექსუალურ კავშირებზე თანხმობის ალბათობას (UNODC et al., 2017). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ბევრ რეგიონში ნარკოტიკების მოხმარება თაობათაშორისი ციკლის ნაწილია, რა დროსაც ზარალდება ოჯახის მრავალი წევრი, იგი ასევე შეიძლება იყოს მოზარდთა ექსპერიმენტების, რისკზე წასვლისა და ჯილდოს ძიების ნაწილიც, განსაკუთრებით თანატოლებს შორის. ნარკოტიკების მოხმარებელ ახალგაზრდებთან ურთიერთობა განაპირობებს ქცევის ნორმალიზებასა და წახალისებას. ზოგიერთი ბავშვი და ახალგაზრდა იწყებს ნარკოტიკების მოხმარებას ფსიქოლოგიური ან ფიზიოლოგიური ტკივილისგან თავის დასაღწევად, რომელიც გამოწვეულია მათ მიერ მიღებული ტრავმითა ან უარყოფითი გამოცდილებით, მაგალითად, მათი უგულვებელყოფით; ფიზიკური, სექსუალური ან ემოციური ძალადობით; ოჯახში არსებული პრობლემებით ან გაუცხოების, ბრაზისა ან ამაოების განცდით. ბევრი მათგანის წინაშე ამ ფაქტორთა ერთობლიობა იყრის თავს (WHO et al., 2015b).

იმის გამო, რომ მათი შემეცნებითი ფუნქციები ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზე იმყოფება, ბავშვები და ახალგაზრდები უფრო მარტივად ეჩვევიან ნარკოტიკულ საშუალებებს და ყალიბდებიან ნარკოდაამოკიდებულ პირებად, ვიდრე მოზრდილები, თუმცა მათ ასევე მარტივად შეუძლიათ ნარკოტიკებისათვის თავის დანებებაც. ნარკოტიკების მოხმარებამ შეიძლება ახალგაზრდებში გამოიწვიოს თავშეკავებისა განსჯის უნარის დაქვეითება, მათ შორის სექსუალურ ქცევასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას, მაგალითად, გამოიყენონ თუ არა კონდომები (WHO et al., 2015b). საინიექციო ნემსებისა და საინიექციო ნარკოტიკების სხვა აღჭურვილობის გაზიარებასთან ერთად – განსაკუთრებით ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის ზიანის შემცირების მიზნით ინტერვენციის არარსებობის ფონზე – აღნიშნულმა ფაქტორებმა შეიძლება გამოიწვიოს აივ ინფექციის, სქესობრივი გზით გადამდები

ინფექციებისა (სგგი) და ჰეპატიტის რისკის ზრდა, ნარკოტიკების, განსაკუთრებით ინიექციური ნარკოტიკების მომხმარებელ ბავშვებსა და ახალგაზრდებს შორის (WHO et al., 2015b).

ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელ ახალგაზრდებს მრავალი ბარიერი ექმნებათ მათთვის საჭირო მომსახურებათა მისაღებად, როგორცაა ინფორმაცია, სტერილური საინექციო მოწყობილობა და ნარკოდამოკიდებულების მკურნალობა. აღნიშნული ბარიერები მოიცავს ახალგაზრდებზე ორიენტირებული და მათთვის ხელმისაწვდომი ზიანის შემცირების მიზნით მომსახურებათა ნაკლებობას; კონფიდენციალურობის არარსებობას, თანხმობის ასაკზე დაწესებული შეზღუდვის გამო, რომელიც 18 წლამდე ასაკის პირებს არ აძლევს საშუალებას, მიიღონ მომსახურება ზიანის შემცირებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით, მშობლების თანხმობის გარეშე; მომსახურების მიმწოდებელთა არასათანადო დამოკიდებულებას და ნარკოტიკების მოხმარების გამო სამედიცინო მომსახურების მიწოდებაზე უარს. ახალგაზრდებისათვის არ არის ხელმისაწვდომი მტკიცებულებებზე დაფუძნებული ზიანის შემცირების მომსახურება, ოპიოიდური ჩანაცვლებითი თერაპია ან მკურნალობა ნარკოტიკებისათვის თავის დანებების პერიოდში წარმოშობილი სიმპტომების შესამსუბუქებლად (GPN + და INPUD, 2010; Larney et al., 2017). შესაბამისად, ინიექციური ნარკოტიკების მომხმარებელი ახალგაზრდები, დიდი ალბათობით, ნაკლებ ცოდნას ფლობენ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საფრთხისა და რისკის, უსაფრთხო ინიექციის პრაქტიკისა და აივ პრევენციის შესახებ, ვიდრე მოზრდილი პირები და ხშირად არ ჩქარობენ აივ ინფექციაზე ტესტირების გავლას, რაც კიდევ უფრო ზრდის აივ ინფექციის სხვა პირებზე გადაცემისა და გავრცელების რისკს (AVERT, 2019).

ნარკოტიკების მოხმარების კრიმინალიზაცია, სადამსჯელო პოლიტიკა და პრაქტიკა იწვევს სტიგმის, ცრურწმენებისა და დისკრიმინაციის გამძაფრებას, ნარკოტიკების მომხმარებელს აიძულებს, გადაინაცვლონ მიწის ქვეშ; აძლიერებს მათ მარგინალიზაციას და კიდევ უფრო ამცირებს შესაბამისი მომსახურების ხელმისაწვდომობას (WHO, 2016a). მაგალითად, ნარკოტიკების მოხმარებაზე დაწესებული სამართლებრივი დევნა და შვილებზე მეურვეობის უფლების ჩამორთმევის საფრთხე ამცირებს ნარკოტიკების მომხმარებელი ახალგაზრდა ორსული ქალების ან დედების წვდომას მათთვის საჭირო მომსახურებებზე (GPN + და INPUD, 2010). სხვა სოციალურ-ეკონომიკური შედეგები მოიცავს დისფუნქციურ სოციალურ ურთიერთობებს და უმუშევრად დარჩენისა და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში თუ სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოხვედრის ალბათობას.

პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

- **უზრუნველყოფა იმისა, რომ ნარკოტიკების მომხმარებელი ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი ინტერვენციები იყოს კონტექსტზე მორგებული და შესაბამისი:** ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამების შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირები უნდა ფლობდნენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ადამიანი ნარკოდამოკიდებული და რა ტიპის ნარკოდამოკიდებულება არსებობს; რა ცვლილება შეიძლება აღინიშნოს ნარკოდამოკიდებულების თვალსაზრისით; როგორ არის შესაძლებელი ზიანის შემცირება და ნარკოდამოკიდებულებისაგან განკურნება; რა მოქმედი კანონები არსებობს და რა დამოკიდებულება აქვს სამართალდამცავ ორგანოებს ნარკოდამოკიდებულებისა და

ნარკოდამოკიდებული პირების მიმართ. ისინი ასევე უნდა ფლობდნენ ინფორმაციას ნარკოდამოკიდებული ბავშვებისა და ახალგაზრდების განსხვავებულ და მრავალფეროვან საჭიროებებსა და მოტივაციის ფაქტორებზე, მათი ცხოვრების სოციალურ და ეკონომიკურ დინამიკასა და იმ ფაქტორებზე, რომლებიც ბავშვებსა და ახალგაზრდებს ნარკოტიკების გამოყენებისადმი დაუცველსა და მონყვლადს ხდის.

- **კომპლექსური და ყოვლისმომცველი ზრუნვისა და მომსახურების დაგეგმვა, რომლის ნაწილიც იქნება განათლება:** რეკომენდებულია ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამების სხვა პროგრამებთან დაკავშირება ან მათი ჩართვა იმ პროგრამებში, რომლებიც ნარკოტიკების მომხმარებელი ახალგაზრდებისთვის არის განკუთვნილი (GPN+ and INPUD, 2010; UNODC et al., 2017). პირველ რიგში, უნდა მოგვარდეს ბავშვებისა და ახალგაზრდების უფრო მწვავე და გადაუდებელი საჭიროებები, როგორცაა მათი თავშესაფრითა და საკვებით უზრუნველყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ არ ექნებათ საშუალება და მოტივაცია, მონაწილეობა მიიღონ საგანმანათლებლო პროგრამაში. შეძლებისდაგვარად, პროგრამები მათ უნდა სთავაზობდეს ჰოლისტიკურ მხარდაჭერას ან უზრუნველყოფდეს მონაწილეების დააკავშირებას მათი მხარდაჭერისა და დახმარების სხვა წყაროებთან, როგორცაა (IPPF European Network et al., 2017):
 - ზიანის შემცირება (მათ შორის, ისეთ საქონელზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, როგორცაა სტერილური საინექციო მონყობილობები) და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიკამენტური მკურნალობა;
 - აივ პრევენცია, ტესტირება, მკურნალობა და ზრუნვა;
 - სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან (სრჯ) დაკავშირებული მომსახურება, მათ შორის, ოჯახის დაგეგმვა, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებისა და ჰეპატიტის მართვა;
 - მომსახურება ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით, თანატოლთა სოციალური მხარდაჭერა;
 - ძალადობის შედეგად დაზარალებულ პირთა მომსახურება;
 - დახმარება და კონსულტაცია მშობლობისა და ბავშვზე მეურვეობის საკითხებზე, ბავშვზე ზრუნვის მომსახურებები, სოციალური დახმარებისა და იურიდიული მომსახურებები, განსაკუთრებით იმ ნარკოდამოკიდებული ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, რომლებიც ქუჩაში ცხოვრობენ ან უსახლკაროები არიან.
- **იმ შემთხვევაში, თუ ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება (CSE) არ ნარმოადგენს ყოვლისმომცველი მომსახურების ნაწილს, საჭიროა ადგილობრივად არსებული რეფერალური მომსახურებათა მიმწოდებლების ჩამონათვალის შედგენა, რომლებიც უზრუნველყოფენ ნარკოტიკების მომხმარებელი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის სათანადო მომსახურების მიწოდებას:** იმ შემთხვევაში, თუ რეფერირების სათანადო მომსახურება არ არის ხელმისაწვდომი, პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირები უნდა შეუერთდნენ ადვოკატირების მიზნით ნარმოებულ ღონისძიებებს, ხელისუფლებაზე ზემოქმედების მოსახდენად, რათა მან უზრუნველყოს: ნარკოტიკების მოხმარებაზე, როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხზე და არა როგორც დანაშაულზე, რეაგირება და ყურადღების გამახვილება; შესაბამისი მკურნალობის შემოღება; ნარკოტიკების მოხმარებისადმი, როგორც მორალური საკითხისადმი, დამოკიდებულების ჩანაცვლება, პრაგმატული მიდგომით და მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული კლინიკური და თერაპიული პრაქტიკის შემოღება (GPN+ and INPUD, 2010).

- **უსაფრთხო სისტემის შემუშავება კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად:** საჭიროა მონაწილეების ნებისმიერი პირადი ინფორმაციის დაცვა ნარკოტიკების მომხმარებელთა მიმართ მტრულად განწყობილი პირების, ჯგუფების ან ორგანიზაციების მიერ მასზე წვდომის მოპოვებისგან.
- **მონაწილეების ქცევის შეცვლის საშუალებებით უზრუნველყოფა:** პროგრამები უნდა ემსახურებოდეს არა მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მართებული ინფორმაციისა და განათლების მიწოდებას და ყურადღებას ამახვილებდეს რისკის შემცირებაზე, არამედ უნდა უზრუნველყოფდეს მონაწილეების ქცევის შეცვლის საშუალებებზე წვდომასაც, მაგალითად, მამაკაცისა და ქალის კონდომების ხელმისაწვდომობას (Des Jarlais and Semaan, 2008).
- **ნარკოტიკების მომხმარებელი ახალგაზრდების მშობლების ჩართვა, მხოლოდ ახალგაზრდების თანხმობის შემთხვევაში:** მშობლების ჩართულობა ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის ადეკვატური მხარდაჭერის უზრუნველყოფას, თუმცა მშობლების ჩართვამდე აუცილებელია ამისთვის ახალგაზრდებისგან თანხმობის მოპოვება.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

- **მონაწილეების უზრუნველყოფა შესაძლებლობით, თავად დასახონ ქცევის შეცვლისთვის საჭირო მიზნები და ამოცანები:** საჭიროა მონაწილეების დახმარება, რათა მათ შეძლონ ჯანსაღ ქცევასთან დაკავშირებული რეალისტური მიზნების დასახვა და ამ მიზნებისკენ რეალური ნაბიჯებით სვლა (Edlin et al., 2005; Des Jarlais and Semaan, 2008).
- **გაცნობიერება იმისა, რომ ნარკოტიკების მოხმარების შეწყვეტა ყოველთვის არ წარმოადგენს რეალისტურ მიზანს:** პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს, რომ ნარკოტიკების მოხმარების ერთბაშად შეწყვეტა რთულია და ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია, მრავალჯერად ცდასა და დიდ ძალისხმევას მოითხოვდეს. იმ მონაწილეებთან, რომლებიც განაგრძობენ ნარკოტიკების მოხმარებას, საჭიროა ყურადღების გამახვილება რისკის შემცირებაზე.

პროგრამის განხორციელება

- **ურთიერთობის დამყარება მონაწილეთა მიმართ პატივისცემაზე:** საჭიროა გავრცელებული ტიპის შეცდომებისგან თავის დაზღვევა, როგორცაა ჭკუის დარიგება ან ბრაზის გამოხატვა, მონაწილეთა მიმართ იმედგაცრუების დროს (Des Jarlais and Semaan, 2008). კვლევები აჩვენებს, რომ როდესაც ნარკოდამოკიდებული ადამიანებისადმი მოპყრობა მათი ღირსების დაცვისა და მათდამი პატივისცემის გამოხატვას ემყარება, ისინი მეტი ენთუზიაზმით ეკიდებიან სწავლას და მეტ პასუხისმგებლობას ავლენენ საკუთარი და სხვა პირების ჯანმრთელობის მიმართ (Des Jarlais and Semaan, 2008).
- **იმ ბავშვებისა და ახალგაზრდების იდენტიფიცირება და პროგრამაში ჩართვა, რომლებმაც დიდი ხანი არ არის, რაც დაიწყეს ნარკოტიკების მოხმარება:** საუკეთესო შემთხვევაში, ეს უნდა განხორციელდეს მანამ, სანამ ისინი ინიექციური ნარკოტიკების მოხმარებას დაიწყებენ, რა დროსაც მნიშვნელოვნად იზრდება აივ ინფიცირების რისკი, საზიარო არასტერილური საინიექციო მოწყობილობების გამოყენების გამო.
- **პროგრამაში მონაწილეობის ხელისშემშლელი ბარიერების მაქსიმალურად უვნებელყოფა:** მაგალითად, პროგრამის განხორციელება იმ ტერიტორიაზე, სადაც ნარკოტიკების მომხმარებელ ბავშვებსა და ახალგაზრდებს ისედაც უწევთ მისვლა, სადაც ისინი თავს უსაფრთხოდ და დაცულად გრძნობენ და სადაც ერთდროულად რამდენიმე მომსახურების მიღება შეუძლიათ.

მნიშვნელოვანი დოკუმენტები და სასწავლო გეგმები

- აივ ინფექციისა და C ჰეპატიტის კომბინირებული პროგრამა ინიექციური ნარკოტიკების მომხმარებლისთვის: თანამშრომლობითი ინტერვენციის პრაქტიკული სახელმძღვანელო (UNODC, 2017);
- აივ ინფექცია და ინიექციური ნარკოტიკების მომხმარებელი ახალგაზრდები: ტექნიკური ანგარიში (WHO, 2015);
- აივ ინფიცირებული და ინიექციური ნარკოტიკების მომხმარებლის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა (სრჯ) და ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობა: ანალიტიკური ანგარიში (GNP+ and INPUD, 2010).

3.10 სექსმუშაკი ახალგაზრდები

სექსმუშაკები არიან 18 წელზე მეტი ასაკის ქალები, მამაკაცები და ტრანსგენდერი ახალგაზრდები, რომლებიც იღებენ ფულს ან საქონელს სექსუალური მომსახურების სანაცვლოდ, რეგულარულად ან არარეგულარულად. სექსმუშაობა წარმოადგენს ბრდასრულთა შორის კონსენსუალურ სექსუალურ კავშირს, რომელიც სხვადასხვა ფორმას იღებს. სხვადასხვა ქვეყანასა და თემში და ასევე ქვეყნებსა და თემებს შიგნით იგი სხვადასხვა ფორმას იღებს და მის ფორმებს შორის განსხვავება გამოიხატება ლეგალიზაციისა და ორგანიზების ხარისხის თვალსაზრისითაც. (Harcourt and Donovan, 2005). გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის თანახმად, 18 წლამდე ასაკის პირების დასაქმება სექსმუშაკებად მიიჩნევა ბავშვების სექსუალურ ექსპლუატაციად (მაშინაც კი, თუ მათ თავად მიიღეს გადაწყვეტილება, სექსმუშაობით დაკავებულიყვნენ და/ან ვერ აღიქვამენ თავს სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლად).

მსოფლიოს მასშტაბით არ არსებობს სტატისტიკა სექსმუშაობაში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობის შესახებ, ნაწილობრივ, იმის გამო, რომ უმეტეს ქვეყნებში სქესობრივი კავშირის ფულის სანაცვლოდ დამყარება, შეთავაზება, მოპოვება, შექენა ან მიწოდება დანაშაულად არის მიჩნეული (WHO et al., 2015a).

ახალგაზრდები, რომლებიც ანაზღაურების სანაცვლოდ ამყარებენ სექსუალურ კავშირებს, შეიძლება, მრავალი სახის მოწყვლად ჯგუფებს განეკუთვნებოდნენ. მაგალითად: იყვნენ უსახლკაროები, წარმოადგენდნენ მიგრანტებს ან ადგილმონაცვლე პირებს, გარიყულნი იყვნენ ოჯახიდან, ჰქონდეთ ფსიქიკური დაავადება და ოჯახის წევრების, ინტიმური პარტნიორების, კლიენტების, მესამე პირების ან პოლიციის მხრიდან ძალადობის მსხვერპლად ქცევის გამოცდილება (WHO et al., 2015a). მათ კეთილდღეობას შეიძლება საფრთხე შეექმნას ნარკოტიკების მოხმარების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებით (სგგი) დაავადების, არასასურველი ორსულობის, არააუსაფრთხო აბორტისა და დისკრიმინაციის შედეგად (WHO et al., 2015a). მიუხედავად იმისა, რომ სექსმუშაობით დაკავებული 18 წლამდე ასაკის პირები, ტექნიკური თვალსაზრისით, ექსპლუატაციის ან ტრეფიკინგის მსხვერპლად განიხილებიან, პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა პოლიციის მიერ მათი დაკავების ან არასათანადო მოპყრობის. ისინი, 18 წელზე უფროსი ასაკის პირებთან ერთად, ხშირად განიხილებიან, როგორც კრიმინალები და ხშირად ხდება მათი დაკავება, დაპატიმრება და მათ მიმართ სხვა სადამსჯელო პრაქტიკის გატარება, ასევე, პოლიციის მიერ მათი მოსყიდვა და შევიწროება, ისეთ ადგილებშიც კი, სადაც სექსმუშაობა ლეგალურია.

სექსუალური ექსპლუატაციის ქვეშ მყოფ 10-17 წლის ბავშვებსა და მოზარდებს შეიძლება ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდეთ, აკონტროლონ თავიანთი კლიენტების რაოდენობა, ვიდრე მოზრდილ სექსმუშაკებს, რიგი ფაქტორების გამო, მათ შორის, ეკონომიკური საჭიროების, მოზრდილების მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, ძალადობის მუქარის ან მოლაპარაკების გამოცდილების არქონის გამო (WHO et al., 2015a). გარდა ამისა, ბევრ ქვეყანაში 18 წლამდე ასაკის პირებს არ შეუძლიათ, მიიღონ სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან (სრჯ) ან აივ ინფექციასთან დაკავშირებული მომსახურება, მშობლების ან მეურვეების თანხმობის გარეშე, თუ ისინი არ წარმოადგენენ ემანსიპირებულ არასრულწლოვნებს (UNAIDS, 2012). ისინი უფრო მეტად დაუცველნი ხდებიან ძალადობისგან, მათ შორის, სექსუალური ძალადობისგან, როდესაც დაკავების, დაპატიმრების ან დისკრიმინაციის შიშით ვერ ბედავენ, მიმართონ სათანადო პირებსა და ორგანოებს მხარდაჭერისა და დახმარებისათვის.

ზოგიერთი ახალგაზრდა სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის მსხვერპლი ხდება. იმ ბავშვებისა და ახალგაზრდების შემთხვევაში, რომლებიც სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის მსხვერპლს წარმოადგენენ, შესაძლებელია, აღინიშნებოდეს ადამიანის უფლებების უმძიმესი დარღვევა, მათ შორის – შიმშილი, უკანონო პატიმრობა, ცემა, გაუპატიურება, ჯგუფური გაუპატიურება, ნარკოტიკების მოხმარების იძულება და ძალადობის მუქარა (მათ და მათი ოჯახის წევრების მიმართ), მუქარა, რომ მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება ოჯახის წევრებსა და მეგობრებს. მათ ჯანმრთელობაზე ამ ყოველივეს შედეგები შეიძლება მოიცავდეს ფიზიკურ დაზიანებებს, ნარკოდამოკიდებულებასა და ალკოჰოლზე დამოკიდებულებას, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებითა (სგგი) და/ან აივ ინფიცირებას, ორსულობის მძიმე გართულებებს, იძულებით აბორტს ან აბორტზე დაყოლიებასა და უშიშრობას (WHO et al., 2015a). უკიდურესი ფიზიკური და ემოციური ტრავმა მსხვერპლს მკვლელობით, თვითმკვლელობით, ნარკომანიითა და ალკოჰოლის გადაჭარბებული მოხმარებით, შიდსთან დაკავშირებული დაავადებებით ნაადრევი სიკვდილის საფრთხის წინაშე აყენებს (ILO, 2008; Conner et al., 2014; Ottisova et al., 2018). მათი უმეტესობა ვერ იღებს მხარდაჭერას ან დახმარებას იზოლირებისა და საზოგადოებისგან გარიყვის გამო.

სექს ინდუსტრიაში ჩაბმული, 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდებისთვის ნებისმიერი სახის მომსახურების მიწოდებას, მათ შორის – ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) თან ახლავს სამართლებრივი, პოლიტიკური და ეთიკური გამოწვევა, რადგან ნებისმიერი სახის სექსუალური საქმიანობა, რომელშიც ხდება არასრულწლოვანი პირების ჩართვა, მიიჩნევა სექსუალურ ექსპლუატაციად, რაც საჭიროებს აღკვეთას. თუმცა ეს არ გვათავისუფლებს ვალდებულებისგან, მივანოდოთ 18 წლამდე ახალგაზრდებს ინფორმაცია და სამედიცინო და პრევენციის მიმართულებით საჭირო მომსახურება. შესაბამისად, გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, უნდა აღინიშნოს, რომ ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები ეხება მხოლოდ 18 წლის ან 18 წელს ზემოთ ასაკის პირებს, რომლებიც ნებაყოფლობით ირჩევენ სექსმუშაობას.

პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

- **პროგრამის ეთიკური შესაბამისობის დამტკიცება, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე უწყების მიერ:** იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდება სექსმუშაკი ახალგაზრდებისათვის კონკრეტულ და მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ სირთულეებს უკავშირდება, საჭიროა პროგრამის

გადასინჯვა იმის დასადასტურებლად, რომ იგი ეთიკურად პრინციპული და გამართლებულია, რაც პროგრამისადმი ნდობისა და მისაღებობის ზრდას შეუწყობს ხელს. პროგრამა უნდა ესადაგებოდეს ნებაყოფლობითი მონაწილეობის, გამიარებული ინფორმაციისა და ჩანაწერებისა და მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის ეთიკურ პრინციპებს, ასევე, უნდა ითვალისწინებდეს, საჭიროების შემთხვევაში, მონაწილეთა რეფერირებას ჯანმრთელობისა და სხვა მომსახურებების მისაღებად.

- **უსაფრთხო სისტემის შემუშავება კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად:** საჭიროა მონაწილეების ნებისმიერი პირადი ინფორმაციის დაცვა სექსმუშაკების მიმართ მტრულად განწყობილი პირების, ჯგუფების ან ორგანიზაციების მიერ მასზე წვდომის მოპოვებისგან.
- **სისტემის შემოღება, რომელიც ხელს შეუწყობს იმ პირების იდენტიფიცირებას, რომლებიც დიდი ხანი არ არის, რაც სექსმუშაკები გახდნენ, იმის დასადგენად, ხომ არ განიცდიდნენ იძულებას, ძალდატანებას ან ხომ არ წარმოადგენენ 18 წლამდე ასაკის პირებს:** აღნიშნული მიზნის მიღწევა შესაძლებელია სექსმუშაკთა თვითმმართველი საბჭოების საშუალებით ან სექსმუშაკებთან ინდივიდუალური თანამშრომლობით. პირები, რომლებიც 18 წლამდე ასაკის არიან ან პირები, რომლებსაც არ სურთ სექსმუშაობა, საჭიროებენ კონსულტაციას, მხარდაჭერასა და რეფერირებას სოციალური და ჯანდაცვის მომსახურების მისაღებად. შეთავაზებული პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს თითოეული ახალგაზრდის სიტუაციასა და სხვადასხვა საჭიროებას, ვინაიდან ტრეფიკინგის მსხვერპლი პირების სიტუაცია და საჭიროება რადიკალურად განსხვავდება იმ ახალგაზრდების სიტუაციისა და საჭიროებისაგან, რომლებიც პირადი ნება-სურვილით უერთდებიან სექსმუშაკთა რიგებს.
- **იმ ახალგაზრდების იდენტიფიცირება და პროგრამაში ჩართვა, რომლებიც დიდი ხანი არ არის, რაც შეუერთდნენ სექსმუშაკთა რიგებს:** სექსმუშაკთა დიდი უმრავლესობა ადრეულ ასაკში უერთდება სექსმუშაკთა რიგებს. სწორედ ამ პერიოდში არიან ისინი ყველაზე დაუცველნი და ძალადობის მსხვერპლად ქცევისა და ჯანმრთელობის დაზიანების ყველაზე მაღალი რისკის ქვეშ (Onyango et al., 2012; Busza et al., 2016). პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს, რომ ახალგაზრდა ადამიანი, რომელიც ამგვარ საქმიანობას მიჰყოფს ხელს, თავდაპირველად არ იდენტიფიცირდება, როგორც სექსმუშაკი. ახალგაზრდების თავშეყრის ცენტრები, რომლებიც უზრუნველყოფენ კვებას, ბანაობას და სხვა მომსახურებას, შესაძლებელია, აღმოჩნდეს იმ ახალგაზრდების იდენტიფიცირებისთვის ხელსაყრელი ადგილი, რომლებიც სექსმუშაობით არიან დაკავებულნი (WHO et al., 2015a). ასევე, საჭიროა ძალისხმევა იმ ახალგაზრდა მამაკაცებსა და ტრანსგენდერებთან დასაკავშირებლად, რომლებიც სექსმუშაობით არიან დაკავებულნი, მათთვის პროგრამის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით (Onyango et al., 2012).
- **ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამის დაკავშირება ან ჩართვა სექსმუშაობით დაკავებული ახალგაზრდებისათვის განკუთვნილ სხვა პროგრამებთან:** ახალგაზრდები, რომლებიც სექსმუშაობით არიან დაკავებულები, საჭიროებენ ბიოსამედიცინო, ქცევით და სტრუქტურულ ინტერვენციებს, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკის გამო და მათი უფლებების დაცვის მიზნით. შეძლებისდაგვარად, საჭიროა მათი უზრუნველყოფა ჰოლისტიკური, ადამიანზე ორიენტირებული მხარდაჭერითა და დახმარებით, რაც შეიძლება მოიცავდეს მათ -

განსაკუთრებით კი ქუჩაში მცხოვრები და უსახლკარო ახალგაზრდა სექსმუშაკების – დახმარებას ან შესაბამის რეფერირებას, რათა უზრუნველყონ საცხოვრებელით, ბანაობის საშუალებით, კვებით, ჯანდაცვის მომსახურებით, კონსულტაციით, ძალადობის მსხვერპლთათვის განკუთვნილი მომსახურებითა და ფსიქიკური ჯანმრთელობის მომსახურებით, განათლებით, შემოსავლის მომტანი შესაძლებლობებით, იურიდიული მომსახურებით, მშობელთა მხარდაჭერის მომსახურებით და სოციალური დახმარებითა და ბავშვთა დაცვის მომსახურებით (Onyango et al., 2012; Busza et al., 2016). მათ ასევე მუდმივად უნდა ჰქონდეთ წვდომა კონდომებზე, აივ ინფექციის ექსპოზიციამდე ან ექსპოზიციის შემდგომ პროფილაქტიკურ მკურნალობაზე, მათ რეგულარულად უნდა უტარდებოდეთ აივ ინფექციის ტესტირება, კონსულტაცია და მკურნალობა (Onyango et al., 2012; WHO, 2016a).

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

- **ახალგაზრდა სექსმუშაკებისთვის განკუთვნილი ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) ჩართვა თემის გაძლიერების მიზნით წარმოებულ პროგრამებში:** მსგავსი პროგრამები ხელს უწყობს მათ სტიგმატიზაციასა და მარგინალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას და წარმოადგენს თემის გაძლიერების ხელშეწყობის შესაძლებლობას. ახალგაზრდა სექსმუშაკებისთვის განკუთვნილი ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) ჩართვა თემის გაძლიერების მიზნით წარმოებულ პროგრამებში: მსგავსი პროგრამები ხელს უწყობს მათ სტიგმატიზაციასა და მარგინალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას და წარმოადგენს თემის გაძლიერების ხელშეწყობის შესაძლებლობას.
- **არამხოლოდ სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან (სრჯ) დაკავშირებულ თემებზე ორიენტირება:** მონაწილეთათვის ინფორმაციის სხვადასხვა კონტექსტში მიწოდება მათი მეტად დაინტერესების მიზნით (Moore et al., 2014; NSW, 2016a). მაგალითად, ორსულობის, აივ ინფექციისა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების პრევენციაზე საუბარი შესაძლებელია სილამაზისა და ჯანმრთელობის კონტექსტში, რაც მნიშვნელოვანია სექსმუშაკებისათვის.

პროგრამის განხორციელება

- **შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, პროგრამის განხორციელების დაგეგმვა ისეთ ცენტრებში, სადაც ისედაც იკრიბებიან მონაწილეები, სხვა მომსახურებების მისაღებად:** ამგვარი ადგილები შეიძლება მოიცავდეს სასადილოებს, სამხაპებს, დასვენებისა და რეკრიაციულ ადგილებს. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია უფრო ეფექტიანი იყოს პროგრამის განხორციელება ახალგაზრდა სექსმუშაკების საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილებზე, განსაკუთრებით, თუ ერთად ცხოვრობენ.

მნიშვნელოვანი დოკუმენტები და სასწავლო გეგმები

- აივ ინფექცია/სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების ყოვლისმომცველი პროგრამები სექსმუშაკებისთვის: თანამშრომლობითი ინტერვენციის პრაქტიკული მიდგომა (WHO, 2013);
- ანალიტიკური ანგარიში: ახალგაზრდა სექსმუშაკები (NSWP, 2016)'
- აივ და სექსმუშაკები: ტექნიკური ანგარიში (WHO, 2015);
- ერთმანეთის გაძლიერება: ახალგაზრდა სექსმუშაკები ეთიოპიაში - მაგალითები პროექტიდან „Link Up Project“ (Frontline AIDS, 2015);

- **სექსმუშაკთა საქმიანობის კვლევა 15: თავდაცვა და სიცოცხლისუნარიანობა (NSWP, 2016).**

3.11 თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში მოთავსებული ახალგაზრდები



იმ უამრავი მსგავსების გამო, რომელიც არსებობს თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში მოთავსებულ ბავშვებსა და ახალგაზრდებს და იმ ბავშვებსა და ახალგაზრდებს შორის, რომლებიც ნარკოტიკების მომხმარებლებს ან სექსმუშაკებს წარმოადგენენ ან რომლებსაც აქვთ ფსიქოსოციალური დარღვევები, წინამდებარე სახელმძღვანელოს შესაბამის თავებში შესული რეკომენდაციები გამოყენებული უნდა იქნას თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში მოთავსებული ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდების დროს.

თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში მოთავსებული ბავშვები და ახალგაზრდები გულისხმობს პირებს, რომლებიც დაკავებულები არიან სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის გამო ან იმყოფებიან ადმინისტრაციულ პატიმრობაში; აღნიშნული მოიცავს ბავშვებსა და ახალგაზრდებს, რომლებიც მოთავსებულნი არიან პოლიციის განყოფილებაში, წინასწარი დაკავების დაწესებულებაში ელოდებიან ბრალის წაყენებას ან სასამართლოს წინაშე წარდგენას, ან მსჯავრდების შემდეგ იხდიან სასჯელს, ან რომლებიც მოთავსებულები არიან არასრულწლოვანთა, საიმიგრაციო ან ნარკოდამოკიდებული პირებისათვის განკუთვნილ იზოლაციურებში ან სარეაბილიტაციო ცენტრებში (IPPF and UNFPA, 2017b). მართლმსაჯულების სისტემაში დაკავების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლე ან სასამართლო, თუ ახალგაზრდას ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაული, ხოლო ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აღმასრულებელი ან ადმინისტრაციული ორგანო.

მსოფლიოში თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში მოთავსებული ბავშვებისა და ახალგაზრდების რაოდენობა ცნობილი არ არის, აღრიცხვის არარსებობისა და იმ დაწესებულებების ფართო სპექტრის გამო, სადაც ისინი შეიძლება იყვნენ მოთავსებულნი. 2009 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდის (UNICEF) შეფასებით, ნებისმიერ მოცემულ პერიოდში მართლმსაჯულების სისტემის მიერ დაკავებულია და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში იმყოფება 18 წლამდე ასაკის 1 მილიონზე მეტი ბავშვი (UNICEF, 2009), თუმცა მათი რაოდენობა შესაძლებელია, მნიშვნელოვნად აღემატებოდეს ამ შეფასებით დადგენილ მაჩვენებელს (Human Rights Watch, 2016). ურთიერთდაკავშირებული ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ბავშვებისა და ახალგაზრდების დაკავება და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში მოთავსება, მოიცავს სიღარიბეს, ოჯახურ პრობლემებს (მათ შორის, მშობლების მეთვალყურეობის ნაკლებობას), განათლების ან დასაქმების ნაკლებობას, ძალადობას, ჩაგვრასა და ექსპლუატაციას (UNODC, 2006).

ბავშვები და ახალგაზრდები შეიძლება დააკავონ ან მოთავსდნენ თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში მოათავსონ, თუ დანაშაულში იქნებიან ეჭვმიტანილები ან მსჯავრდებულები; თუ ისინი განიხილებიან „პოტენციურ დამნაშავეებად“ ან „საზოგადოებისთვის საშიშ პირებად“ ან იმყოფებიან „პოტენციურად საფრთხის შემცველ“ სიტუაციაში; ანაც სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან არასათანადო ან თვითნებური ქმედებების გამო. მიგრანტ ბავშვები რეგულარულად გადაჰყავთ საემიგრაციო პატიმრობაში, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო

სტანდარტებს. ასევე, წარმოებს შებლუდული შესაძლებლობის მქონე და სხვა ბავშვების ინსტიტუციონალიზაცია, მათი დაცვის საბაზით. ადმინისტრაციული პატიმრობის მიზეზები მოიცავს იმიგრაციისა და საზღვრის არალეგალურად გადაკვეთას, მათ შორის, ვრცელდება პირებზე, რომლებიც პოტენციურად საფრთხეს უქმნიან უსაფრთხოებას, პირებზე, რომლებიც საჭიროებენ ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსწორებას, ნარკოტიკების მოხმარებლებზე, მათზე, ვინც იმყოფება ძალადობისა ან ექსპლუატაციის რისკის ქვეშ ან მათზე, ვისაც სხვა შემთხვევაში ქუჩაში მოუწევდა ცხოვრება (Hamilton et al., 2011).

ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიმართულებით, დაკავებული ან თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში მოთავსებული ბავშვებისა და ახალგაზრდების საჭიროებების შესახებ ლიტერატურა ხელმისაწვდომია მხოლოდ მაღალშემოსავლიანი ქვეყნებიდან, თუმცა ამ ქვეყნებში არსებულ პირობებშიც კი ამკარაა, რომ მათი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა გაუარესების რისკის ქვეშაა. ფართო საზოგადოების წარმომადგენელი თანატოლების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მდგომარეობისგან განსხვავებით, რაც დასტურდება მათ შორის არასრულწლოვანთა ორსულობის მაღალი მაჩვენებლით, სექსუალური გზით გადამდები ინფექციებისა (სგგი) და აივ ინფექციის მაღალი გავრცელებით, ოჯახში ძალადობის, ტრავმისა და სექსუალური ძალადობის გამოცდილებით, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებითა და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების მაღალი მაჩვენებლით, სტიგმისა და დისკრიმინაციის გამოცდილებით, სამედიცინო და ჯანდაცვის მომსახურებებზე წვდომის შეზღუდვით, განათლების მიღების შესაძლებლობის შეზღუდვით და წიგნიერების დაბალი დონით (Schmiege et al., 2009; RACP, 2011; BMA, 2014). ეს რისკი კიდევ უფრო მაღალია დაკავებული ან თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში მოთავსებული მოზარდი გოგონების შემთხვევაში, გენდერული უთანასწორობისა და მოზარდ ბიჭებთან შედარებით დაბალი ეკონომიკური სტატუსის გამო (BMA, 2014). ასევე, მაღალია დაკავებული ან თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში მოთავსებული ბავშვებისა და ახალგაზრდების მიმართ სექსუალური ძალადობის რისკი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ისინი მოზარდი პატიმრებთან ერთად იმყოფებიან (Freudenberg et al., 2010; Human Rights Watch, 2016). დაკავებული ან თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში მოთავსებული ლგბქ+ პირები და ტრანსგენდერები ვერბალური შეურაცხყოფისა და ფიზიკური და სექსუალური ძალადობის განსაკუთრებით დიდ რისკის ქვეშ იმყოფებიან (James et al., 2016).

ბავშვებისა და ახალგაზრდების დაკავება ან თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში მოთავსება ზღუდავს მათი, როგორც მოზარდების, ნორმალურ განვითარებას და სასარგებლო გამოცდილების მიღების შესაძლებლობას, რადგან მათ ხშირად ეზღუდებათ კონტაქტი ოჯახის წევრებთან და საერთოდ არ აქვთ ფიზიკური კონტაქტი იმავე ან საპირისპირო სქესის თანატოლებთან. ისინი იმყოფებიან გარემოში, სადაც არ შეუძლიათ დამოუკიდებლობის გამოვლენა. ურთიერთობის დამყარებისა და მოზარდი ჯანსაღ ურთიერთობაში გამოვლენილი ქცევის მოდელირების შესაძლებლობის გარეშე, ზოგიერთ კონტექსტში, შეიძლება ნორმალური მომნიშვნის პროცესი გახანგრძლივდეს ან შეფერხდეს (Commission on Sex in Prison, 2015). თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში მოთავსებულ ბავშვებსა და ახალგაზრდებს შეიძლება განუვითარდეთ სექსუალური და, ზოგადად, ურთიერთობების შიში, გათავისუფლების შემდეგ. განსაკუთრებით მაშინ, თუ მათ მიმართ ძალადობა განხორციელდა და თუ ისინი არ არიან დარწმუნებულები, თუ რას იფიქრებენ მათი მომავალი

პარტნიორები მათზე, იმის გამო რომ მათ თანატოლებთან შედარებით რომანტიკული და სექსუალური ურთიერთობის ნაკლები გამოცდილება აქვთ (Commission on Sex in Prison, 2015). დაკავებულ ან თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში მოთავსებულ ბევრ ბავშვსა და ახალგაზრდას აქვს დაძაბული ურთიერთობა ოჯახის წევრებთან და მათი თანატოლთა წრე ხშირად შედგება ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელი, კანონდამრღვევი ან დანაშაულისკენ მიდრეკილი ახალგაზრდებისაგან (Moore et al., 2013), რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მათზე, გათავისუფლების შემდეგ.

პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

- **თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებების ადმინისტრაციასთან დაკავშირება, პროგრამის შემუშავების სანყის ეტაპზე:** ბავშვებმა და ახალგაზრდებმა, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში მოთავსების პერიოდში შესაძლებელია, მიიღონ ადამიანის სექსუალობის შესახებ ის განათლება და სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან (სრჯ) დაკავშირებული ის მომსახურებები, რომლებსაც ისინი ვერ მიიღებდნენ საკუთარ თემში. თუმცა, რადგან სასჯელაღსრულების დაწესებულებები მაღალკონტროლირებად და ჩაკეტილ სისტემებს წარმოადგენს, რაც შეიძლება გარკვეულ ბარიერად იქცეს იმ პროგრამების განხორციელებისთვის, რომლებიც ემსახურება ბავშვთა და ახალგაზრდების სექსუალობის განვითარებას, საჭიროა მუდმივი მოლაპარაკება და ადვოკატირება პროგრამების დაშვების მიმართულებით, სხვადასხვა დონის ხელმძღვანელობასთან (Sifunda et al., 2008).
- **სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა:** თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამის განხორციელებისათვის მზადება საჭიროებს ინტენსიურ და სისტემატურ თანამშრომლობას პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებსა და ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის, რომლებსაც შესაძლებელია, წარმოადგენდნენ ფასილიტატორები, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების კონსულტანტები ან თერაპევტები, სასამართლოები, ოჯახები და თანამშრომლობისთვის მზადყოფი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, და რაც მთავარია, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ხელმძღვანელობა (Sifunda et al., 2008; Marvel et al., 2009; Liddle et al., 2011).
- **თანამშრომლობა მომსახურებათა ადგილობრივ მიმწოდებლებთან, მკვლევრებთან და დამნაშავეთა თუ სამართალდამრღვევთა დაკავების სისტემებთან:** მომსახურებათა მიმწოდებლები და მკვლევრები თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიერ შესაძლებელია, სანდო ექსპერტებად იყვნენ აღქმული, შედეგად, მათი რეპუტაცია და გამოცდილება შესაძლებელია გამოყენებული იქნას იმ ბარიერების გადასალახად, რომლებიც ხელს უშლის თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში მოთავსებული ბავშვებისა და ახალგაზრდების ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამების შემუშავებასა და შეფასებას (WHO, 2007a).
- **იმ სტრუქტურული შეზღუდვებისა და ნორმების გაცნობიერება, რომლებსაც თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება უწესებს იქ მოთავსებულ ბავშვებსა და ახალგაზრდებს:** თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში ხშირად წესდება შეზღუდვები, რომლებიც ეხება გენდერთან, სოციალურ კლასთან, ეთნიკურ წარმოშობასთან ან რელიგიურ კუთვნილებასთან დაკავშირებულ ქცევებს და, როგორც

წესი, ეს შეზღუდვები არის მკაცრი და არ ემსახურება დაწესებულებაში მოთავსებული პირების გაძლიერებას. სასწავლო გეგმაში შესული თემები და აქტივობები ამას უნდა ითვალისწინებდეს.

- **ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) ჩართვა კომპლექსურ სარეაბილიტაციო პროგრამებში, სადაც ამის საშუალება არსებობს:** ბავშვები და ახალგაზრდები მუდმივად არ რჩებიან თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში. ბევრი მათგანი ტოვებს ამ დაწესებულებებს, მაგრამ მოგვიანებით ისევ ბრუნდება; შესაბამისად, პროგრამები უნდა ემსახურობდეს როგორც მათი მიმდინარე, ასევე სამომავლო საჭიროებების დაკმაყოფილებას, საჭიროებებისა, რომლებიც წარმოიშობა მათი გათავისუფლების დღეს და გათავისუფლებიდან თვეების შემდეგ. უშუალოდ გათავისუფლების შემდგომი პერიოდი განსაკუთრებით კრიტიკულია, რადგან ბავშვები და ახალგაზრდები უბრუნდებიან იმ გარემოს, სადაც უსიამოვნებაში აღმოჩნდნენ გარეულნი (და რომელიც, დიდი ალბათობით, არ შეიცვლებოდა, მათი იქ არყოფნის პერიოდში), და ურთიერთობას აახლებენ თანატოლებთან და პარტნიორებთან. თუმცა, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებიდან გათავისუფლება ბავშვებსა და ახალგაზრდებს შესაძლებლობას აძლევს, რეალურ გარემოში გამოიყენონ თავისუფლების შეზღუდვის პერიოდში მათთვის მიწოდებული ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) შედეგად მიღებული ცოდნა და გამოცდილება. შესაძლებლობის არსებობისას, რეკომენდებულია ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) ჩართვა კომპლექსურ სარეაბილიტაციო გეგმაში, რომელიც მოიცავს თანამშრომლობას თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში დასაქმებულ პედაგოგთა, კონსულტანტთა და იმ მომსახურებათა მიმწოდებლებს შორის, რომელიც უკავშირდება სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობას (სრჯ), ნარკოტიკების მოხმარებას და ფსიქიკურ ჯანმრთელობას (US DOE & DOJ, 2014). თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებიდან გათავისუფლების კომპონენტი შეიძლება მოიცავდეს დამატებით ინდივიდუალურ შეხვედრებს, სწავლებასა და მხარდაჭერას სატელეფონო კავშირით და რეფერირებას მომსახურებისა და რესურსების ადგილობრივ მიმწოდებლებთან. ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდებას, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში და დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ, უნდა უზრუნველყოფდეს ერთი და იგივე ფასილიტატორი, იმ შემთხვევაში, თუ ეს შესაძლებელია (Liddle et al., 2011). საჭიროა წინასწარ იქნას შემუშავებული და ამოქმედებული ძლიერი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამის მონაწილეებთან კავშირის შენარჩუნებას, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებიდან მათი გათავისუფლების შემდეგ.
- **მოქნილობის შენარჩუნება და დაგეგმვა, რომელიც ემსახურება იმ მოულოდნელ ცვლილებებსა და გამოწვევებთან გამკლავებას, რომლებიც ხშირად აღინიშნება თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში:** აღნიშნული მოიცავს მზადყოფნას პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილი ადგილის მოულოდნელად შეცვლისთვის ან შეხვედრის გადადებისთვის, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ან სხვა აქტივობის გამო, როგორცაა დაწესებულების ფარგლებში დაგეგმილი სამედიცინო შემოწმება, დაწესებულების ბინადართა რეგისტრაცია, ან ბავშვებისა და ახალგაზრდების სხვადასხვა განყოფილებაში გადაყვანა (Goldberg et al., 2009; DiClemente et al., 2014; DOE & DOJ, 2014).

- იმ რისკებისა და პრობლემების ჩართვა, რომლებიც თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში მოთავსებული ბავშვებისა და ახალგაზრდების წინაშე დგას:** სექსუალობა, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება, ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, სამართალდარღვევა და კრიმინალური საქმიანობა ის საკითხებია, რომლებზეც მსჯელობაც საჭიროა ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) ფარგლებში, იქ, სადაც ამის შესაძლებლობა არსებობს (Marvel et al., 2009). მაგალითად, შესაძლებელია ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების კონცეპტუალიზაცია, როგორც თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში მოთავსებული პირების ხელშეწყობა, გადავიდნენ ჯანსაღი ცხოვრების წესზე, ისწავლონ თავის პატივისცემა და თავზე ზრუნვა. რეკომენდებულია ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) დამატება ან ჩართვა ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის ან სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებისა (სგგი) და აივ ინფიცირების რისკის შემცირების მიზნით განხორციელებულ პროგრამებში, იქ, სადაც მსგავსი პროგრამები ხორციელდება (Bryan et al., 2009; Marvel et al., 2009; Mouttapa et al., 2009).
- მონაწილეობითი მიდგომის გამოყენება, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში მოთავსებულ ბავშვებსა და ახალგაზრდებთან თანამშრომლობის საფუძველზე, მათთვის ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) პროგრამით გათვალისწინებული შინაარსის გასაცნობად:** შეიძლება დაწესებულების ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკება გახდეს საჭირო, თუ ისინი თავს იკავებენ არასრულწლოვანი პატიმრებისთვის ნებისმიერ ასპექტზე კონტროლის ბერკეტის გადაცემისგან; თუმცა აღნიშნული მიდგომა შეიძლება დაეხმაროს პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებს, გაიგონ და გააცნობიერონ თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში მოთავსებული ახალგაზრდების ცხოვრების რეალობა რა განაპირობებს მათ მონყვლადობას, რა საჭიროებები, სურვილები, შეხედულებები, მისწრაფებები და კულტურა აქვთ მათ (WHO, 2007a). ამგვარად, ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება (CSE) შესაძლებელია, საინტერესოდ და რელევანტურად იქნას მიჩნეული თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში მოთავსებული იმ ახალგაზრდებისთვისაც, ვინც ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლებას არ მიიჩნევს გადაუდებელ აუცილებლობად.
- პროგრამის განხორციელებაში თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში მოთავსებული ბავშვებისა და ახალგაზრდების მშობლების, მეურვეებისა და ოჯახის წევრების, შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად ჩართვა:** აღნიშნულის უზრუნველყოფა შესაძლებელია ერთობლივი შეხვედრების ორგანიზებით, ოჯახის ფაქტორის განხილვის მიზნით, მშობლებისა და ოჯახების მონაწილეობის უზრუნველყოფისა და ოჯახების ნახალისების მიზნით, რათა ურთიერთობა შეინარჩუნონ შვილებთან, ვიდრე ისინი თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში იმყოფებიან.
- პროგრამის განხორციელებაში თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში მოთავსებული ახალგაზრდების პარტნიორთა ჩართვა:** აღნიშნული ღონისძიება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში მოთავსებული მოზარდი გოგონების პარტნიორი მამაკაცებისათვის, მათთან ურთიერთობის, ძალადობის, ორსულობის და აივსა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების შესახებ საუბრების სანარმოებლად/საუბრისთვის (Davis et al., 2016).

- **ტრავმაზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენება ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლებაში (CSE):** თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში მოთავსებულ ბევრ ბავშვსა და ახალგაზრდას აქვს ოჯახში ძალადობის, ტრავმისა და სექსუალური შევიწროების გამოცდილება; ისინი შესაძლებელია ტრავმას განიცდიდნენ თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში ყოფნის დროსაც (ტრავმაზე დაფუძნებული მიდგომის შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის, იხ. წინამდებარე პუბლიკაციის ქვეთავი 2.2).
- **კრიტიკული პედაგოგიკის (იხ. ტერმინების განმარტება) გამოყენება, მონაწილეთა როგორც ინდივიდუალური, ასევე თემის ფორმით გაძლიერების მიზნით:** აღნიშნული მიდგომის გამოყენება საჭიროა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში მოთავსებული ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის შესაძლებლობის მიცემის მიზნით, რათა მათ კრიტიკულად გააანალიზონ ის უთანასწორობა, რომელიც მათ ცხოვრებას მართავს. თავისუფლების შეზღუდვის იმ დაწესებულებებში, წინასწარი დაკავების ცენტრებსა და საპყრობილებებში, სადაც გამოიყენება დასჯა და დამკვიდრებულია იერარქია, ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების (CSE) მიწოდება მონაწილეობითი მეთოდისა და კრიტიკული პედაგოგიკის გამოყენებით, განსაკუთრებით შეუწყობს ხელს ამ დაწესებულებებში მოთავსებული ბავშვებისა და ახალგაზრდების გაძლიერებას. მონაწილეობითი მეთოდით სწავლებამ შესაძლებელია, მონაწილეებს მოუხსნას მუდმივად ჩუმად, არაჰუმანურ და დამამცირებელ პირობებში ყოფნის განცდა, რაც თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში ყოფნას უკავშირდება. დიდაქტიკური, დაავადებათა თავიდან არიდების უზრუნველმყოფი მიდგომის გამოყენების ნაცვლად, პროგრამებში რეკომენდებულია ყურადღების გამახვილება მონაწილეთა ცხოვრების პირობებზე, მათი გადარჩენის სტრატეგიებსა და იმ გარემოებებზე, რომლებიც მათ მიერ გადანყვეტილების მიღებას უშლის ხელს. აღნიშნული მიდგომა ასევე ხელს შეუწყობს მონაწილეებსა და პროგრამის განმახორციელებლებს შორის პოზიტიური ურთიერთობის დამყარებას (Fields et al., 2008).
- **როგორც ჯგუფური, ასევე ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზება (Davis et al., 2016):** ჯგუფური შეხვედრების ორგანიზება რეკომენდებულია, როდესაც თანატოლებთან ურთიერთობა, უკუკავშირი და ზემოქმედება მნიშვნელოვანია, მაგალითად, მამრობითი სქესის მოზარდ დამნაშავეებთან (Dwyer and Boyd, 2009). იქ, სადაც შესაძლებელია, ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზება რეკომენდებულია იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფური შეხვედრების გამართვა რთულია, ყურადღების გადატანის ან შეწყვეტინების გამო, ან თუ წარმოებს სენსიტიური მასალის განხილვა ან მონაწილე საჭიროებს ინდივიდუალურ სწავლებას.

პროგრამის განხორციელება

- **ფასილიტატორთა მომზადება და ხელშეწყობა, რათა მათ შეძლონ იმ უნარების გამოყენება, რომლებიც რეკომენდებულია არასრულწლოვანთა დაკავების დაწესებულებაში მოთავსებულ პირებთან:** აღნიშნული მოიცავს პოზიტიურ ქცევით ინტერვენციებს და ჯგუფის მართვის მეთოდებს, შეხვედრის ჩაშლისკენ მიმართული ქცევის აღსაკვეთად და მონაწილეების სოციალური და ემოციური საჭიროებების დაკმაყოფილებაში დასახმარებლად. საუკეთესო შემთხვევაში, ფასილიტატორები უნდა ფლობდნენ რისკის ქვეშ მყოფ ბავშვებსა და ახალგაზრდებთან მუშაობის გამოცდილებას

და მუდმივად უნდა გადიოდნენ მომზადებას პროფესიული განვითარებისა და უნარების გაუმჯობესების მიმართულებით (US DOE & DOJ, 2014).

- **მხარდაჭერის მიზნით დისციპლინის დამყარების მიდგომის გამოყენება, ფასილიტატორთა და მონაწილეთა შორის ნდობის გარემოს შექმნისთვის:** ფასილიტატორებმა უნდა აღკვეთონ მონაწილეების მიერ გამოვლენილი არასათანადო ქცევა, მკაფიო, მონაწილეთა მოლოდინის შესაბამისი და მონაწილეებზე მორგებული მეთოდების გამოყენებით. მონაწილეები თავს უნდა გრძნობდნენ უსაფრთხოდ და მუდმივად გრძნობდნენ მხარდაჭერას, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ბევრ მათგანს შესაძლებელია, წარსულში პედაგოგებთან ურთიერთობის პოზიტიური გამოცდილება არ გააჩნდეს (US DOE & DOJ, 2014).

მნიშვნელოვანი დოკუმენტები და სასწავლო გეგმები

- თავისუფლების შეზღუდვის დანესებულებებში აივ ინფექციის აღმოსაფხვრელად გატარებული ინტერვენციების ეფექტიანობა (WHO, UNODC, UNAIDS, 2007);
- ინტერვენცია თავისუფლების შეზღუდვის დანესებულებებში აივ ინფექციის აღკვეთის მიზნით: სექსუალური გზით გადაცემის პრევენცია (WHO, UNODC, UNAIDS, 2007);
- თავისუფლების შეზღუდვის დანესებულებებში მოთავსებული ბავშვების ჯანსაღი სექსუალური განვითარება (Howard League for Penal Reform, 2015);
- ახალგაზრდები გისოსებს მიღმა: სისხლის სამართლის სისტემაში დაკავებული ბავშვებისა და ახალგაზრდების ჯანმრთელობა და ადამიანის უფლებები (British Medical Association, 2014);
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში, უსაფრთხო ზრუნვის პირობებში მაღალი ხარისხის განათლების მიწოდების სახელმძღვანელო პრინციპები (US DOE & DOJ, 2014);
- გაეროს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების მინიმალური სტანდარტული წესები („პეკინის წესები“) (United Nations, 1985);

სწავლის განაჩნება

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებული ტერმინები და ცნებები ესადაგება საყოველთაოდ აღიარებულ განმარტებებს, აგრეთვე, განმარტებებს, რომლებიც გამოიყენება გაეროსა და მისი უწყებების მიერ მომზადებულ დოკუმენტებში.

მოზარდი: 10-დან 19 წლამდე პირი. (ბავშვებს განეკუთვნებიან 18 წლამდე პირები, ხოლო ახალგაზრდებს განეკუთვნებიან 10-დან 24 წლამდე პირები.)

აგენდერი: ადამიანი, რომელსაც არ გააჩნია გენდერული იდენტობა.

ასექსუალი: ადამიანი, რომელიც არ განიცდის სექსუალურ ლტოლვას სხვა ადამიანის მიმართ ან ნაკლები ინტერესი და სურვილი აქვს, ჰქონდეს სექსობრივი კავშირი.

ბისექსუალი: ადამიანი, რომელიც განიცდის ლტოლვას ერთზე მეტი გენდერის მიმართ.

ბულინგი: დროთა განმავლობაში განმეორებადი ქცევა, რომელიც განზრახ არის ჩადენილი და ემსახურება პირისთვის ფიზიკური ზიანის მიყენებას ან მისთვის დისკომფორტის შექმნას, ფიზიკური კონტაქტის, სიტყვიერი თავდასხმის ან ფსიქოლოგიური მანიპულირების გზით. ბულინგი მოიცავს ძალაუფლების დისბალანსს.

ბავშვი: 18 წლამდე პირი (გაეროს განმარტება).

ცისგენდერი: ადამიანი, რომლის გენდერული იდენტობა ემთხვევა მისი ბიოლოგიური სქესის შესაბამის და საზოგადოებაში მიღებულ გენდერულ იდენტობას.

იძულება: მოქმედება ან პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს ძალის ან მუქარის გამოყენებით ვინმეს დათანხმებას რაიმე ქმედებაზე.

კრიტიკული პედაგოგიკა: სწავლების მიდგომა, რომელიც ეფუძნება ბრაზილიელი პედაგოგის, პაულო ფრეიერის ნაშრომს, რომელიც მარგინალიზებულ ან ჩაგრულის პოზიციაში მყოფ მოსწავლეებს მოუწოდებს, ეჭვქვეშ დააყენონ ძალაუფლების დინამიკა და დომინაცია და აქეზებს მათ, იმოქმედონ პირადი სიტუაციების შეცვლის მიმართულებით.

სასწავლო გეგმა: დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტული კურსის ან საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო მიზნებს, სტანდარტებს, შინაარსს, თემებსა და გაკვეთილებს.

დისკრიმინაცია: ნებისმიერი უსამართლო მოპყრობა ან რაიმე მიზეზითა თუ ნიშნით ადამიანთა ერთმანეთისგან გარჩევა, როგორცაა რასობრივი კუთვნილება, სქესი, სარწმუნოება, ეროვნება, ეთნიკური წარმოშობა, სექსუალური ორიენტაცია, შეზღუდული შესაძლებლობა, ასაკი, ენა, სოციალური წარმოშობა ან სხვა სტატუსი.

თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში მოთავსება/დაკავება: თავისუფლების შეზღუდვა ან აღკვეთა, გარდა დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირებისათვის სასჯელის სახით დაწესებული ღონისძიებისა (რომელიც გულისხმობს პირის სასჯელადსრულებით დაწესებულებაში მოთავსებას).

სამართლიანობა: სამართლიანი და მიუკერძოებელი მოპყრობა, რომელიც მოიცავს თანაბარ ან დიფერენცირებულ მოპყრობას, რომელიც ემსახურება უფლებების შელახვის, სარგებლის არათანაბარი განაწილების გამოსწორებასა და ვალდებულებებისა და შესაძლებლობების მხრივ არსებული უთანასწორობის აღმოფხვრას.

გვი: ადამიანი, რომელიც განიცდის რომანტიკულ და სექსუალურ მიზიდულობას, ძირითადად ან მხოლოდ, იმავე სქესის ან გენდერის მქონე პირთან. ჩვეულებრივ გამოიყენება მამაკაცებთან მიმართებაში, თუმცა, ასევე, შეიძლება გამოიყენებოდეს ქალებთან მიმართებაშიც.

გენდერი: ქალებისა და მამაკაცებისათვის მინერილი და სოციალურად განპირობებული მახასიათებლები, რომლებიც მოიცავს ნორმებს, როლებს, მახასიათებლებსა და ურთიერთობებს ქალებისა და მამაკაცების, გოგონებისა და ბიჭების ჯგუფებს შორის. აღნიშნული მახასიათებლების შექმნა წარმოებს სოციალიზაციის პროცესში.

გენდერული ნიშნით ძალადობა: ძალადობრივი აქტი ჩადენილი პირის მიმართ გენდერული დისკრიმინაციის, გენდერული თვითგამოხატვის ან გენდერული სტერეოტიპების საფუძველზე, ან ძალაუფლების გენდერთან დაკავშირებული განსხვავებული სტატუსის საფუძველზე, რომლის შედეგიც არის (ან რომლის მოსალოდნელი შედეგიც შესაძლებელია იყოს) ფიზიკური, სექსუალური ან ფსიქოლოგიური ზიანი ან ტანჯვა.

გენდერული თვითგამოხატვა: გულისხმობს იმას, თუ როგორ წარუდგენს ადამიანი მსოფლიოს საკუთარ გენდერს, მაგ. სახელის, ტანისამოსის, სტილის, მოძრაობებისა და ჟესტიკულაციების, სიტყვისა და კომუნიკაციის, როლებისა და ზოგადი ქცევის საშუალებით.

გენდერული ნორმები ან როლები: კულტურულად განპირობებული, დაშვებული, მისაღები, სასურველი ან დაფასებული ქცევა და დამოკიდებულება, რომელიც ეფუძნება ადამიანის რეალურ ან აღქმულ სქესს.

გენდერული იდენტობა: ადამიანის შინაგანი, პირადი განცდა, რომელიც ამა თუ იმ გენდერისადმი კუთვნილებას უკავშირდება, და რომელიც შესაძლებელია არ ემთხვეოდეს ამ პირისადმი დაბადებისას მინიჭებულ სქესს.

არაბინარული გენდერი: გენდერული იდენტობა, რომელიც განსხვავდება მკვეთრად გამოხატული ქალის ან მამაკაცის იდენტობისგან.

გენდერულად არაკონფორმული ადამიანები: არ ექვემდებარებიან მოსალოდნელ ან სტანდარტულ გენდერულ როლებს, ნორმებს, ან არ გააჩნიათ მკვეთრად გამოხატული გენდერული იდენტობა, ან არ განეკუთვნებიან მხოლოდ ერთი გენდერს.

გენდერულ-ტრანსფორმაციული მიდგომა: მიდგომა, რომელიც ხელს უწყობს გენდერულ თანასწორობას და ილაშქრებს უთანასწორო გენდერული როლების, ნორმების, ურთიერთობისა და სტატუსის წინააღმდეგ.

შევიწროება: ნებისმიერი უმართებულო და მიუღებელი ქმედება ან ქცევა, რომელიც, გონივრულობის ფარგლებში, შეიძლება იყოს მოსალოდნელი, რომ გამოიწვევს სხვის შეურაცხყოფას ან დამცირებას, ან აღქმული იყოს, როგორც სხვისი შეურაცხყოფის ან დამცირებისთვის გამიზნული ქცევა. შევიწროებამ შეიძლება მიიღოს ვერბალური, ჟესტიკულაციებით ან ქმედებებით გამოხატული ფორმა, რომელიც ემსახურება სხვა ადამიანის გაღიზიანებას, გამონღვევას, რეპუტაციის შელახვას, დამცირებას, დაშინებას, დაკნინებას, შეურაცხყოფას ან შერცხვენას; ან დაშინების, მტრული ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.

ზიანის შემცირება: სტრატეგიები, რომლებიც ემსახურება პოტენციურად საზიანო ისეთი ქცევის უარყოფითი შედეგების შემცირებას, როგორცაა, მაგალითად, ნარკოტიკების მოხმარება ან მრავალი სექსუალური პარტნიორის ყოლა, ნაცვლად თავად ქცევის აღკვეთისა.

ჰომოფობია: შიში, დისკომფორტის განცდა, შეუწყნარებლობა ან სიძულვილი ჰომოსექსუალობისა და იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც მიეკუთვნებიან გვი საზოგადოებას ან აღიქმებიან ასეთად.

ჰომოფობიური ძალადობა: პირთა მიმართ ძალადობა, მათი რეალური ან აღქმული ჰომოსექსუალიზმის საფუძველზე.

ჰომოსექსუალი: პირი, რომელიც სექსუალურ და/ან რომანტიკულ ლტოლვას განიცდის, ძირითადად, მისივე სქესის ან გენდერის მქონე პირების მიმართ.

ჰუმანიტარული კრიზისი: ცალკეული მოვლენები ან მოვლენათა ჯაჭვი, როგორცაა შეიარაღებული კონფლიქტები, ეპიდემიები, სტიქიური უბედურებები და შიმშილი, რომლებიც საფრთხეს უქმნის საზოგადოების ან ხალხის დიდი ჯგუფის ჯანმრთელობას, კეთილდღეობას ან უსაფრთხოებას.

ინკლუზიური განათლება: განათლება, რომელიც ეხმარება და რეაგირებს ყველა მოსწავლის მრავალფეროვან საჭიროებაზე და ამცირებს გარიყულობას განათლებიდან და განათლების ფარგლებში.

მკვიდრი მოსახლეობა: კონკრეტული რეგიონის თავდაპირველი მკვიდრნი – რომლებიც არ განეკუთვნიებიან იმ ადამიანთა ჯგუფებს, რომლებიც შემდგომ დასახლდნენ ამ რეგიონში, ან დაიკავეს ტერიტორიები კოლონიზაციის ან სხვა ქმედების შედეგად – რომლებსაც შენარჩუნებული აქვთ ის სოციალურ-კულტურული მახასიათებლები, რომლებიც განსხვავდება იმ დომინანტური კულტურისაგან, რომელშიც ისინი არიან წარმოდგენილი.

ინფორმირებული თანხმობა: ნებაყოფლობითი თანხმობა რაიმეს გაკეთებაზე ან მასში მონაწილეობაზე, ან რამის გაკეთების დაშვებაზე, როგორცაა, მაგალითად, სამედიცინო პროცედურა, ფაქტების, რისკის, სარგებლისა და შესაძლო შედეგების სრულყოფილად გააზრებით.

ინტერსექსი: ადამიანები, რომლებიც იბადებიან ისეთი ბიოლოგიური სქესობრივი მახასიათებლებით (სასქესო ორგანოები, სასქესო ჰორმონები და ქრომოსომური სტრუქტურა), რომლებიც არ შეესაბამება მამრობითი და მდედრობითი სქესის მქონე პირთა სხეულის აგებულების ტიპურ ბინარულ განმარტებებს. ინტერსექსი არის ქოლგა ტერმინი, რომელიც გამოიყენება სხეულის ბუნებრივი ვარიაციების ფართო სპექტრის აღსაწერად.

მაღალი რისკის მქონე მოსახლეობა: აივ ინფექციისაგან განსაკუთრებით დაუცველი მოსახლეობის ჯგუფები, მათ შორის გვი და სხვა მამაკაცები, რომლებსაც აქვთ სექსუალური ურთიერთობა მამაკაცებთან, სექსმუშაკები, ტრანსგენდერი ადამიანები, ინიექციური ნარკოტიკების მოხმარებლები და პატიმრები და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში მოთავსებული ადამიანები.

ლესბოსელი: მდედრობითი სქესის პირი, რომელიც სექსუალურ და/ან რომანტიკულ ლტოლვას განიცდის, ძირითადად, მისივე სქესის ან გენდერის მქონე პირების მიმართ.

პანსექსუალი: პირი, რომელიც სექსუალურ და/ან რომანტიკულ ლტოლვას განიცდის ნებისმიერი გენდერის მქონე პირების მიმართ.

პედაგოგია: საგანმანათლებლო შინაარსის მიწოდების მეთოდი, მათ შორის, სხვადასხვა მეთოდოლოგიის გამოყენება, რომელიც აღიარებს, რომ ადამიანები სწავლობენ სხვადასხვა გზით და რომელიც ეხმარება ცოდნის მიღების მსურველ პირებს საგანმანათლებლო შინაარსის მიღებასა და ეფექტიანად სწავლაში.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირები: ყველა ადამიანი, რომელთაც ხანგრძლივი დროის მანძილზე აღენიშნებათ ფიზიკური, გონებრივი, ინტელექტუალური ან მგრძნობელობითი უნარების გაუარესება, რასაც, თავის მხრივ, სხვადასხვა ტიპის ნეგატიური დამოკიდებულებების ან ფიზიკური ბარიერების არსებობისას, შეუძლია, ხელი შეუშალოს ამ პირების სრულფასოვან მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სხვების თანასწორად.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა: მდგომარეობა, რომელიც გამორიცხავს სხვა პირების დაკვირვების ობიექტად ქცევასა და სხვა პირების მხრიდან შევიწროებას. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება წარმოადგენს ადამიანის უფლებას იყოს დაცული მის პირად ცხოვრებაში სახელმწიფოს და სხვა პირების ჩარევისგან.

რეპროდუქციული ჯანმრთელობა: გულისხმობს პიროვნების სრულ ფიზიკურ, გონებრივ და სოციალურ კეთილდღეობას, არა მხოლოდ რეპროდუქციულ სისტემასთან დაკავშირებული დაავადების ან ავადმყოფობის არარსებობას, არამედ რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან, მის ფუნქციებსა და პროცესებთან დაკავშირებულ ყველა ასპექტს. რეპროდუქციული ჯანმრთელობა მოიცავს რეპროდუქციულ პროცესებს, ფუნქციებსა და სისტემებს, ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე და, ასევე, გულისხმობს იმას, რომ ადამიანს შეუძლია, ჰქონდეს სასურველი და უსაფრთხო სექსუალური ცხოვრება და შვილის ყოლის თავისუფლება, უფლება თავად გადაწყვიტოს, იყოს თუ არა შვილი, როდის იყოს და რამდენი შვილი იყოს.

რეპროდუქციული უფლებები: წარმოადგენს ყველა წყვილისა და ადამიანის უფლებას, მიიღონ თავისუფალი და ინფორმირებული გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რამდენი შვილი იყოს და როდის, ყოველგვარი დისკრიმინაციის, იძულებისა და ძალადობის გარეშე; ჰქონდეთ ნდობა ამ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაციასა და საშუალებებზე, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უმაღლესი სტანდარტის მისაღწევად.

უსაფრთხო სივრცეები: ფიზიკური ან ვირტუალური სივრცე ან გარემო, სადაც ინდივიდი ან ჯგუფი თავს გრძნობს დაცულად დისკრიმინაციის, კრიტიკის, შევიწროების ან რაიმე სხვა ემოციური, ან ფიზიკური ზიანისგან.

თვითგამორკვევა: პროცესი, რომლის საშუალებითაც ადამიანი აკონტროლებს თავის ცხოვრებას, ძალდატანებისა და იძულების გარეშე, და ამგვარად მოქმედების უფლება.

სერიოზული თამაში: სერიოზული თამაში ან გამოყენებითი თამაში არის თამაში, რომლის პირველად დანიშნულებას არ წარმოადგენს გართობა, არამედ ყველაზე ხშირად მას საგანმანათლებლო მიზნებისთვის იყენებენ. სერიოზული თამაშები ასოცირდება სიმულაციასთან, რომლის დროსაც გამოიყენება მაგალითად, თხრობა, თუმცა, პედაგოგიური ღირებულების შეძენისათვის სერიოზულ თამაშში წარმოებს გართობისა და შეჯიბრების ელემენტების ჩართვა.

სქესი: ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური (გენეტიკური, ენდოკრინული და ანატომიური) მახასიათებელი, რომლის მიხედვითაც, ადამიანებს ყოფენ მამრობითი და მდედრობითი სქესის წარმომადგენლებად.

სექსუალური ჯანმრთელობა: გულისხმობს პიროვნების ფიზიკურ, გონებრივ და სოციალურ კეთილდღეობას, რომელიც უკავშირდება სექსუალურ ჯანმრთელობას და არა მხოლოდ სექსუალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული დაავადებების, დისფუნქციის ან უძლურების არარსებობას. სექსუალური ჯანმრთელობა მოითხოვს სექსუალობისა და სექსუალური ურთიერთობებისადმი პოზიტიურ და პატივისცემით მიდგომას, ასევე, სასურველი და უსაფრთხო სექსუალური გამოცდილების მიღების შესაძლებლობას, იძულების, დისკრიმინაციისა და ძალადობის გარეშე. სექსუალური ჯანმრთელობის უზრუნველყოფა და შენარჩუნება საჭიროებს ყველა ადამიანის სექსუალური უფლებების პატივისცემასა და დაცვას.

სექსუალური უმცირესობები: ადამიანთა ჯგუფები, რომელთაც უმრავლესობისაგან განსხვავებული სექსუალური იდენტობა, ორიენტაცია, მახასიათებლები ან პრაქტიკა აქვთ. მათ შორის იგულისხმებიან ჰეტეროსექსუალებისგან განსხვავებული ადამიანები და ტრანსგენდერი, ინტერსექსუალი ან გენდერულად არაკონფორმული ადამიანები.

სექსუალური ორიენტაცია: ადამიანის სექსუალური იდენტობა იმ სქესის/გენდერის ან სქესების/გენდერების მიხედვით, რომელთა მიმართაც ადამიანი განიცდის სექსუალურ და/ან რომანტიკულ ლტოლვას, მათ შორის, განსხვავებული სქესის/გენდერის მიმართ (ჰეტეროსექსუალი), იმავე სქესის/გენდერის მიმართ (ჰომოსექსუალი, ერთზე მეტი სქესის/გენდერის მიმართ (ბისექსუალი ან პანსექსუალი) ან არავის მიმართ (ასექსუალი).

სტიგმა: ადამიანების ან საზოგადოების მოსაზრებები ან შეფასებები, რომლებიც უარყოფითად აისახება პიროვნებაზე ან ადამიანთა ჯგუფზე. დისკრიმინაცია ხორციელდება სტიგმის საფუძველზე.

ტრანსგენდერი: ადამიანი, რომლის შინაგანად აღქმული გენდერი (გენდერული იდენტობა) განსხვავდება დაბადებისას მისთვის მინიჭებული სქესისგან. ტრანსგენდერი ადამიანები შეიძლება იდენტიფიცირდნენ როგორც მამრობითი სქესის, მდედრობითი სქესის, სხვადასხვა გენდერის კომბინაციის მქონე ან გენდერის არმქონე პირები.

ტრანსფობია: შიში, დისკომფორტის განცდა, შეუწყნარებლობა ან სიძულვილი ტრანსგენდერი პირებისა და იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ტრანსგენდერებად აღიქმებიან.

ტრანსფობიური ძალადობა: იმ პირთა მიმართ ძალადობა, რომლებიც წარმოადგენენ ტრანსგენდერებს ან გენდერულად არაკონფორმულ ადამიანებს, ან აღიქმებიან ასეთებად.

ტრავმაზე დაფუძნებული მიდგომა: მიდგომა, რომელიც სრულად ითვალისწინებს ტრავმის შესახებ ცოდნას პოლიტიკაში, პროცედურებსა და პრაქტიკაში და ემსახურება ტრავმის განმეორებით განცდის თავიდან არიდებას.

ძალადობა: ნებისმიერი ქმედება, აშკარად გამოხატული თუ სიმბოლური, რომელსაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ფიზიკური, სექსუალური ან ფსიქოლოგიური ზიანი.

ახალგაზრდები: გულისხმობს 10-დან 24 წლამდე ასაკის პირებს.

საერთაშორისო ტენიკური და პროგრამული სახელმძღვანელო ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება (CSE) ანაზორმადური განათლებლის სისტემაში



©გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), 2020 წ.

www.unfpa.org